ვენედი ბენიძე

მემუარები

მე დავრჩები ჩემს
სიმართლესთან ერთად....

რედაქტორი **მარინა ბენიძე**
ტექსიტი აუდიო-ჩანაწერის მიხედვით მოამზადა **მაკა ყიფიანმა**

თანდართული მოგონებების ავტორები:
დავით სულაქველიძე
ლორდი ლებანიძე
ნუგზარ ყურაშვილი
მირზა ქორქაშვილი
ბესარიონ ზოიძე
ავთანდილ სილაგაძე
პაატა ჟვანია
გივი ლობჟანიძე
გიორგი მათიაშვილი

თბილისი, 2025

ISBN 978-9941-8-7554-0

მკითხველის წინაშეა რთული და საინტერესო მოვლენებისა თუ ადამიანურ ურთიერთობათა პანორამა, რომლის ფრაგმენტები უშუალოდ უკავშირდება წინამდებარე წიგნის ავტორს, თავისი არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ძალზე საინტერესო ცხოვრებისა და იმავდროულად, ერთობ წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში. ნებისმიერი ამგვარი ნაშრომის შინაარსზე ყოველთვის ახდენს გავლენას ორი მნიშვნელოვანი გარემოება: როგორი ღირებულებების მსახური იყო ავტორი და რამდენად მოახერხა მან ამაღლებულიყო თუნდაც მისი მონაწილეობით მიმდინარე მოვლენებზე, გარედან, მაყურებლის ობიექტური თვალთახედვით, მიუკერძოებლად შეეფასებინა ეს მოვლენები და მათი შემოქმედი ადამიანები. ამ მხრივ, მის მიერ მკითხველისთვის დატოვებული ერთგვარი მატიანე მართლაც რომ სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს.

ვენედი ბენიძე, რომლის პიროვნული და მოქალაქეობრივი სახე, აგრეთვე, პროფესიული რენომე იკვეთებოდა და ყალიბდებოდა ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე ეპოქალური მნიშვნელობის ცვლილებებისა და ქარტეხილების პირობებში, ნამდვილად მოახერხა, გაეძლო დიდი სირთულეებისთვის, შეენარჩუნებინა თავისი სახე და ბოლომდე ერთგული დარჩენილიყო ჭეშმარიტი ღირებულებებისა. ამ გადასახედიდან, სავსებით ლოგიკურია, რომ მისი წიგნი, აბსოლუტური სიმართლისა და გარდასულ დღეთა შესახებ და თითოეულ ჩვენგანს უჩვენებს გზას, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უღალატოდ უნდა მიჰყვებოდეს თავის ქვეყანასა და პროფესიაზე უანგაროდ შეყვარებული, ნებისმიერი ადამიანი“.

დავით სულაქველიძე, პროფესორი:

ბიოგრაფია

ვენედი ბენიძე, დაიბადა **1950** წლის **5** იანვარს.

1964-1966 წლებში (საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში) მუშაობდა ცაგერის **N20** საგზაო-საექსპლუატაციო უბანში, მუშად.

1971 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1971 წლის ივლისიდან მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლად.

1972-1974 წლებში იყო ცაგერის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი. იმავდროულად დაკისრებული ჰქონდა პროკურორის თანაშემწის მოვალეობა.

1975-1976 წლებში იყო საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

1976-1986 წლებში მუშაობდა ბაღდათის რაიონის პროკურორად.

1986-1987 წლებში იყო საქართველოს პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების (დეპარტამენტის უფლებით) უფროსის მოადგილე.

1987-1989 წლებში: საქართველოს პროკურატურის სასამართლოებში სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების (დეპარტამენტის) უფროსის მოადგილე.

1989-1991 წლებში: საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე.

1991-1992 წლებში: წყალტუბოს პროკურორი.

1993-1994 წლებში: საქართველოს გენერალური პროკურორის ორგანიზებულ დანაშაულთა შესახებ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობისა და გამოძიების სამმართველოს უფროსი.

1995-1999 წლებში: ქალაქ რუსთავის პროკურორი.

1999-2001 წლებში: თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებიდან გამომდინარე, კურირებდა სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიის და საგამოძიებო კოლეგიის საქმიანობას.

2001 წლის თებერვლიდან **2004** წლის **14** იანვრამდე – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, პირველი მოადგილე. კურირებდა ქვეყნის მასშტაბით გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებას და სასამართლოებში ბრალდების მხარდაჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

2004 წლის თებერვლიდან **2005** წლის ივნისამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი.

2004 წლის ოქტომბრიდან **2006** წლის სექტემბრამდე: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საჯარო სამართლის კათედრის გამგე – პროფესორი.

2006 წლის სექტემბრიდან – **2011** წლის მარტამდე: იმავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე – სრული პროფესორი.

2011 წლის მარტიდან – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

***

1974 წელს დაამთავრა სანკტ-პეტერბურგის გამომძიებელთა დახელოვნების ინსტიტუტი.

1999 წელს ჩააბარა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

1998-2003 წლებში, როგორც კომისიის წევრი, მონაწილეობდა მოსამართლეთა და პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდებში.

სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი – საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის წოდება. დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

1999 წლის **28** აპრილს მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის ერთ-ერთი ავტორის წოდება. მონაწილეობდა არაერთი სხვა კანონპროექტის შემუშავებაში (საერთო სასამართლოების შესახებ, პროკურატურის შესახებ, ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ და ა. შ.)

2 მონოგრაფიის და **10** სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

2012 წლის **1** ოქტომბერს აირჩიეს არასამთავრობო ორგანიზაციის „იუსტიციის მუშაკები სამართლიანი საქართველოსთვის“ პრეზიდენტად.

ფლობდა ქართულ და რუსულ ენებს, კითხულობდა და ლექსიკონის დახმარებით თარგმნიდა გერმანულიდან.

ჩემი პირველი მასწავლებელი

ჩემი ბიოგრაფია ულამაზესი ლეჩხუმიდან იწყება. დავიბადე 1950 წელს, ცაგერის რაიონის სოფელ *ზუბში*, ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის **გიორგი ბენიძის** ოჯახში. მამაჩემის პატიოსნებაზე სოფელში ლეგენდები დადიოდა. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მაგალითი იყო ჩემთვის და ჩვენი ახლობლებისთვის.

ლეჩხუმი იმდენად ლამაზი მხარეა, არ შეიძლება, იქ მახინჯი სულის ადამიანი დაიბადოს. ბუნების დამატყვევებელ სილამაზეს, ისტორიას და ულამაზესი კუთხის პერსპექტივას 2019 წელს გამოცემულ წიგნში – „ლეჩხუმი“ შესანიშნავად აღწერს, აკადემიკოსი **ვალერი ასათიანი.**

სოფელ *ზუბში* ცხოვრების პერიოდი არ მახსოვს, რადგან სამი წლის ვიყავი, როცა ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად დაბა ცაგერში გადავიდა. დედა, მე-20 საგზაო უბნის ბუღალტერი იყო. მამა, ახლა უკვე – ცაგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ისე, როგორც სხვა ლეჩხუმელი ბავშვები, მეც ცაგერის ბაგა-ბაღში შემიყვანეს, 1957 წელს კი ცაგერის საშუალო სკოლაში. მაშინ, ვერც მე და ვერც ჩემი თანატოლები ვერ ვაცნობიერებდით აღზრდისა და განათლების მნიშვნელობას.

ჩემი პირველი მასწავლებელი, **მარიამ გამსახურდია-ხეცურიანი** უაღრესად დიდსულოვანი ადამიანი, დამრიგებელი და ყველას მშობელი იყო. ცაგერის საშუალო სკოლაში საუკეთესო მასწავლებლები გვასწავლიდნენ. პედაგოგთა კვალიფიკაცია ზემდგომ კლასებში ყოველწლიურად მაღლდებოდა. რომ მკითხოთ, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, გეტყვით, ისეთი როგორებიც იყვნენ – **დოდო ნემსაძე, გელა სვანიძე, მზექალა ჩიქოვანი, თინა დოლბაია, თინა ყურაშვილი, ეკატერინე გუგავა. მასწავლებელთა მასწავლებელი ჟენია გელოვანი, ნაზი ლეთოდიანი, ლემინო ლეთოდიანი, ბუჭუ გუგავა, ჟორა კოპალიანი, მიტუშა ლეთოდიანი, საშა ჩაკვეტაძე, ჟოზეფინა კანაჩაძე, გრიშა ჩიქოვანი, ლედი ხაბულიანი, მარო კახიძე** და ამ კოჰორტის სკოლის დირექტორები * **მარიამ და სამსონ კოპალიანები.**

შეიძლება ვინმემ იფიქროს, ერთ-ერთი არაჩვეულებრივი პედაგოგი და ადამიანი **გელა ხვადაგიანი**, რატომ გამორჩაო? არა ბატონებო, ნუ ჩქარობთ, გელა ხვადაგიანი არა მარტო ჩემი პედაგოგი, არამედ ჩემი უფროსი მეგობარიც იყო. ის იყო კაცი, რომლის კვალობაზე უნდა იზრდებოდეს ახალგაზრდა თაობა. ლეჩხუმელ ინტელიგენტებს ბატონ გელას და საქართველოს ერთ-ერთ გამოჩენილ დასტაქარს ***ვილიამ* გოლეთიანს** მივიჩნევ ლეჩხუმის ყველა დროის საუკეთესო მოქალაქეებად. ჩემი ნება რომ იყოს, მათ სახელზე ეკლესიას თუ არა, ეკლესიაში ერთ კუთხეს მაინც გამოვყოფდი და წმინდა სალოცავად გავხდიდი. მათ ეს თავიანთი წარსულით, შრომით, ქცევით ნამდვილად დაიმსახურეს. ასევე მათთან ერთად გავიხსენებ ცაგერის სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს **ვაჟა ჭაბუკიანს,** აღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს **დავით სვანიძეს,** განათლების ღვაწლმოსილ პედაგოგს **დავით კოპალიანს,** ჩემს მასწავლებელს და უფროს მეგობარს **გრიშა ჩიქოვანს,** პედაგოგს – **პლატონ ცვარიანს,** ყველასათვის საყვარელ მასწავლებელს – ***ჯოკია შკუბულიანს*** და კიდევ და კიდევ, მრავალჯერ, ჩემს მიერ ზემოთ ხსენებულ **მარიამ გამსახურდიას, ჟენია გელოვანს, მარიამ კახიძეს, სამსონ და მარიამ კოპალიანებს.**

ლეჩხუმს, თავის დროზე, არაერთი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ჰყავდა. მე დავასახელე ყველა ის პედაგოგი, რომლებმაც თავიანთი საქმიანობა მხოლოდ ლეჩხუმს მიუძღვნეს და ერთი წუთით არ დაუტოვებიათ მშობლიური ნავსაყუდელი.

სკოლაში განსაკუთრებული აკადემიური მოსწრებით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი. როგორც მაშინ იტყოდნენ, ოთხებზე და ხუთებზე ვსწავლობდი. ტექნიკურ მეცნიერებებში ოთხებზე, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფრიადზე. მახსოვს, როცა უნივერსიტეტში ვაბარებდი, ქართულ ლიტერატურის გამოცდაზე, ჩემი პასუხებით აღფრთოვანებულმა ლექტორმა მკითხა:

– სად სწავლობდი და ვისთან ემზადებოდი?

– ცაგერის საშუალო სკოლა დავამთავრე, ჩემი სკოლის დირექტორი, მარიამ კოპალიანი მამზადებდა. – ვუპასუხე.

– აი, ნახეთ, პერიფერიაში, რა დონეზე შეიძლება მომზადდეს ახალგაზრდა, ყველას მოვუწოდებ, რომ მიბაძოს მას! – მან ხმამაღლა მიმართა კომისიის წევრებს და აბიტურიენტებს. ამაზე უკეთესი რა უნდა მომესმინა, მითუმეტეს მაშინ, როცა ამას გამოჩენილი პროფესორი დოლაბერიძე ამბობდა.

სკოლაში სწავლის პერიოდი შეუფასებელია. მრავალი წლის შემდეგაც მადლიერი ვარ ყველა მასწავლებლის, რომლებმაც ნათელი კვალი დაამჩნიეს ჩემს მომავალ ცხოვრებას.

პროფესიის არჩევანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას უკავშირდება. პროფესიის დასაუფლებლად, შემდგომი კარიერული წინსვლისთვის, ჯერ კიდევ, ორი წლით ადრე გადაწყდა, რომ ჩამებარებინა იურიდიულ ფაკულტეტზე და ინტენსიურად დავიწყე მომზადება ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რომელშიც დახმარებას მიწევდა ჩემი სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, არაჩვეულებრივი ადამიანი **მარიამ კოპალიანი.** მაშინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება ძალიან რთული იყო. იმ პერიოდში, საქართველოში, მხოლოდ ერთადერთი იურიდიულ ფაკულტეტი არსებობდა. კონკურენცია დიდი იყო და ჩემი მიზნის მიღწევას შეუძლებლად ვთვლიდი, მაგრამ მინდა, ახალგაზრდებს მოვუწოდო, რასაც მიზნად დაისახავთ, დიდი შრომის და მონდომების შედეგად აუცილებლად მიაღწევთ. ქართულ წერაში 4 (კარგი) ქულა, ზეპირში კი – 5 (ფრიადი) მივიღე. ისტორიის გამოცდაზე ლექტორმა მითხრა, 4-იანი გეკუთვნისო, მაგრამ მე არ დავკმაყოფილდი შედეგით და ვთხოვე ლექტორს, რომ კომისიის თავმჯდომარესთან მივეყვანე. კომისიის თავმჯდომარემ **შოთა მესხიამ** ჰკითხა გამომცდელს:

– იცის საგანი?

– იცის, მაგრამ გვინდა ცოდნა თქვენ გადაამოწმოთ, რადგან მე ოთხიანს და ფრიადს შორის ვმერყეობ, – უპასუხა გამომცდელმა.

კომისიის თავმჯდომარემ მკითხა, თუ ვინ იყო საქართველოს უკანასკნელი 5 მეფე. რა თქმა უნდა, სხაპასხუპით ვუპასუხე. კომისიის თავმჯდომარემ მატრიკული გამომართვა და ფრიადი დაწერა.

ასე ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სტუდენტობის წლები

უნივერსიტეტში, სწავლასთან დაკავშირებით, ბევრი ისტორია შემიძლია გავიხსენო. ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ მყავდნენ არაჩვეულებრივი ლექტორები: **სერგო ჯორბენაძე, თინათინ წერეთელი, გივი ინწკირველი**, **გელა ბანძელაძე, ვალერიან ლორია, სევერიან ქაჯაია** და სხვები. ლექციები უაღრესად საინტერესო იყო, მიდგომა მსმენელთა მიმართებაში – ჰუმანური. სტუდენტებსა და ლექტორებს შორის ურთიერთპატივისცემა და თბილი დამოკიდებულება სუფევდა.

მინდა, ერთი შემთხვევა გავიხსენო, რომელიც სამუდამოდ დამამახსოვრდა. მეოთხე კურსზე ერთ-ერთი ლექციის დროს, აუდიტორიაში ახალგაზრდა შემოვიდა, დაახლოებით 27 წლის. გაგვეცნო, როგორც რომან შენგელია**,** გვითხრა, რომ გვასწავლიდა საგანს „საფინანსო სამართალი“ და გვთხოვა, მოგვესმინა მისი ლექციისთვის. რა თქმა უნდა, ლექციას დავესწარით და მოვისმინეთ. გაოცებულები და აღფრთოვანებულები დავრჩით. ასეთი ახალგაზრდა და ლექტორად? იურიდიულ ფაკულტეტზე, საფინანსო სამართალში, როგორ? თუ არა უდიდესი ცოდნა და ნიჭიერება.

წილად მხვდა ბედნიერება, ბატონი რომანი ახლოს გამეცნო, დავმეგობრებულიყავით და მოგვიანებით, უკანასკნელი 12 წელი მასთან ერთ კაბინეტში გამეტარებინა. თბილისის გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში ის სამოქალაქო სამართლის მიმართულებას ხელმძღვანელობდა, მე – სისხლის სამართლის მიმართულებას. მისი სიტყვა ჩემთვის კანონზე უზენაესი იყო. რომანი იმდენად მრავალმხრივი, ფენომენალური ადამიანია, მისი შეფასება მარტივი არ არის, სწორედ ამ გზით ატარა მან მრავალი წელი ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. თუკი, რაიმე წარმატება მოიპოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა, ეს ბატონი რომანის უდიდესი დამსახურებაა.

უნივერსიტეტთან დაკავშირებით ბევრი რამ შეიძლება გავიხსენო. მაშინ ბედნიერება იყო, გესწავლა ჯავახიშვილში და იმ დროისათვის ყველაზე პრესტიჟულ ფაკულტეტზე. სასწავლებელში ტარდებოდა შეკრებები, იმართებოდა დისკუსიები. უნივერსიტეტიდან გაგვიწვიეს 3-თვიან ჯარში და საერთოდ, უნივერსიტეტმა

მომცა ყველაფერი ის, რაც კი საჭირო იყო ადამიანის განვითარებისთვის.

რაც შეეხება უნივერსიტეტში სწავლას და ჩემ აკადემიურ მოსწრებას, ვერ ვიტყვი, რომ თავიდანვე ვარსკვლავებს ვკრეფდი... მაგრამ ნელ-ნელა ჯავახიშვილში ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი გავხდი. იმის გამო, რომ ბევრ საგანს ძალიან კარგად ვსწავლობდი, ლექტორებისგან მქონდა შემოთავაზება, ასპირანტურაში ჩამებარებინა.

ცხოვრებაში ორი გამორჩეული პიროვნება მყავს, რომლებმაც მე, როგორც *ვენედი* ბენიძე შემქმნეს და გამომძერწეს... ესენი არიან **ვალერიან ედიშერაშვილი** და **ვალერიან ბენიძე.** ამ ორმა ადამიანმა განაპირობა ჩემ ცხოვრებაში წინსვლა და წარმატებები. როცა დადგა სამუშაოზე კადრების განაწილების საკითხი, მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღით ადრე რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ, კადრების დარგში, დაინიშნა **ვალიკო ედიშერაშვილი**. სწორედ ვალერიანი მოვიდა კომისიის სხდომაზე. ექვსი კაცი უნდა შეერჩიათ სხვადასხვა ვაკანტურ თანამდებობაზე. როგორც კი კომისიაზე გავედი, ვალერიანმა თქვა: „ბენიძე მე მიმყავს!“. დაეთანხმა დეკანი, კომისიის თავმჯდომარეც და ასე გადაწყდა ჩემი პროკურატურაში განაწილება.

პროკურატურაში ჩემთან ერთად 6 კაცი გაანაწილეს. ჩემთან ერთად სწავლობდნენ: **თედო ნინიძე, იური ტყეშელაშვილი, ავთანდილ წულუკიანი, ზურაბ ტუშური, იზო მოდებაძე.** ცხადია, ჩვენ უნდა ჩაგვებარებინა სახელმწიფო გამოცდა სისხლის სამართალში. სულ 4 გამოცდა გვქონდა. ერთ-ერთი საგანი იყო საბჭოთა აღმშენებლობა. მეც და ზემოხსენებულმა ადამიანებმა ყველა საგანში ფრიადი მივიღეთ.

გამანაწილეს ლანჩხუთის რაიონში და ივნისის ბოლოს, სტაჟიორ გამომძიებლად დავინიშნე ლანჩხუთის პროკურატურაში, სადაც რამდენიმე თვე დავყავი. ლანჩხუთთან რაიმე განსაკუთრებული მოგონებები არ მაკავშირებს. თუმცა მთავარი, რაც ლანჩხუთში ყოფნის პერიოდში შევიძინე, იყვნენ არაჩვეულებრივი ადამიანები : პროკურორი **ილია კეკელიძე,** რომლისგანაც ძალიან ბევრი კარგი რამ ვისწავლე. ასევე ლანჩხუთში დავუმეგობრდი **მურად ებრალიძეს** და სხვებს.

1972 წლის თებერვალში, ლანჩხუთიდან ჯერ კიდევ სტაჟირების დამთავრებამდე, გადამიყვანეს ცაგერის პროკურატურაში სტაჟიორ-გამომძიებლად. იქ, მალე გავიარე სტაჟირება. ვასრულებდი ცაგერის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის მოვალეობას და ასევე დაკისრებული მქონდა პროკურორის თანაშემწის როლიც.

სტუდენტური ცხოვრება და მეგობრები

მინდა გიამბოთ სტუდენტურ ცხოვრებაზე. შეიძლება ბევრი დასამახსოვრებელი არაფერი გვქონდა, მაგრამ მაშინდელი ჩვენი სტუდენტური ცხოვრება ძალიან საინტერესო იყო.

თბილისში, ვაკის პარკთან, დაახლოებით 150-200 მეტრში, ბარნოვის ქუჩის პარალელურად, დარიალის შესახვევი N44-ში, ერთ პატარა ნაქირავებ ბინაში, რომელსაც არაჩვეულებრივი დიასახლისი ჰყავდა, ვცხოვრობდით სამნი: ჯემალ ომანაძე, როლანდ ომანაძე და მე. სამივეს მთელი 5 წელი თავი თავზე გვქონდა მიდებული და ისე გვეძინა.

ის, რომ მე, ასე თუ ისე, წარმატებით დავამთავრე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, ამაში დიდი როლი როლანდ ომანაძეს მიუძღვის. ჯერ კიდევ სკოლაში (მე-5-6 კლასში) მე და როლანდი, ერთად დავდიოდით საქონლის სამწყემსად. მეშვიდე კლასიდან როლანდი სასწავლებლად ნიჭიერთა სკოლაში წამოიყვანეს. უნიჭიერესმა სასწავლებელი წითელ დიპლომზე დაამთავრა. უმაღლესში მისაღებ გამოცდაზე მე და დედაჩემი მას ვგულშემატკივრობდით, ის - ჩვენ. ასე ვიყავით მუდამ ერთმანეთისთვის, სხვა ვინ გვყავდა. მახსოვს, 15 წუთში გამოვიდა გამოცდიდან. ჩააბარა. ცხადია, ჩაირიცხა. შემდეგ ასპირანტურაში გააგრძელა სწავლა. დაიცვა სადოქტორო სამეცნიერო ხარისხი, ნოვოსიბირსკში და დღეს ჰყავს *ქვეყანას* ერთ-ერთი უნიჭიერესი მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, უსპეტაკესი ადამიანი, როლანდ ომანაძის სახით. ჩემი სიყრმის მეგობართან ერთად გავატარე მთელი ცხოვრება, ძმასავით მიყვარს, პატივს ვცემ და ვაფასებ.

ჩვენი ცხოვრება, სხვებისგან საოცრად განსხვავებულს ვერ ვიტყვი, მაგრამ კარგი და დასამახსოვრებელი იყო, იმ თვალსაზრისით, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ერთმანეთისთვის საყვედურიც კი არ გვითქვამს. ჩვენთან სახლში მოდიოდნენ (სხვათა შორის, ჩვენ სხვასთან არ მივდიოდით) ჩვენი კურსელები, მისიც და ჩემიც და აგრეთვე ჯემალ ომანაძის მეგობრებიც, რომელიც დაუსწრებელზე სწავლობდა ეკონომიკურ ფაკულტეტზე. იმართებოდა პოლემიკა, სჯა-ბაასი, სხვადასხვა მეცნიერების დარგებზე. ვთამაშობდით დომინოს და რაც ყველაზე საინტერესო იყო, მორი-

გეობით ვამზადებდით და ვეჯიბრებოდით ერთმანეთს გემრიელი კერძების დამზადებაში.

როლანდთან მოდიოდნენ არამარტო მათემატიკოსები, არამედ ფილოსოფოსები. ზოგჯერ ძალიან ძლიერად ვკამათობდით. სამწუხაროდ, ყველას გვარი და სახელი აღარ მახსოვს. მახსოვს ბეჟან ხარაზიშვილი, ჩემი ლექტორის შვილი, რომელიც იყო ტალანტი, როგორც მათემატიკაში, ასევე ფილოსოფიაში, თუმცა არც როლანდი ჩამორჩებოდა. ხანდახან მათ საუბარში ვერთვებოდი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ფილოსოფიაში იმდენად მისწრებდნენ, რომ ვერ ვუძლებდი მათთან კამათს. როგორც გითხარით, ჩემი ამხანაგებიც მოდიოდნენ ჩვენთან, ნიჭიერი ხალხი, რომლებიც ასევე ჩართული იყვნენ სხვადასხვა საკითხებზე კამათსა და მსჯელობაში. გარდა ამისა, ჩემი მეგობრები გამოცდებისთვის ჩემთან ემზადებოდნენ. საკმაოდ ბევრნი იყვნენ. შემიძლია დავასახელო ავთანდილ წულუკიანი (თეა წულუკიანის მამა), ბეგი ქურდაძე, რომელიც სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა, რობერტ ჭინკორაშვილი. იყო კიდევ ერთი-ორი ახალგაზრდა, რომლებიც ჩემთან მეცადინეობდნენ, მაგრამ მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან შემდგომში მათ ჩვენი ნდობა და იმედები არ გაამართლეს.

კარგად ვსწავლობდით, ვიღებდით სტიპენდიას, რაც ძალზედ გვშველოდა, თორემ მარტო მშობლების გამოგზავნილი თანხა ალბათ არ გვეყოფოდა. ისე, როგორც ყველა სხვას, ჩვენი მშობლები ლეჩხუმიდან სოფლის ნობათს გვიგზავნიდნენ: დაკონსერვებულ ლობიოს, ბადრიჯანს, ხორცს, ყველს, ნუგბარს... სტუდენტობა ჩვენ, სამეულმა ისე გავატარეთ, ნატურალური პროდუქტი არ მოგვკლებია.

თუ რამეს მივაღწიე, როლანდის დამსახურებაა, იმიტომ, რომ როლანდი 20 საათი იჯდა და კითხულობდა. დღეში 100 ფურცელს წერდა (დავცინოდი კიდეც). მეც მთელი დღე რა უნდა მეკეთებინა, თუნდაც დასვენების დღეებში შაბათ-კვირას, ან ლექციების დაწყებამდე, რომელიც 2 საათზე გვეწყებოდა, მეც მასთან ერთად ვიჯექი და ვკითხულობდი. როცა ადამიანს ხედავ, რომ აქტიურად მეცადინეობს, რა თქმა უნდა, შენც სურვილი გიჩნდება, დაჯდე, იმეცადინო და მომზადებული გახვიდე სემინარსა თუ გამოცდაზე. მოკლედ, მთელი დღე ვმეცადინეობდით. საღამოობით კი ვაკის

პარკში გავდიოდით და ვსეირნობდით. არასოდეს არავისთან გვიჩხუბია. ასე შეხმატკბილებულად დავასრულეთ ჩვენი სასწავლო კურსი.

მოგვიანებით, როცა დავინიშნე უდიდეს საქმეთა გამომძიებლად, როლანდის ნაქირავები ჰქონდა ბინა თემქაზე, ძმასთან იუზა ომანაძესთან ერთად. მათთან მივედი და სამი თვე ვცხოვრობდი. როლანდიც და მისი სამი ძმაც უწესიერესი ადამიანები, ერისშვილები არიან. შემდეგ საცხოვრებლად სასტუმრო „საქართველოში“ გადავედი და შემდეგ ნაქირავებ ბინაში.

ჩემთვის და როლანდისთვისაც უდიდესი დანაკლისი იყო ჯემალ ომანაძის ნაადრევად გარდაცვალება. უდიდესი ტრავმა მივიღეთ.

ჩემი და როლანდის მეგობრობა გრძელდება. ორივე დიდ დიღომში ვცხოვრობთ, ყოველდღიური თუ არა, ყოველკვირეული შეხვედრები გვაქვს და ვაგრძელებთ იმ ურთიერთობას, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო.

სხვა რა უნდა გიამბოთ სტუდენტობაზე, გარდა იმისა რომ იყო ძალიან თბილი, ადამიანური და მეგობრული ურთიერთობები. ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით სავსე იყო ჩვენი სამეულის ერთად ცხოვრება.

ცაგერის პროკურატურა

(1972-1974წწ.)

ცაგერის რაიონის პროკურატურაში მუშაობის პერიოდში, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ვასრულებდი სამ ფუნქციას. მიწევდა პროკურორის მოვალეობის შესრულება, ვიყავი პროკურორის თანაშემწე და პროკურატურის გამომძიებელი. გამოცდილების მიღების თვალსაზრისით ეს დატვირთვა ახალგაზრდა, დამწყები კადრისთვის დიდი გამოცდილება იყო. ამავე დროს, ძალიან კარგი რეპუტაციით ვსარგებლობდი. დაკისრებული მოვალეობის გარდა, აქტიურად ვიყავი ჩართული (სხვაგვარად არც შეიძლებოდა) პარტიულ მუშაობაში. ვესწრებოდი რაიკომის ბიუროებს, აღმასკომის სხდომებს და სწორედ ამანაც განაპირობა ჩემს მიმართ ნდობა და სიმპათია რაიკომის *იმჟამინდელი* პირველი მდივნის **მიხეილ გვიშიანის** მხრიდან, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ადამიანი და პარტიული მუშაკი იყო არა მარტო ცაგერის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაში. ის იყო პრინციპული, მომთხოვნი, განათლებული და რაც მთავარია, პატიოსანი ადამიანი. მისი ინიციატივით, მიმიღეს პარტიის რიგებში, რაც იმ პერიოდში სახელმწიფო მოხელისთვის, განსაკუთრებით სამართალდამცავი მუშაკებისთვის, ძალიან რთული იყო. რა თქმა უნდა, ამანაც განაპირობა ჩემი კარიერული წინსვლა. იყო შემთხვევები, თუ პარტიული არ იყავი თანამდებობაზე არ გნიშნავდნენ.

როგორც გითხარით, ცაგერის პროკურატურაში, სამ მოვალეობას ვასრულებდი, რაშიც ძალიან მეხმარებოდა ჩემი გარემოცვა: პროფესიონალი გამომძიებელი, კარგი კაცი და ჩემი უფროსი მეგობარი **ნოდარ სილაგაძე,** რომელიც მუდამ გვერდში მედგა და ახალბედა მუშაკს დახმარებას მიწევდა; ცაგერის პოლიციის უფროსი, განათლებული და უაღრესად, კულტურული ადამიანი **ალეკო ჩიქოვანი,** რომელიც კომკავშირის მდივნობიდან ცაგერის პოლიციის უფროსად გადმოიყვანეს და მალევე აუღო ალღო ოპერატიულ სამსახურს. მიუხედავად იმისა, რომ სხვა პროფესიის იყო, ძალიან მალე გაერკვა პროცესუალურ ურთიერთობებში, მტკიცებულებათა მნიშვნელობებში და ზოგიერთი პოლიციის უფროსივით

არ ჰქონდა ახირებები, გინდა თუ არა, უნდა დავიჭიროთ ეს კაცი, მტკიცებულებები არსებობსო, მაშინ როცა არ არსებობდა. ეს საერთოდ სენია პოლიციის; **ვაჟა ასათიანი** ოპერატიულ სამსახურის ხელმძღვანელი და ჩემი დიდი ხნის მეგობარი, რომელიც მგულშემატკივრობდა მისაღებ გამოცდებზე. ასე ერთობლივი მუშაობით ვახერხებდით ძალიან ბევრი დანაშაულის გახსნას და საუკეთესო შედეგზე გასვლას.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ რა კატეგორიის საქმეებს ვიძიებდით. საქმეები მართლაც ურთულესი იყო. პირადად, გამოვიძიე არაერთი სხვა რაიონიდან აცილებული საქმე (საერთოდ, ბედად დამყვებოდა სხვა რაიონიდან აცილებული საქმეები გამომეძიებინა). კერძოდ, ლენტეხის ავტომობილების სატრანსპორტო კანტორის დირექტორის საქმე, ქრთამის აღებაზე და ონის ერთ-ერთი ადვოკატის საქმე. გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ. წარსული ამბავია და არ მინდა, მათ შთამომავლობას რაღაც ლაქად დააჩნდეს. რა თქმა უნდა, ამ ორივე საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. როგორც ჩვენ ვეძახით. ეს საქმეები წარმატებით დამთავრდა. სხვა რაიონიდან აცილებული ბევრი საქმე გამოვიძიე. აქედან ზოგი რთული და თავისთავად, ზოგი მარტივი.

კარიერული წინსვლა

ხონის 8 კაციანი დაჯგუფების საქმე

საქმე, რომელიც ჩემი დაწინაურების და კარიერული წინსვლის საფუძველი გახდა, იყო ერთ-ერთი ურთულესი. ხონის 8 კაციან დაჯგუფებას, ჩადენილი ჰქონდა უამრავი დანაშაული – მკვლელობის მცდელობა, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, სხეულის დაზიანება. საქმეს მარტო ვიძიებდი. მიხდებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ჩასვლა, სადაც კი ჩადენილი ჰქონდათ დანაშაულები. კერძოდ – გაგრაში, ოჩამჩირეში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში და ცხადია, ცაგერში, სადაც დაჯგუფების წევრები გადაუდებელი სამძებრო სამუშაოების შედეგად დააკავეს. ბრალი წარედგინათ 10 თუ 12 მუხლით. საქმე თავისი კონსტრუქციითა და მრავალი ეპიზოდით ურთულესი იყო. როცა საქმე დავამთავრე და ჩავიტანე რესპუბლიკის პროკურატურაში (მაშინ გენერალურ პროკურატურას ასე ეწოდებოდა), ჩემი ზონის პროკურორმა ქალბატონმა **ნინელი აბაშიძემ** გაოცება ვერ დამალა. როგორ შევძელი სამსახურში დაკისრებულ სამ მოვალეობასთან ერთად პარალელურად ეს საქმე გამომეძიებინა. ჩანთიდან რომ ამოვალაგე ტომები, ჩამოტანილი დასამტკიცებლად, გაოგნებული მიყურებდა. მაშინ ასეთი კატეგორიის საქმეებს ამტკიცებდა რესპუბლიკის პროკურორი ან მოადგილე. სამწუხაროდ, იქ გაპარული იყო მინიმალური შეცდომა, მითხრა: „მოდი, გავასწოროთ, ნუ დავტოვებთ სალაპარაკოდ, რადგან ეს საქმე სანიმუშოა“. ცხადია, დავემორჩილე. რადგან დიდთოვლობის გამო მანქანები არ მოძრაობდნენ, უკან, ცაგერში დასაბრუნებლად, შემოვლითი გზით მომიწია რამდენიმე კილომეტრის გავლა. ჩავედი თუ არა ცაგერში, მაშინვე წავუყენე ბრალი 8 ბრალდებულს 10-11 ეპიზოდში. მეორე დღესვე კვლავ დავუბრუნდი თბილისში საბრალდებო დასკვნის დასამტკიცებლად. ცხადია, ძალიან დაინტერესებული იყო ზონის პროკურორი, რომ საბრალდებო დასკვნა დაემტკიცებინათ, შემიყვანა რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილესთან, რომელმაც დაამტკიცა საბრალდებო დასკვნა და თავადაც გაოგნებული იყო, როცა ზონის პროკურორისგან მოისმინა, თუ როგორ პირობებში მიხდებოდა

მუშაობა და როგორ მოვახერხე ამ საქმის დამთავრება. ადგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „შვილო, თუ ასე გააგრძელებ, ცხოვრებაში დიდ წარმატებას მიაღწევ“. ეს იყო ჩემთვის უდიდესი პატივისცემა და დაფასება ხელმძღვანელობის მხრიდან. საქმე დავტოვე და, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებული წამოვედი. შემდეგ ისე მოხდა, უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს საქმე დაექვემდებარებინა ცაგერის რაიონისთვის. ცაგერის კულტურის სახლში საქმის განხილვა რამდენიმე დღე მიმდინარეობდა, რომელსაც საუკეთესო მოსამართლე **ვაჟა ჭაბუკიანი** უძღვებოდა. სასამართლოს დარბაზი დამსწრეთა რაოდენობას ვერ იტევდა. საბოლოოდ, დადგენილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ამ საქმემ, ჩემ საქმიანობაში, დიდი მოწონება დაიმსახურა რაც არაერთხელ აღინიშნა სხვადასხვა თათბირებზე თუ პირად გამოსვლებში.

სულ რაღაც 6 წლის წასული ვიყავი ცაგერიდან და უკან დაბრუნებული უკვე ვმუშაობდი ცაგერის რაიონის პროკურატურაში. თუ სადმე საქმე აღიძვრებოდა ფიგურირებდა ან ჩემი მეზობელი, ან კლასელი, ან ნაცნობი და ა.შ. ურთულესი იყო ამ ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ კანონი ყველასთვის ერთია და არ შეიძლება კანონის გვერდის ავლით რაიმე საქმის კეთება. ძალიან მეხმარებოდა მამაჩემი და ჩემი უფროსი ძმა ზაური, რომელიც ჩემთვის ანთებული ლამპარი იყო. ყველგან და ყველაფერში გვერდში მედგა. ასეთი ძმა იშვიათია. ჩემი ნათესაობა ძალიან მეხმარებოდა და ხელს არ მიშლიდნენ სამუშაოს შესრულებაში. ყველამ იცოდა, რომ უკანონობას არ ჩავიდენდი და ისე გავაკეთებდი ყველაფერს, როგორც საჭირო იყო.

1994 წელის ზაფხულში, გამომიძახეს ახალგაზრდა გამომძიებლების თათბირზე, რომელსაც ატარებდა რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე, მასწავლებელი და ჩემთვის ღმერთად წოდებული – **ვალერიან ედიშერაშვილი.** ორდღიანი სემინარი მიმდინარეობდა პროკურატურის ძველი შენობის მეორე სართულზე. დარბაზი სავსე იყო ახალგაზრდებით. ბოლოს, თათბირის შედეგების შეჯამების დროს, რესპუბლიკის პროკურორმა უწესიერესმა ადამიანმა ***არონ ტაკიძემ*** მოისურვა სემინარზე დასწრება. უცებ აცხადებენ ჩემს გვარს. ედიშერაშვილმა გამომიძახა ტრიბუნაზე სიტყვის სათქმელად. რესპუბლიკის პროკურორის წინაშე უნდა გამოვსუ-

ლიყავი. მოვიკრიბე ძალა და ენერგია და ყველა ის თეზისი ჩამოვაყალიბე, რომელსაც რესპუბლიკის პროკურორი ჩვენ გვისახავდა მითითებებში თუ ბრძანებებში. ვხედავდი, რომ ტაკიძე გაოცებული მისმენდა. როცა დავასრულე, რაღაც გადაულაპარაკა ედიშერაშვილს. შემდეგ შეაფასა ჩვენი გამოსვლები და თქვა: „თუ თქვენ ასე იმუშავებთ, როგორც ამ ახალგაზრდა ბიჭმა ბენიძემ ისაუბრა, მაშინ არაფერი მაქვს სათქმელი“. დასრულდა სემინარი და წამოვედით. გზიდან დამაბრუნეს და მითხრეს, ტაკიძეს სურს შენთან შეხვედრაო. შევხვდი ტაკიძეს, მაქო და მადიდა. მითხრა: „უნდა წახვიდე ლენინგრადში გამომძიებელთა დახელოვნების კურსებზე. დამთავრების შემდეგ კი სამსახურს შეგიცვლით“. მაშინ დაოჯახებული არ ვიყავი. მარტივად დავთანხმდი. წავედი და გავიარე კურსები ლენინგრადში. დაბრუნებიდან 2 თვეში დამნიშნეს საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. მაშინ 25 წლის ვიყავი.

საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი

(1975-1976წწ)

გამომძიებლად დანიშვნისთანავე შევუდექი მუშაობას. გამოვიძიე რამდენიმე ურთულესი საქმე. როგორც შემდეგ გაირკვა, პრაქტიკულად, მაშინ მე მომამზადეს პროკურორის თანამდებობისთვის და შემეძლო თავისუფლად, დამოუკიდებლად გავძღოლოდი ამ თანამდებობას. ერთხელაც დამიძახა ედიშერაშვილმა და მითხრა: „შენ გნიშნავთ მაიაკოვსკის (დღევანდელი ბაღდათის) რაიონის პროკურორად“. მაშინვე მომცა გამზადებული მიმართვა რაიკომის მდივნის თანხმობაზე. მაშინ ადამიანები ასე ინიშნებოდნენ თანამდებობებზე. წავედი მაიაკოვსკის რაიონში, შევხვდი პირველ მდივანს და გადავეცი მიმართვა რესპუბლიკის პროკურორის ხელმოწერით (მიმართვას ხელს აწერდა **ლერი თალაკვაძე,** რომელიც ასრულებდა მოვალეობას, რადგან ტაკიძე გარდაცვლილი იყო). რაიკომის მდივანმა, ბატონმა **ანზორ ჩარქსელიანმა** მითხრა, რომ წავსულიყავი და გადაწყვეტილებას მაცნობებდნენ. მაშინვე პასუხი არ მოუცია. როგორც მერე გაირკვა, რაიკომის მდივანმა ჩემი კანდიდატურა დაიწუნა, რადგან ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და რეკომენდაცია ზესტაფონში მომუშავე პიროვნებას გაუწია. ორი თვის შემდეგ ისევ დამიბარა ედიშერაშვილმა და მითხრა: „საკითხი შეთანხმებულია, წადი და პასუხი ჩამოიტანე“. ასე დავინიშნე თანამდებობაზე. მომავალში ჩემს და რაიკომის მდივანს შორის ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. *მაიაკოვსკში* ჩემი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ცალკე ეპოქა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში მეოთხე ტალღა.

მაიაკოვსკის რაიონში ჩემი მუშაობა ძირითადად წარმატებული იყო, დიდ დახმარებას მიწევდნენ და მხარში მედგნენ ჩემი მეგობრები **ანზორ ჩარქსელიანი და გაიოზ ნოზაძე.** ჩვენ ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა. ბატონი გაიოზი უაღრესად განათლებული და კარგი ადამიანი იყო. ვცხოვრობდით ერთმანეთის მეზობლად, ოჯახებით ვმეგობრობდით. მან ნათელი კვალი დააჩნია ბაღდათის რაიონს. როცა ბაღდათიდან წამოვიდა, ბაღდათელებმა ის უმა-

ღლეს საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ასეთი ხვედრი ალბათ ბევრ პარტიულ მუშაკს არ შეხვედრია. ბატონმა გაიოზმა დატოვა ძალიან კარგი მეუღლე **მარინა მოდებაძე** და შვილები **მამუკა და პაატა.**

ბაღდათის პროკურორი

(1976-1986)

ჩემს მოგონებებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ბაღდათის რაიონის (მაშინდელი მაიაკოვსკის რაიონი) პროკურატურაში ჩემს მოღვაწეობას. მაიაკოვსკის რაიონში ჩემი მუშაობა იყო ჩემთვის ეპოქალური მოვლენა. სწორედ ამ რაიონში, საბოლოოდ ჩამოვყალიბდი, როგორც პროფესიონალი, როგორც პიროვნება, მოქალაქე და როგორც ოჯახის მამა. გავითავისე ყველა ის დადებითი თვისებები, რომელიც უნდა ახასიათებდეს მამაკაცს და თანამდებობის პირს. თანამდებობას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ბაღდათში საერთოდ განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა პროკურორი. ბოლო პერიოდში ეს დამოკიდებულება შესუსტებული იყო. პროკურორის მიმართ, ხალხს რწმენა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ მე შევძელი და პროკურორის ავტორიტეტი აღვადგინე. პრაქტიკულად არ არსებობდა ადამიანი, რომელიც პროკურორს არ ენდობოდა. პირველ რიგში, საქმიანი კონტაქტი დავამყარე ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ ორგანოებთან. რაიკომის პირველ მდივანთან, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იყო ნებისმიერ რაიონში მუშაობა და მათ შორის, ბაღდათში. ასევე აღმასკომის თავმჯდომარესთან. ეს ადამიანები შემდგომში ჩემი ოჯახის უახლოესი წევრები გახდნენ. ერთმანეთთან ყველანი იმდენად დავახლოვდით, რომ ერთი ორგანოს სტუმარი, ყველას სტუმარი იყო. მაგალითად ესტუმრებოდა ვინმე რაიკომის მდივანს, ჩვენ ყველა უნდა ვყოფილიყავით მასთან. პოლიციის უფროსს ესტუმრებოდა ვინმე, ყველანი იქ ვიყავით. რა თქმა უნდა, ეს თითოეული ჩვენგანისთვის იმ დაძაბულ სამუშაოსთან ერთად, დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ იმ პერიოდისათვის სხვაგვარად შეუძლებელი იყო.

ჩემი თანაშემწე **ირაკლი (უჩა) ჟვანია** იყო, შეუდარებელი ადამიანი, ლეგენდა, უწესიერესი, უნიჭიერესი კაცი, რომელიც კი არ წერდა, ხატავდა, ძირფესვიანად სწავლობდა ყველა საკითხს და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არასოდეს დამიწყია ორჭოფობა. მას ვენდობოდი ყველაფერში. რადგან ასეთი სანდო ადა-

მიანი მყავდა გვერდით თავს ხშირად ვაძლევდი უფლებას, სტუმრებსაც შევხვედროდი და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებშიც მიმეღო მონაწილეობა. დიდება მის სახელს, დიდება მის კაცობას და ადამიანობას. უჩა ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ, მადლობას ვუხდი მას ერთგულებისთვის, ნდობისთვის, იმ დიდი სამსახურისათვის, რომელიც პირადად მე გამიწია და საერთოდ გაუწია მაიაკოვსკის, დღევანდელი ბაღდათის რაიონში პროკურატურას. არ მგონია, იმ დროისათვის ვინმეს ჰყოლოდა, უკეთესი პროკურატურის თანამშრომელი და პროკურორის თანაშემწე, როგორიც ჩემი უჩა იყო.

წარმატებული პროფესიული საქმიანობა ბაღდათში

ბაღდათში არაერთ პროფესიულ წარმატებას მივაღწიე. ყველაზე დიდი წარმატება იყო ის, როცა უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მითითებით და საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთან კონსულტაციით, მოგვეცა მაიაკოვსკის პროკურატურის მუშაობის დადებითი საქმიანობის განზოგადება/გაანალიზება.

საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელი მაიაკოვსკის მუზეუმის დასათვალიერებლად იყო ჩამოსული, გაეცნო ჩემს მონაცემებსაც და რესპუბლიკის პროკურორს მოახსენა, თუ როგორი პროკურატურა შევქმენი ბაღდათში. პროკურორმა უთხრა: „თუ ის მართალია, რაც პროკურორმა გიამბობთ, მაშინ ის იმსახურებს განზოგადებას, როგორც დადებითი მუშაობისას“. რესპუბლიკის პროკურორს, საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესოს ანზორ ბარაბაძეს ისედაც კარგი წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე (ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ), ანზორი იყო ძალიან მკაცრი, მაგრამ ობიექტური პიროვნება, რომლის უშუალო მითითებით და ასევე საბჭოთა კავშირის პროკურორის მითითებით მოგვცა „მაიაკოვსკის პროკურატურის მუშაობის დადებითი საქმიანობის განზოგადება/გაანალიზება“, რაც შემდეგ გამოქვეყნდა გაზეთში ასეთი სათაურით: „მაიაკოვსკის რაიონის პროკურატურის დადებითი მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ“. შემდეგ რუსულ ენაზე ითარგმნა, გაიგზავნა მოსკოვში და დაურიგდა მთელ კავშირს. ეს იმ პერიოდში დიდი წარმატება იყო.

ჩემი საქმიანობიდან დამამახსოვრდა და მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ძალიან გულსატკენ მომენტზე. ვფიქრობ, ეს იყო აბსოლუტურად არაობიექტური. ერთ-ერთი საყოფაცხოვრებო სამსახურის თანამშრომელი, მთავარი ინჟინერი, 5 შვილის მამა პასუხისგებაში მისცეს ხის მორების დატაცებისთვის, რომლის ღირებულება – 200 მანეთს შეადგენდა. გაასამართლეს, მისცეს პირობითი სასჯელი. თანამდებობაზე დატოვეს, თუმცა პარტიიდან გარიცხეს, მან ეს იუკადრისა, ძალიან ამპარტავანი პიროვნება იყო. რა-

ტომ გამრიცხეთ პარტიიდანო (თითქოს და არაფერი ჩაუდენია) და მიმართა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს პარტიაში აღსადგენად. პარტიულმა კომისიამ შეისწავლა, საკითხი გაიტანა ცეკას ბიუროზე და რა თქმა უნდა, უარი უთხრეს პარტიაში აღდგენაზე. პარტიის წესდებაში პირდაპირ ეწერა: „თუ კომუნისტი ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ის ავტომატურად ირიცხება პარტიიდან“. რა უნდა ეთქვა პარტიიდან გარიცხულს, ოთახიდან რომ გადიოდა შეიგინა: „თქვენც და თქვენი პარტიაცო“. ეს გაიგონა შევარდნაძემ (საერთოდ, რაც არ უნდა გეთქვა, ყველაფერი ესმოდა შევარდნაძეს, ასეთი რა სმენა ჰქონდა არ ვიცი). მოუბრუნდა და უთხრა: „შენ ხომ გაგასამართლეს?“ „კი, პირობითი მომისაჯეს, მერე რა?“– უპასუხა პარტიიდან გარიცხულმა. „აჰა, ამიტომ ლაპარაკობ ბევრს. კარგი, თავისუფალი ხარ“. – უთხრა შევარდნაძემ, მერე პარტიული კომისიის წევრს ყარყარაშვილს მიუბრუნდა: „ეს საკითხი საფუძვლიანად შეისწავლეთ, ვინ მისცა მეორე პირს, ამხელა ორგანიზაციაში, ამ მთავარ ინჟინერს რეკომენდაცია და რატომ მოხდა, რომ ის თავის თანამდებობაზე არის?!“

თანამედროვე ახალგაზრდობა და თანამედროვე პოლიციის თუ პროკურატურის მუშაკები ვერც კი წარმოიდგენენ, რა მოჰყვა ამ ამბავს. დამირეკა რაიკომის პირველმა მდივანმა და მითხრა: „ვენედი, ის საქმე უნდა განვიხილოთ (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ), ისეთი ამბავია ატეხილი, მგონი გვიჭერენ“. მე ვუთხარი: „ეგ საქმე რომ დამთავრდა, შვებულებაში ვიყავი, პროცესს არ ვესწრებოდი, მაგრამ რა არის აქ უკანონობა? 5 შვილის მამას 2 მორის გულისთვის, ციხეში ხომ ვერ გავუშვებდით?“ „*ეჰ*, ეგ კი მესმის, მაგრამ წადი და ყარყარაშვილს ჰკითხე“, – მეუბნება რაიკომის მდივანი.

დაიწყო ყველას გამოკითხვა. გამოჰკითხეს მოსამართლე, ჩემი თანაშემწე, რომელიც მონაწილეობდა პროცესზე. გამოჰკითხეს საყოფაცხოვრებოს უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი, რომელმაც რეკომენდაცია მისცა პირობით სასჯელზე. გამოჰკითხეს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი, იმიტომ, რომ ის ატარებდა ბიუროს და რა შუაში იყო, გაუგებარია... მეგონა, მე არ დამიძახებდნენ, რადგან შვებულებაში ვიყავი, მაგრამ ბოლოს მეც გამომკითხეს. ერთ დღეს დაგვიძახეს, ცეკას ბიუროს სხდომაზე უნდა

გამოცხადდეთო. გამოვცხადდი. დაიწყო შევარდნაძემ საუბარი, მაგრამ უცებ შეწყვიტა, ცეკაში გამომიძახესო და სხდომა გააგრძელა *კოლბინმა*. შევარდნაძესთან ალბათ უფრო შეიძლებოდა საუბარი, მაგრამ კოლბინთან ეს შეუძლებელი იყო. ყველას ჩამოურიგეს სასტიკი საყვედური და ბოლოს ჩემი ჯერი დადგა. ავდექი, დავიწყე თავის მართლება. უკან გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი მჭედლიშვილი იჯდა. დამქაჩა, გაჩერდი, თუ არა მანდ საყვედური წერია და კიდევ დაგიმატებენო. რა თქმა უნდა, მეც გამომიცხადეს საყვედური, რასაც აბსოლუტურად არ ვიმსახურებდი. ადამიანი როცა დაისჯება, ის უნდა აცნობიერებდეს, რომ სასჯელი მისთვის რელევანტური და ადეკვატურია და არა რაღაც თითიდან გამოწოვილი და მოგონილი. შევარდნაძეს რომ გაეგრძელებინა ბიუროს სხდომა და არ წასულიყო, ვფიქრობ, ასეთი მკაცრი არ იქნებოდა. ნუ, შეიძლება უფრო მკაცრიც ყოფილიყო. საერთოდ შევარდნაძე, როცა ის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო, ყოველთვის არაადეკვატურ ნაბიჯებს დგამდა. მაგრამ აი, ამ მოცემულ შემთხვევაში რაღაცაზე უკან დაიხევდა. *კოლბინმა კი* პირდაპირ გადაიწერა პარტიული კომისიის თავმჯდომარის ყარყარაშვილის დასკვნა და ბიუროს პროექტი. საინტერესო იყო ის, რომ აწ განსვენებულმა, ცხონებულმა, მართლაც დიდმა პიროვნებამ ზურაბ პატარიძემ**,** რომელიც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო და *კოლბინს* გვერდში უდგა, რუსულად უთხრა: – გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ პროკურორი რა შუაშია? *კოლბინმა* რუსულად უპასუხა: – ის ყველაფრისთვის პასუხს აგებს, რაც რაიონში ხდება – „За все отвечает прокурор“ „*რა ჩტო ვსე ატვეჩაეტო “,* აგდებულად უპასუხა პატარიძემ და რომ იტყვიან, გადაუგდო პროექტი. არ არის ეს მართალი! მაგრამ *კოლბინმა* არაფრად არ ჩააგდო მისი პასუხი და მიიღეს გადაწყვეტილება.

ერთადერთი სასჯელი, რომელიც მივიღე ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე, იყო ეს და ერთიც პროკურატურაში გამომიცხადეს – ისიც უსამართლოდ, მაგრამ ძალიან მალე მომიხსნეს, რადგან მიხვდნენ, რომ მე არასწორად ვიყავი დასჯილი.

ძირითადად ჩემი საქმიანობა ბაღდადის რაიონში იყო დაკავშირებული წარმატებასთან, დაჯილდოებასთან და ა. შ. კიდევ რამდე-

ნიმე შემთხვევას გიამბობთ, რომელიც დაკავშირებულია ბაღდათის რაიონთან. ეს არის საქმეთა გამოძიება თუ სხვა შემთხვევები.

საქმე N... მკვლელობა ბაღდათში

მინდა, გიამბოთ შემთხვევაზე, რომელიც კარგი მაგალითია ახალგაზრდა იურისტებისთვის და არამარტო მათთვის. თუ როგორ კვალიფიციურად შეიძლება გამოიძიო საქმე და როგორ შეიძლება შექმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ სამართალდამცავი ორგანოები, თუ როგორ პრინციპულად, სამართლიანად, გაბედულად და პროფესიონალურად მოქმედებენ.

შემთხვევა მოხდა 1980-81 წლებში. საქმე ეხება მკვლელობას, რომელიც ბაღდადის რაიონის სოფელ *ობჩაში მოხდა*. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, ბაღდათში არაერთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები ხდებოდა: ქურდობა, მკვლელობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა. მაგრამ ეს მკვლელობა თავისი შინაარსით საკმაოდ სპეციფიკური იყო.

ღამის 4 საათზე დამირეკეს პოლიციიდან. მივხვდი, მძიმე შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მითხრეს: „სოფელ *ობჩაში*, საკუთარ სახლში, ნაპოვნია გვამი. როგორც მისი მეუღლე ამბობს, ის გარდაცვლილია, თავში აგურის ჩარტყმით და სხეულზე აღენიშნება დამწვრობები, როგორც ჩანს, ცეცხლი წაუკიდეს მიცვალებულს“. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ წავედი სოფელ *ობჩაში*, 10 წუთში შემთხვევის ადგილზე ვიყავი. სახლში დაგვხვდა გარდაცვლილის მეუღლე, 76 წლის ქალბატონი – **ნინა *შაშუკი***. გარდაცვლილი იყო ირაკლი ნემსაძე, რომლისთვისაც ნინა *შაშუკი* მეხუთე ცოლი იყო. ქალბატონი სახლში არავის უშვებდა, ტიროდა, მოთქვამდა, ქმარი მომიკლესო და ითხოვდა პროკურორთან შეხვედრას. შემომჩივლა: „მიშველე, ჩემი საყვარელი ქმარი მომიკლეს და დამეხმარეთ გამოძიებაში“. ადგილზე მოვიდა ჩემი თანაშემწე **უჩა ჟვანია**, რომელსაც დავავალე საქმის გამოძიება. უჩამ დაიწყო ადგილის დათვალიერება და მნიშვნელოვანი დეტალების დაზუსტება.

სახლს, სადაც მკვლელობა მოხდა, ჰქონდა შუშაბანდი. გარედან კარს საკეტი არ ჰქონდა, შიგნიდან იღებოდა. შემოსასვლელში დაღვრილ ბენზინს ცეცხლი არ ეკიდა. ბენზინის კვალს მივყავდით საძინებელში, სადაც მიცვალებული ესვენა, რომელსაც თავთან ორი აგური (სისხლიანი კვალით) ედო, მიცვალებულს მალევე ჩამქრალი ცეცხლის კვალი ეტყობოდა. ამ ოთახიდან გავდიოდით შუა

ოთახში, სადაც ასევე მალევე ჩამქრალი ცეცხლის კვალი იყო. იქვე იყო ბენზინის ჭურჭელი. ამ ოთახიდან კი გავდიოდით მისაღებში, რომელსაც ორი ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც შეიძლებოდა მეზობლებთან დაგემყარებინა კომუნიკაცია. მესამე ოთახშიც ხანძრის კერა შეინიშნებოდა, საიდანაც გამოვდიოდით გარეთ-ეზოში, სადაც ეწყო აგურები და სამშენებლო მასალების ნარჩენები ეყარა. სახლის დათვალიერებისას გარდაცვლილის მეუღლე *შაშუკი* უკან დაგვყვებოდა, თვალს არ გვაშორებდა. შეკითხვებზე *პასუხობ*და მისი აზრით, დამაჯერებლად, მაგრამ ჩვენთვის მისი ნაამბობი საეჭვო იყო. ის ამბობდა: „სახლში უცხო პირები შემოცვივდნენ, ყველა ოთახში ცეცხლი გააჩინეს, შემდეგ საძინებელში შეცვივდნენ, მეუღლეს თავში აგური ჩაარტყეს, მომაკვდავს ცეცხლი წაუკიდეს და გაიქცნენ. მე ვცდილობდი ცეცხლის ჩაქრობას და მეზობლებს ვუხმობდი დასახმარებლად“. თუმცა მისული მეზობლები შაშუკმა ოთახში არ შეუშვა. მნიშვნელოვანი იყო ჭურჭელი, რომლითაც დამნაშავე ასხამდა ბენზინს. ის იდგა შუა ოთახში თითქმის დაცლილი. თუ დავუჯერებდით *შაშუკის* ვერსიას, რომ დამნაშავეებმა უკანა ოთახიდან დაიწყეს ბენზინის მოსხმა, მაშინ ისინი ბენზინის ჭურჭელს შუა ოთახში არ დატოვებდნენ. შეკითხვებზე ქალბატონი არაადეკვატურად გვპასუხობდა. ბევრი საეჭვო ნიუანსიდან გამომდინარე, ეჭვი მივიტანეთ თავად გარდაცვლილის მეუღლეზე და ხმამაღლა განვაცხადე: „ახლავე დააკავეთ გარდაცვლილის მეუღლე და წაიყვანეთ განყოფილებაში“. ასეც მოხდა. ჩვენ კი გავაგრძელეთ მუშაობა და დავბრუნდით ქალაქში. პირველ რიგში, გადავწყვიტეთ დაკითხვაზე მოგვეყვანა *შაშუკი*, რომელიც ძალიან უცნაურად იქცეოდა, მაგალითად ის ვერაფრით ვერ გააღვიძეს, რომ დაკითხვაზე მოეყვანათ. მოგვიანებით, როგორც იქნა გააღვიძეს. დაკითხვაზე რამდენიმე შეკითხვის შემდეგ, წამოვარდა და არაადამიანური ძალით ყელში მწვდა. ის, რა თქმა უნდა, უარყოფდა მკვლელობას. დაკითხვა შევწყვიტეთ. ეს იყო იმდენად უტიფარი ქალი, რომ საჭირო იყო ბევრი მტკიცებულების მოპოვება. ძიებისას პირადი ურთიერთობები რომ დავადგინეთ აღმოჩნდა, რომ ცოლ-ქმარი ხშირად ჩხუბობდა. იმ დღეს ჩხუბი დაიწყეს ვენახში და შემდეგ სახლში გაგრძელეს, რის გამოც, მეუღლემ, გადა-

წყვიტა მისი ამ ფორმით მოშორება და ეს სცენა გაითამაშა. საქმეში ჩაერთო **გივი ლომინაძე,** არაჩვეულებრივი მუშაკი.

სასამართლო პროცესზე, როგორც კი დაიწყებდნენ საუბარს, ბრალდებული იწყებდა წივილ-კივილს და არავის აცლიდა ლაპარაკს. ცხადია, მისი ეს კაპრიზი არავინ გაითვალისწინა, თუმცა გავითვალისწინეთ მისი ასაკი (76 წელი) ასევე ვიცოდით, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო დაზარალებულის მხრიდან უკანონო ქმედებით. აქ, სადაო არაფერი იყო. გარდაცვლილი ძალიან ავიწროებდა, ცუდად ექცეოდა მეუღლეს, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა და მეუღლესაც ჩამოუყალიბდა აზრი, რომ მოეკლა თავისი მოძალადე ქმარი. ნინას ნათესავი არ ჰყავდა. ის ეროვნებით უკრაინელი იყო. თავის დროზე, სადღაც შეხვდა ირაკლი ნემსაძეს, მან სთხოვა ცოლობა და ესეც დათანხმდა. როცა ადვოკატმა შესთავაზა გასაჩივრება, მან უარი განაცხადა: „აღარ მინდა, ამ სისხლისმსმელებს კიდევ ვუყურო“.

თითოეული ნიუანსის შესწავლის შემდეგ, საბოლოო ჯამში, საქმე დავამთავრეთ. ქალბატონი ნინა პასუხისგებაში განზრახ მკვლელობის მუხლით (განზრახ მკვლელობა, შურისძიების ნიადაგზე 105 (დღევანდელი 108) მუხლი) გავუშვით. ბრალდებულს მიუსაჯეს მინიმალური 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას არ გაუსაჩივრებია სასჯელი, რაც იყო ძალიან ადეკვატური, კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი, ისეთი, როგორსაც ითხოვს ქართული კანონმდებლობა.

ამ საქმით ახალგაზრდა გამომძიებლებს და პროკურორებს შეუძლია იხელმძღვანელონ. საარქივო მასალაც ამოიღონ. ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული საქმე ჩემს საქმიანობაში. ბაღდადში 10 წელი ვიმუშავე და ჩემი ყველაზე მეტი პრაქტიკული თუ თეორიული საქმიანობა სწორედ ბაღდათს უკავშირდება.

საპროკურორო მეორე ვადის ამბავი

ერთხელ, ბაღდათის პროკურორობისას, სუფრაზე მოვხვდი რესპუბლიკის პროკურორ ანზორ ბარაბაძესთან ერთად, რომელთანაც, ცხადია, მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა მაკავშირებდა. ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხზე. თვითონ სიტყვაძუნწი კაცი იყო და ძირითადად მე მისმენდა. დასასრულს მკითხა: „ შენ

ვადა ხომ მალე გაგდისო?“ 5 წლიანი ვადის შემდეგ, საჭირო იყო კომისიაზე შემოწმება. დიახ, 2 კვირაში ქუთათელაძის ხელმძღვანელობით კომისია მოდის-მეთქი. „საინტერესოა, პარტიული ორგანოები რას ფიქრობენ?“ მაშინ, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიული ხელმძღვანელების აზრს.

გაიოზ ნოზაძე იყო პირველი მდივანი, ცხონდა მისი საფლავი, ოქრო კაცი, ვერ ამოვწურავ მასზე საუბარს. მან უთხრა: „ანზორ *მიხაილოვიჩ,* გემუდარებით, გეხვეწებით, ეს კაცი დაგვიტოვეთ, ვადა გაუგრძელეთ“. რაიკომის მდივანს აჰყვნენ მეორე მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარეც. „რადგან ასეა, მაშინ ჩათვალე, რომ ვადა გაგრძელებული გაქვს“. ახლა მე გამოვიდე თავი, შემამოწმონ და რაც იქნება, ის იქნება-მეთქი. გაეცინა. რა შემოწმება, რის შემოწმება, მის გადაწყვეტილებაზე ხმის ამოღებას ვინ გაბედავდა?!

ერთი თვის შემდეგ, 4 ოქტომბერს, გამდიოდა ვადა. სექტემბრის ბოლოს, გეგმური საკითხი გავიდა კოლეგიაზე ჩემს მიმართ საპროკურორო მეორე ვადის გაგრძელების შესახებ. ყველამ დაიკავა თავის ადგილი. ბარაბაძე რაღაცას საუბრობდა ტელეფონზე, დადო ყურმილი და თქვა: საკადრო საკითხი არ გვაქვს და შემდეგი საკითხი არის ბენიძის საპროკურორო მეორე ვადის გაგრძელება. მომხსენებელი ქუთათელაძე წამოდგა საუბრის დასაწყებად და ბარაბაძემ ანიშნა, დაჯექიო. ქუთათელაძე გაკვირვებული დაჯდა. ამ დროს ვიღაცამ ისევ დარეკა, კიდევ უპასუხა ბარაბაძემ. მოკლედ, ესაუბრა და ქუთათელაძე ისევ ადგა, ბარაბაძემ ისევ ხელით ანიშნა, დაჯექიო. მე გამომაქვს საკითხი, ბენიძემ გაგვიზიაროს თავისი მუშაობის დადებითი გამოცდილება მაიაკოვსკის რაიონშიო – შეახსენა ქუთათელაძემ ბარაბაძეს. ვიციო – უპასუხა ბარაბაძემ და ალმაცერად გახედა ქუთათელაძეს – არ გვინდა მოხსენების მოსმენა, რადგან მე თავად ვიყავი, ვნახე და გავეცანი მის საქმიანობას. ეს იყო წარმოუდგენელი რამ და ნეტა, საქართველოშიო ყველგან იყოს ასეთი ადამიანიო. მე მაინც დავიწყე საუბარი, ცოტა მიჭირდა, დავამთავრე ჩემი გამოსვლა. შეკითხვები ხომ არ გაქვთო? ვინ გაბედავდა შეკითხვას, ყველამ თქვა არა, არაო. მაშინ ბარაბაძემ განაცხადა: „განვაზოგადოთ ბენიძის მუშაობა და ის დავაჯილდოოთ ერთი თვის ხელფასით და ოქროს საათით“ (კიდე რაღაც მაჩუქეს, ზუსტად არ მახსოვს). აი, ასეთი ამაღლებული

განწყობით დამთავრდა ეს კოლეგია. ის, რომ კოლეგიაზე (რომელიც მმართველი ორგანო იყო დაარსებიდან გაუქმებამდე) თავად პროკურორს გაეკეთებინოს მოხსენება და კოლეგიის წინაშე სხვა არავინ გამოსულიყო სიტყვით, არცერთ კოლეგიის წევრს აზრი არ გამოეთქვას საქართველოს ისტორიაში არც მანამდე ყოფილა და არც მის შემდეგ, მხოლოდ მე ვისაუბრე 10 წუთი, მეტი არც მალაპარაკა ანზორ ბარაბაძემ. მაშინ ვინც ესწრებოდა იმ კოლეგიას, ბევრი მათგანი გარდაცვლილია, თუმცა ბევრი ცოცხალია და ცხადია, როცა წაიკითხავენ ჩემს ნაამბობს, ისინი დამეთანხმებიან სიმართლეში. მოკლედ რომ ვთქვათ, ანზორ ბარაბაძემ ბენეფისი მომიწყო, დაჯილდოებული გამომისტუმრა და გამიგრძელა საქმიანობის 5 წლიანი ვადა.

***

არა მგონია, საქართველოში სადმე არსებობდეს უკეთესი დასახლება, არსებობდნენ უკეთესი ადამიანები, ვიდრე ეს ბაღდათის რაიონშია. 1976 წლის, 5 ოქტომბრიდან მჭიდრო კავშირი მაქვს ბაღდათის რაიონთან და მათი ჭირის და ვარამის მოზიარე ვარ. ბაღდათის პროკურატურაში მუშაობის პერიოდში მქონდა ბევრი წარმატება და წარუმატებლობაც. აქ გავიცანი ბაღდათის კოლორიტები. ძირითადად ბაღდათში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავისი ღირსებით, კაცთმოყვარეობით, ჰუმანურობით იყვნენ ადამიანობის და კაი კაცობის ნიმუში. რაიონის კოლორიტები, რომლებთანაც მრავალი წელი გავატარე, თითქმის 96 პროცენტი დღეს ცოცხალი აღარ არის. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ბაღდათის ისტორია. ეს აზრი ზოგს შეიძლება მოეწონოს, ზოგმა შეიძლება მხარი არ დამიჭიროს, მაგრამ ეს ჩემი აზრია, რომელსაც ვერავინ წამართმევს.

ბაღდათში არაჩვეულებრივი პირობები შემიქმნა რაიონმა. ჩასვლისთანავე მომცეს 5 ოთახიანი ბინა. 10 წელი ვიმუშავე ბაღდათში და შესაბამისად, მოგონებებში ბაღდათს დიდი ადგილი დავუთმე. ჩემი მუშაობის პერიოდში აქ ბევრი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული იქნა ჩადენილი. კონკრეტული საქმეების გამო-

ძიების არაერთი მაგალითი მაქვს, თუმცა თითოეულის ანალიზის გაკეთება შეუძლებელია.

ხშირად მეკითხებიან, დღეის მდგომარეობით კონტაქტი თუ გაქვს ბაღდათთან? მინდა გითხრათ, რომ 1976 წლის ოქტომბრის შემდეგ ბაღდათთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. ჯერ იყო სამსახურებრივი ურთიერთობა, შემდეგ ცოლად შევირთე იქაური ქალი. ბაღდათი ჩემთვის სიცოცხლის ბოლომდე დარჩება ერთ-ერთ საუკეთესო რაიონად. მეუღლეს ბაღდათში ჰქონდა სახლი, დღეს იქ მხოლოდ მიწის ნაკვეთი გვაქვს. მომავალში, ალბათ ჩემი შვილები ააშენებენ იქ სახლს.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ბაღდათელი, სადაც არ უნდა შემხვედროდა (მე წამოვედი 1986 წლის ოქტომბერში, როცა გამივიდა 10 წლიანი ვადა), ყველგან მათ გვერდით ვიყავი, დავხმარებივარ და როგორც საკუთარი ოჯახის წევრი, ისე მიმიღია.

მახსენდება ასეთი შემთხვევა, ლექციაზე, უნივერსიტეტში სიაში ამოვიკითხე ანა კოტორეიშვილი. ვკითხე: რობერტის რა ხარ-მეთქი? მიპასუხა – შვილიშვილიო. მთელი ლექცია მიუძღვენი რობერტ კოტორეიშვილის კარგ კაცობას, ვაჟკაცობას, მის ადამიანობას. არ ვაჭარბებ. წარმოიდგინეთ, ერთ ლექციას რომ მიუძღვნი კაცს, ესე იგი, ის მართლაც დამსახურებული ადამიანია. ანა გახარებული მისმენდა, რადგან მის ბაბუაზე ლეგენდებს ვყვებოდი.

რობერტთან ერთად მინდა გავიხსენო მეორე ბუმბერაზ ადამიანთან ჯემალ საყვარელიძესთან ურთიერთობა. საოცრად საინტერესო იყო მათთან სუფრაზე ყოფნა, ერთი დიდი სიხარული. ჯემალიც ადრე გამოგვეცალა ხელიდან, როგორც რობერტი. **ამირან რობაქიძე** (*ბუტა* რობაქიძის ბაბუა) შეიწირა *ბუტაზე* ფიქრმა და *ბუტასთვის* სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლამ. ამირან რობაქიძეც ერთ-ერთი გამორჩეული, რომ იტყვიან, ჭკუის საკითხავი კაცი იყო ბაღდათის რაიონში. მადლობა მის შვილს, სოსოს, რომ აგრძელებს ბრძოლას მისი შვილის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

ბაღდათში ვინც ჩემ დროს მოღვაწეობდა, სამწუხაროდ, მათ შორის ბევრი აღარაა ცოცხალი, ყოფილი რაიკომის მდივნის კარლო *დუგრაშვილის* და ელექტრო ქსელების უფროსის უზბეკი ავალია-

ნის გარდა. ბევრის სახელი და გვარი არ მახსენდება... ბევრი არც ვიცი, დღეს სადაა, თუმცა ყველას მიმართ განსაკუთრებული პატივისცემა მაკავშირებს.

ბაღდათიდან ყველაზე ბოლოს ჩვენი სამეგობროდან გარდაიცვალა ავთო ხურციძე. ალბათ, არც კი შემხვედრია მისნაირი ზრდილობიანი, დახვეწილი ინტელიგენტი ადამიანი. ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობდა, მახსოვს ერთხელ, იქიდან მომილოცა დაბადების დღე, ყველას დაბადების დღე იცოდა და ყველას ულოცავდა. როგორც იტყვიან, ბოლო ლურსმანი ჩვენს სამეგობროში მან ჩააჭედა.

სოფელ დიმში ცხოვრობს ჩემი მეუღლის მამიდაშვილის ოჯახი ნუნუკა და გია გუმბერიძეები, არაჩვეულებრივი ადამიანები. მათი ოჯახი ჩემი მეორე ოჯახია. ნათესაობა ერთია, ურთიერთობები მეორე.

ბაღდათში გავიცანი და ჩემი ოჯახის წევრებად იქცნენ არაჩვეულებრივი ადამიანები. მათ ჰქონდათ თანამდებობაზე დიდი რამ: კაცობა, მეგობრობის უდიდესი გაგება და სიყვარული. სამსახურებში, სადაც ისინი მუშაობდნენ, იყვნენ წარმოჩინებულები და გაულანძღავი ადამიანები. მათ შეეძლოთ უდიდესი მეგობრობა და სიყვარული. არა იმიტომ, რომ მე პროკურორს „მეფერებოდნენ“, არამედ იმიტომ, რომ მე ვიყავი მათი მეგობარი. ამან შეკრა მთელი ჯაჭვი მეგობრობისა, ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით და ვინც ამას წაიკითხავს და მოისმენს, ყველა დამეთანხმება. ბაღდათში გავიცანი და ჩემი უახლოეს მეგობრად იქცა გია ქარაბაკი, რომელიც ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. ასევე ღვინის ქარხნის დირექტორი ლეო არწივიძე, ტრისტან კვინიკაძე, მურთაზ წერეთელი, მეგობართა მეგობარი რომან მაღლაკელიძე, რომელსაც შვილი მოვანათვლინე. თქვენ წარმოიდგინეთ, კომუნისტების დროს შვილს რომ მოანათვლინებ კაცს, რამხელა ნდობა უნდა გქონდეს. ფაქტობრივად, უნდა ითქვას, რომ კვირაში 5 დღე მე და მევლუდი ერთად ვიყავით. ასე გრძელდებოდა მთელი 10 წელი. ჯუმბერ მშვილდაძე, ერთგული ადამიანი და ჩემი პირველი დაბადების დღის (ბაღდათში 27 წელი შემისრულდა) ორგანიზატორი, ის ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. თემურ ჩინჩალაძე (გარდაცვლილია). ჩვენ ერთად ვხელმძღვანელობდით ბაღდათის საფეხ-

ბურთო გუნდს, რომლის პრეზიდენტი მე ვიყავი. თემური მიწევდა დახმარებას, შესანიშნავად ერკვეოდა, ჰყავდა შესანიშნავი ოჯახი, არაჩვეულებრივი შვილები. მისი შვილი თემურის გარდაცვალების შემდეგ წამოვიყვანე პროკურატურაში და ჩემთან ერთად მუშაობდა. ზალიკო ფურცელაძე იყო მოვლენა. ბევრი კომიკოსი ჰყავს საქართველოს, მაგრამ მე ზაალის მსგავსი არ მინახავს, მას ჰქონდა შესანიშნავი იუმორი, შესანიშნავად მღეროდა და ცეკვავდა. ის იყო მოვლენა ადამიანი. გამორჩეული იყო ზაურ მაჩიტიძე, დიდი კაცი, მოჭიდავე, რომელსაც ე.წ. *ობეხეს* უფროსის თანამდებობა ეკავა. ასეთ თანამდებობაზე უფრო სხვას შევარჩევდი, უფრო მკაცრს, ვიდრე მას, მაგრამ როცა ამ თანამდებობაზე ჰუმანურობას იჩენ ადამიანი, ეს უკვე შენს პიროვნებას უსვამს ხაზს. გამორიცხული იყო ზაურისგან ტყუილი, ორპირობა, გამორჩეული ადამიანი იყო. მინდა, ჩემს მოგონებებში 20 წლის შედეგ მას და მის ოჯახს ბოდიში მოვუხადო (73 წლიანი მოღვაწეობის მანძილზე არავისთან ბოდიში არ მომიხდია, მე ეს არ დამჭირვებია, გარდა ზაური მაჩიტიძეს ოჯახისა. პირიქით, შეიძლება სხვას ჰქონდეს ჩემს წინაშე ბოდიში მოსახდელი) რისთვის? ზაური მძიმე ფორმით დაავადდა, მოათავსეს თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში, მე მაშინ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი, ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ საოცარი მეგობრობა გვქონდა, ვერ მოვახერხე მისი საავადმყოფოში მონახულება. ერთ დღეს, როგორც იქნა, გამოვნახე დრო და წავედი მის სანახავად. გზაში შემოვიდა ზარი, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე გკითხულობსო. პარასკევი დღე იყო. ვიფიქრე, ხვალ შაბათია, მივალ და ხვალ ვნახავ-მეთქი. მოვაბრუნე მანქანა და შეხვედრაზე წამოვედი. შაბათს რომ მოვიკითხე, ზაური უკვე გაწერილი დამხვდა. ამ ამბიდან ის ძალიან მალე გარდაიცვალა. როცა ბაღდათში ჩავედი, მისი ოჯახი და მეუღლე ქალბატონი ლუიზა განაწყენებული დამხვდა. მართალიც იყო. მე ახლა ვუხდი ქალბატონ ლუიზას ბოდიშს ამდენი ხნის შემდეგ. ეს შეგნებულად არ გამიკეთებია, უბრალოდ, ვერ ვახერხებდი ჩემი სამსახურის გამო. თუმცა როცა შენ ადამიანთან ასე ახლოს ხარ, ის შენი მეგობარია, შენი სული და გული, მაშინ ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო და თუ საჭიროა, ღამის პირველი საათიც რომ იყოს, უნდა მიხვიდე მასთან, ამოუდგე გვერდში,

ანუგეშო, მოეფერო... მე ახლა ბოდიშის გარდა სხვა არაფერი შემიძლია. თუ მიიღებენ ჩემ გულწრფელ ბოდიშს, მიიღებენ თუ არადა, ეს მათი ნებაა.

პოლიციაში მუშაობდნენ არაჩვეულებრივი ადამიანები, მევლუდი და გიგა თავხელიძეები, ზაური გუბელაძე, იურა კოტრიკაძე, ელდარი ფურცელაძე (ფაქტობრივად, ჩემი ოჯახის ახლობელი ნათესავი, მას დიდი უბედურება დაატყდა თავს, შვილი გარდაეცვალა და ეს არაჩვეულებრივი ადამიანი განადგურებული იყო). მინდა გავიხსენო არაჩვეულებრივი, გულიანი ყველას მეგობარი მთელ ბაღდათში რეზო კბილაშვილი, ის იყო პარტიის რაიკომის მეორე მდივანი, თუ შეიძლება დაახასიათო წესიერება, აი, რეზო იყო ამ ყველაფრის განსახიერება; უსაყვარლესი და უწესიერესი კაცი, ნამდვილი ადამიანი შოთა კოხოძე, ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე, მანამდე რაიკომის პირველი მდივანი. ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ბაღდათის მოსამართლე, ჩემი ძმა, უკეთესი ადამიანი არც მინახავს ნუგზარ ჩინჩალაძე, *ნუგოს* ვეძახდით, დიდი ცხვირი გამო კი „ცხვირას“. უნიჭიერესი კაცი იყო, წარმატებით დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი, სკოლა ოქროს მედალზე. ნუგზარი შემდეგმა ხელისუფლებამ (მათზე კარი მაქვს მოტოვებული, რომ გიამბოთ, თუ რას წარმოადგენდნენ გარეწარი ადეიშვილი და მერაბიშვილი), სრულიად დაუმსახურებლად დაიჭირეს, ციხეში მძიმე დაავადებით დაავადდა და 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. არაჩვეულებრივი ადამიანი შესანიშნავი ოჯახის პატრონი. მისი მეუღლე, ქალბატონი ირინა, რომლის შერთვაშიც დიდი წვლილი მიმიძღოდა, იყო ჩვენი ოჯახის ახლობელი წევრი. ოჯახებით ყველანი ასე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან.

მინდა გავიხსენო **ვიტალი აბულაძე,** ჩემ დროს ჯერ მეორე მდივანი, მერე ბაღდათის აღმასკომის თავმჯდომარე. ხალხნო, თუ ვერ გააგებინებთ ვინმეს თუ რა არის წესიერება, უთხარით, რომ აი, ვიტალი აბულაძე რომ იყო, ეს არის წესიერება. ასეთი ადამიანები უნდა მართავდნენ ქვეყანას. კაცი, რომელსაც არასდროს ტყუილი არ უკადრებია, კაცი, რომელსაც ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს და მუშტებით არ გადაუწყვეტია საკითხი. მას ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე ნარგიზა *ბუხულეიშვილი*, რომელიც სკოლის დირექტო-

რი იყო და ერთ-ერთ წარჩინებული საზოგადო მოღვაწე ბაღდათის რაიონში.

კუკური თავხელიძე – განათლების განყოფილების გამგე, ღირსეული ადამიანი, რომელიც წარმატებით უძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. დავით კვირიკაძე, ჩემი სიმამრის უახლოესი ადამიანი, რომელიც იყო სანიმუშო სკოლის დირექტორი. მე ვიხსენებ იმ ხალხს, რომლებთანაც სანიმუშო ურთიერთობები მქონდა. მამუკა გორგოძე, ცნობილი რაგბისტის მამა. ლალი გაფრინდაშვილი, ბავშვთა ექიმი. სამწუხაროდ, ის ველურად მოკლეს, საქმე დიდხანს გაუხსნელი იყო და არ ვიცი, შემდეგ როგორ დასრულდა. ნანა ჯანელიძე, საოცარი ექიმი და კარგი ადამიანი. ამირან კიკნაველიძე, კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი და შემდეგ ბაღდათის პოლიციის უფროსი. საუკეთესო მეგობარი. ერთად ვიზიარებთ საერთო ჭირსაც და ლხინსაც. თითქმის მთელი ბაღდათი უნდა ჩამოვთვალო და არ მინდა, ვინმე გამომრჩეს და გული დასწყდეს... **თემური რობაქიძე, ზაური მაჩიტიძე, კოტე ჩხეიძე** და მისი ძმა. ბევრ მათგანთან, ოჯახებთან, მათ შვილებთან გავაგრძელე მეგობრობა.

ჩემი მეგობრის **ტრისტან კვინიკაძის შვილი ავთანდილ (*ათუკა*)** კვინიკაძე თავისი არაჩვეულებრივი ოჯახით ჩემი ოჯახის უახლოესი წევრია, თითქოს ჩანაცვლება მოხდა ავთანდილის მიერ მისი მამის. ის მამისგან არაფრით განსხვავდება. მან იცის, როგორ უნდა მოექცეს ადამიანებს და როგორ ემეგობროს. თუ ვინმე გამომრჩა, ბოდიშს ვუხდი მათ. ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი გარდაიცვალა, ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანი კი დღესაც მოღვაწეობს.

ბაღდათზე ძალიან ბევრი მაქვს მოსაგონარი, მაგრამ ეს ამოუწურავ საკითხთა წრეა, რომელსაც ალბათ არ ეყოფა არათუ საათები, არამედ დღეები. შევეცადე, რომ ნაწილი მაინც მომეთხრო თქვენთვის. სამწუხაროა, თუ გამომრჩა ისეთი ფაქტები, რომელიც აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ჩემს ჩანაწერებში, მაგრამ რა გაეწყობა.

ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

ბაღდათის რაიონში ვადის ამოწურვის შემდეგ გადავედი ცენტრალურ აპარატში, თუმცა გადასვლას თავისი ისტორია აქვს. როცა ბაღდათში დამიმთავრდა მუშაობის ვადა, რესპუბლიკის პროკურორის ხელმძღვანელობამ რამდენიმე რაიონში მომცა მიმართვა, მაგრამ რაიკომის მდივნებმა არ მოისურვეს ჩემი თანამდებობაზე მიღება. რომ იტყვიან, ალბათ გამიმართლა კიდეც. მოულოდნელად ცეკაში გამოთქმული პარტიული ორგანოების კრიტიკის გამო პროკურატურა კომპლექსურად შეამოწმეს და იმდენად დადებითი დასკვნა დაიდო, რომ გინდა- არ გინდა, ნორმალური სამსახური უნდა მოეცათ. მაგრამ სამწუხაროდ, იმ პერიოდისთვის, ჩემთვის შესაფერისი სამუშაოს გამოძებნა არ მოხდა. სხვათა შორის, იყო საუბარი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოებზე გადავეყვანე აღმასკომის თავმჯდომარედ, ან რაიკომის მდივნად, მაგრამ არც ეს მოხდა და არც რაიონის პროკურორად დამნიშნეს. შემდეგ შემომთავაზეს რკინიგზის პროკურატურაში მუშაობა, რაზეც უარი ვთქვი. ამიტომ, წყვეტა რომ არ მქონოდა, დამნიშნეს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად. მაშინ ასე იყო: პროკურატურა ახორციელებდა ზედამხედველობას სასამართლოზე. მოქმედი კანონმდებლობით, ცხადია, პროკურატურა არ ახორციელებს ზედამხედველობას სასამართლოზე. უშუალოდ ჩემი კურატორი იყო, საქართველოს პროკურატურაში კი არა, ალბათ მთელ სამართალდამცავ სისტემაში და მთელ სხვა საჯარო სამსახურში პატიოსნებით, წესიერებით, თავისი ცოდნით და კულტურით გამორჩეული კაცი **როლანდ გილიგაშვილი,** რის გამოც მივიღე გადაწყვეტილება, რომ სწორედ ამ განყოფილებაში მემუშავა. მინდა გითხრათ, რომ ისეთი დატვირთვა მივიღე სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში, რომ ერთი ადამიანი ძალიან მძიმედ თუ გაუძლებდა. მითუმეტეს, როცა ცოლ-შვილი ბაღდათში დავტოვე, რადგან თბილისში ბინა არ მქონდა.

ჩემი სამუშაო დილის 9 საათზე იწყებოდა და მთავრდებოდა ღამის 12 საათზე. თავაუღებლად ვმუშაობდი, მხოლოდ სადილზე თუ გავიდოდი შესვენებაზე. ვისაც ამ ხაზით უმუშავია, ყველა დამეთანხმება, თუ რამდენად რთული სამუშაო იყო. ვიყავი ზონის პროკურორი, საკმაოდ დიდი ზონა მქონდა: თბილისი, აჭარა, გარდაბანი, სადაც ყველაზე მეტი საჩივარი იწერებოდა, მათ შორის მოსკოვში. მოსკოვიდან შემოსულ საჩივართა უმეტესობა იყო კონტროლზე, უნდა გამოგეთხოვა საქმე, შეგესწავლა, დაგეწერა დასკვნა რუსულად და რესპუბლიკის პროკურორის ხელმოწერით გაგეგზავნა მოსკოვში. გარდა ამისა, უნდა გავსულიყავი პროცესებზე. უმეტეს შემთხვევაში მე გამოვდიოდი პროცესებზე და პროცესის გამოსვლის შემდეგ ვაკეთებდი ყველაფერ იმას, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ამიტომ თავაუღებელი მუშაობა მიწევდა. არაერთ პროცესზე გამოვედი.

ქუთაისის საქმე

პროცესი, რომელსაც ხშირად ვახსენებ სატელევიზიო ინტერვიუებში თუ პირად საუბრებში, იყო ერთ-ერთი გახმაურებული ქუთაისის საქმე, სადაც დაპატიმრებული იყვნენ სხვადასხვა თანამდებობის პირები. მთავარი პირი იყო ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული და საფინანსო განყოფილების უფროსი გიორგი ამირანაშვილი.

როცა ეს საქმე დამეწერა, ასევე საქმე სასამართლოში განსახილველად დაეწერა ჩემს უახლოეს მეგობარს, გამორჩეულ პიროვნებას ქართულ სამართალში – ჯუდუ წაქაძეს. რაც უფრო ვეცნობოდი საქმეს, უფრო და უფრო უხერხულობაში ვვარდებოდი. მიკვირდა, რისთვის მისცეს კაცი პასუხისგებაში? დავურეკე *ჯუდუს* – „*ჯუდუ,* ეს რა საქმეა?“ მითხრა: „ჩავიდეთ ქვემოთ, დარბაზში და ვისადილოთ“. შევატყვე, რომ ტელეფონში საუბარი შემაწყვეტინა. დარბაზში რომ ჩავედით, მითხრა: „ვენედი, შენ რომ ახალა ეგ დაიწყო, დაგვესევიან და დედას გვიტირებენ, რაღაცა მოხდება. გირჩევ, დავიწყოთ საქმის განხილვა და დროთა განმავლობაში ცხადია, რომ ხელმძღვანელობაც ჩადგება საქმის კურსში და სხვაც“. დავეთანხმე. ნუ, რა თქმა უნდა, სწორი იყო მისი ეს მოსაზრება.

ზამთარი იყო. ქუთაისშიც და ქვეყნის მასშტაბითაც დიდთოვლობა. სასამართლო პროცესზე უამრავი ხალხი მოვიდა, დარბაზი ვერ იტევდა დამსწრეებს. ამიტომ გვჭირდებოდა რეგულაცია დაცვით. მოხდა სასწაული, იმ თვალსაზრისით, რომ როცა განსასჯელებს (მაშინ ასეთი ტერმინი არსებობდა, დღეს ეს ტერმინი არ არსებობს) ვკითხეთ (წესი იყო პროცესუალური მოთხოვნა), ცნობდნენ თუ არა თავს დამნაშავედ? ამირანაშვილმა თქვა: „თავს დამნაშავედ ბოლომდე არა, მაგრამ ნაწილობრივ ვცნობ“. ამანაც გამაკვირვა. რაც მას ბრალად ედებოდა, როგორ შეიძლებოდა, რაიმეში თავი დამნაშავედ ეცნო? დავიწყეთ დაკითხვა. დავკითხეთ ამირანაშვილი, რომელმაც მოგვცა ჩვენება. ალბათ ყველას დააინტერესებს, თუ რა ჰქონდა ბრალად შერაცხილი – საქართველოს კომპარტიის ქუთაისის პირველმა მდივანმა, მამუკა ასლანიკაშვილმა დაავალა განყოფილების გამგე ამირანაშვილს ფულის შეკრე-

ბა, რათა გადაეხადათ ვერიკო ანჯაფარიძის იუბილე. მანვე დაავალა კომისარს, რომ სტუმრად ჩამოსული მარშლის სადილის ფული თავად კომისარს გადაეხადა. საქმეში კიდევ ორი მსგავსი საკითხი ფიგურირებდა. რაც იყო ცინიზმი, იმიტომ, რომ როცა დავკითხეთ იგივე კომისარი, მან თქვა: „მანდ რა წერია და რას ჩალიჩობენ გამომძიებლები არ ვიცი. ჩამოვიდა მოსკოვიდან მარშალი. მას ახლდა წარმომადგენელი რესპუბლიკიდან. ქალაქკომის პირველ მდივან მამუკა ასლანიკაშვილთან ერთად წავედით ვარციხეში, სამხედრო ბაზების დასათვალიერებლად. ამირანაშვილი და კომისარი გაჰყვნენ მათ, ცხადია, ცალკე მანქანით. იქ რომ ვიყავით, მოულოდნელად ასლანიკაშვილი გამოეყო მათ და ჩვენ გადმოგვილაპარაკა: ბიჭებო, გაიქეცით, პატარა სუფრა გააწყვეთ და ვასადილოთ სტუმრებიო. წამოვედით, ვასადილეთ მარშალი და რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმარი და წავიდნენ. სამხედრო პირი იყო ჩემი სტუმარი და რატომ უნდა გადაეხადა ფული ქალაქკომის მუშაკს და არა მე? რას მეკითხებით?“ გვიპასუხა კომისარმა.

რაც შეეხება ვერიკო ანჯაფარიძის ეპიზოდის საქმეს, რამდენიმე ადამიანი დავკითხეთ. მათ შორის, კინოსტუდიის თანამშრომელი, ერთი ინტელიგენტი ქალი, რომელმაც განაცხადა: „დაგვირეკა ამირანაშვილმა, გვითხრა, ვერიკო ანჯაფარიძის იუბილეს ვიხდით და თუ სურვილი გექნებათ, ათი მანეთი მოიტანეთ და თქვენც სასიამოვნო დროს გაატარებთო. მე აღფრთოვანებული დავრჩი ამ წინადადებით. რა თანხაც მითხრეს, მივიტანე, მთელი საღამო გავატარეთ არაჩვეულებრივად სასიამოვნო გარემოში, ასეთი კარგი ღონისძიება არასოდეს მინახავს. ვისი რა საქმეა, მე რას დავდებ და სად გავატარებ დროს?!“ – ამბობდა ქალბატონი.

თავიდან ამირანაშვილს ბრალდება მექრთამეობისთვის ჰქონდა წარდგენილი. თითქოს ვიღაცამ ქრთამის სახით საათი მიუტანა. მაგრამ მას როგორც კი მექრთამეობაში, საათის ქრთამად აღებისთვის შეედავნენ, მაშინვე ალიბი დააყენა. გადაამოწმეს ალიბი და რომ იტყვიან სიტყვასიტყვით დადასტურდა. ამიტომ გამოძიება იძულებული გახდა, ამირანაშვილისთვის ეს ბრალდება მოეხსნათ. ანუ მის საქმეში დარჩა ორი ეპიზოდი, რაც ზემოთ მოგახსენეთ. ცხადია, რომ ასეთი ბრალდებით კაცის გასამართლება იურიდიული მეცნიერების შეურაცხყოფა იყო.

ერთკვირიანი შესვენება მოვითხოვეთ. ჩამოვედი თბილისში და იქ ვთქვი, რა საქმეა, ეს რა უბედურებაა-მეთქი და მათ შორის, ჩემს უშუალო კურატორს გილიგაშვილსაც მოვახსენე. არ გასულა 10 წუთი და ატყდა განგაში. აბა, რაზმაძე გეძებსო. სასწრაფოდ შემიყვანეს რაზმაძესთან. რაზმაძე მეკითხება: „ვენედი, რა ხდება ქუთაისის საქმეზე?“ (ვითომ არ იცოდა) ვუპასუხე: „ამ კაცის გასამართლება უსამართლობაა! ამ საქმეზე თუ შეიძლება ბრალი წაუყენოთ ადამიანს და განაჩენი გამოუტანოთ, ვერ წარმომიდგენია, მე ამაზე მოთხოვნას ვერ დავაყენებ!“ ამ დროს კაბინეტში იყო თამაზ კოღუა, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე, რომელმაც დაამტკიცა ამ საქმის საბრალდებო დასკვნა. რაზმაძეს დიპლომატია არ აკლდა. მიუბრუნდა კოღუას. კოღუამ ვერაფერი უთხრა (სხვათა შორის, კოღუა დადებითი პიროვნება იყო), რადგან ეს შეკვეთა იყო და მოქმედებდნენ ცენტრალური კომიტეტიდან (პირდაპირ ვადებ ხელს) დაკვეთით. ვინც იქ იყო ყველა უნდა გაენადგურებინათ...

1986 წელს, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის პირველმა მდივანმა, მამუკა ასლანიკაშვილმა თავი რომ მოიკლა, მისი მძღოლიც დაიჭირეს, დანა ჩაუდეს და ისე დაიჭირეს. შემდეგ იქ რა საშინელებებიც დატრიალდა, ეს ყველაფერი პარტიული ორგანოების სინდისზე იყოს.

– რა ვქნათ? – მეკითხება რაზმაძე.

– ამ კაცის (ასლანიკაშვილის) დასჯას არ მოვითხოვ! შემიძლია განცხადება დაგიტოვოთ და ახლავე, დღესვე წავიდე პროკურატურიდან, თუ თქვენ ამას დამაძალებთ. დაიწყეთ თავიდან და სხვამ განიხილოს ეს საქმე – ვპასუხობ მე.

– არა, არა, არც ასეა საქმე... – სხვას ვერაფერს მეუბნება რაზმაძე და მიშვებს.

ამ საქმეში ფიგურირებდა კიდევ სხვა 7-8 პირი. ამიტომ პროცესი ჩვეულებრივად გავაგრძელეთ, მათ შორის, ამირანაშვილის ეპიზოდებიც იყო, ესენიც დავკითხეთ და კვლავ დავბრუნდით თბილისში.

გამომიძახა ისევ რაზმაძემ. ახლა გამოძახება იყო უფრო ფართო მასშტაბიანი. ვხედავ, კაბინეტში უზის, შინაგან საქმეთა მინისტრი

შოთა გორგოძე, მისი მოადგილე და თამაზ კოღუა – რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე. მანამდე საქმის გამომძიებლები თავს მესხმოდნენ: „შენ რეებს კადრულობ, რატომ შვრები ასე და ისე...“ მეცინებოდა მათ ასეთ საქციელზე. მოკლედ, გორგოძე პირდაპირ მეუბნება:

– პირდაპირი მოთხოვნაა, რომ შენ უნდა მოითხოვო ამირანაშვილის დასჯა.

– ვისი მოთხოვნაა? – ვეკითხები.

– შენ ალბათ ამას მიხვდები, გონიერი კაცი ხარ! – მომეფერა.

– ეს ჩემგან გამორიცხულია! ვერ მაიძულებთ! მოვითხოვო დასჯა მართალი კაცის? მე ამას ვერ გავაკეთებ! – ვპასუხობ.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ, რაზმაძემ მითხრა, წადიო. გამომიშვა. თვითონ დარჩნენ. არ ვიცი, რა ისაუბრეს და რა გადაწყვიტეს. შემდეგი შეხვედრა აღარ მქონია რაზმაძესთან. წამოვედით ქუთაისში, სადაც ახალი სიურპრიზი მომიწყვეს. ჩემი ერთი ახლობელი, ელდარ ფურცელაძე (ახლა შეიძლება მისი სახელის და გვარის დასახელება. ცხონდა მისი სული, ოქრო ბიჭი იყო, რომელიც ბაღდათში მუშაობდა ეგრეთ წოდებულ *„ობეხეს“* უფროსად, შემდეგ გადმოიყვანეს ქუთაისში) მოვიდა და მითხრა: „გიორგევიჩ, შენზე *კომპრებს* აგროვებენ. რამდენიმე კაცი გამოიძახეს, რატომ, არ ვიცი, მაგრამ ხალხს ეძებენ. მეც მითხრეს, რომ იქნებ ვინმე მოძებნო და მოიყვანო, რომ *კომპრი* შევუქმნათ“. გავცოფდი. რამდენიმე თვის გადმოსული ვიყავი განყოფილებაში და რა *კომპრები* უნდა შეეგროვებინათ.

მოკლედ, ელდარმა მომცა არაჩვეულებრივი მასალა, რომ ქუთაისის პოლიციის სამმართველოს უფროსს (არ ღირს მისი გვარის და სახელის დასახელება, გარდაცვლილია), რომელსაც, რა თქმა უნდა, მინისტრისგან დავალებული ჰქონდა შემდეგი ამბავი: ქუთაისის „ტორპედო“ რომ დარჩენილიყო უმაღლეს ლიგაში, უნდა შეეწერათ (წმინდა გაგებით) ხალხისთვის ფული და 35 000 მანეთი გადაეცათ დნეპროპეტროვსკის დნეპრის მწვრთნელის *ემენდისთვის.* დნეპრმა ქუთაისში ფრე ითამაშა თუ წააგო, რამაც განაპირობა ქუთაისის ტორპედოს უმაღლეს ლიგაში დარჩენა. ის სია, ვისგანაც ფული აიღო, აი, ამ ქუთაისის პოლიციის უფროსს (გვარის გამხე-

ლა არ მინდა) ედო სეიფში. ავდექი, ავიღე ტელეფონი, დავურეკე მას და ვუთხარი: „შენ ხარ გათახსირებული კაცი! კომისარმა რომ ფული გადაიხადა მარშლის სტუმრობაზე, ეს არ არის დანაშაული! არც ის არაფერია, ხალხი, ვერიკო ანჯაფარიძის 100 წლის იუბილეზე რომ მოიწვიეს, ფული დაადებინეს, თავადაც გაერთნენ და იქეიფეს. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება ის არის, რაც შენ ჩაიდინე. შენ ხარ დასაჭერი და კიდეც დაგიჭერ! ახლავე გამოაღე სეიფი და ის სია გადამალე, მაგ სია დაგღუპავს, რადგან სწორედ ეს არის დანაშაული, რაც შენ ჩაიდინე!“

წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა. დაიწყო ლუღლუღი: არა, ბატონო, არაო. მე არ ვჩერდები და ვაგრძელებ: – „თუ ასე არ იზამ, მე შენ გასწავლი ჭკუას. შენ და შოთა გორგოძე ძალიან ცდებით, მაწვებით იმაზე, რომ გავასამართლო უდანაშაულო კაცი“. მიპასუხა: „მოდი ნუღარ გავამწვავებთ ამ საქმეს, ბოდიშს ვითხოვ თქვენთან, შემიყვანეს შეცდომაში, მაპატიეთ“.

სასამართლო პროცესი ისევ გავაგრძელეთ და კვლავ მოგვიხდა შესვენება. რაზმაძემ ისევ დამიძახა და მითხრა: „ვენედი, რაღაც გამოსავალი უნდა ვიპოვოთ, ძალიან უხერხულ სიტუაციაში ვართ ყველანი. შენ რას იზამ?“ აშკარა იყო, რომ ზეწოლა მოდიოდა მთლიანად ქუთაისის პარტიულ ორგანოებზე. არ ვიცი, რამდენად სწორად ვადებ ხელს, მაგრამ ზეწოლა მოდიოდა აშკარად ჯუმბერ პატიაშვილისგან, რადგან მაშინ სხვა ამას ვერავინ გაბედავდა. ვუპასუხე: „ბატონო ვახტანგ, მე იგივე პოზიცია მაქვს, თქვენ თუ გნებავთ, უდანაშაულო ადამიანზე საბრალდებო სიტყვა ვთქვა და დაისაჯოს, მე ამას არ გავაკეთებ!“

„გამოსავალს რაში ხედავ, შენ რა შეგიძლია?“ – მეკითხება ისევ და ეტყობა, რომ მთელი პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო აფორიაქებულია. მოგეხსენებათ, როგორი იყო მაშინ ცეკას გავლენები.

ვუპასუხე: „ერთი რამ შემიძლია. საქმეში ერთი ეპიზოდია, რომელიც დამატებით შესწავლას მოითხოვს, თუმცა იქ დანაშაულს ვერ ვხედავ. მოვითხოვ, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას და პატიმრის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას“.

დაფიქრდა და მითხრა: „მთლად კარგი ამბავი არ არის, მაგრამ რა გაეწყობა, სხვა გამოსავალი არ გვაქვს... კარგი, თანახმა ვარ!“

წამოვედი. პროცესი დანიშნული იყო. 4 საათი ვისაუბრე ამ საქმეზე, ვთქვი საბრალდებო დასკვნა. ჩემს გარდა სხვა ადვოკატებიც ხომ იყვნენ, სულ 8 ბრალდებული იყო, მახსოვს ბოლო დაცვითი სიტყვა თქვა ბაქრაძემ. გადავედით შემდეგ განსასჯელებზე. რვა განსასჯელიდან 6-მა თქვა სიტყვა. დანარჩენი ორი აღიარებდა დანაშაულს და პატიებას ითხოვდა. ამ დროს შემოდის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, რაღაც უჩურჩულა ყურში სხდომის თავმჯდომარეს ჯუდუ წაქაძეს. ჯუდუ გავარდა გარეთ. საკმაოდ დააგვიანდა. არ ვიცი, რა მოხდა. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ შემოდის და უაპელაციოდ აცხადებს, რომ პროცესი გადადებულია. როდისთვის შემდეგ გამოგიცხადებთო. რა თქმა უნდა, გამიკვირდა. შევედით თავმჯდომარის კაბინეტში, ვეკითხები:

– რა ხდება *ჯუდუ*?

მპასუხობს – აკაკი კარანაძემ (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზეა საუბარი, ძალიან წესიერ კაცზე) დამირეკა, სასწრაფოდ შეწყვიტე პროცესი, მოსკოვიდან მოვფრინავ, თბილისში ჩამოდი და საქმე ჩამოიტანეო.

რა გაეწყობოდა. *ჯუდუმ* ჩაალაგა საქმეები და მისივე მანქანით წამოვედით თბილისში. ზემოთ როგორც გითხარით, ზამთარი იყო, თებერვალი, მანქანა თოვლში ცურავდა, სამი საათის ნაცვლად 4:30 წუთში, საღამოს 9 საათი იქნებოდა, რომ ჩამოვედით თბილისში. დაცვამ გვითხრა, აკაკი კარანაძე ნახევარი საათის წინ მოვიდა და კაბინეტშიაო. მოხდა ისე, რომ კარანაძე კაბინეტში ელოდებოდა *ჯუდუს*. დაატოვებინა საქმე და ეუბნება: „კარგი *ჯუდუ,* შენ თავისუფალი ხარ“. სხვას არაფერს ეუბნება, რა ხდება. რა თქმა უნდა, მეც მაინტერესებს. 3 თვეა, ვიხილავთ საქმეს, გავედით ბოლოში და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეს საქმეს ატოვებინებს. ეს ცოტა უცნაურია. გარეთ ვარ ჩასაფრებული, მაინტერესებს *ჯუდუ* რას იტყვის. გამოვიდა, იქნევს ხელებს (ემოციური კაცი იყო) მითხრა: „ვერ გავიგე ვერაფერი, არაფერი არ მითხრა, დამატოვებინა საქმე და წადიო, ალბათ საქმეს ჩამოგვართმევენ“. „რა ჯობია მაგას, თუ ჩამოგვართმევენ, მაგრამ შენთან რა საფუძველი ჰქონდათ-მეთქი“. – ვერაფერი მიპასუხა.

სამსახურში უამრავი საქმე იყო დაგროვილი. დასკვნები მოსკოვში გასაგზავნი და ა. შ. ჯოჯოხეთური საქმე. გავაგრძელეთ მუშაობა. ყოველდღე ვეკითხები წაქაძეს: „ჯუდუ, რა ხდება იმ საქმეზე, ხომ არაფერია ახალი“? „არაფერი“– მპასუხობს. ერთი თვის შემდეგ მეუბნება წაქაძე: „ხარკოვში მგზავნიან კურსებზე“. დიდი რა მიხვედრა უნდოდა, საქმის ჩამოცილება უნდოდათ ჩვენთვის. მართლაც, წაქაძე ხარკოვში გაუშვეს კურსებზე. საქმე გადააწერეს ორდე ბებიას, პროკურორი შეცვალეს და დაავალეს ანზორ ბალუაშვილს მონაწილეობა. საქმე განიხილეს თავად რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს დარბაზში, ჩვენთან აპარატში და რა ვიცი, რისთვის? რატომ? ამირანაშვილი დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს. როცა შეეკითხნენ ამირანაშვილს ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედო, მან უპასუხა რომ სრულად ვცნობო. რაში ცნობდა თავს დამნაშავედ და რატომ? – გაურკვეველია. ცხადია, რომ იყო გავლენები, მუქარა და ა.შ. ერთი, რაც კარგი მოხდა, იყო ის, რომ ზუსტად იმდენი მიუსაჯეს, რამდენი დღეც იყო დაკავებული და დარბაზიდან გაათავისუფლეს. ეს ამირანაშვილისთვის იმ დროს ბედნიერება იყო, მაგრამ ამირანაშვილი არ იყო ისეთი დონის ადამიანი, რომ თავი დაეხარა. ის ძალიან განათლებული, პრინციპული კაცი იყო, რის გამოც ქუთაისში ბევრს არ უყვარდა. განათლებული, პრინციპული, კანონმორჩილი კაცი რომ არ გიყვარს, ეს ცალკე თემაა. ამირანაშვილმა მოახერხა ის, რასაც მაშინ საქართველოში ვერ ახერხებდა ერთი პროცენტიც კი. დაწერა დასაბუთებული საჩივარი და პირდაპირ გადასცა გორბაჩოვს. როდის იყო, რომ გასამართლებული მსჯავრდადებული საჩივარს პირადად აძლევდეს ხელში საბჭოთა კავშირის ნომერ პირველ პირს, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს? გორბაჩოვმა რეზოლუცია დააწერა თავის განყოფილების გამგეს. ცეკაში იყო ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა *სავეინკინი*. გთხოვთ, შეამოწმოთ ადგილზე, თუ ამას პატიაშვილი არ ეწინააღმდეგებაო. შექმნა *სავეინკინმა* ორ კაციანი *ჯგუფი*. ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა დაურეკა პატიაშვილს და უთხრა, გორბაჩოვის რეზოლუციით საჩივარი გვაქვს ქუთაისის ქალაქკომის მუშაკ ამირანაშვილის და საქართველოში ჩამოვდივართო. პატიაშვილმა მაშინვე გადარეკა კალანდაძესთან, რაზმაძესთან, გორ-

გოძესთან. მირეკავს რაზმაძე (მაშინ უკვე აღარ ვმუშაობდი იმ განყოფილებაში, სამოქალაქო სამართლის განყოფილებაში ვიყავი) და მეუბნება: „ნეტა შენთვის დაგვეჯერებინა, საშინელი სურათი იქმნება, პარტიის საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა კომისია შექმნა და ამოწმებენ ამ საქმეს. შენთვის რომ დაგვეჯერებინა, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით. შენთან ერთი თხოვნა მაქვს, შენ ხომ დაგკითხავენ?“ ვუთხარი: „*აპოლონოვიჩ,* დამკითხავენ, მაგრამ მე რაც ვთქვი, ის ოქმში შეტანილია და სხვას ხომ არ ვიტყვი?“ აგრძელებს: „ვიცი, სხვას რომ არ იტყვი, მაგრამ თუ დამთანხმდები, მომავალი ორშაბათიდან ბრიგადა უნდა გავაგზავნოთ, ხობის პროკურორს ხუთწლიანი ვადა გასდის და კომისია ჩადის, გავუგრძელოთ თუ არა ვადა. მოდი, ჩაუდექი ამ ბრიგადას სათავეში და წადი“. ანუ ჩემი განრიდება უნდოდათ და განმარიდეს კიდეც.

მოკლედ, ეს საქმე დამთავრდა ისე, რომ მე განმარიდეს. შემდეგ სასწრაფოდ დაწერეს პროტესტი, განიხილა კარანაძემ და გიორგი ამირანაშვილი გაამართლა. ამირანაშვილის გამართლება მაინც ჩემგან დაიწყო და მიმაჩნია, რომ მე ერთ-ერთი ღირსეული ნაბიჯი გადავდგი, როცა ამ პროცესში მივიღე მონაწილეობა და ამირანაშვილის საქმეში ღირსეული როლი შევასრულე.

წყალტუბოს პროკურორი

(1991-1992წწ)

წყალტუბოს პროკურორად ჩემი დანიშვნა განაპირობა იმან, რომ საქართველოს პროკურატურაში გამოთავისუფლდა საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობა და ყველა მოელოდა, რომ ამ თანამდებობაზე მე დავინიშნებოდი. მოხდა ისე, რომ დამიძახა რაზმაძემ და მთხოვა, დავფიქრებულიყავი და თანხმობა მეთქვა წყალტუბოს პროკურორობაზე. ერთ-ერთი მოტივი ჩემი დათანხმების იყო ის, რომ ძალიან ბევრი ნათესავი, ბიძაშვილი და მამიდაშვილი მყავდა წყალტუბოში.

ჩემი ბიძაშვილები **შიო** *და* ***გუშერი*** **ბენიძეები** მამაჩემის გაზრდილები იყვნენ, რადგან მათ მამა ფრონტზე დაეღუპათ. ისინი არასდროს ძმებში არ გამირჩევია. ჩვენ ხუთნი ვიყავით: ჩემი ძმა – ზაური, გიორგი (გოგი), შიო, *გუშერი* და მე. განსაკუთრებული პატივისცემა მქონდა ორივე ძმის მიმართ. წყალტუბოში მყავდა ახლო ნათესავი, **ჟორა ომანაძე**, რომელიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა ჩემში. ბედნიერება იყო, როცა ერთად შევიკრიბებოდით, ვთამაშობდით ჭადრაკს, დომინოს. ერთმანეთთან ყველას ოჯახები, სიყვარული და პატივისცემა გვაკავშირებდა. მინდა გამოვყო ჩემი შიოს შვილი ქეთინო, რომელიც ფაქტობრივად ჩემთან გაიზარდა. შემდეგ მოსკოვში წავიდა, დაამთავრა საექთნო და წყალტუბოში დაიწყო მუშაობა. ქეთინო, მძიმე ავადმყოფობის პერიოდში, გვერდიდან არც ერთი წუთით არ მომცილებია. მე არ მინახავს ასეთი გვერდში დგომა. ჩემთვის ყველა ნათესავი ძვირფასია, ყველას ვაფასებ და პატივს ვცემ. თქვენც მინდა გითხრათ, რომ ნათესავების მიმართ დიდი პატივისცემა, სიყვარული ყურადღება გმართებთ.

წყალტუბოში ჩემი სამსახურებრივი 2 წლიანი საქმიანობა იყო ურთულესი. რადგან იმ პერიოდში წყალტუბოში თარეშობდნენ მხედრიონის და გვარდიის დანაყოფები. პრაქტიკულად ღამე გამოსვლა წყალტუბოში შეუძლებელი იყო. თავად აწყობდნენ პიკეტებს, აჩერებდნენ გამვლელ მანქანებს, თუ არ შეჩერდებოდა, ესროდნენ. წყალტუბოს მილიცია გვერდით იყო გაწეული და ვერ

უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგს. წყალტუბოს მილიციის უფროსი ნათესავი იყო მინისტრის, რომელიც ქეიფის მეტს არაფერს აკეთებდა. ერთი წელი ვიმუშავე მასთან ერთად. მეორე წელს განთავისუფლდა და წყალტუბოს მილიციის უფროსად დაინიშნა **თემურ მაისურაძე**. ძალიან კარგი ადამიანი და თანამშრომელი. ჩემი მოადგილე იყო **თემურ მონიავა,** რომელიც შემდეგ დაწინაურდა და დაინიშნა მარტვილის პროკურორად, ხოლო მარტვილის პროკურორი **მალხაზ საჯაია** გადმოიყვანეს ჩემს მოადგილედ, ჩემი წამოსვლის შემდეგ კი ცხადია, ჩემი რეკომენდაციით ის, დატოვეს თანამდებობაზე. ჩემივე თანხმობით მივიღეთ სტაჟიორად და შემდეგ გამომძიებლად **ქეთევან თალაკვაძე** და იმ დროს, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩართული **მერაბ სულაბერიძე,** რომელიც ძალიან კარგი ბიჭი იყო.

წყალტუბოში მომხდარი საქმეების გამოძიება

საქმე N... უსაზიზღრესი დანაშაული

წყალტუბოში ჩასვლის მეორე დღესვე, განყოფილებაში მოქალაქეებმა, ერთ-ერთი სოფლიდან მოიყვანეს პიროვნება, წარსულში არაერთგზის ნასამართლები **ალიოშა კიკვაძე,** რომელმაც საკუთარი შვილი, ორი შვილის დედა გააუპატიურა. როგორც შემდეგ გაირკვა, შვილი გათხოვილი იყო ჭიათურაში. წყალტუბოში დაპატიჟეს ნათესავებმა და როცა მამა-შვილი გვიან წამოვიდნენ სახლში, ვენახებში საშინელი ძალადობის გამოყენებით დაამყარა შვილთან სქესობრივი კავშირი. მეორე დღეს, ახლა უკვე საკუთარ სახლში, კვლავ სცადა ანალოგიური ქმედება. ქალმა ეშმაკობა იხმარა, უთქვამს: „ნუ ძალადობ, თავად დაგთანხმდები, ჯერ თავს მოვიწესრიგებო“. ქალი გარეთ გამოვიდა, აივნიდან გადახტა და დახმარებისთვის მეზობლებს უხმო. მეზობლებმა დააკავეს ალიოშა და მოიყვანეს განყოფილებაში. იმდენი მტკიცებულება იყო, რომ იმ დღესვე შეიძლებოდა მისი გასამართლება, მაგრამ მერე გამოირკვა, რომ მას გაუპატიურებული ჰყავდა ასევე მეორე შვილი, 14 წლის, რომელიც დაორსულებულა და აბაშაში წაუყვანიათ აბორტის გასაკეთებლად. ამ ყველაფერში ალიოშა მისმა მეორე ცოლმა ამხილა, რომელიც თავის გერებს იცავდა.

დაიწყო გამოძიება და კიკვაძეს დაუმტკიცდა უსაზიზღრესი დანაშაული, რომელსაც მხოლოდ მანიაკები თუ ჩაიდენენ. მიესაჯა 15 წელი. თუმცა, მრავალი წლის შემდეგ, როცა კიკვაძე გამოუშვეს, მან შვილიშვილის გაუპატიურება სცადა. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ იმ პერიოდში, რომ ყოფილიყო სიკვდილით დასჯა, აუცილებლად მოვითხოვდი მისთვის ამ სასჯელს.

საქმე N...

არანაკლებ მძიმე დანაშაული იყო, როცა გვარდიელები შევარდნენ ერთ-ერთ ოჯახში, სადაც ერთმა გვარდიელმა ოჯახის თვალწინ გააუპატიურა 8 თვის ფეხმძიმე გოგონა, რომელსაც მუცელი მოეშალა. გვარდიელი პოლიციამ დააკავა. თუმცა გასამართლება

არ გვაცადეს, გამოვიდა ამნისტია და ეს ნაძირალა გათავისუფ-ლდა.

საქმე N...

იყო ასეთი შემთხვევა: სოფელ *ფარცხანაყანევში* თავს დაესხნენ ერთ ოჯახს. ოჯახის უფროსმა იცოდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, ჩაუსაფრდა მათ და გასროლით ერთ-ერთი თავდამსხმე-ლი მოკლა. ეს ადამიანი მთელი ცხოვრება შიშში ცხოვრობდა გა-ნცდებით, რომ გვარდიელებს შურისძიების მიზნით არ მოეკლათ.

საქმე N...

გავიხსენებ ერთ შემთხვევას: ერთ-ერთი გვარდიელი პოლიცი-ის აქტიური მოქმედების შედეგად დაკავებულ იქნა ყაჩაღობების ჩადენისათვის. საქმე გამოძიებულ იქნა მაღალ დონეზე და გადა-ეცა სასამართლოს განსახილველად. ერთ დღესაც ჩემ კაბინეტში ვარ, შემოდის მდივანი და მას ორი ავტომატებით შეიარაღებული ადამიანი მოჰყვება. ერთს, რომელსაც თვალი ახვეული ჰქონდა, მეუბნება: „უნდა გაგვატანოთ მისი საქმე, ვინც დაკავებული გყა-ვთ. თუ არ გაგვატან, სისხლი დაიღვრება“. ჩვენთან არ არის ეგ საქმე, სასამართლოშია-მეთქი. ის მპასუხობს: „სასამართლოში კი არის, მაგრამ მოსამართლემ თქვა, თუ პროკურორი მეტყვის, ახ-ლავე გაგატანთო“. როგორც ჩანს, მოსამართლე პავლე კოვზირი-ძესთან იყვნენ, პავლემ გამოსავალი ნახა და ჩემთან გადმოამისა-მართა ისინი. საუბრის დროს, „ცალთვალას“ გაუვარდა ავტომატი და კედლის კუთხეს მოხვდა. ძალიან დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. ყვიროდა, პოლიცია არავინ გამოიძახოს, თორემ ვისვრითო. საოც-რად დაბალი დონის, გაუნათლებელი ადამიანები იყვნენ. ვეკითხე-ბი, რომელი დანაყოფიდან ხართ? დამისახელეს ვიღაც ზურაბი, მეც ვიეშმაკე და თავი მოვაჩვენე, თითქოს ამ ზურაბს ვიცნობ, ავკ-რიბე ტელეფონზე ჩემი პროკურორის ნომერი ერთი, რომლითაც იმ დროს, პირდაპირ თბილისში ვუკავშირდებოდი და ვეუბნები: „ზუ-რიკო, შენები არიან ჩემთან, ითხოვენ პატიმრის საქმის გადაცემას და როგორ მოვიქცე?“ ის იქიდან მპასუხობს: „რა ზურიკო, *ვენედი*,

ალეკო ვარ!“ მე ჩემსას ვაგრძელებ: „ზურიკო, შენი ხალხია აქ, გადავცე საქმე? როგორც იტყვით ისე მოვიქცევი“. *„გიორგიევიჩ,* რას მეუბნებით? ალეკო ვარ!“ მოკლედ, ვერ მივახვედრე, რომ ძალიან დიდ საფრთხეში ვიყავი... მოვუბრუნდი ამათ და ვეუბნები, მოდით, თუ გინდათ დაელაპარაკეთ-მეთქი. არა, არაო, იუარეს, ენდვნენ ჩემს მიერ დამაჯერებლად გათამაშებულ სცენას. გავთიშე ტელეფონი, ვუთხარი მათ წაბრძანდით და ამ საქმეს მე მივხედავ-მეთქი. მადლობა გადამიხადეს და ასე გამოვისტუმრე ორივე. სახეზე ფერი არ მადევს, დავცოფე მდივნები, რომ ვერ მოიფიქრეს პოლიციის გამოძახება. თავად გამოვიძახე პოლიცია. მოხდა ადგილის დათვალიერება, მაგრამ ეს პირები ვერსად იპოვეს. სადაც გვარდია იყო დისლოცირებული, პოლიციის იქ მისვლა ნიშნავდა, რომ შეტაკება მომხდარიყო და ისევ ჩვენ შევიკავეთ თავი. ამით იმის თქმა მინდა, რომ არავინ თქვას, გამბედავი ვარ, არ შემეშინდება... მე მაშინ გადამარჩინა მათმა უტვინობამ და ჩემმა გონიერებამ, რომ ასეთი სცენა გამეთამაშებინა.

წყალტუბოში, ჩემი ხელმძღვანელობით, სხვა არაერთი საქმე გამოვიძიეთ, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი იქ ყოფნის პერიოდში მხედრიონიც და გვარდიაც ისე ვეღარ თარეშობდა, როგორც წინათ.

შეხვედრა თამაზ ყურაშვილთან, მეტსახელად „ბუღასთან“

ერთხელ პოლიციიდან გამოვედი, კიბეზე ჩამოვდივარ და ვხედავ, მთელი ჯარი მოდის. წინ ორი პიროვნება მოუძღვება, ერთმანეთს რაღაცას უხსნიან. დავინახე ლეჩხუმელი თამაზ ყურაშვილი, მეტსახელად „ბუღა“. *ბუღაია*, შენ აქ რა გინდა-მეთქი ვეუბნები, რომელსაც არც კი ვიცოდი, რომ თურმე განუზომელი გავლენები აქვს. მის გვერდით მდგომებმა ავტომატები შეაყენეს, რას ჰქვია, „ბუღა“ ვაკადრე. მან გაიცინა, გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: „*გიორგევიჩ*, ზოგიერთი მიძახის „ბატონ ბუღას“ და „ბუღა“ და ბატონი გაგიგია?“ – ორივეს გაგვეცინა. მითხრა: „თქვენგან ბევრი სიკეთე მახსოვს... ბავშვობაში თქვენ დამარქვით „ბუღა“ და დღეს, თამაზის არავინ მეძახის“. ცოტახანს კიდევ ვისაუბრეთ, შემდეგ დავემშვიდობეთ ერთმანეთს და წამოვედი.

ვისაც მიაჩნია, რომ თენგიზ კიტოვანი ან ჯაბა იოსელიანი გმირია, ის ქვეყნის გამყიდველი და მოღალატეა. ისინი იყვნენ რუსეთის აგენტები. გაწირეს ქვეყანა, მიიყვანეს სამოქალაქო ომამდე. ის, რომ შევარდნაძემ გადაარჩინა ქვეყანა სამოქალაქო ომს, უდავოა. არასდროს ვყოფილვარ შევარდნაძის დიდი მოტრფიალე, მაგრამ ეს სიმართლეა. რომ არა მაშინ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლა, საქართველო ომის ქარცეცხლში გაეხვეოდა. შევარდნაძე იყო უდიდესი პოლიტიკოსი საქართველოს ისტორიაში და სტალინის მერე მას ბადალი არ ჰყოლია.

ორგანიზებულ დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო

წყალტუბოდან გადმომიყვანეს ორგანიზებულ დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსად (მოგვიანებით ეწოდა ორგანიზებულ დანაშაულთა შესახებ კორუფციისა და გამოძიების სამმართველო). დეკემბრის ბოლო რიცხვები იყო დამირეკა ჩემი ბავშვობის მეგობარმა, ჩემმა კურსელმა, უნიჭიერესმა კაცმა **თედო ნინიძემ** და მითხრა: „*ვენედი*, უნდა წამოხვიდე თბილისში“. მას სჭირდებოდა გვერდში მდგომი. თედოს სისხლის სამართალში არ ჰქონდა გამოცდილება, მაგრამ სამოქა-

ლაქოში, ის გენიაა! შემომთავაზა ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსობა, რაზეც დავთანხმდი და 29 დეკემბერს, ჩემი მანქანით, ოჯახთან ერთად, გამოვემგზავრე თბილისში.

აფხაზეთის გენოციდის საქმე

აფხაზების მიერ ომში ჩადენილი სასტიკი დანაშაულები

(ორგანიზებულ დანაშაულთა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო)

ორგანიზებულ დანაშაულთა შესახებ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობისა და გამოძიების სამმართველოს უფროსად მუშაობის პერიოდში იყო გარკვეული სირთულეები, მაგრამ მისი დაძლევა ერთობლივი ძალისხმევით ხდებოდა. ჩემთან ერთად მუშაობდნენ არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც ყველა დავალებას შესანიშნავად ასრულებდნენ. არ შემიძლია, არ გამოვყო, განყოფილების უფროსი, – **თემურ ჯიჯიაშვილი,** რომელიც საპროკუროროს ხელმძღვანელობდა. ცხადია, ჩემი მეგობარი, უნიჭიერესი ადამიანი **გურამ გიოშვილი,** ჩემთან ერთად მუშაობდა **მერაბ სიჭინავა,** რომელიც მუდამ გვახალისებდა. საგამოძიებო ნაწილში მუშაობდა, გამოცდილი პროფესიონალი **თემურ მონიავა, ელდარ *თოფჩიევი*, გოჩა ფარულავა.** შემადგენლობა იყო საკმაოდ ძლიერი კადრებით დაკომპლექტებული. მოგვიწია საკმაოდ რთული საქმეების გამოძიება, რომლებსაც ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში წარმატებით გავართვით თავი.

ჩვენი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებაში, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, აფხაზეთში გენოციდის განხორციელების ფაქტზე. საქმე საგამოძიებო განყოფილების უფროსმა თემურ მონიავამ აღძრა, რომელიც იმ დღესვე გამოსაძიებლად გადმომეცა. დავიწყე გამოძიება გენოციდის საქმეზე, ჩაერთო საქართველოს ყველა პროკურატურა. ყველა პროკურორს გადავეცი დავალება (კერძო დავალება არსებობდა საპროცესო კანონმდებლობაში), სადაც კი ლტოლვილი იყო ან რაიმე იცოდა აფხაზეთის ომთან დაკავშირებით, დაეკითხათ და მასალები მოეწოდებინათ ჩვენთვის. ის, რაც თბილისში იყო გასაკეთებელი, ჩვენ ვაკეთებდით, ხოლო რაც რეგიონებში, ამას აკეთებდნენ ადგილობრივი პროკურატურის მუშაკები, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი პროკურორი. აი, ამ გამოკითხვებით დადგინდა, რომ აფხაზები ომში სჩადიოდნენ საოცარ სისასტიკეს და ისეთ დანა-

შაულებს, რომელიც ჰიტლერსაც კი არ ჩაუდენია. ბევრს გაქვთ ალბათ წაკითხული მიხეილ კვესელავას „ასერგასის დღე“, სადაც საშინელი სისასტიკეებია აღწერილი. შეიძლება ითქვას, რომ ის ჩვენებები, რომლებიც მოვიპოვეთ აფხაზების და არა მარტო აფხაზების, ჩეჩნების... მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან, არ ჩამოუვარდებოდა ნაწარმოებში გადმოცემულ ამბებს.

აფხაზები ამბობდნენ, რომ ქართველები**,** მხედრიონის სახით**,** სჩადიოდნენ სასტიკ დანაშაულებს და ჩვენ**,** სამაგიეროს ვუზღავდითო**.** თუმცა ამის შესახებ ჩვენ არც ერთი ოქმი არ გვქონდა**.** ის, რომ ქართველებს თავებს აჭრიდნენ და აფხაზები ფეხბურთს თამაშობდნენ, მსგავსი სისასტიკეები მხედრიონს არ ჩაუდენია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ინფორმაცია არ გვქონდა. ამ საქმეებზე დაიკითხა უამრავი მოწმე, შეგროვდა უამრავი მასალა.

1993 წელს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ იყო შექმნილი, რომელიც განიხილავდა ამ საქმეს (ის შეიქმნა 1998 წელს, ქალაქ ლვოვში15-17 ივლისს), ამიტომ რაიმე ძალა ჩვენ მასალებს მაშინ არ გააჩნდა. შემდეგ ეს საქმე, არ ვიცი, რატომ და რისთვის, გამოსაძიებლად **ანზორ ბალუაშვილს** გადაეცა **,** რომელმაც საქმეზე მუშაობა გააგრძელა. მანამდე, როგორც გითხარით, ვიძიებდით ჩვენ და ამ საქმის კურატორი იყო რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე **გოჩა პაიჭაძე.** არ შემიძლია, ამ კაცზე ორიოდე სიტყვა არ ვთქვა. გოჩა იყო ძალიან კულტურული, მეგობრული, გვერდში მდგომი ადამიანი. როცა ის პროკურატორიდან წავიდა, მასთან მეგობრული ურთიერთობა არ გამიწყვეტია. დასანანია, რომ ბატონი გოჩა ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.

იმ პერიოდში, როცა ჩვენ გენოციდის საქმეს ვიძიებდით, გენერალურ პროკურატურაში მუშაობდა **თედო ნინიძე,** რომელმაც, პრაქტიკულად, სახელი გაუთქვა პროკურატურას თავისი წესიერებით და და პატიოსნებით. ალბათ, პროკურატურის ისტორიაში თედო ნინიძე იყო ერთ-ერთი უწესიერესი კაცი. ის იყო სამოქალაქო სპეციალისტი და არ უნდოდა სისხლის სამართლის მიმართულებით მუშაობა. თედო მისივე სურვილით წავიდა გენერალური პროკურორობიდან, თუმცა მალე დაინიშნა იუსტიციის მინისტრად. რა თქმა უნდა, ეს იმ პერიოდში, სწორი გადაწყვეტილება იყო.

გენერალურ პროკურორად დაინიშნა **ჯამლეტ ბაბილაშვილი,** უდავოდ ნიჭიერი კაცი, თუმცა სუსტი ნებისყოფის. ის არ იყო პრინციპული, შემტევი და მის მიმართ ვიგინდარა ჩინოვნიკები შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ, თუმცა ის მათ არასდროს უბრუნებდა პასუხს. სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო, რომ ჩვენ ჩამოგვრთმეოდა აფხაზეთის გენოციდის საქმე და **ანზორ ბალუაშვილს** გადასცემოდა, რომელმაც კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ჩვენ არ გვქონდა მტკიცებულებები, თუ რას სჩადიოდნენ ქართველები აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის დროს, მაგრამ ჩვენ გვქონდა ფაქტები: ვიდეოები, ფოტოები და სხვა მტკიცებულებები, თუ რას სჩადიოდნენ აფხაზები, ქართველების წინააღმდეგ, აფხაზეთის ომში.

საქმე N... ზვიადისტების მიერ ხელისუფლების დამხობის ფაქტზე

ასევე შემიძლია გავიხსენო საქმე, რომელზეც ჩვენმა სამმართველომ (სხვებიც იყვნენ ჩართული) გააგრძელა გამოძიება. ეს საქმე იყო ეგრეთ წოდებული „ზვიადისტების“ მიერ ხელისუფლების დამხობის ფაქტზე. მოგეხსენებათ, რომ ზვიადი დაბრუნდა გროზნოდან, იმყოფებოდა სამეგრელოს ტერიტორიაზე, მასთან ერთად იყო რამდენიმე სამხედრო შენაერთი და იქ სხვადასხვა საბრძოლო მოქმედებები ჩატარდა. ამ საქმეზე გამოძიება დაევალა ჩვენ სამმართველოს მას შემდეგ, რაც **ვალერი მინდიაშვილმა,** რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, უარი თქვა საქმის გაგრძელებაზე და საერთოდ, წავიდა პროკურატურიდან. ეს საქმე *გადმომეცა* მე. როცა საქმის სათაური წავიკითხე, ძალიან არ მომეწონა. ასეთი დასათაურებით საქმის აღძვრა, საქმის გამწვავება იყო და ასეც მოხდა. ვინც ამ საქმეზე ჯგუფში იყო ჩართული, მიეცათ დავალება, თავიანთ რაიონში ჩაეტარებინათ გამოძიება. ერთი ნიუანსი მინდა აღვნიშნო: როცა ამ საქმის გამოძიებას ვიწყებდით, ქვეყნის პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ თავის საჯარო გამოსვლაში თქვა: „მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ გამოძიების ჯგუფს ვთხოვ, რომ უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს მხარეთა მორიგებას და იარაღის ამოღებას, არ მისცენ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული“. ამ საქმეზე თუ ვინმეს დავიჭერდით, ცხადია, ყველა შემთხვევაში მიეცემოდა პოლიტიკური სარჩული, მაგრამ შევარდნაძემ, ეტყობა, თავისი დიპლომატია გამოიჩინა, რადგან მისგან განსხვავებით, მსგავსი არაფერი უთქვამს რესპუბლიკის პროკურორს და მის მოადგილეს – **გოჩა პაიჭაძეს,** რომელიც ჩვენი სამსახურის კურატორი იყო.

ჩვენ ჯგუფს მოუწია, ჩავსულიყავით სენაკში, სადაც იმ დროს იყო ჯოჯოხეთური პირობები: უშუქობა, სიცივე, საკვების დეფიციტი... ვცხოვრობდით ძალიან მოუწესრიგებელ საცხოვრებელ ვაგონში, საკმაოდ რთულ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება დაევალათ სენაკში **თემურ მონიავას,** ზუგდიდში **ანზორ *ხვადაგიანს*** და ხობში **გურამ**

გიოშვილს, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. იყვნენ სხვა ჯგუფებიც, რომლებიც ასევე კარგად მუშაობდნენ. დააპატიმრეს და ზუგდიდში ამხილეს აბსანძე და კიდევ ერთი პირი სახელმწიფო ქონების 130 000 დოლარის ბანკიდან თაღლითური გზით გატაცებისთვის, დააპატიმრეს ლოთი ქობალია**,** რომელმაც დახვრიტა ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე**.** ამ საქმეზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ დათო ბოლქვაძე**,** ლოთი ქობალიამ დახვრიტა**!**

საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ბევრი სირთულე შემიძლია გავიხსენო. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ სამეგრელო სავსე იყო მხედრიონით და გვარდიელებით, რომლებიც ათასგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ. მიადგებოდნენ შეძლებულ ოჯახებს ძარცვავდნენ, ვინც კარს არ აღებდა, ბულდოზერით უნგრევდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ, ართმევდნენ ფულს და სხვა მატერიალურ ფასეულობებს. ზვიადისტები, რომლებიც ბოლომდე იყვნენ შეიარაღებულნი, თავიანთი სოფლის დასაცავად არაფერზე იხევდნენ უკან. ჩვენ ძალიან ფრთხილი მუშაობა გვიწევდა, ბეწვის ხიდზე გავლა. მხედრიონი მოქმედებდა სახელმწიფოს სახელით, მისი საჯარისო ნაწილები ითვლებოდნენ სახელმწიფო დანაყოფებად.

რაც შეეხება ზეწოლას, ჩვენ უნდა დაგვეპატიმრებინა ზვიადისტები, რადგან ისინი იბრძოდნენ, რომ ზვიადი დაებრუნებინათ ქვეყნის სათავეში (შევარდნაძე ახლად არჩეული პრეზიდენტი იყო). მაგრამ სამართალში ასეა, ხელისუფლების დამხობის შემდეგ, თუნდაც ის უკანონო იყოს, თუ ჩატარდა ახალი არჩევნები და ლეგიტიმურად იქნა არჩეული სხვა პრეზიდენტი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, ის უკვე კანონიერია და მან უნდა მართოს ქვეყანა. ეს არის დაწერილიც და დაუწერელი კანონიც. რაიმე ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან, მითუმეტეს პრეზიდენტის მხრიდან, რომ დაგვეპატიმრებინა ზვიადისტები, არ ყოფილა. იყო პატარ-პატარა ინციდენტები, რომლებიც დროულად *აღმოვფხარით*.

7 შვილიანი ქალის პატიმრობა ზვიადისტობის გამო

იყო ასეთი შემთხვევა – ზუგდიდში ჩემი არყოფნისას გოჩა პაიჭაძემ ზვიადისტობისთვის დააპატიმრა 7 შვილის დედა, გვარად **ბულია**. როცა თბილისიდან ზუგდიდში დავბრუნდი, ბატონი გოჩა თბილისში წასული დამხვდა. ვზივარ კაბინეტში, მოვიდა ვიღაც კაცი და მეუბნება: „რას ჰგავს ეს, პოლიტიკური ბრალდებით როგორ იჭერთ ქალბატონს, მხოლოდ იმისთვის, რომ მიტინგებზე დადის?“. ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, განსაკუთრებული პატივისცემა მქონდა გოჩა პაიჭაძის მიმართ, მაგრამ ძალიან გავბრაზდი. სასწრაფოდ დავრეკე რესპუბლიკის პროკურორთან და ვუთხარი, რომ მიტინგებზე გამოსვლისთვის 7 შვილის დედას ვერ დავიჭერ და ბრალდება უნდა შევუცვალო-მეთქი. გოჩასაც ვესაუბრე. მან მითხრა: *„ნეტა, ზვიადისტები სუყველა დამაჭერინა, რომლებიც ხალხს აგინებენ, როცა გავიგე, რომ ბულია სენაკელია, მაგას გარეთ ვერ დავტოვებდი“*. იძულებული გავხდი, თბილისში წავსულიყავი. შევედი **ბაბილაშვილთან** ვუთხარი, მანამ არ დავბრუნდები უკან, სანამ ეს ქალი ციხეში დარჩება-მეთქი. თქვენ როგორც გინდათ, ისე გადაწყვიტეთო. ასეთი დამოკიდებულება გენერალური პროკურორის მხრიდან გაუმართლებელია. პაიჭაძესთან ავედი, მასაც ვუთხარი, რომ ეს ქალბატონი უნდა გამოგვეშვა. ასე არ შეიძლება-მეთქი. ვერა და ვერ გადავარწმუნე. ვუთხარი, არ მჭირდება თქვენი ფიცი-*მტკიცი,* წავალ და თავად მივიღებ გადაწყვეტილებას-მეთქი. წამოვედი ქუთაისში, გამოვიძახე გამომძიებელი გამოვატანინე დადგენილება, გამოვაყვანინე ბულიას ქალი და ვუთხარი, რაღაც გაუგებრობა იყო (სხვა რა უნდა მეთქვა), შენ თავისუფალი ხარ პატიმრობიდან. წადი სახლში, იყავი შენ შვილებთან, ნუ გამოხვალ მიტინგზე და ნუ ატეხავ შფოთს და უბედურებას-მეთქი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ზუგდიდში ასევე მოგვიხდა რამდენიმე მკვლელობის გამოძიება, რომელიც გაძნელდა იმის გამო, რომ გვამები არ იყო გამოკვლეული. გვამების გამოკვლევა იმ პერიოდში, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, რადგან თბილისში ექსპერტიზაზე უნდა გადმოგვესვენებია, სადაც, ჯერ ერთი, რომ მოძრაობა შეზღუდული იყო, მეორე – მეპატრონეები არ გამოგვატანდნენ გვამს და შესაძლოა ამას დიდი დაპირისპირება გამოეწვია.

სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება მოქალაქეების მიმართ

თავისთავად საინტერესოა, თუ როგორ გამოვიძიეთ და გავხსენით კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები, მაგრამ ამავდროულად საინტერესოა სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება მოქალაქეების მიმართ, რომელიც მომავალი თაობისთვის უნდა იყოს კარგი გაკვეთილი. ამასთან დაკავშირებით მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო.

ერთ დღეს, კაბინეტში ვზივარ და მირეკავს სენაკის კომენდანტი (მაშინ სამეგრელოს კომენდანტი **გივი ლომინაძე** იყო) თბილისის შსს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე **კორნელი ჩალაძე** (1995 წელს, კორნელი ჩალაძე, თბილისში, საკუთარ კაბინეტში მოკლეს) და მეუბნება: „მესამე დღეა, დაკავებული მყავს ქალბატონი ზვიადისტები, რომლებიც მოქალაქეებს მოუწოდებდნენ, რომ ეომათ, ასე დაემხოთ ქვეყანა და შევარდნაძის ხელისუფლება“. ვუპასუხე: „თქვენ არ ხართ უფლებამოსილი, ასეთ საქმეებში ცხვირი ჩაყოთ, თუ ასეთი ინფორმაცია გქონდათ, ამ საქმეზე, ათეულობით გამომძიებელი ვმუშაობთ და ჩვენ გამოვიძიებდით. დაუყოვნებლივ, სამივე ქალი გამოუშვი პროკურატურაში!“. იქვე ვკითხე, „სად არიან დაკავებული ქალები?“ დამაინტერესა, რადგან მაშინ სენაკის პოლიციის შენობა ფაქტობრივად არ არსებობდა, ნახანძრალი იყო, სახურავიც კი არ ჰქონდა. თუ იქ სამი დღე გააჩერეს ეს ქალები გამოდის, რომ ღია ცის ქვეშ გაათენებინეს.

დავამთავრე თუ არა საუბარი, დავდექი ფანჯარასთან, რათა მენახა, თუ საიდან და რით მოიყვანდნენ ამ ქალებს. პოლიციის შენობა ჩვენგან შორს არ იყო. ჰოი, საოცრებავ, ჩვენ შენობასთან გაჩერდა პატიმრების გადასაყვანი ავტომანქანა და პოლიციამ გადმოიყვანა სამი ქალი. ჩავედი ქვემოთ, შევიყვანე ეს ქალები ერთ-ერთი გამომძიებლის ოთხში, სადაც სითბო იყო. გამოველაპარაკე მათ. არცერთი ხმას არ იღებდა. როგორც გავიგეთ, ერთი იყო ყოფილი რაიკომის აგიტაცია პროპაგანდის გამგე, მეორეს თანამდებობა არ მახსოვს, მესამე იყო გვარად პაპასკირი. სამივე საოც-

რად დათრგუნული, შეშინებული იყო. არაფერზე პასუხის გაცემა არ უნდოდათ. თანამშრომელს მოვატანინე ჩაი და *ორცხობილა*, რა თქმა უნდა, მშივრები იყვნენ. ჩვენი ასეთი დამოკიდებულება რომ დაინახეს, მოგვენდვნენ და ნელ-ნელა საუბარიც დაიწყეს. ვკითხე:

– რას აშავებდით?

– არაფერს ისეთს, არ გვიყვარს შევარდნაძე და ეგ გადაშენდეს, ამას ვიძახდით, სხვა არაფერი დაგვიშავებია.

– თქვენ ხომ მოუწოდებდით ხალხს, რომ გამო0,სულიყვნენ გარეთ და ერთად დაგემხოთ შევარდნაძის ხელისუფლება? – ვეკითხები მე.

– *არა, ჩვენ ხალხს მოუწოდებდით, რომ დავმდგარიყავით ერთად და გვეიძულებინა შევარდნაძე გადამდგარიყო. ჩვენ ზვიადისტები ვართ და ზვიადის დაბრუნება გვინდა, შვილები გვყავს. ომი და უბედურება არ გვინდა.* – მიპასუხა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

აქ ხომ ყველაფერი გასაგები იყო. მათ ვუთხარი, რომ თუ შევარდნაძე არ მოგწონთ გააკეთეთ მისი ფიტული და რამდენიც გინდათ, ლანძღეთ. აგრესიულად ნუ იქნებით განწყობილი-მეთქი. ისინი ამ სიტყვებმა პრაქტიკულად გატეხა. ახლა ჩვენ დაგვიჭერენ და ხანგრძლივ პატიმრობას მოგვცემენ, რომ გამოვალთ ციხიდან, კაცმა არ იცის, რა იქნებაო. ვუთხარი მათ, რომ შევარდნაძეს არ მოუცია ასეთი დავალება, რომ მე ვინც მაგინებს, სუყველა დაიჭირეთო. რომც მოეცა, მაინც არავინ შეასრულებდა მაგას-მეთქი. ახლა არავინ დაგიჭერთ, მიირთვით ჩაი, გათბით და ჩვენ უზრუნველვყოფთ სახლებში თქვენს დაბრუნებას-მეთქი.

ვინც გააცნობიერებს, თუ რამხელა განსაცდელში იყვნენ მაშინ ისინი, ადვილად მიხვდება ასეთი ადამიანური მიდგომით რამხელა სიხარული მივანიჭეთ. მათ ტირილი დაიწყეს. ერთ-ერთმა თქვა: „თურმე, ამ ქვეყნად ადამიანები არსებობენო“. ჩვენ დანაპირები შევასრულეთ და სამივე დიდი პატივისცემით გავაცილეთ სახლში.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი ქალბატონი, სამსახურში მოვიდა და მთხოვა, ჩვენ პატივსაცემად მოწყობილ სუფრაზე, მე და ჩემი თანამშრომლები, სტუმრად ვწვეოდით. რა თქმა უნდა, ჩემი იქ მისვლა არ შეიძლებოდა, რადგან ყველა გაიგებდა ამ სტუმრობას და ჩემი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგებოდა. იძულებული

გავხდი, დაპატიჟებაზე უარი მეთქვა და ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი გაგვეშვა მათთან. მასპინძელი ოჯახიდან ის აღფრთოვანებული დაბრუნდა. გვითხრა: *„საოცარი სითბო და სიყვარული იყო იმ ოჯახში. ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება, კიდეც შერიგდნენ ზვიადისტები და შევარდნაძისტები“*.

***

ამ პერიოდში, სენაკში, მოეწყო ძალიან დიდი შეხვედრა, რომელსაც მართავდა მთავრობის თავმჯდომარე, მან განაცხადა, რომ სუსტი ტემპი გვქონდა, რადგან არ ვიჭერდით ზვიადისტებს. მეტი და მეტი უნდა დაგვეჭირა. მე მას ძალიან მკვახედ ვუპასუხე, რომ არ შეიძლებოდა ასე საუბარი. გივი ლომინაძე, რომელიც კომენდანტი იყო, მხარი დაგვიჭირა, თქვა რომ ეს ბიჭები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყანაში წესრიგი და მშვიდობა იყოს და ვერ ვუსაყვედურებთ ვერაფერსო. მოკლედ, არ გავიზიარეთ მთავრობის თავმჯდომარის ეს უაზრო მითითება.

სამეგრელოში არაერთი კურიოზული შემთხვევა გვქონდა. ამავდროულად, გვიჭირდა იქ ცხოვრება, ვაგონი წაგვართვეს, მოგვიწია საკუთარ სახლებში გადანაწილება, სადაც მძიმე საცხოვრებელი პირობები იყო, ხშირად ვიცვლიდით ბინებს და ასეთ რთულ პირობებში გვიწევდა მუშაობა.

ასლან აბაშიძე და ძმები ასანიძეების საქმე

მინდა გავიხსენო კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთა შესახებ კანონების შესრულებაზე და ზედამხედველობისა და გამოძიების სამმართველოსთან იყო დაკავშირებული.

ერთ დღეს, დამირეკა გოჩა პაიჭაძემ და მითხრა: სასწრაფოდ უნდა წავიდეთ ბათუმშიო. საქმე ეხებოდა „ძმები ასანიძეების საქმეს“, რომელსაც გაუვიდა განსაზღვრული ვადა და აჭარის პროკურატურას ებარა. ამ საქმის გამომძიებელი თბილისში ჩამოვიდა ვადის გასაგრძელებლად. რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოადგილეს ვახტანგ გვარამიას უნდა გაეგრძელებინა ვადა. თუმცა ნახა საქმე და ვადა არ გააგრძელა. უთხრა რომ ამ საქმეზე ვადის გაგრძელება არ შეიძლებაო. ცხადია, რომ ამან გამოიწვია უაღრესად უარყოფითი რეაქცია. გამომძიებელმა დაურეკა თავის პროკურორს, რომ ვადას არ მიგრძელებენო. რა თქმა უნდა, მან მაშინვე გადაურეკა ასლან აბაშიძეს, ასლან აბაშიძემ გენერალ პროკურორს კი არ დაურეკა, ვადა გაგვიგრძელეო, არამედ დაურეკა პირდაპირ ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და უთხრა რომ აი, ასე თავხედობს პროკურატურა (საკითხავი იყო, ვინ თავხედობდა), ვადას არ აგრძელებენ და ნაცვლად დახმარებისა, ბევრჯერ დამნაშავეებს მიბლოკავენო. შევარდნაძემ დაურეკა ბაბილაშვილს და უთხრა, რომ სასწრაფოდ მიავლინე წარმომადგენელი და ვადა გაუგრძელეთ. შევარდნაძემ ამ საქმის შინაარსი არ იცოდა, მაგრამ პირდაპირ ასე უთხრა: „აჭარაში მიავლინეთ ვინმე ადგილობრივი, ერთ-ერთი შენი მოადგილე და ამ საქმეზე, ასლან აბაშიძეს, გაუწიეთ პრაქტიკული დახმარება“ ასლან აბაშიძესთან საუკეთესო და ძალიან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა გოჩა პაიჭაძეს, ეს იცოდა ბაბილაშვილმა და ამიტომ დაავალა გოჩას, ვადაც გაეგრძელებინა და სხვა დახმარებაც აღმოეჩინა, რაც კი შეიძლებოდა.

ვთვლი, რომ გოჩა ისეთი მაღალი დონის პროფესიონალი არ იყო, ამიტომ მან თავად სთხოვა რესპუბლიკის პროკურორს, მასთან ერთად ჩავერთე ჯგუფში და ჩვენ ორნი შევძლებდით გენერალური პროკურორის მიერ მოცემული დავალების შესრულებას.

ბაბილაშვილი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას და მე და გოჩა გავემგზავრეთ აჭარაში. უფრო სწორად, გვაიძულეს, იმავე დღეს გადავფრენილიყავით. ჩვენთან ერთად თვითმფრინავში იყო გოჩა პაიჭაძესთან ძალიან კარგ ურთიერთობაში მყოფი, ამერიკის პირველი ელჩი საქართველოში **კენტ ბრაუნი,** რომელსაც ახლდა თავისი მოადგილე, თანაშემწე, რანგით მეორე პირი ქალბატონი. შემდეგ მეც გავიცანი კენტ ბრაუნი და მინდა გითხრათ, რომ არც ელჩი და არც სხვა ვინმე, უკეთესი პიროვნება ამერიკიდან საქართველოში ჯერ არ ჩამოსულა. ისეთი დამოკიდებულება, როგორიც მას ჰქონდა ქართველი ერის მიმართ, სხვებსაც რომ ჰქონდეთ, საქართველო აყვავდებოდა. მართლაც, საოცარი პიროვნება იყო.

ჩავფრინდით აჭარაში, სადაც დაგხვდა არა ვიღაცა, არამედ უმაღლესი საბჭოს, თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის მოადგილე, რომელმაც მიგვიყვანა სასტუმროში. ამავე სასტუმროში იყო ამერიკის ელჩიც. ჩვენი მოთხოვნით (რადგან თავად გვეუბნებოდა, რომ დაისვენეთ და ხვალიდან შეუდექით საქმესო) მივედით პროკურატურაში. უნდა გავცნობოდი საქმეს და შესაბამისი ცნობა შემედგინა. გოჩა პაიჭაძე და ასლან აბაშიძის მოადგილე დასხდნენ, რესპუბლიკის პროკურორის კაბინეტში, ხოლო მე დამსვეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის **გოდერძი *ბორჩხაძის*** კაბინეტში. მომიტანეს საქმეები, რომელიც შეეხებოდა ძმები აფრასიძეების დაპატიმრებას. მითხრეს, იმუშავე და მერე უნდა ვივახშმოთო. მე უთხარი, რომ ვახშმობა არ მინდა, ვიმუშავებ დაღამებამდე და შევეცდები, ხვალ შუადღისთვის მოვამზადო ცნობა-მეთქი. არ იყო დიდი საქმე, სულ ორი ტომი იყო და აქედან ერთი პრაქტიკულად არაფერს წარმოადგენდა. დავიწყე მუშაობა. მის მერეც და არც მანამდე, არ მინახავს ასეთი თვითნებობა ყოფილიყო საქმეში. მოგეხსენებათ, რომ პარლამენტის წევრი რომ დააპატიმრო, საჭირო იყო, იმ პერიოდში მითუმეტეს, კონსტიტუციითაც და კანონითაც უმაღლესი საბჭოს თანხმობა (რომელ უმაღლეს საბჭოზე იყო საუბარი, სისულელეა ასეთი არ არსებობდა).

დავიწყებ თავიდან, საქმე აღძრული იყო ასეთი საბაბით: პროკურორი (ვის მიერაც იყო აღძრული) წერდა: „აჭარის შინაგან საქმე-

თა მინისტრმა, კაბინეტში, მიამბო, რომ ასლან აბაშიძეზე თავდასხმას აპირებდნენ და მთავრობის გადატრიალებას ძმები ასანიძეები“. (ერთი ძმა ხელვაჩაურის გამგებელი იყო, ხოლო მეორე – ბათუმის). ანუ „მიამბოო“, საქმე დაფუძნებული იყო ზღაპარზე. ამ ამბიდან დაახლოებით 17 დღის შემდეგ (მანამდე არც დაკავების ოქმი არ არსებობდა, არც სხვა არაფერი) გაიცა სანქცია და დააპატიმრეს ძმები ასანიძეები. დაკითხული არ იყო არავინ, თავად ასანიძეებიც კი. არც ერთი მოწმე არ ადასტურებდა დაპატიმრების დროისათვის და არც მერე, რომ ასანიძეებს რაიმე ჩანაფიქრი ჰქონდათ მთავრობის გადატრიალების მოწყობასთან დაკავშირებით.

სასწრაფოდ გადავფურცლე ტომები... ვნახე დაპატიმრება... დაპატიმრებას ხომ უნდა უძღოდეს რაღაც მასალები? გარდა ამისა, საქმეში ჩანდა, რომ (ან საქმეში რატომ უნდა ჩანდეს? არაპროფესიონალები რომ იყვნენ, იმიტომ) იმ დღეს, როცა მთავარი ეჭვმიტანილები ძმები ასანიძეები დააკავეს, ასევე ანალოგიური საბაბით (ეჭვით, ზიზღით, თუ არ ვიცი რით) დააკავეს უამრავი ასანიძე და სხვა პირები, რომლებიც თითქოს ასლან აბაშიძეზე თავდასხმას გეგმავდნენ. ნუ, არ ვიცი, რაზე უნდა შემედგინა დასკვნა?! დაახლოებით 20 წუთის შემდეგ შევედი მათთან კაბინეტში და ვუთხარი, რომ აქ ხარვეზებია და ახლა ამისთვის არ მცალია-მეთქი. რომ მეთქვა, რაც დარღვევებია ესა და ეს მეთქი, იქ ჩვენ შეიძლება პრობლემები შეგვქმნოდა. შევინარჩუნე ისეთი დამოკიდებულება, თითქოს ქვეყანა არ იქცევა. ვუთხარი მათ, მოდით, დღეს შევწყვიტოთ მუშაობა და ხვალ გავაგრძელოთ-მეთქი. პაიჭაძეს კი ვუთხარი, რა ვადის გაგრძელებას ითხოვენ, საერთოდ არ არის საქმეში არაფერი მტკიცებულება, ორი კაცი უდანაშაულოა! დანარჩენები ზოგი გაშვებული იყო, ზოგს ადმინისტრაციული პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ერთი იყო დეპუტატის ძმა, რომელიც დაიჭირეს იმის გულისთვის, რომ ასლანი ეჩხუბებოდა თურმე, შენი ძმა რატომ გვაკრიტიკებსო? დაიჭირეს, ჩააგდეს დილეგში და არც მასალები იყო და არც არაფერი სხვა მტკიცებულება მასზეც. სხვათა შორის, როცა მივფრინავდით ბათუმში შეგვხვდა ის დეპუტატი (გვარს ვერ იხსენებს) და გვითხრა, იქნებ ჩემი ძმა გაათავისუფლონ, რა ზომებს არ მივმართე, არაფერი არ გამომივიდაო.

შესასწავლი არაფერი იყო. გასაგები კი ყველაფერი. მეორე დღეს მივედით პროკურატურაში და მოადგილეს შეუთანხმდით, რომ 12 საათზე შევხვდებოდით ასლან აბაშიძეს. მე იქ პრაქტიკულად არაფერი მჭირდებოდა, რა ცნობა უნდა დამეწერა? შევხვდებოდი და ვეტყოდი, თუ რა უბედურება ტრიალებდა საქმეში და რეალურად როგორ უნდა ყოფილიყო.

12 საათზე მივედით ასლანთან მე, აჭარის პროკურორი და გოჩა პაიჭაძე. ასლანმა აჭარის პროკურორს უთხრა: „შენ გარეთ დამელოდე!“ (ამ დამოკიდებულებამ გამაოცა, აჭარის პროკურორს, რომელიც საქმეს იძიებს ეუბნება: „შენ მოიცადე, მერე დაგიძახებ, როცა საჭირო იქნება!“.) ჩვენ მიგვიღო და დავიწყე ძალიან ფრთხილად იმ ხარვეზებზე საუბარი, რომელიც საქმეში ჩანდა. ასლანი ძალიან ყურადღებით ისმენდა და თან ნელ-ნელა ბრაზდებოდა, ყველაფერს აბრალებდა გამომძიებლებს, ვინც საქმეს იძიებდა. ლენჩები, დეგენერატები, *მაგენი* თვითონ დასაჭერები არიანო. არადა ამ დროს ისინი არაფერ შუაში არ იყვნენ. მე დეტალურად ვუთხარი, რა ნაკლოვანებები იყო საქმეში და რატომ გაჭირდებოდა ამ საქმეზე ვადის გაგრძელება. მისმინა, მისმინა და ბოლოს, მითხრა: „*თქვენი მესმის, მაგრამ მე კანონი ფეხებზე მკიდია! მაგენმა განადგურება მომინდომეს, მაგენი მე კაცებად ვაქციე, ერთი ხელვაჩაურის მერად დავნიშნე, მეორე ბათუმის. მაგათ დიდი ფული ვაშოვნინე* (ხაზს უსვამს ამას) *ნაცვლად იმისა, რომ გვერდში დამდგომოდნენ*, სახელმწიფო *გადატრიალება მომინდომეს. თქვენი კანონი არ ვიცი, მაგენი ციხეში მანამ იქნებიან*, სანამ *ცოცხალი ვიქნები*!“. ნუ, რა უნდა გვეთქვა... ამასობაში მოახლოვდა 5 საათი და შევახსენე: „ბატონო ასლან, პროკურორი გელოდებათ გარეთ“. მდივანს ზარი მისცა – შემოვიდესო. შემოვიდა და უსაყვედურა: „თქვენი გმირობის ამბავი აგერ მითხრეს, სხვამ უნდა მითხრას, ასე დოყლაპიები რომ ხართ?“ პროკურორი ფერდაკარგული და შეშინებული იყო, სიტყვას როგორ შეუბრუნებდა.

საუბარში ვუთხარი ასლანს, ბატონო ასლან, ერთი თხოვნა მაქვს, დეპუტატის ძმა რომ არის დაკავებული, უკვე 2 თვეა, გასაშვებია, მასზე მტკიცებულება და მასალები არ არის. სხვას რომ არ ჩაეთვალოს, ჩვენ ვიტყვით, რომ ბატონი ასლანის განკარგულებით განთავისუფლდა, ოღონდ მოვნახოთ გზა, რომ ეს უდანაშაულო

კაცი გავუშვათ-მეთქი. იმ წუთში დაავალა პროკურორს, გაუშვიო. მანამდე მე რომ ვუთხარი პროკურორს დეპუტატის ძმის გათავისუფლებაზე, მითხრა: „ვერა, მისი განთავისუფლება ვერ მოხდება ის ასლანის პირადი პატიმარია!“. რას ნიშნავს ასლანის პირადი პატიმარი-მეთქი? მიპასუხა: „ასეა ბატონო და რა გითხრა მეტი“. ასლანის კაბინეტიდან რომ გამოვედით, პროკურორი გახარებული იყო.

ასანიძეების საქმეზე დასკვნა დიდი არაფერი იყო დასაწერი, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, გოჩა პაიჭაძემ ვადა გააგრძელა და იმ საღამოს ასლან აბაშიძემ თავის რეზიდენციაში – ბობოყვათში დაგვპატიჟა, ძალიან სერიოზულ ბანკეტზე. უარის თქმა უხერხული იყო. აღსანიშნავია, იმ ბანკეტზე რაც მოხდა. ხშირად ამბობენ, რომ ასლანი დესპოტი იყო. არსად მინახავს მსგავსი დამოკიდებულება, შიში, რიდი, თუ რაღაც სხვა, როგორიც თანამშრომლებს მის მიმართ ჰქონდათ. სიტყვის შებრუნებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ბანკეტზე მომხდარ ორ ეპიზოდზე გავამახვილებ ყურადღებას. იქ იყო ამერიკის ელჩი. მოგვიანებით შემოგვიერთდა **სოლიკო ხაბეიშვილი,** რომელსაც რუსი გენერალი ახლდა, ჩემთან ერთად იყო გოჩა პაიჭაძე. ასლანს მისი მეუღლე, ქალბატონი მაგული ახლდა, ბათუმის ორი პასუხისმგებელი მუშაკი და სხვები.

ასლანი ძალიან გატაცებით, რუსულად ესაუბრება ამერიკის ელჩს იმაზე, თუ როგორ ვერ მიაღწია ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანხმობას, რათა არ აგინონ აჭარლებს. ეროვნულ ნიადაგზე აგინებენ „თქვე აჭარლებო!“, „თქვე თათრებო!“, ასე, ისეო და საშინელ დღეშია აჭარის მოსახლეობა... მაგალითად მოიყვანა შემთხვევა, რომელიც თერჯოლაში მოხდა, ადგილობრივმა მკვიდრმა მოკლა პიროვნება თითქოსდა იმის გამო რომ აჭარელი იყო. ეს რომ გავიგონე, გავცეცხლდი, ველარ მოვითმინე და ვუთხარი: „ბატონო ასლან, რას კადრულობთ, რას ამბობთ, აჭარლებს რომ პატივს სცემენ მთელ საქართველოში, ასეთ პატივისცემას ვერც ერთი კუთხის წარმომადგენელი ვერ იღებს... მე ორგანიზებულ დანაშაულთა სამმართველოს უფროსი ვარ და ყოველდღე მომდის შეტყობინება, სხვადასხვა შემთხვევის შესახებ. ერთი მაგალითი მაინც მითხარით აჭარლების ჩაგვრის და დამცირების“. მიპასუხა:

„აი, მაგალითიო, მიწაზე დაობდნენ და აჭარელი თერჯოლელმა მოკლა“. მე ვუთხარი: „მიწის გულისთვის ძმები არ ინდობენ ერთმანეთს, კლავენ... არ ხართ მართალი!“. დანარჩენები ხმას ვერ იღებენ. გაშეშებული არიან, მე და ასლანმა დავცხეთ კამათი, რომელიც ზედმეტში რომ არ გადაზრდილიყო, საუბარში ამერიკის ელჩი ჩაერთო და რუსულად თქვა: „ასეთი რამ არ გამიგია, პირიქით, ქართველი ერი გამოირჩევა ტოლერანტობით. კუთხურობის ნიშნით, ეთნიკურ ნიადაგზე აქ არავინ არავის კლავს!“. ამერიკის ელჩს მისი მოადგილეც დაეთანხმა და სიტუაცია განიმუხტა.

ისიც მინდა ვთქვა, რომ ბობოყვათში ბანკეტზე მიპატიჟებული ვიყავით 6 საათზე. ადრე ჩავედით. ზღვის ნაპირზე ვსეირნობდით. წარმოუდგენელი რამ დავინახე, შემოვარდა რამდენიმე მანქანა, შეიარაღებულები გადმოხტნენ, ვიფიქრე ომი იწყება... თურმე ასლანის ესკორტი ყოფილა, რომლითაც ის მოიყვანეს. სუფრასთან ასლანმა ხელში აათამაშა მაგიდის გადასაფარებელი და თქვა: „რანაირი იღბალი მაქვს, სადაც დავჯდები, ყველგან გაცრეცილი სუფრა მხვდება“. ამ განცხადებიდან 20 წუთის შემდეგ გარეთ გავედით და ვხედავ, ორი ადამიანი ერთმანეთს შესტირის, რომ მათთვის ყველაფერი დამთავრდა, ციხეში წავლენ... საშინელ მდგომარეობაში არიან. რა იყო, ბიჭებო, ჩვენი სტუმრობა გეწყინათ მეთქი? არა, ბატონო, ასლანი დაგვსჯის, მაინცდამაინც მასთან მოხვდა გაცრეცილი გადასაფარებელი და ამისთვის დაგვიჭერსო. ასეთ საქმეზე დაჭერა წარმოუდგენელია-მეთქი. მთელი საღამო ამ ბიჭებს არ *გაულიმიათ,* არც უსვიათ და არც უჭამიათ.

ის საღამო ასე დამთავრდა. ასლანმა გოჩას სთხოვა, ხვალ, სამ საათზე სადილს გავაკეთებ კაბინეტში და გთხოვთ, მეწვიოთო. ცხადია, გოჩა ჩემი ხელმძღვანელი იყო და რასაც გადაწყვეტდა, მეც უნდა დავთანხმებოდი. ასევე სადილზე დაპატიჟა ამერიკის ელჩი და სოლიკო ხაბეიშვილი. მეორე დღეს, საშუალება მქონდა, რამდენიმე საათი მესაუბრა სოლიკო ხაბეიშვილთან. ყველამ იცის, რომ სოლიკო ქრთამის აღებისთვის დაპატიმრებული იყო, მოიხადა სასჯელი, ციხიდან გამოვიდა და ჩვეულებრივად ცხოვრობდა. მე როცა რესპუბლიკის პროკურატურაში ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობაზე, მომიწია მისთვის პასუხის გაცემა. არაერთხელ მითქვამს სხვადასხვა წრეებში და ახლაც ვიტყვი, რომ მისი დაპა-

ტიმრება გამოწვეული იყო პატიაშვილის კი არა, ინაურის მასთან მტრული დამოკიდებულების გამო. **მთელმა საქართველომ იცის, რომ ის დააპატიმრა ჯუმბერ პატიაშვილმა**. პროცესუალურად პატიაშვილს არავინ ეკითხებოდა, მაგრამ პატიაშვილი ცეკას პირველი მდივანი რომ გახდა, მისმა თანამშრომელმა ეს გამოიყენა ბოროტად და დააპატიმრეს სოლიკო ხაბეიშვილი, რადგან მათ ჰქონდა საოცარი დაპირისპირება ერთმანეთში. არაო, მითხრა, ხაბეიშვილმა: „მე პატიაშვილს ამას არ ვაბრალებ, ის (პატიაშვილი) სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მე რომ გავმხდარიყავი ცეკას პირველი მდივანი (პატიაშვილსა და ხაბეიშვილს შორის იყო კანდიდატურები: ან ერთი უნდა გამხდარიყო ცეკას მდივანი, ან მეორე, გახდა პატიაშვილი, გორბაჩოვმა ასე გადაწყვიტა), მეც ასე მოვიქცეოდი, ამიტომ ყველაფერი ინაურის ბრალია“. მე ეს არ ვიცოდი, მაშინ ეს პირველად გავიგე. ძალიან შინაურული საუბარი იყო და ვკითხე: „ინაურთან რატომ გქონდათ დაპირისპირება-მეთქი?“ მითხრა: „ინაურს შენიშვნა მივეცი, მას თავად შევარდნაძეც კი ვერ უბედავდა შენიშვნას, რადგან მასთან ასე იყოო (მოკაკვული თითით მაჩვენა) და ჩემი შენიშვნა რა თქმა უნდა, ჩვენ შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა“.

ორ საათიან სადილზე, ასლანთან, 3 საათზე მივედით. ვისაუბრეთ და წამოვედით. საქმეს ვადა გაუგრძელა გოჩა პაიჭაძემ. ცნობაში ყველაფერი დავწერე, რა და როგორ იყო, გადავუგზავნე აჭარის პროკურატურას, ისინი ამას ვერ გამოაჩენდნენ, მაგრამ მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. აჭარას ჰყავდა თავის დამოუკიდებელი პროკურატურა, ჰყავდა რესპუბლიკის პროკურორი და ცხადია, რომ დასკვნა, რომელსაც ხელს აწერდა პაიჭაძე და ბერიძე, გადავუგზავნეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს. ცხადია, ეს მოვახსენეთ რესპუბლიკის პროკურორს, *ბაბილაშვილს.* მან ყველა დეტალით საქმის კურსში ჩააყენა ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ შევარდნაძეც უძლური იყო ასლანთან. როგორც *ბაბილაშვილმა* მითხრა: „წყალსაც წაუღია!“ – ეს იყო შევარდნაძის პასუხიო.

ძმები ასანიძეები არაფრისთვის გაასამართლეს, მიუსაჯეს სასჯელი. უზენაესმა სასამართლომ, ცხადია, გაამართლა ბრალდებულები, მაგრამ გამართლებული კაცი მაინც ჰყავდა ასლანს გაუქმე-

ბულ ციხეში. გადაკეტილი ჰქონდა ქუჩები. სანამ სტრასბურგის სასამართლომ არ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ისინი მართლები იყვნენ და დამნაშავეებად არ სცნეს, მანამდე არ გაუშვა ციხიდან.

ერთ დღეს, გამომიცხადა ბატონმა *ბაბილაშვილმა*: „შენ უნდა წახვიდე რუსთავის პროკურორად, ასე ჯობია საქმისთვის“. თუ რატომ ჯობდა ასე, ეს მერე გამოჩნდა. ამჟამად ამით დავასრულებ ჩემ საქმიანობას იმ სამმართველოში, რომელშიც ძალიან ბევრი პრობლემა იყო, მაგრამ ბევრ საინტერესო საქმეს ვიძიებდით და ბევრი კარგი საქმე კეთდებოდა.

სამოქალაქო განყოფილება – ყველაზე უარყოფითი სამუშაო პრაქტიკა

ერთი დადებითი, რაც სამოქალაქო განყოფილებაში მუშაობამ მომცა, იყო ის, რომ შეპირებისამებრ, რაზმაძემ რეკომენდაცია გამიწია და მომცეს სამოთახიანი ბინა დიდ დიღომში, სადაც დღემდე ვცხოვრობ. მაგრამ საერთოდ, ამ განყოფილებაში მუშაობა იყო ყველაზე უარყოფითი ჩემს სამუშაო პრაქტიკაში. მკითხველს გაუჩნდება კითხვა - რატომ? იქ იყო ისეთი დატვირთვა, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ გაუძლებდა, იყო ერთმანეთში ინტრიგები, ვისი მოთავეც განყოფილების უფროსი იყო, ხშირად თავად აცდენდა და მერე რაზმაძესთან გარბოდა, მასმენენ კურატორთან, თითქოს სამსახურში არ დავდივარო. რეალურად არავინ არ ასმენდა. კურატორი სელექტორით რომ დარეკავდა და არავინ უპასუხებდა, რად უნდოდა ვინმეს დასმენა. ზოგიერთის გარდა ყველასთან ჰქონდა კონფლიქტი. ცხადია, მეც მქონდა მასთან გარკვეული პრეტენზიები და კონფლიქტი, მაგრამ ბოლო პერიოდში ურთიერთობა შედარებით დალაგდა.

რაც შეეხება ჩვენ სამუშაოს. მე, როგორც წესი, მქონდა (თუმცა არ უნდა მქონოდა, როგორც მოადგილეს) ზონები. ჩემი ზონა იყო თბილისი, ქუთაისი, გარდაბანი, საიდანაც შემოდიოდა უამრავი საჩივარი სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. ჯერ უნდა დამეწერა ქართულად, შემდეგ თარჯიმნის დახმარებით მეთარგმნა რუსულად, ვბეჭდავდით, გაივლიდა გარკვეულ პროცედურებს, მოაწერდა ხელს რესპუბლიკის პროკურორი და იგზავნებოდა მოსკოვში. ერთი და ორი საჩივარი რომ ყოფილიყო გასაგზავნი, ამას ავიტანდით, მაგრამ საბოლოო ჯამში მთელი განყოფილება მოსკოვში დღეში საშუალოდ 10 დასკვნას აგზავნიდა. ეს ჯოჯოხეთური სამუშაო იყო. ჯერ მომზადება, მერე მისი დამუშავება, გადათარგმნა, ბეჭდვა, მოწონება თავად რესპუბლიკის პროკურორის მიერ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იმიტომ კითხულობდა, რომ მოსკოვში ყურადღებით ეკიდებოდნენ გაგზავნილ საჩივრებს, რომლებიც კონტროლზე იყო. სამოქალაქო სამართალში ყველა საჩივარი თითქმის 80 პროცენტი, კონტროლზე ადიოდა საკავშირო პროკურატურის მიერ. ამიტომ ეს იყო ჯოჯოხეთური სამუშაო.

ერთადერთი დადებითი, რაც შეიძლება ითქვას ამ განყოფილებაში მუშაობის, იყო ის, რომ რამდენჯერმე გამაგზავნეს შემოწმებაზე სხვადასხვა რაიონში და, ასე ვთქვათ, მაშინ ვისვენებდი. თუმცა ერთ-ერთმა ასეთმა მივლინებამ კინაღამ შეიწირა ჩემი კარიერა, რომელიც მინდა, რომ მოგონებებში დაიწეროს.

მივლინებას ლამის შეწირული კარიერა

ერთ დღეს გამომიძახა რესპუბლიკის პროკურორმა რაზმაძემ და მითხრა: „შენ ლენტეხთან ახლოს ცხოვრობ (ყველაფერი იცოდა რაზმაძემ არამარტო ჩემი, არამედ სხვებისაც), თან მშობლებიც იქ გყავს, წადი ლენტეხში, წაიყვანე ბრიგადა, ცაგერში იცხოვრებ და ლენტეხში სიარული არ გაგიჭირდება“. როცა რაიონში პროკურორის შესამოწმებლად მივდიოდით, ყოველთვის ვკითხულობდით, თუ რა დამოკიდებულება იყო პროკურატურის მხრიდან. თავად დამასწრო და მითხრა: „ნორმალური ბიჭია, არაფერი გართულება არ აქვთ. შენც გადაღლილი ხარ, ბევრ საქმეებს აკეთებ, თან დაისვენებ და დადებით დასკვნასაც დაწერ“ (პრინციპში, ასე მითხრა).

შემირჩია საგამოძიებოდან სვანიძე, სისხლის სამართლის განყოფილებიდან ნიშნიანიძე და ასევე **ბიჭიკო ლოლაძე,** ძალიან კარგი კაცი, რომ იტყვიან თბილისის კოლორიტი. იურისპრუდენციაში, როგორც თავად ამბობდა ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ კაცობაში, გიტარის დაკვრაში ფრიადოსანი იყო. ნუ, ყოველ შემთხვევაში, თუ უკარნახებდი, რაღაცას გააკეთებდა. შემოწმებაზე რომ უნდა გავსულიყავით, რაზმაძემ კიდევ გამომიძახა, მითხრა: „*ვენედი*, ერთ რამეს გთხოვ, საერთოდ არ გაეკაროთ რესტორანს, სასადილოს და ასეთ რამეს. სვანებმა იციან მიპატიჟებები გადაპატიჟებები და რაღაც მსგავსი, ეს გაითვალისწინე“. მაშინ იყო „*სუხოი ზაკონი*“ ერთი წვეთის დალევა (დათრობაზე ხომ საუბარი ზედმეტია) ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა, გამოიწვევდა საშინელ შედეგებს. ამაზე ციხე არ იყო, მაგრამ პარტიიდან გაგრიცხავდნენ, სამსახურიდან მოგხსნიდნენ. ამაზე ცუდი და საშინელი რა უნდა ყოფილიყო. იმ პერიოდში ცეკას ბიურომ ძალიან ბევრი ხალხი გარიცხა პარტიიდან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელების მიღებისთვის. ამიტომ გამაფრთხილა რაზმაძემ.

წავედით ლენტეხში. ორშაბათს ვიმუშავეთ, შევხვდი რაიკომის პირველ მდივანს (ასეთი წესი იყო) და იქიდან გამოვედი გულდამძიმებული, რადგან რაიკომის მდივანმა მითხრა: „რა გინდა, გიჩოქებთ, გეხვეწებით, ისე შეამოწმეთ, ეს მახინჯი (უკაცრავად ამ გა-

მოთქმისთვის) პროკურორი აქაურობას მოაშორეთ“. ნუ, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იყო. ვუთხარი, რომ შედეგების მიხედვით შევაფასებთ-მეთქი. დავწერ ცნობას, დანარჩენს მე არ ვაფასებ, ეს რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგიის პრეროგატივაა-მეთქი. არაო, შენზეც ბევრია დამოკიდებული და მეგობრულად გთხოვ, დაიწეროს ისეთი დასკვნა, რომ ეს ინტრიგანი აქაურობას მოაშოროთო. ერთი სიტყვით, დიდი აუტანლობა ჰქონდათ პროკურორს და რაიკომის პირველ მდივანს ერთმანეთის.

მეორე დღეს, ღამით, ლენტეხში, მოხდა მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე. გვარი თუ არ ვცდები, ნემსაძე იყო. მას მოუკლეს შვილი და მისმა ნათესავმა მოკლა მკვლელი. ამასთან დაკავშირებით ოთხშაბათს, დილით ჩამოვიდა სამინისტროს 4-5 კაციანი ბრიგადა. ამ ბრიგადიდან 2-ს ვიცნობდი. წავიდნენ სოფელში შემთხვევის ადგილზე, სადაც ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო, იმუქრებოდნენ სამაგიეროს გადახდით.

ხუთშაბათის დილა იყო, სამსახურში არავინ დამხვდა. პროკურატურაში მისულს, რაღაც ცივი სახეებით შემხვდნენ თანამშრომლები. 5 წუთში მოვიდა ბიჭიკო ლოლაძე ერთ-ერთი იმ ბრიგადიდან, ვკითხე სად არიან ბიჭები-მეთქი? მითხრა: *„გიორგევიჩ*, მგონი დავიღუპეთ. წუხელ, სვანიძემ და ნიშნიანიძემ იჩხუბეს... დალეწეს ერთმანეთი... მთვრალი ნიშნიანიძე რაიკომის მდივანთან შევიდა, იძახდა, რაზმაძეს დაურეკეთო... უშვერი სიტყვებით იგინებოდა, ყველას აგინებდა“. წარმოიდგინეთ, რაზმაძემ გამაფრთხილა, პურის გამოსატანად არ შეხვიდე რესტორანშიო და აქ კიდევ ასეთი ამბავი მოხდა. ყველაფერი ასე დაიწყო. იმ დღეს, საბჭოთა კავშირი და ჰოლანდიის ნაკრები თამაშობდა, 2-0 მოიგო ჰოლანდიამ. სახლში რომ ვბრუნდებოდი, მოვიდა ერთი და მითხრა, ჩვენთან ერთად წამოდით, ერთად ვისადილოთო. შევედით ყველანი ერთად, სვანიძე და ნიშნიანიძეც ჩვენთან ერთად იყვნენ. დავსხედით სუფრასთან, დავისხი ლიმონათი და აღმოჩნდა კონიაკი, მოვიბოდიშე, ავდექი და გამოვედი, ლოლაძეც გავიყოლე და ვუთხარი, რომ ლიმონათის ბოთლებში კონიაკია და თქვენი ჭირიმე, არ დალიოთ-მეთქი. არაო, დამპირდა, მაგრამ სიტყვა არ შეასრულა და ყველანი მაგრად დამთვრალან. ნიშნიანიძეს შეუგინებია სვანიძისთვის, ფეხი დაურტყამს წვივში და გაქცეულა. დასდევნებია სვანიძე და ცენტრალურ მოე-

დანზე, სადაც რაიკომის შენობა და ადმინისტრაციული შენობებია განთავსებული, ყველას დასანახად, საშინლად უცემია.

როგორც შემდეგ გაირკვა, რაიკომის მდივანი, ამას ყველაფერს თავისი ფანჯრიდან უყურებდა. სასწრაფოდ წავედი ბიჭების სანახავად, ისინი ინტურისტის ბინაში ცხოვრობდნენ (მე ცაგერიდან, ჩემი მშობლიური სახლიდან დავდიოდი ლენტეხში) მივედი და რა ვნახე, ნიშნიანიძეს სახე დალურჯებული, დასივებული და გაუბედურებული აქვს. 5 გვერდიანი საჩივარი აქვს დაწერილი რაზმაძის სახელზე, რომ სვანიძე ხულიგნობისთვის დაიჭირონ. მომიყევი, რა მოხდა-მეთქი, მიამბო და ბოლოს მითხრა ნიშნიანიძე, გაიქცა რაიკომის მდივანთან, რაზმაძეს დაუძახეთო. რა თქმა უნდა, ვუსაყვედურე ნიშნიანიძეს უღირსი საქციელისთვის. ვუთხარი, თუ სვანიძეს მისცემენ პასუხისგებაში, შენც მიგცემენ-მეთქი. ორივეს - სვანიძეს და ლოლაძეს დავაწერინე განმარტებები. წავედი რაიკომის მდივანთან (ტოტოჩავა იყო გვარად), ძალიან ვაჟკაცი კაცი. გაამტყუნა ნიშნიანიძე, მითხრა: „სვანიძე და ლოლაძე ფხიზლები იყვნენ (ნუ, მათ არ ეტყობოდათ სიმთვრალე) ნიშნიანიძე იყო მთვრალი. ასე, რომ თქვენ გადაწყვიტეთ, რა და როგორო“. ცუდ დღეში ჩავვარდი. მართალია, რაიკომის მდივანი ამ ამბავს არ იტყოდა, მაგრამ თითქმის ყველამ იცოდა ეს ამბავი და ვიღაც მაინც მიიტანდა რაზმაძემდე. რა უნდა მექნა?

იმ დღეს ჩემ ძმას ოჯახში სუფრა ჰქონდა. წავიყვანე ყველანი ამ სუფრაზე. მამაჩემი მეუბნება ნიშნიანიძეზე, ეს ხულიგანი ვინ მომიყვანე აქო? ნიშნიანიძეს მივეცით გიტარა, ვთხოვე, რომ დაევიწყებინა ყველაფერი და შერიგებოდა სვანიძეს. მითხრა, ბოდიში მომიხადოს სვანიძემო. დავითანხმე სვანიძე ბოდიში მოსახდელად. უთხრა ნიშნიანიძეს, არც შენი იყავი მართალი და არც მეო. ნიშნიანიძემ გამოიტანა საჩივარი და დახია. ამოვისუნთქეთ.

მოკლედ, მეორე დღეს, თბილისში მოვდიოდით. ნიშნიანიძის წაყვანა ასე დალურჯებული, დასივებული და დალეწილი სახით არ გვინდოდა. გადავწყვიტე, ამბროლაურის კომისიის ხელმძღვანელისთვის, რომელიც ქალბატონი იყო, მეთხოვა, რომ ნიშნიანიძე მის კომისიაში გადაემისამართებინა. შეიძლება ვერც ჩამოვიდეს თქვენთან, მაგრამ თქვენ გააკეთეთ მისი საქმე-მეთქი. მოკლედ, საქმე მოვაგვარეთ. 12 დღე ნიშნიანიძემ სახლში გაატარა, ვითომ

ამბროლაურში იყო და შემდეგ გამოვიდა სამსახურში. ლენტეხის პროკურორზე ნელ-თბილი ცნობა დავწერეთ, მაგრამ როგორც ზემოთ მოგახსენეთ ლენტეხში, სისხლის აღების ნიადაგზე მომხდარ მკვლელობას მოჰყვა დიდი გამოხმაურება, საქმე გართულდა, ძალიან გამწვავდა. ცეკას პირველი მდივანი, ჯუმბერ პატიაშვილი, ჩაერთო საქმეში. დაურეკავს რაზმაძისთვის და პოლიციის უფროსისთვის, რომ ლენტეხში არ დატოვოთ ვინმე თანამდებობაზე, სუყველა დახსენითო.

კოლეგიაზე გავიტანე ლენტეხის პროკურორის საკითხი, მაგრამ რაზმაძემ სიტყვა შემაწყვეტინა: „სალაპარაკო აქ არაფერია. მან, ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, რაღა დროს სისხლის აღებაა, ლენტეხის პროკურორი დაუყოვნებლივ მოიხსნას თანამდებობიდან“. რა თქმა უნდა, გადაირია პროკურორი, ეს რა მიქენით, ახლა მე ვიტყვი ყველაფერს, რაც გააკეთეს ბიჭებმა ლენტეხში, ახლა მე მოგხსნით ყველასო. მე წარუდგინე ჩემი ცნობა, რომ პირადად ჩვენ, მის მიმართ არაფერი ჩაგვიდენია, რომ მისი თანამდებობიდან განთავისუფლებაში ბრალი არ მიგვიძღოდა. როგორც იქნა დავარწმუნეთ, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა მისი სამსახურიდან განთავისუფლება.

ეს ამბავი იმიტომ გიამბეთ, რომ ყველასთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ის, რომ არავინ იცის, საიდან ელის კაცს შარი. სამართალდამცველ ორგანოებში მუშაობა ძალიან დიდ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას მოითხოვს. მაშინ მეც ვერ გამოვიჩინე სიფრთხილე, არ უნდა დამეშვა რესტორანში ქეიფი და მათი დათრობა. ფაქტია, ჩვენ მაშინ გადავრჩით სამსახურიდან მოხსნას და პარტიიდან გარიცხვას. ეს იყო მივლინება, რომელმაც ლამის შეიწირა ჩემი კარიერა.

შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან

ყვარელში მივლინებით სამკაციანი ბრიგადით ვიმყოფებოდი. ცენტრალურ ორგანოებში დიდი საჩივარი იყო შესული, რომ ერთ-ერთ სოფელში ლეკები ქართველ მოსახლეობას ავიწროებდნენ. დილით პროკურატურაში რომ მივედი, დამახვედრეს ამბავი, რაზმაძის განკარგულებაა, ბენიძე სასწრაფოდ ჩამოვიდეს თბილისშიო. რა თქმა უნდა, 2 საათში თბილისში, რაზმაძის კაბინეტში ვიყავი. მან მითხრა: „შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა საგამოძიებო ნაწილის გაძლიერება, ამიტომ შენ გნიშნავ საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილედ. ახლავე ჩადი, კაბინეტი თავისუფალია, დაუდექი ბიჭებს გვერდით, მალე საქმეს მოიტანენ და გაანაწილეთ“. ეს ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგან სამოქალაქო სამართალს (ჩემი პროფესია სისხლის სამართლის მიმართულება იყო) თავიდან დავეუფლებოდი და ძირფესვიანად მოვახდენდი მის შესწავლას. რაზმაძემ გამოიძახა ***კაკო ბუდაღაშვილი*** და უთხრა, რომ ასეთ კაცს გინიშნავ და აბა, თქვენ, იცით ამ ისტორიულ საქმეს როგორ გაართმევთ თავსო.

მე და კაკოს მუშაობის პერიოდში ძალიან ლოიალური, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, ერთმანეთს ვეკითხებოდით და ვივსებდით ცოდნას. მოკლედ დავიწყე მუშაობა საგამოძიებო ნაწილში. იქ გავიცანი არაჩვეულებრივი ადამიანები. შესანიშნავი პიროვნება ***გურამ გიოშვილი.*** ბუნებრივია, რომ გამომძიებლებს შორისაც იყვნენ საუკეთესოები და სამწუხაროდ, პირიქითაც.

საქმიდან გამომდინარე, სწორედ მაშინ გავიცანი **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა.** მერაბი გამაცნო მისმა გამომძიებელმა, ნიჭიერმა იურისტმა, ბრწყინვალე ადამიანმა და კარგმა კაცმა **დათო ჯინჯოლავამ. მახსოვს**, **რაღაც** ჩვენება არ მისცა კოსტავამ, რის გამოც საჭირო იყო ზემდგომი პროკურორის ოქმის გაფორმება. დათომ მთხოვა, გავყოლოდი. სწორედ მაშინ გავიცანი მერაბ კოსტავა. ვისაუბრეთ მასთან. მერაბმა ჩემზე თავისებური და განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

რაც შეეხება გამსახურდიასთან კომუნიკაციას, ეს უფრო მოგვიანებით შედგა და ჩვენი ურთიერთობა უფრო ხანგრძლივი გამოდგა. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე და მთავარი სამხედრო პროკურორი *კატუსევი* საქართველოში იყო ჩამოსული და ეროვნული მოძრაობის დაპატიმრებული პირების საქმის წაღება სურდათ. მათ უნდოდათ, ბრალდება წაეყენებინათ მუხლით „სამშობლოს ღალატი“ (შემდეგ გაუქმდა ეს მუხლი) და კოსტავას ჩვენება მას ხელს უწყობდა, მაგრამ ვუთხარი ზვიადს, რომ დაეჯერებინა ჩვენთვის კოსტავას. გამსახურდია შევახვედრე წითელი ჯვრის წარმომადგენლებს, ვუთხარი მას, რომ საჭირო იყო, კოსტავას სწორი ჩვენება მიეცა. დამთანხმდა და კოსტავა გადმოიყვანა „ჩვენს ჭკუაზე“.

შემოვიდა ჩემთან ბუდაღაშვილი და მითხრა. უნდა წავიდეთ და ოთხივე (კოსტავა, გამსახურდია, ჭანტურია, წერეთელი) გავათავისუფლოთ პატიმრობიდანო. გათავისუფლების წინ პატიმრებს შეხვდნენ გორგოძე და რაზმაძე. მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ ჯანსუღ ჩარკვიანი, გოგუაძე-პარლამენტის ვიცე სპიკერი და მისი მეუღლე. ჭანტურიას და წერეთელს არ შევხვედრივარ. მეორედ კოსტავას მისი გათავისუფლების დროს შევხვდი. მან მადლობა გადაგვიხადა. გამსახურდიას დაუნიშნეს გამოცხადების დღიური: კვირაში ერთხელ, ოთხშაბათობით, უნდა გამოცხადებულიყო და ხელი მოეწერა, რომ ქალაქში იმყოფებოდა.

მართლაც, მოდიოდა, ხელს მოაწერდა და მერე ვსაუბრობდით. ის საინტერესო, უაღრესად განათლებული, კარგი მოსაუბრე, კულტურული ადამიანი და ძალიან გულჩვილი პიროვნება იყო. მარტივად იტანდა კრიტიკას. ერთხელ, როცა პრეზიდენტობის კანდიდატი იყო ასეთი რამ ვუთხარი:

– ზვიად, მე შენ ხმას არ მოგცემ.

– კი ბატონო, თქვენი ნებაა.

– მკითხე, რატომ არ მოგცემ?

– რატომ უნდა გკითხოთ, არ გინდათ, ხმა მომცეთ და ეს თქვენი ნებაა.

მე მაინც არ მოვეშვი და ვუთხარი: - იმიტომ არ მოგცემ, რომ მართალია, შენ კარგი მოქალაქე, ინტელექტუალი, უაღრესად სა-

ინტერესო, პატრიოტი, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო განათლების მქონე ადამიანი ხარ, მაგრამ, პოლიტიკის აზრზე არა ხარ-მეთქი.

სხვათა შორის, ამ საუბარს ესწრებოდა აფხაზეთიდან ლტოლვილი ადვოკატი რუსუდან ტორჩინავა, თუ ნახავს და წაიკითხავს ამ მოგონებებს, ისიც დაადასტურებს ჩემი და ზვიადის დიალოგს.

– არა ხარ შენ პოლიტიკოსი, – გავუმეორე.

– გასაგებია, გასაგები, – მოკლედ მიპასუხა და ჩაეღიმა.

შევატყვე, რომ ჩემზე გული არ დასწყვეტია და ის, რომ გული არ დასწყვეტია და პირიქით, ჩემს მიმართ დიდი სიმპათიით იყო განწყობილი, ამაზე მოგვიანებით მოგიყვებით.

„კარტოფილების საქმე“

საგამოძიებო ნაწილში იყო უამრავი რთული საქმე, რომელზეც თავდადებით მუშაობდნენ ჩვენი ბიჭები. ერთი იყო „კარტოფილების საქმე“. მრავალტომიანი საბრალდებო დასკვნა რომ დაიწერა, 1500 გვერდიანი იყო და 35-მდე პირი გადიოდა საქმეში, რომელსაც 3 წლის განმავლობაში იძიებდნენ და შემდეგ გადააწერეს კარგ გამომძიებელს თემურ მონიავას. საგამოძიებო ნაწილში, სამწუხაროდ, ამ საქმის ხელმძღვანელად დამნიშნეს. საქმის სირთულე ის იყო, რომ გასული იყო საპატიმრო ვადა. საქმე ეხებოდა წალკის კარტოფილის დიდი ოდენობით დატაცებას. გასული იყო 9 თვიანი ვადა და ბრალდებულები საოცრად თავხედობდნენ. თბილისში, თუნდაც წალკაში მათი დაკითხვაზე მოყვანა, წარმოადგენდა უდიდეს პრობლემას. სირთულე ის იყო, რომ ხელმძღვანელობაში ამ საქმესთან დაკავშირებით იყო გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა და არაჯანსაღი დამოკიდებულება. ვისაც ამ საქმის სასამართლოში წარმართვა არ უნდოდა, სრულიად დაუმსახურებლად, ებრძოდა თემურ მონიავას, რომელიც პატიოსნად, კეთილსინდისიერად იძიებდა საქმეს თავის დიდ ჯგუფთან ერთად. შეიძლებოდა, 3-4-ჯერ ჩასულიყო წალკაში და ერთი ბრალდებულიც კი ვერ ენახა, რადგან იმალებოდნენ. გამოიტანდა დადგენილებას იძულებით მოყვანაზე, მოიყვანდნენ ბრალდებულებს იძულებით და მერე მეორე კარიდან იპარებოდნენ. საპატიმრო ვადა გასული იყო და როგორც იქნა, წარმოუდგენლად უდიდესი ძალისხმევით დაამთავრეს საქმე – 1500 გვერდიანი საბრალდებო დასკვნა. კიდევ კარგი, შემდეგ ამნისტია გამოვიდა და ამ საქმის წარმოება შეწყდა. რომ არა ამნისტია, სასამართლო შეიძლება 3-4 წელი კიდევ გაგრძელებულიყო.

იმ პერიოდში, საქართველოში, ჩამოსული იყო საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი ივანოვი მას ვკითხეთ: „როგორ მოვიქცეთ ასეთ სიტუაციაში, როცა საპატიმრო ვადა გასულია, უამრავი საგამოძიებო საქმიანობაა ჩასატარებელი, ბრალდებულები კი იმალებიან, დაკითხვაზე არ ცხადდებიან“. მან თქვა: „ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში თუ მოხდება, აბა რა გითხრათ, მე არაფერი ვიცი! პირი იბრუნა და წავიდა“.

რუსთავის პროკურორი

(1995-1999წწ)

ქალაქ რუსთავის პროკურორად ჩემი დანიშვნა მოულოდნელად მოხდა. გამომიძახა რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა **ჯამლეტ *ბაბილაშვილმა*** და მითხრა: „ვენედი, რუსთავი ძალიან რთული რეგიონია და იქ მჭირდება შენნაირი ძლიერი პროკურორი, გთხოვ, დამთანხმდე“. ერთდღიანი ფიქრის შემდეგ დავეთანხმე და 1995 წლის 5 იანვარს, ჩემ დაბადების დღეზე, დავინიშნე ქალაქ რუსთავის პროკურორად. 7 იანვარს ჩავედი რუსთავში და შევუდექი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

რუსთავში ჩემი მუშაობა შემიძლია შევადარო ბობოქარ ზღვას, რომელიც ყოველდღიურად ახალ-ახალი მოულოდნელობითა და სიურპრიზებით იყო სავსე. ერთი პერიოდი რუსთავს, „აცილებულ საქმეთა პროკურატურაც“ კი შეარქვეს, იმიტომ, რომ რაც საქართველოში რთული და განსაკუთრებით რთული საქმეები იყო, რესპუბლიკის პროკურორი რუსთავში აგზავნიდა გამოსაძიებლად. ამ საქმეების შესახებ გიამბობთ.

დავიწყებ იმით, რომ პირველი ჩემი საქმიანი შეხვედრა მქონდა რუსთავის მერიაში, სადაც ჩატარდა წლის შედეგების შეჯამება. შეხვედრას უძღვებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი **თემურ დალაქიშვილი. ჩემ** გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ის ეკონომიკური ზრდა, რაც მიმდინარე წელს რუსთავს ჰქონდა, დაახლოებით 4-5-ჯერ ჩამოუვარდებოდა კომუნისტების დროს, საბჭოთა ეპოქაში არსებულ ეკონომიკურ ზრდას. წარმოიდგინეთ, საბჭოთა ეპოქაში იმ შემოსავლით, რაც რუსთავს ჰქონდა, შეიძლებოდა მთელ რესპუბლიკას ეარსება. იმიტომ, რომ რამდენიმე ათეულობით საკავშირო მნიშვნელობის ქარხანაში დასაქმებული იყო უამრავი ადამიანი და უმუშევართა რიცხვი დასული იყო ძალიან დაბალ პროცენტამდე. მოკლედ, რუსთავი იყო ერთ-ერთი სამრეწველო ქალაქი, რომელსაც აღორძინების შემთხვევაში მთელი ქვეყნისთვის შეეძლო უდიდესი ეკონომიკური მოგება მოეტანა.

იმ პერიოდში, „რუსთვის გუბერნიას“ (შეიძლება ასე ითქვას) ხელმძღვანელობდა ქვემო ქართლის გუბერნატორი **ლევან მამალაძე.** ლევანზე ბევრი ცუდს ამბობს, ბევრი კარგს, მაგრამ მე შემიძლია ის ობიექტურად დავახასიათო. ის უნიჭიერესი იყო, რომლის მსგავსი ახალგაზრდა არ მინახავს, მაგრამ ამაყი, ამბიციური და თავის თავში ზედმეტად დაჯერებული. რაც მას არ უნდოდა, არ უნდა გაკეთებულიყო. ის მაშინ 27 თუ 28 წლის იყო და იმდენად თავდაჭერილი, რომ გეგონებოდა, ამ ქვეყანაზე უკვე ერთხელ იცხოვრა და მეორედ მოვიდაო. როცა გაფართოებულ სხდომას ატარებდა და მინისტრებთან ერთად მიჰყავდა თათბირი, ვერ გაარჩევდი, რომელი იყო მინისტრი და რომელი გუბერნატორი. მისი მოადგილე **მერაბ ტყეშელაშვილი იყო,** რომელიც ჩემი მისვლიდან მალე გადაიყვანეს რუსთავის მერიაში და აქ დაიწყო ჩვენი მეგობრობა. მე არც კი მსმენია, ადამიანს ადამიანისთვის იმდენი სიკეთე გაეკეთებინა, რაც მე ჩემმა უსაყვარლესმა ადამიანმა, მერაბმა გამიკეთა.

პროკურატურას მერიის ბიუჯეტიდან უყიდა თითქმის ახალი ავტომანქანა – მერსედესი, რომელიც გადმოგვეცა მფლობელობაში და ვსარგებლობდი მე, როგორც პროკურორი. ყოველთვიურად საწვავით გვამარაგებდა, რათა მუშაობა შესაძლებელი ყოფილიყო. წარმადგინა ღირსების ორდენზე. ცხადია, მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მომენიჭა ღირსების ორდენი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ. ვინ იცის, კიდევ რამდენი დახმარება გამიწია მერაბმა, რომელიც პროკურატურისთვის და პირადად ჩემთვის აუცილებელი იყო და რომელიც ხელს მიწყობდა სამსახურებრივი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში. შეიძლება ვინმეს დაებადოს შეკითხვა: „სამაგიეროს რას ითხოვდა ბატონი ტყეშელაშვილი?“ მოგახსენებთ: 4 წელზე მეტი ვიმუშავეთ მე და მერაბმა ერთად და არასდროს მას ჩემთვის, რაიმე კონკრეტულ საქმეზე არ უთხოვია, მინიშნებითაც კი არ უთქვამს მსგავსი რამ. მითუმეტეს, ხშირად ერთად ვიყავით, ერთად ვარჩევდით მომხდარ ფაქტებს, ვეუბნებოდი მას, თუ რატომ უნდა დასჯილიყო დამნაშავე და რატომ არ იყო დანაშაული პიროვნების ქმედებაში. მას არასდროს წინააღმდეგობა არ გაუწევია და არ უთქვამს, რომ მოდი, ეს ასე

გავაკეთოთ და ა. შ. ის იყო ადამიანი, რომელსაც ბუნებით სიკეთე ჰქონდა ღმერთის მიერ ბოძებული.

ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, არ ვიცი, რა მოხდა, ვიღაც განაწყენებულმა თუ სხვა მიზეზით, მერაბი, სამუშაოდ, გადაიყვანეს ცენტრალურ აპარატში. მაშინ მოდაში იყო გაცილების სუფრის მოწყობა. სუფრაზე ძალაუნებურად ცრემლები წამომივიდა, გული მწყდებოდა, რომ მიდიოდა ასეთი ადამიანი. მერაბს შეუმჩნევია ჩემი გულჩვილობა. მოვიდა, დამამშვიდა და მითხრა: „კარგი რა, ვენედი, ხომ არ ვიკარგებით, ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით, ხშირად შევხვდებით“. მაგრამ ეს ჩემთვის სანუგეშო არ იყო. შემდეგ მოხდა ისე, რომ მეორე დღეს მერაბი დააბრუნეს თანამდებობაზე. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რუსთავიდან წამოსვლამდე სულ ერთად ვიყავით და წარმატებით ვასრულებდით ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონს ვიცნობ და მუშაობის თვალსაზრისით, რუსთავზე უკეთესი სამუშაო ქალაქი საქართველოში არ მეგულება. მოქალაქეებს სავსებით გაცნობიერებული აქვთ კანონის არსი. ჩემი უსაყვარლესი რაიონია ბაღდათი, მაგრამ იქაც ვაწყდებოდით წინააღმდეგობას, მაგალითად, გვამის გაკვეთაზე იმდენი პრობლემა და წინააღმდეგობა გვქონდა, რომ ამის აღწერა შეუძლებელია. რუსთავში სამართლებრივი პრობლემა არ მქონია. მოსახლეობის თვითშეგნება უმაღლეს დონე იყო. ასეთი ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ხელს უწყობდნენ ადამიანები, რომლებიც რუსთავში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.

რუსთავში გავიცანი არაერთი საოცრად გულისხმიერი ადამიანი, რომლებიც შემდგომ ჩემი ოჯახის წევრებად იქცნენ. ასეთი ადამიანი იყო **ბესო მაჭარაშვილი:** სითბოთი, ერთგულებით, სიყვარულით სავსე, ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რომელსაც შეეძლო, თავისი ყველაფერი დაეთმო და შენთვის მოეცა. სამწუხაროა, რომ ბესო სრულიად ახალგაზრდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. მინდა, რომ ჩემს მოგონებებში კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო მის არაჩვეულებრივ მეუღლეს **მარინა ბულაშვილს.** მარინასთან შეხვედრისას ყოველთვის მგონია, რომ ბესოს ვხვდები და ვეფერები.

არასოდეს დამავიწყდება მეგობრობა არაჩვეულებრივ ადამიანებთან **დათო რეხვიაშვილთან, *ლევიკო დუგლაძესთან***, სხვებთან და სხვებთან. ძნელია ყველას ჩამოთვლა, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ამიტომ ამით შემოვიფარგლები.

რუსთვის პროკურატურა, თავისი საკადრო პოლიტიკით, საქართველოს პროკურატურაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჩემი მოადგილეები: **ელგუჯა ხარშილაძე** და **ნუგზარ ტაბაღუა** რესპუბლიკაში საუკეთესო და ცნობილი იურისტები იყვნენ. მე და ელგუჯა ჯერ კიდევ, რამდენიმე ათეული წლის წინ ერთად ვმუშაობდით განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. ელგუჯა ხარშილაძეს ყოველთვის აძლევდნენ ისეთ საქმეებს, რომელიც მართლაც რთული და განსაკუთრებული იყო. ასევე ღრმა ცოდნით გამოირჩეოდნენ **ზურაბ მანტკავა, შოთა რეხვიაშვილი**, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, მივიყვანეთ პროკურატურაში და შემდეგ ის გენერალური პროკურორის მოადგილედაც კი დაინიშნა, იყო ასევე ოლქის პროკურორი. ყველაფერ ამას ის ნამდვილად იმსახურებდა. მინდა გავიხსენო **მარინა ტოროშელიძე** და სხვები და სხვები.

მხედრიონის თავდასხმა ქვემო ქართლის გუბერ-ნატორზე

მინდა, გიამბოთ ერთი გახმაურებული შემთხვევა და არა საქმე, რომელიც რუსთავის პროკურატურასთან და ჩემს მუშაობასთანაა დაკავშირებული. ეს იყო შეიარაღებული მხედრიონის თავდასხმა ქვემო ქართლის გუბერნატორ **ლევან მამალაძეზე.**

შაბათი დღე იყო. დასვენების დღის მიუხედავად, მთელი დღე პროკურატურაში ვიყავი და ვმუშაობდი. სახლში გვიან დავბრუ-ნდი. ტელეფონზე დამირეკეს და მითხრეს, რომ რუსთავში მამა-ლაძეს თავს დაესხა მხედრიონის ხალხი და საქმე ძალიან რთულად არისო. მაშინვე რუსთავში წავედი. ქალაქის შესასვლელთან მხედ-რიონელები შემომხვდნენ. ყველას ავტომატები ეკეთა. იყო უამრა-ვი მანქანა. პირველ რიგში, შევედი მერიის შენობაში, სადაც გუ-ბერნატორის კაბინეტი იყო. ვხედავ, ლევანი მეორე ოთახში ჰყავთ მოთავსებული, გარს ექიმები ახვევია, თავიდან სისხლი სდის. რომ დამინახა, მითხრა: „ამ ბანდებს სანამ ბოლო არ მოეღება ცხადია, ქვეყანას არაფერი ეშველება!“. რა თქმა უნდა, მეც იმავე აზრის ვი-ყავი. როგორც გაირკვა, თავდასხმის მიზეზი იყო ლევან მამალაძის სწორი პოზიცია, რომ მხედრიონს არ ჰქონოდა იარაღი და სამთა-ვრობო სტრუქტურებში გაერთიანებულიყო რაიმე ფორმით, რაც არ აპატია ჯაბა იოსელიანმა. ცხადია, ჯაბას გარეშე რუსთავში ვერავინ გაბედავდა ჩამოსვლას და გუბერნატორზე თავდასხმას. მხედრიონმა რუსთავში სამხედრო ოპერაცია ჩაატარა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მხედრიონელებს მერიის თავზე დამო-ნტაჟებული ჰქონდათ სპეციალური მოწყობილობები, არც კი ვიცი, რა იარაღი იყო *პულიმიოტები* თუ ცეცხლსასროლი იარაღები.

როცა მილიციაში (მაშინ მილიცია ერქვა) დარეკეს და რუსთავის მერიაში მხედრიონელების შემოჭრის შესახებ აცნობეს, მილიციის უფროსი, ძალიან ჭკვიანი კაცი რეზო ბელქანია, მაშინვე წავიდა მერიაში, მან ყველა იარაღი მოიხსნა, დადო, რათა არ მომხდარი-ყო გასროლა. ის, რა თქმა უნდა, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდა. შეეცადა რაღაც ფორმით დაეწყნარებინა მხედრიონელები, თუმცა მათ მაინც მოახერხეს, ფიზიკური ზიანი მიეყენებინათ გუბერნა-

ტორისთვის, თავი გაუტეხეს, დაემუქრნენ – თუ კიდევ გაბედავ, უფრო მეტი მოგელისო და წავიდნენ.

იმ საღამოს ბევრი ვიმსჯელეთ. არ ვიცი, თავად მამალაძემ, რომელიმე გუბერნიის წარმომადგენელმა თუ მერაბ ტყეშელაშვილმა დაურეკა ქვეყნის პირველ პირს ედუარდ შევარდნაძეს და მოახსენა რაც მოხდა. ედუარდმა ბრძანა, ხვალვე მთელი აქტივი შეკრიბეთო. დაინიშნა დრო და რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობა, ამ თათბირს ვესწრებოდით. სცენაასეთი იყო: პრეზიდიუმში ისხდნენ, ედუარდ შევარდნაძე, მის გვერდით ლევან მამალაძე, რუსთვის მერი ტყეშელაშვილი და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. მათ წინ კი იდგა დოინჯშემორტყმული მხედრიონის წევრი, ყოფილი მინისტრი **თემურ *ხაჩიშვილი,*** რომელიც თითოეული გამომსვლელის მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. სრულიად მოულოდნელად, შევარდნაძემ თქვა, რომ სიტყვა ეძლევა რუსთავის პროკურორს ბატონ *ვენედი* ბენიძესო (შევარდნაძეს ჯერ კიდევ მაშინ ვიცნობდი, როცა ის საირმეში ისვენებდა და რაიკომის პირველ მდივანთან ერთად მას რამდენჯერმე შევხვდი). ჩემი გამოძახება მოულოდნელი იყო, რადგან პრეზიდიუმში ოლქის პროკურორი **სიმონ მაჭავარიანი** იჯდა და წესით მას ეკუთვნოდა სიტყვა. რა თქმა უნდა, სიტყვით გამოვედი: „ძალიან შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, რომ ვიღაც ბანდები ხელისუფალს აყაჩაღებენ, აშინებენ, ემუქრებიან და უნდათ, რომ ქვეყნის სადავეები ხელში ჩაიგდონ და თავად მართონ ქვეყანა“. (იმ პერიოდში რუსთავი ყაჩაღების და მხედრიონელების თავშესაფარი იყო. ჰქონდათ შტაბი, სადაც, გარდა იმისა, ვინც ოფიციალურად ირიცხებოდა მხედრიონში, კიდევ ჰყავდათ სხვადასხვა კუთხიდან ძებნილი ადამიანები. მაშინ მათ მიმართ სპეცოპერაციის ჩატარება შეუძლებელი იყო და ვერავის დაადანაშაულებდი). სიტყვით გამოსვლაში მივმართე პრეზიდენტს: „თუ ამ ყაჩაღებს არ დავიჭერთ, მაშინ წვრილმან დამნაშავეებს პასუხს ვერ მოვთხოვ და აღარც კი მიღირს რუსთავში მუშაობა, თუ ეს ბანდიტები არ იქნებიან დაკავებული“. მათი დაჭერა ჩემ დონეზე აღარ წყდებოდა, მათ დაჭერას მაღალი დონის სპეცოპერაცია სჭირდებოდა, რომლითაც ისინი იზოლირებულნი იქნებოდნენ საზოგადოებისგან. შევარდნაძეს ძალიან მოეწონა ჩემი გამოსვლა და როცა შემაჯა-

მებელი სიტყვით გამოვიდა, აღნიშნა: „პროკურორმა რაზეც თავის გამოსვლაში ისაუბრა, თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ, მაშინ ქვეყანა დაგვეღუპება. დაე, დასაწყისისთვის რუსთავი იყოს მაგალითი იმ მომავალი მძლავრი შეტევებისა, რომელიც განხორციელდება მხედრიონის წინააღმდეგ“. მართლაც, ისე მოხდა, რომ ამ შეკრების შემდეგ დაიწყო მხედრიონის წევრების დაკავება. ოღონდ მე ამ საქმესთან შეხება აღარ მქონია, რადგანაც ყველა საქმე გააერთიანეს და რესპუბლიკის პროკურატურამ დაიწყო მხედრიონის საქმეების გამოძიება. საქართველოში თითქოს წინსვლა დაიწყო იმ თვალსაზრისით, რომ არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა, მხედრიონელები გრძნობდნენ, თუ როგორ ვიწროვდებოდა მათი წრე. მალე ყველას მიაკითხავდა პოლიცია იმ ცოდვებისთვის, რასაც ისინი ქვეყნის მასშტაბით ჩადიოდნენ.

მხედრიონის მომხრეებიდან ბევრი ამტკიცებს, რომ მხედრიონმა საქართველოსთვის ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მე რომ მკითხოთ, გეტყვით – მხედრიონს საქართველოს აოხრების გარდა, სხვა არაფერი გაუკეთებია, ან რა უნდა გაეკეთებინა შეიარაღებულ ბანდას, გარდა ხალხის დაშინებისა და ძარცვისა. ერთი, რასაც მათ ვერ დავუკარგავ, ის არის, რომ ისინი გააფთრებით იბრძოდნენ რუსი დამპყრობლების, ჩეჩნების, აფხაზების წინააღმდეგ, სადაც ბრძოლაში ბევრი ახალგაზრდა მხედრიონელი დაიღუპა, თუმცა მარადიორობით, ძარცვა-გლეჯით ქართველი და აფხაზი მოსახლეობის წინაშე ბევრი ცოდვა ჩაიდინეს.

შევარდნაძეს ბევრი აგინებს, მაგრამ გეტყვით და დაიხსომეთ მეგობრებო – რომ არა ედუარდ შევარდნაძე, ვერც მხედრიონს და ვერც სხვა სამხედრო დანაშაულს სხვა ვერავინ, ვერც ერთი ხელმძღვანელი ვერ მოერეოდა. მე ამის მოწმე და თვითმხილველი ვარ. საქართველოს არ ჰყავდა ისეთი პიროვნება, რომელიც **ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას** და **თენგიზ კიტოვანს** გაანეიტრალებდა. ამ ადამიანებმა მოახდინეს პუტჩი, დაამხვეს კანონიერი ხელისუფლება და შემდეგ გამაცხადეს ამნისტია, რომლის შედეგად უამრავი მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლები თუ ბრალდებული პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ვთქვი და კიდევ ბევრჯერ გავიმეორებ: უბედურია ის ქვეყანა, სადაც, თუნდაც დროებით, თენგიზ კიტოვანს ჰქონდა ხელში ჩაგდებული ძალაუფლება და ჯაბა იოსე-

ლიანთან ერთად იყო ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი. თუმცა ზოგჯერ იოსელიანს იმდენი ჭკუა ჰყოფნიდა, რომ ზოგ საქმეში არ ერეოდა. ჯაბა უდავოდ განათლებული იყო. კიტოვანი კი აზროვნებიდან ძალიან შორს მყოფი.

რუსთავში მომხდარი შემთხვევით დაიწყო ქვეყანაში ბრძოლა მხედრიონის წინააღმდეგ.

ვინ იყო ქართლოს ღარიბაშვილი?

მინდა გავიხსენო და გიამბოთ იმ საქმეების შესახებ, რომელიც რუსთვის პროკურატურას ერგო წილად და რომელიც რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ბაბილაშვილმა სხვა რაიონს ააცილა და ჩვენ გადმოგვცა გამოსაძიებლად. ალბათ ყველას გახსოვთ, სამგზის პრეზიდენტობის კანდიდატი **ქართლოს ღარიბაშვილი,** რომელიც იმდენად გათავხედებული იყო, რომ არავის ერიდებოდა. ქართლოს ღარიბაშვილმა მუშტი უთავაზა მოსამართლეს, ათასი ცილისმწამებლური ჭორი გაავრცელა მოსამართლეების მიმართ და კიდევ სხვა ბევრი სიბინძურე ჩაიდინა. ღარიბაშვილის საქმეს გლდანი-ნაძალადევის პროკურატურა იძიებდა. ვერაფერი მოუხერხეს და დიდი თხოვნით, ეს საქმე, რუსთვის პროკურატურას გადმოეგზავნა. საქმე დაეწერა ჩემ თანაშემწეს **ზურაბ მანტკავას**. შემდეგ მას შეუერთდა **შოთა რეხვიაშვილი.**

მეგობრებო, საგამოძიებო ორგანოებისათვის უფრო დიდი ცინიკოსი და უფრო დიდი წინააღმდეგობის გამწევი პიროვნება, როგორიც ქართლოს ღარიბაშვილი იყო, არასდროს მინახავს. მას ჰქონდა ოფისი და ოფისის 14-ვე თანამშრომელი აყვანილი ჰყავდა დამცველად. ყველასთან გააფორმა ხელშეკრულება. ეს რისთვის უნდოდა? ერთი რომ შემოვიდოდა, დაღლიდა ლაპარაკით, მერე მეორე, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე და... ასე დაუსრულებლად. ადვოკატები დაგეშილები ჰყავდა. იმ პერიოდში, მიტინგები ხშირად თბილისში, რუსთაველზე იმართებოდა. მოვიდოდა ჩვენთან, რაღაცას შეგვეკითხებოდა, პასუხს გავცემდით, წავიდოდა მიტინგზე და სულ სხვა რამეს იტყოდა. რა უნდა გვექნა? მიტინგზე ხომ არ გამოვიდოდით? ერთი სიტყვით, ამ საქმეს დამთავრება არ ეწერა.

ერთხელ, როგორც იქნა, ქართლოსი ჩავიგდე ხელში და ვუთხარი, აი, ამა და ამ დღეს, ჩვენ ვიბარებთ იმ მოსამართლეებს, რომლებსაც შენ შეურაცხყოფა მიაყენე და თუ არ ჩამოხვალ, შეიძლება აღკვეთის ღონისძიება შეგიცვალოთ-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს სასაცილოდ არ ეყო, მაგრამ მე მართლაც დავემუქრე. აღკვეთის ღონისძიების შეცვლა და პატიმრობის შეფარდება ხდება მაშინ, როცა ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში, საგამომძიებლო ორგანოებში გამოცხადებას და ხელს უშლის გამოძიებას

მტკიცებულების მოპოვებაში. ეს არის სტანდარტი და როცა ასეთი რამ ხდება, საგამოძიებო ორგანო ვალდებულია, მიმართოს სასამართლოს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

დავიბარეთ მოსამართლეები. ერთი მოსამართლე იყო ლტოლვილი, რომელმაც პატარა ბავშვი (რადგან მეუღლე შინ არ იყო) მეზობელს დაუტოვა და ჩამოვიდა. უნდა მოგვეხდინა დაპირისპირება (მაშინ ასეთი საპროცესო მოქმედება არსებობდა). ჩამოვიდა მეორე მოსამართლე, მესამეც და ღარიბაშვილმა ნურას უკაცრავად, არ იკადრა ჩამოსვლა. აი, სწორედ მაშინ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვეპატიმრებინა და მართლაც, დავაპატიმრეთ. ეს ის გარდამავალი პერიოდი იყო, როცა სანქციას იძლეოდა მოსამართლე და სწორედ მოსამართლემ გასცა დაპატიმრების სანქცია. შემდეგ ეს გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში. რადგან ახალი კანონმდებლობა იყო, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები, საკმაოდ კვალიფიციური ადამიანები იყვნენ, მაგრამ ვერ გაერკვნენ სიტუაციაში, გააუქმეს აღმკვეთი ღონისძიება და ხელახლა გადმოუგზავნეს რუსთავის სასამართლოს განსახილველად. რუსთავის სასამართლომ მეორედაც დააპატიმრა ღარიბაშვილი და გადავიყვანეთ თბილისის საგამოძიებო იზოლატორში.

ეს საქმე შეიძლებოდა, არც კი მომეყოლა, რომ არა ბევრი ფაქტი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, თუნდაც იმის გამო, რომ იცოდეთ, თუ ვინ იყო სინამდვილეში ქართლოს ღარიბაშვილი. ის იყო თეთრიწყაროში დაბადებული, რომელიც წავიდა მოსკოვში, სადაც დაიცვა დისერტაცია, ჰქონდა რუსეთის მოქალაქეობა და ჩაწერილი იყო მოსკოვში. მას არ ჰქონდა საქართველოს პასპორტი, თუმცა იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და სამჯერ იყრიდა კენჭს საქართველოს პრეზიდენტად. ეს ყველაფერი გამოირკვა მაშინ, როცა ის დელეგაციასთან ერთად საზღვარგარეთ უნდა წასულიყო. აღმოჩნდა, რომ არ ჰქონდა ქართული დიპლომატიური პასპორტი და ვერც ექნებოდა, იმის გამო, რომ ის იყო რუსეთის მოქალაქე და რუსეთის პასპორტს ფლობდა. ის საქართველოში ფლობდა მხოლოდ სოფლის კომლის წევრობას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში შენ საქართველოს მოქალაქე ხარ. არ მინდა გარდაცვლილ კაცზე ცუდად საუბარი, მაგრამ... ღარიბაშვილი

იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი სახის პროვოკაციის მოწყობა. აი, ასეთ ადამიანს, რომელიც კანონის სრული დაცვით დავაკავეთ, გამოუჩნდნენ დამცველები, რაც ამაზრზენი იყო.

პირველ რიგში, მის დამცველთა შორის იყო იმდროინდელი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ელენე თევდორაძე.** ვისაც ელენე თევდორაძის სჯეროდა და სჯერა, ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს. ჩემს თვალში ეს ქალი მატყუარა და მაცდურია. მისი ყველა მოქმედება აგებული იყო სიცრუეზე და პირად ანგარებაზე. ეს ადამიანი სჩადიოდა ისეთ საქმეებს, რაც გამაოგნებელი იყო. ყოველდღე ითხოვდა პატიმართან შეხვედრას... ბოლოს მან და სახალხო დამცველმა (მისი გვარის და სახელის დასახელებაც კი მეუხერხულება, ძალიან ახლოს ვიცნობდი და საქართველოში ერთ-ერთი ნიჭიერებით გამორჩეული ადვოკატი იყო მაგრამ რატომღაც არასწორი გზა აირჩია) შეცდომაში შეიყვანეს ქალაქ თბილისის მოსამართლე, რომ თითქოს ღარიბაშვილი უკანონო პატიმარი იყო. დააწერეს საქმე განსახილველად მოსამართლე ბარაბაძეს (თუ არ ვცდები, ბარაბაძე იყო) რა თქმა უნდა, ზეწოლის შედეგად. პროცესი არც კი ჩატარებულა. პროცესზე მონაწილეობას იღებდა, სახალხო დამცველის ელენე თევდორაძის და სხვების მიერ წაქეზებული პროკურორი (ვითომ მონაწილეობდა, სინამდვილეში არავის მონაწილეობა არ მიუღია, როგორც შემდეგ გამოირკვა) და მოსამართლემ ღარიბაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლა. ესეც ერთ-ერთი კურიოზი იყო ქართული სამართლის ისტორიაში. მაშინ პროცესი ახალი გამოშვებული იყო, ბევრი ვერ ერკვეოდა, ამით ისარგებლეს და რომ იტყვიან, ციხიდან გააპარეს პატიმარი, რომელთანაც სხვაგვარად მუშაობა შეუძლებელი იყო. ცხადია, გენერალურმა პროკურორმა მე მისაყვედურა, რომ თქვენთვის უთქვამს ციხის უფროსს, რომ გაშვებას უპირებსო და რატომ არ გვითხარიო? მე ვუთხარი: „მითხრა მან, მაგრამ ამას რას წარმოვიდგენდი-მეთქი“. რა უფლება ჰქონდა, ვთქვათ თბილისის სასამართლოს განეხილა რუსთვის საქმე, ასეთ ქვემდებარეობას კანონი არ ითვალისწინებდა. მე მონაწილე ვიყავი ამ კანონპროექტის, რომელსაც პროცესის მიღება ჰქვია და ვიცოდი ეს დეტალები, ამიტომ თავს მშვიდად ვგრძნობდი, რომ ამას ვერავინ გაბედავდა, მაგრამ სახალხო დამცველისა და ელენე თევდორა-

ძის წაქეზებით, მოთხოვნით და ათასი სხვაგვარი მაქინაციებით, აიძულეს ეს არაპრინციპული მოსამართლე, რომ ღარიბაშვილი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ როგორ იქნებოდა ამ საქმის დამთავრება, გამოძახებაზე გამოცხადდებოდა, თუ რას იზამდა? რა თქმა უნდა, ამაზე ავტეხე ერთი ამბავი, გავაკეთეთ განცხადება და მაშინ გაიგო ყველამ, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. მოვითხოვე მოსამართლის და პროკურორის მიმართ საქმის აღძვრა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. შორს არ იყო ეს მომენტი, მაგრამ ამ დროს გამოვიდა ამნისტია, რომელიც შეეხო ღარიბაშვილსაც და ის ამნისტიის აქტის გამო პასუხისმგებლობისგან გავათავისუფლეთ.

ყველაფერი ეს იმიტომ მოვყევი, რომ ადამიანის უფლების დამცველი ხარ, თუ სახალხო დამცველი, უნდა იყო ობიექტური და მიუკერძოებელი. არ შეიძლება, სამართალდამცავ ორგანოებს გაუწიო დისკრედიტაცია იმისთვის, რომ მხოლოდ შენს მიზნებს მიაღწიო. ჯერ უნდა გაერკვე კანონმდებლობაში სრულად და ზუსტად, შემდეგ გააკეთო განცხადება და დაუჭირო მხარი ან ერთ, ან მეორე მოდავე მხარეს. ეს ჩვენ შემთხვევაში არ მოხდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ყოვლად უკანონოდ, უსამართლოდ, პატიმრობიდან გაათავისუფლეს პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა გამომძიებლებს გამოძიების ჩატარებაში და მტკიცებულების მოპოვებაში, რაც კანონის მოთხოვნის მიხედვით, როგორც აღვნიშნე დაპატიმრების საფუძველია.

აცილებული საქმე

პოლიციის მუშაკის მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული

კიდევ ერთი აცილებული საქმე, რომელმაც ნამდვილად არ დაგვაყენა არც ერთი პროკურატურის მუშაკი კარგ ხასიათზე, იყო ის, რომ თბილისის პოლიციის სამმართველოს ნარკობიზნესისა და ნარკომანიის სამმართველოს უფროსმა (გვარს არ დავასახელებ, იმიტომ, რომ მას შვილები ჰყავს და არ ვიცი, ხვალ-ზეგ რა მოხდება) ჩაიდინა პოლიციის მუშაკისთვის, ძალიან მარტივად ვიტყვი, არათუ უხეში დარღვევა და გადაცდომა, არამედ ძალიან მძიმე, სისხლის სამართლის დანაშაული. მან თავისი უაზრო მტკიცებულებების თითქოსდა გამოყენებით, დააკავა და პოლიციის სამმართველოში მოათავსა 19 წლის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, გვარად ხიდეშელი, რომლებსაც სრულიად უკანონოდ ბრალად დასდო ***არკადი ოგანეზოვის*** მკვლელობის მცდელობა. (არკადი *ოგანეზოვი* იყო 9 აპრილს დაღუპული, თამარ ჭოველიძის ბიოლოგიური მამა. შვილი იყო ჭოველიძის, მამა კი – *ოგანეზოვის* გვარზე). ამ ადამიანების დაკავებას მოჰყვა ის, რომ ახლად გათხოვილი 19 წლის გოგონა, საგამოძიებო იზოლატორში, ვიგინდარა პოლიციელმა გააუპატიურა. საუბარი ამ პოლიციელთან იყო საშინელება, არ ვიცი, რა უნდა დაარქვა ამას, უმეცრება, შეუგნებლობა თუ რაღაცა სხვა მსგავსი. ის, რაც სისულელეებს, მტკიცებულებად ასაღებდა. როცა ისინი დაკავებულები იყვნენ და მოთავსებული თბილისის საგამოძიებო იზოლატორში, ყოველგვარი ვადების დარღვევით, სამმართველოს უფროსს, ძალიან კარგ ოპერატიულ მუშაკს და ჩემ მეგობარს **დემურ მიქაძეს** მოახსენეს საქმის არსი. *დემურმა* გამოიძახა სამმართველოს უფროსი და მოსთხოვა დაკავებულების გათავისუფლება, მაგრამ მან ისინი გადაიყვანა პოლიციის სხვა განყოფილებაში, შემდეგ საგამოძიებო იზოლატორში და იქ მოხდა გოგონას გაუპატიურება. მოკლედ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების უარესი მაგალითი არ შეიძლება, ყოფილიყო. როცა შენ ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, შენი რაღაც

მოჩვენებების გამო, წარმოდგენა არ გაქვს მტკიცებულებებზე და მის შეფასებაზე, აკავებ ერთი ოჯახის სამ წევრს, რომლებსაც საერთოდ არაფერი შეხება არ ჰქონიათ ამ მკვლელობასთან, ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით. ამ საქმეს იძიებდა ძალიან კვალიფიციური გამომძიებელი, ჩემი მოადგილე **ელგუჯა ხარშილაძე,** რომელიც, რა თქმა უნდა, ყოველი დღის ბოლოს მაყენებდა საქმის კურსში, თუ ვინ დაიკითხა და როგორ მტკიცდებოდა თანდათან ამ პოლიციის მუშაკის ბრალეულობა. ჩვენ მივიღეთ ერთობლივად გადაწყვეტილება, რომ პოლიციელი დაგვეპატიმრებინა. იმ პერიოდში პოლიციის პოლკოვნიკის დაპატიმრება, თანაც ფორმიანი კაცის, ჩვენი პოლიციელებისთვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ასეთი რამ მოვიფიქრე – გამოვიძახე პოლიციის უფროსის მოადგილე (უფროსი იმ დროს ადგილზე არ იყო) **მჭედლიშვილი**, რომელიც ძალიან პრინციპული კაცი იყო და ვუთხარი, რომ როგორც კი დაგირეკავთ, მოხვალთ 4-5 კაცი, ხარშილაძის კაბინეტში არის პოლიციის მუშაკი, არ მოერიდოთ მის თანამდებობრივ სტატუსს, დააკავეთ, წაიყვანეთ და რომ მიიყვანთ, დამირეკეთ და გეტყვით, როგორ მოიქცეთ-მეთქი. მოვიდნენ პოლიციის მუშაკები, უთხრეს, რომ დაკავებული ხარ და წამობრძანდიო. წინააღმდეგობის გაწევას შეეცადა, მაგრამ ვინ აცადა, დააკავეს და წაიყვანეს. მჭედლიშვილმა დამირეკა, რა ვუყოთო? მე ვუთხარი, მალე მოვა ხარშილაძე და მოგიტანთ დაპატიმრების ან ეჭვმიტანილად დაპატიმრების ორდერს, ან და საერთოდ სანქციას-მეთქი. ჩვენ მოვილაპარაკეთ და ვარჩიეთ, რომ 10 დღიანი გაგვეცა და დავკვირვებოდით, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

ცხადია, ეს ამბავი უცებ გახმაურდა და იმ ღამესვე სამწუხაროდ, არ ვიცი, შეცდომით თუ რაღაცა სხვა დამთხვევითობა იყო, თბილისის პოლიციის სამმართველომ (ალბათ უფროსის მითითებით) გამოაცხადა გაფიცვა. მე სამუშაოს გვიან, 11 საათზე მოვრჩი, რუსთავიდან ჩამოვედი თბილისში, დიდ დილომში ვცხოვრობდი, გავიარე მთელი ქალაქი, ვხედავ, რომ გზაზე ერთი პოლიციელიც კი არსად დგას. მოგეხსენებათ, მაშინ პოლიციელები ქუჩაში პატრულირებდნენ. ამის შემდეგ დამირეკა ერთ-ერთი განყოფილების უფროსმა, ჩემმა ბავშვობის მეგობარმა **ვაჟა ასათიანმა** და მითხრა:

„ვენედი, ეს რა ქენი, პოლიციელების გაფიცვაა გამოცხადებული“. მე ვუთხარი: „ჩემო ვაჟა, შენ ხარ პოლიციელი და გთხოვ, რომ ყველას მიაწვდინო ხმა, ვინც მას (დაკავებულ პოლიციელს) დაიცავს (მხედველობაში მყავს ხელმძღვანელობა) *მივუსვამ* გვერდში, რადგან ეს მარტო არ მოქმედებდა!“ ამ პასუხმა გაჭრა, ძალიანაც კარგად იმოქმედა და მეორე დღეს, პოლიციელები ჩვეულებისამებრ შეუდგნენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. რა ბედი ეწია ამ ვაჟბატონს? საქმე წარვმართეთ სასამართლოში და მის მიმართ დადგენილი იქნა *გამამტყუნებელი* განაჩენი.

მაჭახელას საქმე

კიდევ ერთი საქმე, რომელიც აცილების წესით შემოვიდა რუსთავის პროკურატურაში, იყო მხედრიონის ცნობილი პიროვნების, ეგრეთწოდებული „მაჭახელას საქმე“. ზოგი მას ჯაბა იოსელიანის მოადგილედ მიიჩნევდა, ზოგი კახეთის მხარის მხედრიონის უფროსად.

გამომიძახა რესპუბლიკის პროკურორმა და მითხრა, ამ საქმეს თავი ვერ გაართვეს საგარეჯოში და როგორმე რაღაც უნდა მომიხერხოო.

მეტსახელად „მაჭახელამ“, ქალაქის ცენტრში, დღისით, მშობლების თვალწინ, ავტომატის ჯერით დაცხრილა 2 პიროვნება. საგარეჯოს პროკურორმა შეუფარდა შიდა პატიმრობა. ჯერ ერთი, ორი კაცის მკვლელს შინაპატიმრობას ვინ უფარდებს და მეორე, მაშინ შინაპატიმრობა, აღმკვეთი ღონისძიება საერთოდ არ იყო. „მაჭახელა“ ჩვეულებრივ, ლაღ ცხოვრებას ეწეოდა, თავის ბანდასთან ერთად ძარცვავდა ხალხს, მონაწილეობდა სხვადასხვა მიტინგში, სხვა ათას უბედურებაში და კაციშვილი მას ხმას ვერ სცემდა.

დავიწყეთ გამოძიება. დავკითხეთ ყველა. როცა უტყუარად დადასტურდა, რომ დანაშაული ჩადენილი ჰქონდა „მაჭახელას,“ მაშინვე გავეცი დაპატიმრების სანქცია (მაშინ პროკურორის მიერ ხდებოდა დაპატიმრების სანქციის გაცემა). ავდექი, სხვას არ ვენდე და პირადად ჩამოვუტანე მინისტრს, კვირაიას. მაგრამ კვირაია ადგილზე არ დამხვდა და ამიტომ სანქცია გადავეცი არაჩვეულებრივ პიროვნებას, ნამდვილ ინტელიგენტს, მინისტრის პირველ მოადგილეს.

მითხრა: – ვენედი, შენ ახლა რასაც აკეთებ, ეს ცოტა მძიმე ამბავია...

– რატომ? – ვუპასუხე.

– იმიტომ, რომ „მაჭახელა“ სულ რაღაც სამი დღის წინ კვირაიასთან იყო და აქედან ერთად, ხელმკლავით წავიდნენ, მისი დაპატიმრება ალბათ გაუჭირდებათ.

– ჩემს მოვალეობას მოვიხდი და რაც მოხდება, მერე ვნახოთ, – ვუპასუხე და წამოვედი.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ ეს საქმე იოლად არ ჩაივლიდა. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ავტომატებით შეიარაღებული მხედრიონელები (არ დამითვლია, მაგრამ ძალიან ბევრნი იყვნენ) კაბინეტში შემომივარდნენ და მომთხოვეს „მაჭახელას“ დაუყოვნებლივ გათავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში რით დამემუქრებოდნენ, ადვილი მისახვედრია. მაშინ გადამარჩინა იმან, რომ მხედრიონი ოფიციალური სტრუქტურა იყო და რუსთავის მხედრიონის უფროსი, მერიის წევრი, თავადიშვილი გელოვანი გახლდათ. ვუთხარი: „შენ ხომ ხელისუფლების წარმომადგენელი ხარ, პირიქით, რომ უნდა ებრძოდე ასეთ დანაშაულებს, იცავ? ამ გზაცდენილ ახალგაზრდებს იმისთვის მოჰყევი, რომ გავათავისუფლო ორი კაცის მკვლელი ვინმე „მაჭახელა“? გარდა ორი კაცის მკვლელობისა, ხომ იცი, რომ მას უამრავი სხვა დანაშაული აქვს ჩადენილი“. მოკლედ, ჩემმა შეგონებამ გაჭრა და როგორც იქნა, მხედრიონელები გავისტუმრე, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვცხოვრობდი შიშში. ყველას მოგეხსენებათ, რომ იმ წლებში გამეფებული იყო შემთხვევები, როცა კარის საკეტზე ჩამოკიდებდნენ ასაფეთქებელ ნაღმს, ხელყუმბარას, რომელიც კარის გამოღების დროს ფეთქდებოდა და ადამიანები იღუპებოდნენ. ამიტომ ჩემი თხოვნით, ჩემ წინ მცხოვრები მეზობელი და საუკეთესო მეგობარი დილით როცა გამოვიდოდა (ის ადრე 7 საათზე მიდიოდა სამსახურში), უნდა შეემოწმებინა ჩემი კარი და დაერეკა ჩემთვის, რომ არავითარი საფრთხე არ არსებობდა, რათა მშვიდად გავსულიყავი სახლიდან. თუ სამსახურში წასვლას რაიმე მიზეზით ვერ მოახერხებდა, უნდა შეეტყობინებინა ჩემთვის, რომ კარის შესამოწმებლად სხვა ზომები მიმეღო. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა „კარის თვალში“ („*გლაზოკში*“) გამოეხედა და იქ დაენახა, იყო თუ არა *ჩემ* კარზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი. ასეთ შიშში ვიცხოვრე ძალიან დიდხანს. როცა მანქანაში ვჯდებოდი, თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ახლა ალბათ ვიღაც მესვრის. სულ იმის განცდა მქონდა, მარცხენა მხარეს მომხვდებოდა ტყვია თუ მარჯვნივ. მანქანაში რომ ჩავჯდებოდი და გავივლიდი 200-300 მეტრს, მერე ვმშვიდდებოდი და ვრწმუნდებოდი, რომ დღესაც გადავრჩი. ასეთ შიში გავიდა წლები, შემდეგ მხედრიონის თარეში აღიკვეთა და მაჭახელაც დაიჭირეს.

ერთხელ, როცა გენერალური პროკურორის მოადგილე ვიყავი, რაღაც საქმესთან დაკავშირებით ციხეში მივედი. ვიღაც პატიმარი რაღაცას ყვიროდა.

– ვინ ხარ შენ? – ვეკითხები.

– მე პოლიტპატიმარი მაჭახელა ვარ! – მიპასუხა.

– პოლიტპატიმარი კი არა, ნაძირალა ხარ შენ, რამდენი ადამიანი გყავს მოკლული? რანაირი პოლიტპატიმარი ხარ? – მივახალე პირში.

საქმე N... რძლის მიერ მოკლული მამამთილი

გავიხსენებ კიდევ ერთ აცილებულ საქმეს გარდაბნიდან, როცა რძალმა მამამთილი მოკლა. პროკურატურამ არ დააპატიმრა რძალი, რადგან რძლის ჩვენებებში იყო, თითქოს მამამთილის მხრიდან არსებობდა ძალადობის მცდელობა, რის გამოც მას ბლაგვი საგანი ჩაურტყამს თავში. რა თქმა უნდა, ტყუილს ამბობდა. პროკურორმა არ დააპატიმრა ეს ქალბატონი, თუ რატომ, მოტივი არ ვიცი, ალბათ თვითონ იცის.

ერთ დღეს ბაბილაშვილი მეუბნება, რომ ეს საქმე უნდა წამოვიღოთ, თორემ პროკურორს დაპატიმრება მოუწევსო. პროკურორი ჩემი მეზობელი იყო, ამას როგორ დავუშვებდი და ეს საქმე წამოვიღე. მომჩივნების ტალღამ, რომელიც 5 ძმას ახლდა, ყველამ ჩვენთან გადმოინაცვლა. ყოველ დღე ითხოვდნენ ამ ქალის დაპატიმრებას. საქმე გართულდა იმ თვალსაზრისით, რომ პრაქტიკულად, მტკიცებულებები აღარ იყო, ამ ქალის ჩვენების გასაბათილებლად და დაპატიმრება მართლა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მოკლედ, რამდენიმე თვე ჯვარს გვაცვეს. შემდეგ, როგორც იქნა, დავარწმუნეთ ისინი, რომ ამ ეტაპზე მისი დაპატიმრება არ მოხდებოდა და თავიდან ავიცილეთ ის დიდი შემოტევა, რომელიც ყოველდღიურად 100-200 კაცის მხრიდან მოდიოდა.

მკვლელობა რუსთავში

რუსთავის საქმეებზე რომ გიამბოთ, ცხადია, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს. რა თქმა უნდა, რუსთავში იყო მიმდინარე საქმეები, რომლებიც გამოსაძიებლად რთული, ზოგიერთი კი ამაზრზენიც იყო.

იყო ასეთი საქმე: მკვლელობა ჩაიდინა რუსთავში ერთმა ახალგაზრდა კაცმა. ზამთარში, ღამის 12 საათზე სახლიდან გამოიყვანა თავისი საყვარელი (ისიც ენდო, რადგან გოგონას სიგიჟემდე უყვარდა თავისი რჩეული). რუსთავის ხიდზე რომ მიდიოდნენ, მამაკაცმა ქალს ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით თავის არეში მიაყენა დაზიანება, შემდეგ ჩაათრია მდინარის ნაპირზე და გადამალა. ღამის სამი საათი იქნებოდა, ვიღაცამ გაიგონა მომაკვდავი ქალის კვნესა და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის დახმარებით, დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეს ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენას უარყოფდა, მაგრამ ჩვენ შევძელით, სხვადასხვა ექსპერტიზის მეშვეობით, მტკიცებულებების მოპოვება. ამასობაში გოგონაც აზრზე მოვიდა და წამოილუღლუღა დამნაშავის გვარი, თუმცა იმდენად უყვარდა, რომ მისი დაჭერა მაინც არ უნდოდა. სამწუხაროდ, გოგონას გადარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ეს საქმე დამამახსოვრდა იმის გამო, რომ ამდენი მფარველი, რამდენიც მკვლელს ჰყავდა, არასდროს მინახავს. რუსთავში, თბილისში და სხვაგან ყველა ითხოვდა, რომ დამნაშავე გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის გაესამართლებინათ. მართლაც, მიაღწიეს იმას, რომ ამ ბრალდებით გაასამართლეს. ცხადია, განაჩენი გავაპროტესტე, როგორ დავეთანხმებოდი ასეთ უნამუსობას! გავაუქმე განაჩენი და მას მიესაჯა ის სასჯელი, რისი ღირსიც იყო.

რუსთავის საქმეებიდან კიდევ მრავალი საქმის გახსენება და განხილვა შეიძლება. ვფიქრობ, თუ რომელი შეიძლება მივაწოდო მკითხველს. ასეთი ჩემს მოგონებაში ძალიან ბევრია... მაგრამ ახლა აქ გავჩერდები და დავასრულებ რუსთავში ჩემს მოღვაწეობაზე საუბარს. თუ რაიმე ისეთი მოვლენა ამოტივტივდება ჩემს მეხსიერებაში, სხვა საუბრებში გიამბობთ. რუსთავთან დაკავშირებით ერთს ვიტყვი და მთავარს – ჩემთვის რუსთავში მუშაობის პერიოდი ყველაზე მეტად საინტერესო და გამორჩეული იყო.

ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეტაპი

1999 წლის, აპრილში, დავტოვე რუსთავის პროკურატურა და სამუშაოდ გადავედი ახლად დაფუძნებულ თბილისის საოლქო სასამართლოში (1999-2001წწ.) თბილისის საოლქო სასამართლოში მუშაობა ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფურცელია. მაგრამ თუ როგორ მოხდა ამ სასამართლოში ჩემი მუშაობის დაწყება, მინდა პრეისტორიის შესახებ მოგიყვეთ.

1997 წლის დასაწყისში, ჯერ კიდევ რუსთავში ვმუშაობდი, როცა რეფორმების კომისიაში ჩავები. ჩემმა ნაცნობმა (მაშინ მეგობარი არ იყო) არაჩვეულებრივმა მეცნიერმა, **გია მეფარიშვილმა** დამირეკა და მითხრა, რომ სისხლის სამართლის პროცესის პროექტს გადმოგიგზავნი, რომელიც მოსკოვში, *პეტრხინმა* მოამზადა და გაეცანიო. რა თქმა უნდა, დავინტერესდი პროექტით, ორი დღე ვეცნობოდი. მესამე დღეს დავურეკე გიას და ვუთხარი: „გია, ამ პროცესით საქართველოში ვერავინ იმუშავებს, თუ ამის იმედი უნდა მქონდეს, ამაზე საუბარიც კი დამთავრებულია. თან, უკვე ახალი სასამართლო სისტემა უნდა ამუშავდეს და ამ კანონით, ცხადია, შეუძლებელი იქნება“. მითხრა შევხვდეთო. მივედი გიასთან, ვისაუბრეთ პროექტის შესახებ, გამოვყავით მისი უამრავი ხარვეზი. გია ძალიან გონიერი, განათლებული კაცია და თავადაც დარწმუნდა, რომ ამ პროექტით მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა. დაურეკა იუსტიციის მინისტრს მიხეილ სააკაშვილს და ჩემს შესახებ უთხრა. სააკაშვილი იქიდან მიცნობდა, როცა კოლეგიაზე ძალიან მკაცრი კამათი მომივიდა ერთ-ერთ მოადგილესთან (გვარის დასახელება

არ ღირს). სააკაშვილმა მითხრა, ძალიან აქტიურად ჩავბმულიყავი რეფორმების კომისიის საქმიანობაში.

რეფორმატორთა ჯგუფში იმ პერიოდში ჩართულნი იყვნენ ისეთი ცნობილი ადამიანები და მეცნიერები, როგორებიც არიან: ლადო ჭანტურია, დათო სულაქველიძე, თენგიზ ლილუაშვილი, ბუმბერაზი მეცნიერი და პიროვნება, რომლისგანაც პირადად დავალებული ვარ და თუ რით, ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები 1998 წლიდან დაიწყო, მაშინ მე რუსთავის პროკურორი ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმათა ჯგუფში აქტიურად ვმუშაობდი, ამ საგამოცდო პერიპეტიებში ჩაბმული არ ვიყავი. დაკვირვებით ჩანდა, რომ ეს იყო უმძიმესი პერიოდი, იურისტებისათვის, იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მოსამართლეობა უნდოდათ. ხშირად მეკითხებიან, სწორი იყო თუ არა ის ფორმა და მეთოდი, რაც გამოიყენეს მოსამართლეების საკვალიფიკაციო გამოცდების და მოსამართლეთა ახალი კადრის შერჩევის დროს? გიპასუხებთ – რეფორმა აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, რადგან იცვლებოდა მთლიანად კანონმდებლობა. მოსამართლე, რომელმაც არ იცის თანამედროვე კანონმდებლობა, თანამდებობას არ უნდა იკავებდეს. თუმცა ვაღიარებ, რომ შეცდომები იყო მის ფორმაში. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები შინაარსობრივად იყო ურთულესი და ჩატარდა ძალიან ემოციურ ვითარებაში, რასაც მოჰყვა, რამდენიმე ადამიანის ავადმყოფობა და გარდაცვალებაც კი. იყო ასეთი სიტუაცია – ვთქვათ, გამოცდას აბარებდა ყოფილი მოსამართლე (ყველა ვალდებული იყო, ყოფილი და მოქმედიც, გამოცდა ჩაებარებინა) ან პროკურორი და მოხდა ისე, რომ ვთქვათ მოსამართლე ან პროკურორი ჩაიჭრა, მეორე დღესვე პრესაში (გაზეთი „ალია“ განსაკუთრებით აქტიურობდა) გაჩნდებოდა სტატია სათაურით – „ოროსანი პროკურორი“ ან „ოროსანი მოსამართლე“, რაც ადამიანებზე ფსიქოლოგიურად ძალიან მოქმედებდა.

საგამოცდო პროგრამა მთელი თავისი სპექტრით, იურიდიული მეცნიერებებით ურთულესი იყო. ცხადია, გამოცდებმა თავისი კვალი დატოვა, ზოგისთვის დადებითი, ზოგისთვის უარყოფითი. პირველ ეტაპზე, გამოცდები, ბევრმა წარმატებით ჩააბარა და გახდა მოსამართლეობის კანდიდატი. ჩემთვის ძალზედ სასიამოვნო იყო შეთავაზება, როდესაც მოულოდნელად გამომიძახეს და მითხრეს, რომ უნდა ვყოფილიყავი მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გა-

მოცდების კომისიის წევრი, გამესწორებინა ნაშრომები საპროცესო კოდექსში, სხვა ერთ პირთან ერთად, წინასწარ არავინ იცოდა, ვინ იმუშავებდა ჩემთან ერთად. კომისიაში მუშაობა ხან გია მეფარიშვილთან, ხან დათო სულაქველიძესთან და ხანაც თამაზ კაპანაძესთან ერთად მიწევდა. ჩემთვის დიდი ნდობა და პატივი იყო, რომ პროკურორს ანდეს ასეთი საპასუხისმგებლო საქმე, უფრო მეტიც, მე ვიყავი ერთ-ერთი წევრი კომისიის, რომელმაც მიიღო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების გამოცდები. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის პროცესში. ახლაც თვალწინ მიდგას მათი ნაშრომები, ყველა არაჩვეულებრივი იყო, დიდი მონდომებით შედგენილი. მინდა აღვნიშნო, რომ გამოცდამდე მათთვის, უზენაეს სასამართლოში წავიკითხე ერთთვიანი ლექცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბატონ ლადო ჭანტურიას თხოვნით და რომ იტყვიან, ისინი მოვამზადე გამოცდებისთვის. ამიტომაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო მათი გამოცდის მიღება. აბსოლუტური უმრავლესობის ნაშრომი არაჩვეულებრივი იყო. იური ტყეშელაშვილი, იური ტაბუცაძე, მადონა გოგელია, ... სხვები და სხვები.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვალერი *ხრუსტალი*, რომელიც სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი იყო და სისხლის სამართლის პროცესში ისე ჩააბარა გამოცდა, თითქოს სამეცნიერო დისერტაცია დაიცვა. დასამახსოვრებელი იყო ასევე აწ გარდაცვლილის ძალიან კარგი პიროვნების, ჯემალ ლეონიძის თემა, მან საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდა.

რაც შეეხება მოსამართლეთა დანიშვნას, შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში, მოსამართლეს ნიშნავდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არც ერთი მოსამართლე არ წარუდგენია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სააკაშვილის გარეშე. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა, რომ ყველა მოსამართლე დასანიშნად, იმ ეტაპზეც და შემდგომაც წარადგინა მიხეილ სააკაშვილმა. მიხეილ სააკაშვილი ფლობდა აბსოლუტურ მონოპოლიას მოსამართლეთა დანიშვნაში. მის გარეშე ვერავინ დაინიშნებოდა ამ თანამდებობაზე. ეს ყველაფერი კი თავად მინდობილი ჰქონდა პრეზიდენტ შევარდნაძისაგან. შემდეგ ნახევარი მოსამართლეები რომ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მე გაკვირვებული ვიყავი, რადგან ყველა ესენი ხომ შერჩეული და დანიშნულები იყვნენ სააკაშვილის მიერ და შემდეგ თვითონვე სხვადასხვა მოტივით (ძირითადად, დაუჯერებ-

ლობის მოტივით თითქოს და არ ემორჩილებოდნენ, ალბათ ვიღაცა რაღაცას უკარნახებდა) გაათავისუფლა სამსახურიდან, რასაც დაარქვეს „შეკვეცა“.

მაშინ სასამართლოს ერქვა „თბილისის საოლქო სასამართლო“ და არა „ქალაქ თბილისის სასამართლო“, რადგან მასში შედიოდა აღმოსავლეთ საქართველო. იმ პერიოდისათვის შეიქმნა ორი საოლქო სასამართლო, ანუ ქვეყანაში დაფუძნდა ახალი სამ საფეხურიანი სასამართლო სისტემა: პირველი, მეორე და მესამე. პალატის შემადგენლობებში სამუშაოზე განწესებას ახდენდა პრეზიდენტი, პირდაპირ ვიტყვი, სააკაშვილის წარდგინებით. გიამბობთ როგორ მოხდა ჩემი დანიშვნა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ.

რეფორმატორთა ჯგუფი ბორჯომში ვიყავით. ღამის პირველი საათი იქნებოდა, მირეკავს მიხეილ სააკაშვილი და მეუბნება: „*ახლა* ვარჩევთ მოსამართლეების კანდიდატებს და შენ გათვალისწინებული ხარ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ“. მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ბევრი პოლიტიკური საქმე იყო. მე მიცნობდნენ, როგორც პრინციპულ ადამიანს, თუ რაიმე განხორციელდებოდა თანამდებობის პირების მიმართ, უკან რომ არ დავიხევდი, ამიტომ ამ ნიშნით, ამ თანამდებობაზე ჩემი დანიშვნა აწყობდათ, მაგრამ მიშას კატეგორიული უარი ვუთხარი: „არა, მე იქ არ წავალ, ძალიან კარგ ადგილზე ვმუშაობ და თუ დახმარება დაგჭირდებათ, მოგეხმარებით!“. არ ვიცი საიდან? როგორ? რანაირად? სატელეფონო საუბრიდან დაახლოებით საათ ნახევარში სააკაშვილი ბორჯომში ჩამოვიდა.

შუაღამეა, რეფორმატორთა ჯგუფი დილამდე მუშაობდა. მოვიდა სააკაშვილი ჩემთან. ვისაუბრეთ და ბოლოს შევთანხმდით. დავთანხმდი, რომ მე ვყოფილიყავი საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე და მათ შორის, მოადგილე. ეს რომ შევთავაზე მიშას, ამ თანამდებობაზე დავთანხმდები-მეთქი, მითხრა: „ეს მეც მინდოდა შემომეთავაზებინა, რადგან დათო სალუქვაძე მართალია უნიჭიერესი კაცია, მაგრამ ცოტა ლოიალურია და საჭიროა მკაცრი ხელი“. შევთანხმდით და ასე მოხდა ჩემი დანიშვნა.

***

არაჩვეულებრივი კაცი და დიდი მეცნიერი იყო თენგიზ ლილუაშვილი, რომელთანაც დიდი მოგონებები მაკავშირებს. ერთხელ ლიკანში ვართ სისხლის სამართლის პროცესის კომისიიდან მე, მეფარიშვილი, სულაქველიძე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომისიიდან მარტო თენგიზ ლილუაშვილი იყო წარმოდგენილი. ისე მოხდა, რომ მუშაობის პროცესში ჩვენმა კომისიამ ერთი საათით შეაჩერა მუშაობა, რაღაც საკითხი უნდა შეგვეთანხმებინა რეფორმების კომისიის თავმჯდომარე სააკაშვილთან. ვისარგებლე შესვენებით და ვთხოვე ბატონ თენგიზს, რომ ჩავერთვებოდი იმ პროცესში, სადაც ის მუშაობდა კოდექსის ცალკეულ მუხლებზე. სიამოვნებით დამთანხმდა. მუშაობის პროცესში ჩემი აზრი აშკარად მკვეთრად გამოხატული და მოწონებული იყო ბატონი თენგიზის მიერ. როცა მე წინადადებას დავაყენებდი და შევთავაზებდი ბატონ თენგიზს ახალ პროცესუალურ ნორმას, უფრო სწორად, ცვლილებას იმ ნორმაში, რაც არსებობდა, ბატონი თენგიზი აღფრთოვანებას არ მალავდა. მან წესიერად არც ჩემი სახელი იცოდა და არც გვარი. ვიმუშავეთ ალბათ შუადღის 3 საათამდე და სადილობის დროს ყველა კომისიის წევრი ერთად შევიკრიბეთ. იქ იყო სააკაშვილი, გია მეფარიშვილი, ლადო ჭანტურია და დათო მუმლაძე – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელიც ძალიან აქტიურად იყო ჩართული რეფორმების კომისიაში და სხვები და სხვები. მოულოდნელად თენგიზ ლილუაშვილი კითხულობს, ჩემზე – ეს ყმაწვილი ვინ არისო, არც ისე ყმაწვილი ვიყავი, უკვე ასაკში ვიყავი, მაშინ რუსთავის პროკურორი გახლდით. უთხრეს, რუსთავის პროკურორიაო. თენგიზმა თქვა: „მე არც პროკურორი მინახავს და არც თეორიული მოღვაწე ასეთი შორსმჭვრეტელი და ნიჭიერი, როგორიც ეს ახალგაზრდა კაცია. ბრავო თქვენს ვაჟკაცობას, რომ ასეთი ნიჭიერი ადამიანი ჩართეთ კომისიაში“. იქ ლადომ და მიშამ თავმომწონედ დაიწყეს, აბა, თქვენ რა გგონიათ, ჩვენ კომისიაში შეიძლება ვინმე სუსტი იყოსო... ეს ჩემთვის ბედნიერება იყო. მითუმეტეს, რომ ამით ჩემს მიმართ ნდობა 10-ჯერ გაიზარდა.

არ მომერიდება იმის თქმა, რომ თუ რამეს ვიტყოდი, სააკაშვილი ყველაფერზე თანახმა იყო. რა თქმა უნდა, ძირითადად ყველაფერს ვუთანხმებდით სააკაშვილს. ქვეკომისიის დონეზე ვიყავით სამნი: გია მეფარიშვილი, დათო სულაქველიძე და მე. ჩვენ შორის იყო წინააღმდეგობა, მაგრამ უფრო მეტად თანხმობა და საბოლოო

კონსენსუსამდე მივდიოდით. ბევრი ეპიზოდი იყო ჩემი სასამართლოში დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ არ შეიძლება, არ გავიხსენო თვითონ დანიშვნის ეპიზოდი, როცა კოლეგიის პალატებისა და თვითონ სასამართლოსა და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურაზე, პრეზიდენტთან თანამდებობაზე განწესებაში, წარგვადგინა იუსტიციის საბჭოს მდივანმა მიხეილ სააკაშვილმა. პირველი დაიწყო დათო სულაქველიძის წარდგენით. დათო სულაქველიძეს ვინც არ იცნობს, მინდა გითხრათ, რომ მომიძებნეთ საქართველოში მეორე ისეთი იურისტი, კვალიფიციური, როგორიც დათოა და ისეთი წესიერი, ისეთი სანდო, ერთგული, ერის და ქვეყნის მოყვარული, ნამდვილი ვაჟკაცი. ბედნიერი ვარ, რომ ის გავიცანი რეფორმების დროს და ვმუშაობდით ერთად შეხმატკბილებულად, ისე რომ ერთმანეთისთვის – „ვა, შე კაცო“ არ გვითქვამს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა დაასახელა დათოს კანდიდატურა და პრეზიდენტს მოახსენა, რომ ის უნდა დანიშნულიყო საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ. ცხადია, პრეზიდენტმა იკითხა: „ვინ არის მომხრე ან წინააღმდეგი?“ იქ იყვნენ საპარლამენტო მდივანი ჯონი ხეცურიანი, მთავრობის წევრები და ცხადია, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. სიტყვა მოითხოვა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ – მინდია უგრეხელიძემ, რომელმაც შესავალში ძალიან დადებითად დაახასიათა სულაქველიძე, მაგრამ შემდეგ შეუტია, ისეთი რაღაცები აკადრა, რომელიც ძალიან შეურაცხმყოფელი იყო. სხვათა შორის, ისიც უგრეხელიძისადმი დამახასიათებელი ტაქტის ფარგლებში. გალანძღა ძალიან ტაქტიანად და საბოლოოდ თქვა, რომ ის არ ეთანხმებოდა სულაქველიძის კანდიდატურას. სააკაშვილს ამაზე საშინლად მკვეთრი რეაქცია ჰქონდა, რომელმაც შევარდნაძის წინ, მაგიდაზე, მუშტის დაკვრით მოითხოვა, სასწრაფოდ მოეწერა შევარდნაძეს ხელი სულაქველიძის დანიშვნაზე. ბატონი ედუარდი ძალიან დიდ უხერხულობაში ჩავარდა. თუმცა შევარდნაძე რა შევარდნაძე იყო, თუ გამოსავალს არ ნახავდა.

–თავად თქვენ რას იტყვით“? – ჰკითხა დათოს შევარდნაძემ.

– რა უნდა ვთქვა, ბატონო ედუარდ, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, თუ ამ თანამდებობაზე დამნიშნავთ, რა თქმა უნდა, ჩემს ცოდნას და გამოცდილებას საერთო საქმეს მოვახმარ, თუ ვერ შევძლებ, ჩემით წავალ...“– უპასუხა სალუქვაძემ.

– თავისით წასული მე არავინ არ მინახავს და შენ წახვალ?!“ – ჰკითხა შევარდნაძემ და გაეცინა, ხუმრობაში გადაიტანა.

ამ დროს, მე წამოვიძახე: „ეს ისეთი კაცია, თუ ვერ შეძლებს, მართლა თვითონ წავა“. სხვებიც ამყვნენ. შევარდნაძეს ვატყობდით, რომ ჩვენი აქტიურობა მოსწონდა და უნდოდა, რომ დათო დაენიშნა და არ დაპირისპირებოდა სააკაშვილს. ჩვენმა ასეთმა გააფთრებულმა მოთხოვნამაც გაჭრა და ხელი მოაწერა დათო სულაქველიძის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას.

შემდეგ ჩემი კანდიდატურა წარადგინეს. შევარდნაძეს მუმლაძემ უთხრა: „ბატონო ედუარდ, ერთი ის არის, რომ ვენედის წამოსვლით რუსთავში ძალიან გული დასწყდებათ“. „თუ დასწყდებათ ცივი წყალი დალიონ, ასე უთხარი მაგათ“ – უპასუხა შევარდნაძემ და ასე მხიარულ ნოტაზე დამნიშნეს მოადგილედ და სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარედ. შემდეგ დაინიშნა კოლეგიისა და აპარატის თავმჯდომარეები და უკვე ჩვენვე დაგვევალა მონაწილეობა მიგვეღო იმ კადრების შერჩევაში, რომელიც იმ პერიოდში, თუ არ ვცდები 45 მოსამართლემდე დაინიშნა. სიმართლე გითხრათ, ამ საქმეში ჩემი და სულაქველიძის ჩარევა ძალიან ნაკლები იყო. ძირითადად, ყველაფერს სააკაშვილი წყვეტდა. საბოლოო ჯამში, დაინიშნა მოსამართლეთა გარკვეული ჯგუფი. 1999 წლის 19 აპრილს მუშაობა დაიწყო ახალმა სასამართლო სისტემამ – ახალმა სასამართლოებმა – შეიძლება ასე ითქვას, რადგან ყველას სხვადასხვა ფუნქცია გვქონდა.

რაც შეეხება თავად სასამართლოს საქმიანობას. უფრო დიდი სიამოვნება, რაც თბილისის საოლქო სასამართლოში მუშაობისას მივიღე, პროფესიული საქმიანობიდან სხვა დროს არ მიმიღია. იყო აბსოლუტური თავისუფლება. ყველას მინდა ვუთხრა, რომ იმ წლებში არავითარი ჩარევა თბილისის საოლქო სასამართლოში არ ყოფილა. არც პალატების და არც კოლეგიის მუშაობაში. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა საჯაიამ დაურეკა თავმჯდომარეს და სთხოვა: „უშიშროების მინისტრს უნდა თქვენთან შეხვედრა, თუ საჭიროდ ჩათვლი, მიიღე, თუ არა და უარი უთხარი“. რა თქმა უნდა, დაეთანხმა სულაქველიძე. მოვიდა მინისტრი, ისაუბრეს, სულაქველიძე თავის პოზიციაზე დარჩა და საქმე ისე გადაწყდა, როგორც წესი და კანონი მოითხოვდა. მეტსაც გეტყვით, ჩვენ გავუუქმეთ არაერთი ბრძანება და განკარგულება (ამის უფლება აქვს სასამართლოს). ისიც კარგად მახსოვს, რომ პრეზიდენტის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა გვითხრა, რას მიკეთებთ, მომხსნიან სამსახურიდანო, რადგან ძალიან ბევრი განკარგულება უქმდებო-

და. ამასთან დაკავშირებით, შევარდნაძეს არასდროს გამოუთქვამს საყვედური, ან შენიშვნა.

ერთხელ ჩვენთან შევარდნაძე მოვიდა სტუმრად და ხუმრობით გვითხრა; „თქვენ ისეთი მაგრები ხართ, მეშინია, რომელიმე განკარგულება ან ბრძანებულება არ გამიუქმოთ“. რა თქმა უნდა, შევარდნაძემ იხუმრა, თუმცა რეალობას შეესაბამებოდა. ასეთ პირობებში, კანონის ფარგლებში ვმუშაობდით, არავინ ერეოდა ჩვენ საქმიანობაში და ჩვენ გვქონდა სრული მონოპოლია საქმეთა განხილვის და გადაწყვეტილების მიღებისას. ადვოკატები აღფრთოვანებულნი იყვნენ. ხშირად ადვოკატების მოთხოვნა კმაყოფილდებოდა და ჩვენთან იხილებოდა ყველა ძირითადი საქმე, რომელიც იმ პერიოდში რესპუბლიკაში იყო. დგებოდა გაუმართლებელი განაჩენები. სხვა რა უნდოდათ ადვოკატებს? რამდენი ადვოკატი შემხვედრია მას შემდეგ და უთქვამს, რომ თქვენ დროს რომ სასამართლო იყო, ასეთი არასდროს ყოფილაო. აქაც მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ისეთი სასამართლო, როგორიც საქართველოში არსებობდა, საოლქო სასამართლოს სახით (1999 წლის აპრილიდან 2004 წლამდე) მას შემდეგ აღარ ყოფილა. მოდავე და უკმაყოფილო ადამიანი ყოველთვის იქნება, მითუმეტეს, როცა სამოქალაქო დავა იხილება, მაგრამ აქაც მინიმალური შემთხვევები გვქონდა, რადგან აქცენტი გადატანილი იყო მორიგებაზე.

სასამართლოში მუშაობდნენ ისეთი კვალიფიციური პიროვნებები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ, მიეღწიათ შეთანხმებისთვის. საოლქო სასამართლო დაკომპლექტებული იყო კვალიფიციური მუშაკებით. ჩემ გვერდით მუშაობდნენ ისეთი კვალიფიციური იურისტები და წარსულში დიდი გამოცდილების მქონე პირები. სისხლის სამართლის კოლეგიაში იყვნენ გია ებრალიძე, ვაჟა ქაცანაშვილი, მთვარისა კევლიშვილი, დათო ნოზაძე. სამოქალაქოში სამართლის კოლეგიაში მუშაობდნენ *მადი* ჩანტლაძე, ინგა თოდრია, მზია თოდუა, და სხვები. საგამოძიებო კოლეგიას სათავეში ედგა უნიჭიერესი იურისტი თამაზ კაპანაძე, მასთან ერთად მუშაობდა პაატა ქობულაძე. ყველა ეს ადამიანი წარმატებით და კანონის ფარგლებში ასრულება დაკისრებულ მოვალეობას. სასამართლოს სათავეში ედგა დათო სულაქველიძე.

სასამართლოში არსებული იდილია, რომელიც გვქონდა და თავს ბედნიერად ვგრძნობდი, დაარღვიეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც რეფორმატორთა ჯგუფში ჩამრიცხეს. პირველ რიგში, გია მეფა-

რიშვილმა, რომელიც გადაიყვანეს გენერალურ პროკურორად და მას სჭირდებოდა ძლიერი აპარატი. შემოთავაზების შემდეგ, რომელიც კარგა ხან გაგრძელდა და ბოლოს დაეთანხმა სააკაშვილი, მეც დამითანხმეს და გადამიყვანეს საქართველოს გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ. ასე გამაცილეს გენერალურ პროკურატურაში. იყო ბევრი ცრემლიც და სიხარულიც. ხელში აყვანილი ჩამიყვანეს მანქანაში და ასე გამაცილეს. ასეთი იყო საოლქო სასამართლოში (სააპელაციო სასამართლო) ჩემი მოღვაწეობა.

გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე

გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეობას ჩემთვის რაიმე სიამოვნება არ მოუნიჭებია. ამ თანამდებობებზე ჩემი მუშაობა დაკავშირებული იყო გარკვეულ უსიამოვნებებთან. შეიძლება ითქვას, პროვოკაციებთან და მუდმივ დაძაბულობასთან. გამომწვევი მიზეზი ძალიან ბევრი იყო, რომლის შესახებაც გიამბობთ.

თავდაპირველად, როცა გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ მამტკიცებდნენ, ცხადია შედგა გასაუბრება ედუარდ შევარდნაძესთან, ძალიან საქმიანი და ქვეყნის ინტერესების შესაბამისი. თანაც ის ასახავდა იმ დროს ქვეყანაში ობიექტურ რეალობას. მან მითხრა: „მეფარიშვილი პროკურატურისთვის ახალი კადრია, შენ პროკურატურაში მუშაობის დიდი გამოცდილება გაქვს, ამიტომ ერთად იმუშავეთ, ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა და შეებრძოლეთ არა წვრილმან კორუფციონერებს, თავად პროკურატურის აპარატში, არამედ იმათ, ვინც ბობოლების რანგში გადიან და ხალხს ძარცვავენ“. აქ იყო აბსოლუტური თანხვედრა ჩემსა და მის შეფასებებს შორის. პროკურატურაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც მართლა ძარცვავდნენ ხალხს. ოღონდ ფული ეშოვათ და სხვა მეტი არაფერი ადარდებდათ. საქმეზე და სახელმწიფო ინტერესებზე საერთოდ არ ფიქრობდნენ.

შეხვედრიდან ძალიან კმაყოფილი გამოვედი და ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდექი. პირველი ორი თვე ნორმალურ პირობებში ვმუშაობდით. ის, რაც მე და გია მეფარიშვილს ჩაფიქრებული გვქონდა, თითქმის განვახორციელეთ დავიწყეთ საკადრო პოლიტიკის განხორციელება, სადაც მართალია მკვეთრი ნაბიჯები არ გადაგვიდგამს, მაგრამ ხდებოდა გადაადგილებები. ბევრი უსაქმური ამ გადაადგილებებით განაწყენდა, მაგრამ რას იზამდნენ ეს გარდაუვალი და ჩვეულებრივი შიდა პროცესი იყო, რომელსაც ვერავინ გვერდს ვერ აუვლიდა. მოგეხსენებათ, როცა პროკურატურაში ახალი ხელმძღვანელი მოდის, თავისთავად საკადრო გადაადგილებები ხდება.

რამდენიმე თვის შემდეგ ვითარება დაიძაბა (სიტყვა „დაიძაბა“ ვერ გამოხატავს იმ ვითარებას, რაც რეალურად ხდებოდა) ჟვანია-სააკაშვილსა და მეფარიშვილს შორის. ისინი გენერალურ პროკურორს ყველა ხერხის გამოყენებით ებრძოდნენ – პრესით, ტელევიზიით თუ პირადად. მოკლედ, შეუძლებელი გახდა მუშობა. მე მისი პირველი მოადგილე ვიყავი და როცა გენერალურ პროკურორს უტევდნენ ფაქტობრივად, ეს ჩემზე შეტევაც იყო. ამიტომ შევხვდი იმ დროს იუსტიციის მინისტრს მიხეილ სააკაშვილს, სხვა მოადგილეებთან – შოთა ასათიანთან და მონიავასთან ერთად. ვუთხარი, რომ რაღაც შეთანხმება უნდა ყოფილიყო გენერალურ პროკურატურასა და მათ შორის. ჩვენ კანონს დავიცავდით ისე, როგორც საჭირო იყო, ოღონდ მათგან არ უნდა ყოფილიყო ზედმეტი კრიტიკა და მტრობა. სხვათა შორის, ამ მორიგებას კარგად შეხვდა სააკაშვილი. მოგვეფერა სუყველას (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით), პატარა ალაფურშეტიც მოგვიწყო. ყველანი კმაყოფილები წამოვედით. შემდეგ ჟვანიას შევხვდით... მოკლედ რომ ვთქვა, რამდენიმე ხნით ვითარება *სტაბილური გახდა* და ნორმალური მუშაობის საშუალება მოგვეცა.

ამის შემდეგ, გენერალურმა პროკურორმა კოლეგიაზე სასჯელაღსრულების სისტემის რაღაც საკითხი განიხილა, შენიშვნის ფორმატში, რომელსაც ესწრებოდა ამ დაწესებულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მან საქმის კურსში ჩააყენა სააკაშვილი და მეფარიშვილთან უმალვე განხორციელდა სააკაშვილის სატელეფონო მუქარის ზარი. დაახლოებით ამ შინაარსის: „ყველა საშუალებით და

ყველა ხერხით, განსაკუთრებით პრესის, რადიოს და ტელევიზიის ჩართულობით გადაგაგდებ თანამდებობიდან“. სააკაშვილს და ჟვანიას განსაკუთრებით აღიზიანებდა ის, რომ მეფარიშვილმა არ დაიკავა აგრესიული პოლიტიკა (არ ვიცი, ისინი რაზე იყვნენ მოლაპარაკებული), არ დაიწყო წმენდა, ჯერ თვითონ პროკურატურის სისტემაში და შემდეგ განსაკუთრებით არ გამოიჩინა პოლიციის და შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის მიმართ ის დამოკიდებულება, რომელიც აიძულებდა თარგამაძეს, გადამდგარიყო თანამდებობიდან. მეფარიშვილი ჩვეულებრივ, კანონის ფარგლებში მოქმედებდა და არავის მიმართ არც ძალადობას იჩენდა და არც ლოიალურ დამოკიდებულებას, მაგრამ ჟვანიაც და სააკაშვილიც დაჟინებით მოითხოვდნენ, მეფარიშვილი განსაკუთრებით მკაცრი ყოფილიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს და პირადად მინისტრის მიმართ. ყველაფერ ამას ის ზემოხსენებული ფაქტიც დაემატა – კოლეგიაზე სასჯელაღსრულების მისამართით გამოთქმულ შენიშვნაზე – მათი მხრიდან წამოვიდა მუქარა და აგრესია, გაუსაძლისი გახდა მუშაობა. შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, ალბათ ყველამ იცით.

მეფარიშვილი თანამდებობიდან გადადგა!

რუსთავი 2-ის საქმე

გენპროკურორის, უშიშროების და შინაგან საქმეთა მინისტრების გადადგომა

მეორე შემთხვევა დაკავშირებული იყო ისევ რუსთავი 2-თან, რასაც შემდეგ მოჰყვა გენერალური პროკურორის და მინისტრების გადადგომა. თუ რატომ გადადგა მაშინ გენერალური პროკურორი, დღესაც არ ვიცი.

რუსთავი 2-ის შენობაში შევიდა უშიშროების სამსახური. მედია ამ ფაქტს აშუქებდა, როგორც სიტყვის თავისუფლებასთან ბრძოლას იმის გამო, რომ რუსთავი 2-ზე ხშირად გადიოდა პრეზიდენტ შევარდნაძეზე ნეგატიური შინაარსის გადაცემები. სამართალდამცავი ორგანოები რუსთავი 2-ში შევიდნენ – გადასახადებთან მიმართებაში, ტელევიზიის საქმიანობის შესამოწმებლად, რადგან ამ მხრივ რუსთავი 2-ში ნამდვილად არ იყო წესრიგი (ისევე, როგორც იმდროინდელ ბევრ ორგანიზაციაში).

ოპერაციის ჩატარება თავის თავზე აიღო უშიშროების სამსახურმა, რომელმაც დაგეგმა, გამოევლინა გადასახადებისგან თავის არიდება უტყუარი მტკიცებულებების შეგროვებით. ანუ ყველა გადაცემა ჩაწერილ იქნა ვიდეო ფირზე. როცა გავიდა თვეზე მეტი, ვიდეო ფირიდან ამოიღეს კინოფილმები, პოლიტიკური გადაცემები და სხვა. დატოვეს მხოლოდ ის, რომელიც ეხებოდა რეკლამას და სპეციალისტების მეშვეობით შეადარეს, რეკლამის მიხედვით რა თანხა უნდა გადაეხადა სატელევიზიო არხს. ზუსტად მახსოვს თანხა: დამალული იყო ერთ თვეში – 301 000 ლარი, მოძრავი სტრიქონების გარდა და თუ იმასაც შეამოწმებდნენ, დამალული თანხა იქნებოდა ასტრონომიული ციფრი.

ამ საქმეს ვხელმძღვანელობდი და ცხადია, ვიცოდი, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ტელევიზიაში შესამოწმებლად შესვლას. ამიტომ წინა დღეს, მოვიხმე უშიშროების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი გამომძიებელი, რომელიც ოპერაციას ჩაატარებდა, (ეს იყო ყველაზე წესიერი გამომძიებელი იმ დროისათვის, უპატიოსნესი ბიჭი, შენიშვნაზე რომ წითლდებოდა, აი, ისეთი). გავაფრთხილე (არ სჭირდებოდა გაფრთხილება, მაგრამ

მაინც) რომ რაც შეიძლებოდა მშვიდად (იმ პერიოდში საპროცესო კანონი ითვალისწინებდა ჩხრეკის ჩატარებას დამსწრის მონაწილეობით) მოეძებნათ დამსწრე პირები (თანამოწმეები) და მათი თანდასწრებით მოეხდინათ საპროცესო ღონისძიება, იმ რეალური დოკუმენტების ამოღება, რომელიც განსხვავდებოდა წარდგენილი დოკუმენტებისგან.

გამომძიებლები დარწმუნებული იყვნენ, რომ რადგან არ მისულან ძალადობით, არაფერი ისეთი არ მოხდებოდა, არავინ მათ წინააღმდეგობას არ გაუწევდა. მივიდოდნენ და ნებაყოფლობით ამოიღებდნენ დოკუმენტს. ამიტომ მხოლოდ ორი კაცი მივიდა. მაგრამ როცა ტელევიზიაში დაიწყეს მუშაობა კიწმარიშვილის მითითებით ჟურნალისტებმა მოაწყვეს პროვოკაციები, შანტაჟი, დაიწყეს დოკუმენტების გატანა.. გამომძიებელმა დაურეკა თავის ხელმძღვანელს და უთხრა, რომ აქ ისეთი ამბავია, დოკუმენტების ამოღებას მარტო ვერ შევძლებო. ცხადია, მან მოახსენა მინისტრს და მინისტრის განკარგულებით სხვადასხვა პერიფერიებში გასული უშიშროების სამსახურის მუშაკები უნდა მისულიყვნენ რუსთავი 2-ში და დახმარებოდნენ გამომძიებელს დოკუმენტების ამოღებაში. მინისტრმა, ბრწყინვალე პიროვნებამ, ვახტანგ ქუთათელაძემ იცოდა, რომ ოპერაცია ტარდებოდა, მაგრამ არ მოელოდა ასეთ მძაფრ რეაქციას. გვქონდა შეთავაზება (ვისი მხრიდან, არ დავასახელებ), რომ საერთოდ გამოგვეთიშა შუქი და დროის იმ მონაკვეთში, როცა ეთერში საინფორმაციო გადაცემა უნდა გასულიყო, არ ჰქონოდათ შესაძლებლობა ტელევიზიით მოეწოდებინათ ხალხისთვის, მაგრამ არც ქუთათელაძე დათანხმდა ამ შეთავაზებას და არც მე ვიყავი ამის მომხრე. ჩვენ გვინდოდა ცივილური მეთოდებით, წესისა და კანონიერების დაცვით ამოგვეღო დოკუმენტი და გამოძიებას ჰქონოდა მასალა, რომელიც საკმარისი იყო პიროვნებების პასუხისგებაში მისაცემად. სხვათა შორის, შევარდნაძემ სთხოვა კიდეც უშიშროების მინისტრს: „საქმის გამოძიებისას თუ მასალა ამოვა ისეთი, რომ ვინმე დასაპატიმრებელი გახდება საჭირო, ამას ნუ იზამთ, უბრალოდ ცოტა ყურები ავუწიოთ, რომ შეშინდნენ – ამას მივესალმები“.

მოკლედ, უშიშროების სამსახურის მუშაკები ოპერაციაში დასახმარებლად რუსთავი 2-ში შევიდნენ, რომლებმაც არ იცოდნენ

წესიერად, რა უნდა გაეკეთებინათ. ჟურნალისტები რომ ეკითხებოდნენ, რატომ მოხვედითო, ესენი ეუბნებოდნენ, ჯერ არ ვიცითო. მართლა არ იცოდნენ, ეს უნდა ეთქვა და აეხსნა გამომძიებელს. ბუნებრივია, ჟურნალისტებმა ეს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენეს. უშიშროების სამსახურის მუშაკებმა რაღაცები ვერ გათვალეს, ზოგიერთი რამ ჩვენც ვერ გავთვალეთ. შემდეგ მოვიდა საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, მაღალი დონის პროფესიონალი მალხაზ სალაყაია. ისეთმა კვალიფიციურმა პიროვნებამ, როგორიც სალაყაია იყო, ვერ დაარწმუნა რუსთავი 2-ის და სიტყვის თავისუფლების დასაცავად მოსული ავტორიტეტული საზოგადოება იმაში, რომ სიტყვის თავისუფლებას კი არ ვებრძოდით, არამედ აქ საუბარი იყო გადასახადების გადამალვაზე, ერთეული პირების მიერ კონკრეტული სამართალდარღვევის ფაქტების ჩადენის წინააღმდეგ. არავის არაფერი არ ესმოდა, არ სჯეროდათ ახსნა-განმარტებების, ხალხის რაოდენობა უფრო და უფრო იმატებდა და ძლიერდებოდა. ამასთანავე გაძლიერდა შეტევა პრეზიდენტის აპარატში შსს მინისტრის და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მიმართ და ვახტანგ ქუთათელაძე თანამდებობიდან გადადგა. რა შუაში იყო მისი გადადგომა, ძნელი სათქმელია. დანარჩენების გადადგომასაც ითხოვდნენ, მაგრამ მაშინ კახა თარგამაძე და არც მეფარიშვილი არ გადამდგარან. აშკარად იკვეთებოდა ძალადობა ყველა გამოსვლაში, ყველა ტელევიზიაში, განსაკუთრებით მეფარიშვილის და თარგამაძის მიმართ. მთავარი სამიზნე უფრო თარგამაძე იყო.

შემდეგ საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გაიტანეს, რომელსაც ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა. იმ პერიოდში საკითხი იდგა ჟვანიას გადადგომის შესახებაც, რაზეც ჟვანია უარს აცხადებდა. მაგრამ, როცა პლენარული სხდომა დაიწყო, გამოვიდა ჟვანია და თქვა: „მე გადავდექი თანამდებობიდან“. მახსოვს, სტუდიაში ვისხედით, ჩემ გვერდით კახა თარგამაძე და მეფარიშვილი ისხდნენ. თარგამაძემ უხეშად წამოიძახა: „ამან ხომ არ დამიტოვა გზა!“, გავიდა და მანაც გადადგომა გამოაცხადა. სხდომა დამთავრდა.

მეფარიშვილი სამსახურში წამოვიდა, მე პარლამენტში დავრჩი მადლობის გადასახდელად იმათთვის, ვინც მხარი დაგვიჭირა და

მხარს უჭერდა პროკურატურას. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ცხადდება, რომ პარლამენტის სხდომა განახლდა და დაიწყეს პარლამენტარებმა შევსება. ჩემი ადგილი დავიკავე, არ ვიცოდი, რა ხდებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოდის მეფარიშვილი, ადის პირდაპირ ტრიბუნაზე და ამბობს: „ერთი ბავშვის ცრემლს და სისხლის დაღვრას მირჩევნია, გადავდგე“. მისი ეს განცხადება ჩემთვის შოკი იყო. სხდომა აღარ გაგრძელებულა. მივედი გიასთან და ვკითხე, ეს რატომ გააკეთეთ-მეთქი. ამაზე მერე ვისაუბროთ, ასე იყო საჭიროო. შემდეგ გამოირკვა, რომ შევარდნაძეს მოუთხოვია, მეფარიშვილისთვის გადადგომა. არადა ამ დროს შევარდნაძე, მეფარიშვილს თითქოს იცავდა და ამბობდა არ უნდა გადადგესო. ნუ, ასე გადაწყვიტეს. მეფარიშვილის შემდეგ მთელი მთავრობა გადადგა და საჭირო გახდა ახალი გენერალური პროკურორის დანიშვნა. თანამდებობაზე გამოცდილი იურისტი ნუგზარ გაბრიჩიძე დანიშნეს.

გენპროკურორის პირველ მოადგილედ დაინიშნა სამხედრო პროკურორი, ასევე გამოცდილი პროფესიონალი ბადრი ბიწაძე, რომელსაც ადრეც ვიცნობდი და მისი ოჯახისადმი დიდი პატივისცემით ვიყავი განწყობილი. განსაკუთრებით ვაფასებ ქალბატონი ნინოს ნიჭს და გონიერებას. გენერალურ პროკურატურაში მისი გადმოსვლის შემდეგ, ჩვენ კიდევ უფრო დავახლოვდით.

***

გენერალური პროკურორის მოადგილეობის დროს განსაკუთრებულად თავი არაფრით გამომიჩენია, ერთი იყო ის, რომ ბევრი პროკურორი გადავარჩინე სამსახურის დაკარგვას. გადავარჩინე არა იმითი, რომ მათ რაიმე დააშავეს, არა, ბატონებო, მოვახერხე ის, რომ ჩემი გავლენებით, ჩემი გამოცდილებით შევაცვლევინე ის კანონი, რომლითაც პროკურორებს უნდა ჩაებარებინათ გამოცდები, რომელსაც საკვალიფიკაციო გამოცდებს ეძახდნენ, უნდა ჩატარებულიყო პროკურატურაში და დაწყებულიყო ოქტომბერში. ნუგზარ გაბრიჩიძე დავარწმუნე იმაში, რომ იმ მეთოდით, რა მეთოდითაც ტარდებოდა გამოცდები, პროკურატურა დაიღუპებოდა. საჭირო იყო კანონის შეცვლა. რატომ? იმიტომ რომ მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირდა – 4000 კაცი. რეალურად კი გამოცდები ჩააბარა 400-მა კაცმა ანუ მხოლოდ ათმა პროცენტმა. თუ ჩვენ ამას გადავიტანდით პროკურატურაზე და პროკურატურაში გამოცდებზე გავიდოდნენ მოქმედი პროკურორები და გამომძიებლები, 1300 ადამიანი,მათი 10 პროცენტი კი არა, უფრო ნაკლები ჩააბარებდა. ვიღებდით კატასტროფულ ციფრს და პროკურატურა პრაქტიკულად იშლებოდა. პროკურატურა სასამართლო არ არის, რომ მოიყვანო მოსამართლე, დაჯდეს და საქმე გაარჩიოს. პროკურატურაში გჭირდება კვალიფიციური კადრი, რომელიც ერკვევა ნიუანსებში, დაკითხვის ტაქტიკასა და მეთოდიკაში და ბევრი განმასხვავებელი ნიუანსია პროკურორსა და მოსამართლეს შორის. ის, ვინც ვერ ჩააბარებდა საკვალიფიკაციო გამოცდებს, იმ წუთში დათხოვილი იყო თანამდებობიდან. ეს სპეციალურად გაკეთდა იმისთვის, რომ პროკურატურა გაწმენდილიყო. იქ რაღაც ტექნიკური ხარვეზი მოხდა და ჩემი მომზადებული პროექტი გაბრიჩიძემ დაგვიანებით მიიტანა პრეზიდენტის აპარატში, საიდანაც უნდა წასულიყო შუამდგომლობა. მაია ცაცანაშვილმა, რომელიც პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იყო, მხარი დაგვიჭირა (მადლობა მას ამისთვის), მიიტანა პარლამენტში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე იყო ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, დაგვიანებული იყო, უკვე ერთ კვირაში სხდომა უნდა ჩატარებულიყო, კანონის მიღებას კი შესაბამისი დრო და პროცედურების

გავლა სჭირდებოდა. ნინომ თქვა, ამას ჩემ თავზე ვერ ავიღებო და გადააწერა გოჩა პაიჭაძეს, რომელიც იყო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე. ნათელი მის სულს. აქაც ვიტყვი და მოვიხსენიებ გოჩას, როგორც შესანიშნავ ადამიანს. რა თქმა უნდა, გოჩამ მხარი დაგვიჭირა, ყველა ორგანიზაციული საკითხი მოაგვარა და ერთი კვირის თავზე გავიტანე საკითხი კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს არ იყო საკვალიფიკაციო გამოცდები, არამედ ეს იყო ჩვეულებრივი გამოცდები, სადაც წესები ასე დადგინდა, რომ 1000 თუ 2000 ტესტი წინასწარ გამოქვეყნდებოდა, დაიბეჭდებოდა წიგნად და ამ ტესტებიდან 100 ტესტი მოვიდოდა გამოცდაზე. ვინც ჩააბარებდა 75 ტესტს, მას ჩაბარებულად ჩაეთვლებოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, წინასწარ რომ გამოქვეყნდებოდა ტესტები და იქიდან მხოლოდ 100 მოვიდოდა, 75 ტესტის ჩაბარება არ იქნებოდა რთული. ამიტომ მოხდა ისე, რომ პრაქტიკულად არავინ ჩაჭრილა და ასე შევინარჩუნეთ პროკურატურის ძირითადი ბირთვი.

ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა

გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის თანამდებობიდან გადადგომამდე მოხდა ჟურნალისტის, გიორგი სანაიას გახმაურებული მკვლელობა, რომელმაც უდიდესი ტკივილი მომაყენა. რასაც ახლა გიამბობთ ვფიცავ ღმერთს, ჩემს ოჯახს და ყველაფერს წმინდას – სიმართლეა. მინდა, დეტალურად გავიხსენო ეს ამბავი.

დაახლოებით ექვსის ნახევარზე დამირეკა გენერალურმა პროკურორმა და მითხრა: „მოხდა მკვლელობა, საკუთარ ბინაში მოკლულია ჟურნალისტი გიორგი სანაია". სასწრაფოდ წავედი, გზაში მძღოლს ვეჩხუბებოდი, რომ რაც შეიძლება ჩქარა მისულიყო შემთხვევის ადგილზე. მისვლისას ვნახე, რომ ერთოთახიან ბინაში ჩადენილი იყო მკვლელობა და ჟურნალისტი გიორგი სანაია ტყვიით (ერთი შეხედვითაც აშკარად ჩანდა) იყო მოკლული. რა თქმა უნდა, ხშირად მიწევდა მსგავს საქმეებზე შემთხვევის ადგილებზე გასვლა, შეიძლება ითქვას 100-ობით გვამზე გავსულვარ, ზოგზე გული მწყდებოდა, ზოგზე არა... მაგრამ ვფიცავ ღმერთს, ასეთი გულისწყვეტა, რაც ჟურნალისტის სანაიას გარდაცვალებამ გამოიწვია, არავის მიმართ განმიცდია.

თავად ტელევიზია, რუსთავი-2 რას ჩადიოდა, ეს ღმერთმა უწყის, მაგრამ გიორგი სანაია იყო განათლებული, სიმპათიური ახალგაზრდა, არ იყო აგრესიული, უხეში და უზრდელი. გიორგიც და მისი თანამეწყვილეც ძალიან ობიექტურ გადაცემებს აკეთებდნენ. სხვა ტელევიზიებისგან განსხვავებით, მათი გადაცემა გამორჩეული იყო და მქონდა დადებითი დამოკიდებულება.

დავიწყეთ შემთხვევის ადგილის დათვალიერება. სამწუხაროდ, ჩვენი პროკურორ-კრიმინალისტი დროულად ვერ მოვიდა. მის გარეშე ძალიან ძნელი იყო მუშაობა. ამასობაში ხალხით გაივსო შემთხვევის ადგილი. ადამიანები ავტოფარეხების თავზე იყვნენ ასული და იქიდან უსტვენდნენ შემთხვევის ადგილზე მოსულ ჟვანიას (მიზეზი არ ვიცი). მან ნახა სიტუაცია და მალევე წავიდა. ჩვენ ველოდებოდით პროკურორ-კრიმინალისტის მოსვლას. ჩვენი მხრიდან რაც გასაკეთებელი იყო, პოლიციამ და პროკურატურამ იმთავითვე მიიღო წარმოებაში. ყველაზე კარგი წყვილი შეირ-

ჩა, რომ საქმე ობიექტურად და სამართლიანად გამოძიებულიყო. საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, არაჩვეულებრივი პიროვნება მიშა ჩოგოვაძე, რომელსაც ასევე უბრწყინვალესი ხელმძღვანელი ჰყავდა; საგამოძიებო ნაწილის უფროსი (ალბათ იშვიათია საქართველოში ასეთი გამომძიებელი) თამაზ ჭუმბურიძე.

მოგვიანებით, ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია და კადრები, რომ თითქოს შემთხვევის ადგილზე მისულს გამეცინა და ჩემი საქციელის გამო საზოგადოების მხრიდან გავხდი საქილიკო. სინამდვილეში აი, რა მოხდა: როგორც იქნა, მოვიდა პროკურორ-კრიმინალისტი, დაათვალიერა შემთხვევის ადგილი და გვამის გადატანისას მომეჩვენა, რომ გვამს თითზე რაღაც ზედმეტი ნაწიბური ჰქონდა. ამ დროს შეიძლება უმნიშვნელო დეტალიც კი ყველაზე მნიშვნელოვანი იყოს. მიცვალებულთან ახლოს დავიხარე, დათვალიერებას შევუდექი. ამ დროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომელიც ოთახში შემოვიდა, იმ მომენტისთვის სრულიად არაკორექტულად ჩაილაპარაკა რაღაც და დასძინა, სანაიას სიკვდილს მე და შევარდნაძეს დაგვაბრალებენო. თავი ავწიე, გავხედე ამ პიროვნებას და მის ნათქვამზე ირონიულად გამეღიმა, გავიფიქრე: რეებს ამბობ შენ-მეთქი. იქ იყვნენ ჟურნალისტები და ოპერატორები, რომლებიც ყველაფერს იღებდნენ. მომენტი, როცა ჩამეღიმა, დააფიქსირა რუსთავი 2-მა და არასწორი ინტერპრეტაციით მიიტანა მაყურებლამდე. ატყდა ერთი ამბავი და უბედურება. პროკურატურას ისედაც ყველა *მხრიდან* ებრძოდნენ და მეტი რაღა უნდოდათ. ხალხში გაავრცელეს ხმა, რომ თითქოს იმიტომ გავიღიმე, რომ სანაიას მკვლელობა გამიხარდა. ასეთი უღირსი საქციელი ტელევიზიის, ჟურნალისტების, მისი დირექტორის თუ სხვების და სხვების მხრიდან უზნეობაა. პროვოკაციით განთქმულმა ვაი ჟურნალისტებმა იშოვეს მასალა და ჩემი ეს ცინიკური გაღიმება მაღალჩინოსანის სიტყვებზე გამოიყენეს, დაამონტაჟეს ისე, თითქოს, შემთხვევის ადგილზე მისულს რაღაც მიხაროდა ვიცინოდი.

მხვდებოდნენ ადამიანები, მეზობლები და მეკითხებოდნენ: „შე კაცო, რა მოგივიდა, რა გაგიხარდა ასეო? “ აი, ასეთი სამწუხარო ინტერპრეტაცია მიეცა რუსთავი 2-ს მიერ გაშვებულ სიუჟეტს.

როცა თანამდებობის პირი და საჯარო მოხელე ხარ, ყველაფერი უნდა აიტანო, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. მაშინ ქართულ საზოგადოებას ბოდიში მოვუხადე, თუმცა საბოდიშო არაფერი მქონდა. ათასჯერ გავიმეორებ, რომ სანაია მიმაჩნდა ობიექტურ და ყველაზე სამართლიან ჟურნალისტად, ამიტომ მის გარდაცვალებას ჩემთვის გულისწყვეტის გარდა სხვა არაფერი გამოუწვევია. ვფიცავ, ეს ირონიული ღიმილი დაკავშირებული იყო იმ მაღალჩინოსნის უღირს გამონათქვამთან. ამ ამბიდან 23 წელია გასული და მინდა იცოდეს საზოგადოებამ, თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ნუგზარ საჯაია – მკვლელობა თუ თვითმკვლელობა

ხშირად მეკითხებიან, გამოჩენილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ ნუგზარ საჯაიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს? საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი ასე აფასებს, ზოგი ისე. მე შემიძლია ცალსახად და დაბეჯითებით განვაცხადო, *რომ* საჯაია არავის მოუკლავს, მან თავი მოიკლა. თვითმკვლელობის მიზეზი მის მიმართ ავანტიურისტ თენგიზ კიტოვანის მიერ მოწყობილ შანტაჟს უკავშირდება. ის გაზეთ „ალიაში“ საჯაიას მიმართ აქვეყნებდა უდიდეს სიბინძურეებს. საჯაია ძალიან თავმოყვარე კაცი იყო. ამ ღვაწლმოსილმა, შესანიშნავმა, პატიოსანმა და წესიერმა ადამიანმა ვერ გაუძლო იმ ბინძურ ცილისწამებას, რომელსაც მის წინააღმდეგ კიტოვანი ეწეოდა. მე მრავალ სახელმწიფო მოღვაწესთან მქონია ურთიერთობა, პარტიულ თუ საზოგადო მოღვაწეებთან, მაგრამ იშვიათად მინახავს *საჯაიას მსგავსი* წესიერი ადამიანი. ამ გარეწარმა, რომელმაც თავის დროზე მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება, ქვეყანა წაიყვანა უკუღმა, მცდარი გზით მოახერხა ისიც, რომ ამ შესანიშნავ ადამიანს – ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობით დაესრულებინა ცხოვრება.

დილის 10 საათი იყო, მომხდარზე დარეკეს. გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი და საქმის გამოსაძიებლად სასწრაფოდ წავიყვანე სპეციალური ჯგუფი. ადგილზე მისულებს ასეთი სურათი დაგვხვდა: საჯაია იწვა თავის მოსასვენებელ ოთახში და იარაღი შუბლთან ჰქონდა მიდებული. მოკვდავ ადამიანს, ოდნავ მოაზროვნეს, როგორ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ საჯაია მოკლეს ისეთ პირობებში, როცა მას გარეთ ელოდებოდნენ სახელმწიფო მოხელეები, მინისტრები სხვა რანგის თანამდებობის პირები, მას უნდა დაეწყო თათბირი და ამ დროს გაისმა გასროლის ხმა. შევიდნენ საჯაიას კაბინეტის მოსასვენებელ ოთახში და ნახეს, რომ მას, ცეცხლსასროლი იარაღით, შუბლის არეში, მიყენებული ჰქონდა სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანება. წარმოიდგინეთ, მისაღებში ამდენი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო და თითქოს იქ ვიღაც საჯაიას კაბინეტში შეიპარა, ესროლა მას ცეცხლსასროლი იარაღიდან, მოკლა მსხვერპლი და შემდეგ ისე და-

ტოვა შემთხვევის ადგილი, რომ ვერავინ შენიშნა – ეს მოსაზრება აცდენილია რეალობას და აბსურდია. ზოგადად, ასეთი არადამაჯერებელი ამბებით ჩვენ არ უნდა ვიკვებოთ. უბრალოდ, უხერხულია, სირცხვილიც კი, როცა ჩვენ ვიჯერებთ ისეთ ამბებს, რომელიც სიმართლესთან ახლოსაც კი არ არის. საქართველოში რატომღაც ჰგონიათ, რომ თითქოს ყველას კლავენ და არავინ ბუნებრივი სიკვდილით არ კვდება. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ზოგს კლავენ, ზოგი ბუნებრივი სიკვდილით კვდება.

არსებობს დაბეჯითებით, თითქმის ასპროცენტიანი ფაქტები, როცა არავის არავინ მოუკლავს და ვრცელდება ჭორი მის მკვლელობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილზე, ჩემი შინაგანი რწმენით, როგორც იურისტს, შემიძლია გითხრათ, რომ მან თავი მოიკლა, თავისი მაქინაციური ქმედების გამო გაიხლართა თავისივე აგებულ ხლართებში. მის საქმეზე ამით შემოვიფარგლები და სხვას არაფერს გეტყვით.

საჯაიას თვითმკვლელობის საქმეზე იბადება კითხვა, თუ ასეთი ცილისმწამებლური ინფორმაცია გავრცელდა კიტოვანის მხრიდან, რომელმაც თვითმკვლელობამდე მიიყვანა ნუგზარ საჯაია, რატომ არ დაისვა საკითხი მისი (კიტოვანის) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ? კითხვა სავსებით ლოგიკურია, რომელსაც არამარტო რიგითი მოქალაქე, არამედ კვალიფიციური იურისტებიც სვამენ. ეს არის იურიდიული კაზუისტიკა, რომელიც მეცნიერებაში დღემდე სადავოა. ამ თემასთან დაკავშირებით ყველა დონეზე დავობენ. სამართლებრივი კაზუისტიკა ეკისრება მხოლოდ მაშინ, თუ ის პირდაპირი ან ირიბი განზრახვით ითვალისწინებს, რომ შედეგი დადგება აუცილებლად თვითმკვლელობა. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შეიძლება გაუფრთხილებლობით დადგეს ასეთი შედეგი, მაშინ ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ დგება. ანუ თუ ცილს სწამებ ადამიანს იმის გულისთვის, რომ მან თავი მოიკლას და ეს გსურს, შენ ამას ითვალისწინებ. ან თუნდაც არ გსურს, მაგრამ უშვებ, რომ ის აუცილებლად თავს მოიკლავს, მაშინ შენი პასუხისმგებლობა დგება, მაგრამ შენ თუ ცილს სწამებ ადამიანს, მაგრამ ვერ ითვალისწინებ, რომ ის ამისთვის თავს მოიკლავს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დგება.

კაზუისტიკა რთული სამართლებრივი საკითხია. ჩემს მოგონებებში ამას ვერ განვავრცობ და გავაანალიზებ. მე შემიძლია, ვედაო იურისტებს. ამაზე კამათიც და დავაც მქონდა და დავარწმუნე ისინი, რომ ეს ასე იყო. კიტოვანი არ ითვალისწინებდა იმ ფაქტს და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ საჯაია თავს მოიკლავდა. ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ დგება. ამიტომაც, ჩვენდა სამწუხაროდ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვერ დავაყენეთ კიტოვანის მიმართ. მე ხშირად ვხმარობ მის მიმართ არაკორექტულ გამონათქვამებს, მაგრამ არ ვერიდები, რადგან ასეთმა ადამიანებმა წაბილწეს საქართველო და მიიყვანეს უფსკრულის პირას. დიახ, თენგიზ კიტოვანი საქართველოში ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის მკვლელია! მკვლელი! იმ გაგებით, რომ ფაქტობრივად, მის ამ ქმედებებს მოყვა სასტიკი შედეგი. სამართლებრივი შეფასება სხვაა და მორალური – სხვა.

ნუგზარ საჯაია იყო და დარჩება საქართველოში ერთ-ერთ წარმოჩენილ პოლიტიკოსად, რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. იმ დროს ყველა საკვანძო საკითხი წყდებოდა საჯაიას ხელდასხმით, კონსულტაციით, ის ყოველთვის სახელმწიფოებრივად აზროვნებდა. ნუგზარ საჯაიას მსგავსი ადამიანები ღმერთმა უმრავლოს ქვეყანას. დიდება მის სულს. ამ სამწუხარო ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ეს შემეძლო მომეყოლა.

ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის სტუმრობა

ერთხელ ამერიკის მაშინდელი ელჩი რიჩარდ მაილსი მესტუმრა პროკურატურაში. გენერალური პროკურორი ადგილზე არ იყო და მე მთხოვა, მიმეღო. რა თქმა უნდა, ამერიკის ელჩი მივიღე პატივით. მითხრა, აუცილებლად უნდა დააპატიმროთ ბასილ მკალავიშვილი, რომელიც დევნის იეღოველებსო. ავუხსენი, რომ ბასილ მკალავიშვილის მიმართ აღძრული იყო საქმე, დაპატიმრებისთვისაც კი მიმართა პროკურატურამ სასამართლოს, მაგრამ უარი ეთქვა. პროკურატურამ გაასაჩივრა სასამართლოში ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, სადაც უარი ეთქვა. პროკურატურამ ამოწურა რესურსი ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების. ამიტომ უნდა გამოჩენილიყო რაღაც ახალი გარემოებები, რაც საფუძველი იქნებოდა მისი დაკავების.

ამაზე ელჩი გაცეცხლდა და დაიმუქრა, რომ თუ ჩვენ მკალავიშვილს არ დავიჭერდით, ის ამას მოახსენებდა ხელმძღვანელობას და დაიწყებოდა სერიოზული ღონისძიებების გატარება. საქართველოს მოაქცევდნენ იზოლაციაში, შეუწყვეტდნენ ყოველგვარ დახმარებას და მრავალი სხვა. აგრეთვე ჩვენი, პროკურატურის მუშაკების მიმართ მიიღებდა მკაცრ ზომებს. ამას იმდენად მკაცრ ფორმებში ამბობდა, რომ ჩემს ადგილზე ნებისმიერი აღშფოთდებოდა. ვუთხარი: „ბატონო ელჩო, ჩვენ ყველა რესურსი ამოვწურეთ, გავაკეთეთ ის, რაც კანონით პროკურატურას ევალება, ახლა ჯერი სასამართლოზეა, ჩვენ არ ვართ გინების ობიექტი, ჩვენი მისამართით რატომ ილანძღებით?!“.

მიპასუხა, რომ პირველ რიგში, პროკურატურაზე იქნებოდა დარტყმა. მაშინ ვუთხარი: საკავშირო ცეკას ინსტრუქტორი და ინსპექტორიც კი არ გაგვლანძღავდა ამ სიტყვებით, რაც თქვენ იკადრეთ. ახლა ჩვენი საუბარი დამთავრებულია-მეთქი. უცებ ადგა და თავის თარჯიმანთან ერთად წავიდა. კარებში მივაძახე თარჯიმანს – მაგას უთხარი, მისამართი აღარ შეეშალოს-მეთქი. უთარგმნა თუ არა, ეს უკვე არ ვიცი.

***

2004 წლის იანვარში, ხელისუფლება შეიცვალა და ირაკლი ოქრუაშვილი დანიშნეს გენერალურ პროკურორად, რომელმაც მოსვლისთანავე გამათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან. ცხადია, ვერაფერს ვიტყოდი, კანონის მიხედვით, ახალი გენერალური პროკურორი უფლებამოსილია, გაათავისუფლოს მისი მოადგილეები მათი თანხმობის გარეშე და ის ასეც მოიქცა.

არ ვიცი ამით რა მოიგო პროკურატურამ. მე კი გადავინაცვლე განათლების სფეროში.

პედაგოგიური მოღვაწეობა

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობა წარმატებული იყო, მაგრამ კიდევ უფრო წარმატებული იქნებოდა, რომ არა ის პოლიტიკა, რომელსაც იმჟამინდელი ხელისუფლება ატარებდა. მათ ჰქონდათ სრული მიუღებლობა როგორც ძველი კადრების, ასევე ძველი პროფესურის მიმართ. მათი იდეების მიხედვით, ყველა (პროფესორი თუ სხვა მაღალი რანგის პირი, მათ შორის საჯარო მოხელეები) უნდა წასულიყვნენ სამსახურიდან.

მე ახლა ვეუბნები მადლობას ჩემს უფროს მეგობარს და ჩემს მასწავლებელს პროფესორ შოთა ფაფიაშვილს, რომელიც პროკურატურაში მუშაობდა და ასევე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ცენტრს. მან მაიძულა, ჩამებარებინა ასპირანტურაში 2001 წელს და შემდეგ შემჭიდროებულ ვადებში დამეცვა ხარისხი, რა თქმა უნდა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მისივე ხელმძღვანელობით. მე იმჟამად მოქმედი, ახალი გამოსული, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ ერთ-ერთი თანაავტორი ვიყავი და ცხადია, არ გამიჭირდებოდა საუბარი იმ პრობლემებზე, რომელიც იმჟამად მოქმედ საპროცესო კოდექსს ახასიათებდა. ამიტომ დისერტაცია წარმატებით დავიცავი, მაგრამ მუშაობა მაშინ არ დამიწყია, რადგან ვმუშაობდი გენერალური პროკურორის მოადგილედ.

ჩემთვის ბედნიერება იყო, რომ მან ერთი წუთი არ მომცა დასვენების საშუალება, სასწრაფო წესით მანვე მიმიწვია უნივერსიტეტში, მის კათედრაზე. ის ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის პროცესის კათედრას და მომცა საათები. ცხადია, მას ამაში ხელი შეუწყო, ჩვენმა გამოჩენილმა მეცნიერმა, შესანიშნავმა ადამიანმა რომან შენგელიამ, რომელიც მაშინვე დაეთანხმა ჩემს უნივერსიტეტში სამუშაოდ მიღებას. ცხადია, მე ვიყავი მაღალი რანგის თანამშრომელი და ჩემი სამუშაოდ აყვანა ასე ადვილად ვერ მოხდებოდა, თუ არა რექტორის თანხმობა.

რექტორი როინ მეტრეველი, რომელსაც თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მეცნიერად და მოქალაქედ ვთვლი, მაშინვე დათანხმდა. როდესაც შევხვდი ბატონ როინს, მადლობა გადავუხადე, ჩემ სამუშაოზე მიღებაზე, მისი პასუხი იყო ჩემთვის გამაოგნებელი, პროფესიონალი ადამიანის ნაფიქრალი და ნააზრევი: *„ვენედი,* მადლობა მე კი არ უნდა მითხრა, პირიქით, მე უნდა გადაგიხადო, რათა შენ დათანხმდი ჯავახიშვილში მოსულიყავი, ლექციები წაგეკითხა და შენი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა გადაგეცა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც შენი წყალობით ჩამოყალიბდებიან ნამდვილ პროფესიონალებად“. ჩემთვის ეს სიტყვები ძალიან ღირებული იყო. ამისთვის მადლობა გადავუხადე მას. ვაფასებ და ვეფერები საქართველოს ნამდვილ, ღირსეულ მოქალაქეს და ადამიანს.

უნივერსიტეტში, რადგან ძალიან ბევრი ჯგუფი იყო, საკმაოდ ბევრი საათი მქონდა, იურიდიულ ფაკულტეტზე ვუძღვებოდი ლექციების, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ კურსს.

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი

(გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი)

ერთ დღეს, ჩემთან, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი, გია ლილუაშვილი მოვიდა და მითხრა, რომ უნივერსიტეტის რექტორი გურამ თავართქილაძე გთხოვს შეხვედრასო. გაგონილი მქონდა, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი გურამ თავართქილაძეს, რომლის დახასიათება ალბათ ძალიან გამიჭირდება. ის იყო საოცარი პიროვნება, უდიდესი მეგობარი, საუკეთესო ორგანიზატორი, გვერდში მდგომი და განსწავლული კაცი. არ ვიცი, თუ რამე შეიძლება დადებითი ახასიათებდეს ადამიანს, გურამი ყველაფერ ამით იყო შემკული. ერთი სიამოვნება იყო მის გვერდით მუშაობა. ცხადია, დავთანხმდი გია ლილუაშვილს გურამთან შეხვედრაზე. მე და ბატონი გურამი შევხვდით ერთმანეთს. მან მითხრა, ჩვენ ვიწყებთ ჩვენი უნივერსიტეტის გაძლიერებას და მინდა, რომ შენ სისხლის სამართლის მიმართულების კათედრას ჩაუდგე სათავეშიო. ვუთხარი, ჯავახიშვილში ვარ-მეთქი. იყავი იქაც, ჩვენთან კი იქნები კათედრის გამგეო. ასეთ შეთავაზებაზე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. თავისუფალი დროც მქონდა ისე, რომ შემეთავსებინა ორივე სამსახური. მართლაც, ამირჩიეს კათედრის გამგედ, დამინიშნეს იმ დროისათვის ძალიან მაღალი ხელფასი და უნივერსიტეტშიც დავრჩი ლექტორად. იმავე წლის ნოემბერში ამირჩიეს დოცენტად. აი, ასეთ პატივში და დაფასებაში ვიყავი. მაგრამ რად გინდა, მოულოდნელად, ახალი კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებით, რადგან ბოლონიის პროცესს შევუერთდით, საჭირო იყო მთლიანი გარდაქმნა საგანმანათლებლო სისტემის, ახალი პროგრამების შემუშავება, ბოლონიის პროცესის შესაბამისად. კანონით განსაზღვრული იყო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში რეფორმა უნდა დაწყებულიყო 2005 წლის ბოლოს და დაიწყო 2005 წლის დასაწყისში, ანუ ერთი წლით ადრე, დაჩქარებულად. როცა ერთ-ერთი კათედრის სხდომაზე იკითხეს, რა არის ეს დაჩქარებუ-

ლი წესი? რატომ ამბობენ, რომ რეფორმის ფონზე შეადგინეთ სილაბუსები, უკვე კომისიაც შეიქმნა.... მე ვთქვი, რომ ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მალე დაითხოვონ ძველი კადრები-მეთქი. ჩემი ნათქვამი თითქოს სასაცილოდ მიიღეს, ჩვენ ვინ გაგვიბედავს დათხოვნასო. კონკურსი უნდა ჩატარდეს და ჩვენ, ვინც მთელი ეპოქა შევქმენით სამართალში, სამსახურიდან როგორ გაგვიშვებენო. კარგად გაგვიშვებენ- მეთქი. არ დამიჯერეს, მაგრამ უნივერსიტეტში დაინიშნა კომისია, არ ვიცი, იმ კომისიას ვინ ხელმძღვანელობდა და ვინ არა. როცა დავაყენეთ საკითხი, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებოდა თითოეული ლექტორის საქმიანობა, ვის დატოვებდნენ და ვის გაუშვებდნენ, პასუხი იყო ერთი, რა თქმა უნდა, სილაბუსების მიხედვით, ანუ იმ პროგრამების მიხედვით, რომელიც ჩვენ უნდა წარგვედგინა. მე კი ვიცოდი, რომ ეს იყო ფორმალური და თავიანთი სურვილის მიხედვით დატოვებდნენ, ვინც მოეწონებოდათ და გაუშვებდნენ, ვინც არ მოსწონდათ. მოკლედ მოხდა ისე, რასაც ვვარაუდობდი.

ყველამ წარმოადგინა სილაბუსი. დაახლოებით 36 გვერდი იყო ჩემი სილაბუსი მაშინ, როცა სხვა პროფესორების სილაბუსი 4-5 გვერდი იყო. ანუ ეს იყო დაახლოებით საბჭოური პროგრამის შესაბამისი სილაბუსი (სილაბუსი ერქვა, თორემ, ფაქტობრივად იყო პროგრამა) ცხადია, ამას არავინ უყურებდა, რაც გინდა დაგეწერა, რაც გინდა არა. როცა შედგა კომისიის სხდომა, ცხადია, არ ამირჩიეს, არათუ მე, არამედ ისინიც, ვისაც მე ვეუბნებოდი, რომ ეს ტარდება თქვენს მოსაშორებლად-მეთქი. პრაქტიკულად მთელი უნივერსიტეტი დაითხოვეს სამსახურიდან. ამაში აქტიურად ერეოდა ბოკერია, რამიშვილი და სხვა ის ადამიანები, რომლებიც მაშინ ქვეყანას მართავდნენ. სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერ მართავდა ქვეყანას. ვისაც უნდა, იმას ეწყინოს. მე ამის თვითმხილველი და ამ სიტყვებზე პასუხისმგებელი ვარ. ბევრი გადაწყვეტილება, რაც მიიღო, ეს იყო ბოკერიას და რამიშვილის კარნახით. შემიძლია, თავად სააკაშვილს დავუსახელო ფაქტები, თუ როგორ აიძულა ბოკერიამ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება. მე მათთან ვიყავი, როგორც რეფორმატორი წლების განმავლობაში და კარგად ვიცი ეს ფაქტები.

დაითხოვეს სამუშაოდან ისეთი ცნობილი პროფესორები, როგორებიც იყვნენ ვალერი ლორია, ადმინისტრაციული სამართლის ფუძემდებელი საქართველოში, ზაურ წულაია, უდიდესი სამართლის სპეციალისტი, ვალერიან მეტრეველი , მოგვიანებით დაითხოვეს რომან შენგელია, ზაურ ჯინჯოლავა – ცნობილი კონსტიტუციონალისტი... ყველას ჩამოთვლა ალბათ საჭირო არ არის. დაითხოვეს ყველა, ვინც იყო ღერძი ჯავახიშვილში იურიდიული ფაკულტეტის. რა გაეწყობოდა. მუშაობა განვაგრძე თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში სისხლის სამართლის კათედრის გამგედ და ერთი წლის შემდეგ, ისევ გურამ თავართქილაძის თხოვნით, ამირჩიეს ამ ფაკულტეტის დეკანად. ხოლო, ყოფილი დეკანი გია ლილუაშვილი, არაჩვეულებრივი პიროვნება და მეცნიერი, გადაიყვანეს შესაფერის თანამდებობაზე, რომ მას გულისწყვეტა არ ჰქონოდა და ჩვენ არ დავმგვანებოდით ჯავახიშვილის უნივერსიტეტს, სადაც ღირსეულ სპეციალისტებს პანტა-ბუნტით ყრიდნენ სამსახურიდან, მაგრამ გურამ თავართქილაძის ღირსება იმაში იყო, რომ თუ ვინმე კარგი იყო, რომელიმე უნივერსიტეტში და რაღაც მიზეზით სამსახურიდან წამოვიდოდა ან სურვილს გამოთქვამდა, ყველა მოჰყავდა ჩვენთან, თბილისის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტში. ერთ დღეს (ცოტა ჩემი წვლილიც იყო) ძირითადად თავართქილაძის ინიციატივით, შევკრიბეთ ყველა ის ხალხი, ვინც საერთოდ გამოუშვეს საჯარო სამსახურიდან და მათ შორის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ეს ადამიანები იყვნენ: იაკობ ფუტკარაძე, გია მეფარიშვილი, რომან შენგელია, ვალერიან ლორია, პაატა დავითაია, ოთარ გამყრელიძე (ქართული სისხლის სამართლის მემატიანე), ზაურ ჯინჯოლავა. ამ ადამიანებს შევთავაზეთ, რომ ჩვენთან დაეწყოთ მუშაობა, რაზედაც სიამოვნებით დაგვთანხმდნენ და მოხდა ისე, რომ მე დეკანი ვიყავი. კათედრის გამგედ სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დაინიშნა რომან შენგელია, სისხლის სამართლის მიმართულებით გია მეფარიშვილი და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ვალერიან ლორია. უკეთესი შემადგენლობა იმ დროს საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში არ არსებობდა. შემდეგ სამწუხაროდ, ვალერიან ლორია გარდაიცვალა და ის ჩაანაცვლა ასევე დიდმა მეცნიერმა და პიროვნებამ

იაკობ ფუტკარაძემ. ჩვენ გვქონდა, როგორც მაგისტრატურა ასევე დოქტორანტურა. დოქტორანტურაც ისეთივე პოპულარული გახდა, როგორც მთლიანად მთელი უნივერსიტეტი. არ ვიტყვი გადაჭარბებულად, ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან მოდიოდნენ ჩვენთან. როცა დეკანად მირჩევდნენ, მაშინ ვთქვი, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გახდება ჯავახიშვილის კონკურენტი-მეთქი. გამაკრიტიკა ოთარ გამყრელიძემ. რა თქმა უნდა, მეგობრობის ფარგლებში და მითხრა, რომ ძალიან ბევრს ხომ არ იღებ, ჩემო *ვენედი,* შენ თავზეო. მე ვუთხარი, ჩვენთან ისეთი კადრია, რომ ამ კადრით ნებისმიერი დაპირების გაცემა შეიძლება და მე სრულებითაც არ მეუხერხულება ამის განცხადება-მეთქი. მართლაც ასე იყო, ჩვენი უნივერსიტეტი გახდა ერთ-ერთი უძლიერესი უნივერსიტეტი საქართველოში, მოცულობით პატარა, მაგრამ ძალიან დიდი კონკურენციის უნივერსიტეტი. დაიწყო დინება ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან, ჯერ ბაკალავრიატიდან, შემდეგ უკვე დოქტორანტურიდანაც ბევრი გადმოვიდა ჩვენთან.

ჩვენთან შემოერთებული იყო ისტორიის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა საოცარი პიროვნება, უნიჭიერესიყველასგან და ყველაფრისგან გამორჩეული ადამიანი, ნამდვილი მეგობარი ვალერიან ვაშაკიძე, რომელიც იყო ყველა დავალების პუნქტუალური შემსრულებელი, რომელიც ამშვენებდა ჩვენს ფაკულტეტს და სადოქტორო დისერტაციების დაცვისას ერთ-ერთი წარმოჩინებული პიროვნება იყო. მან ასევე წარჩინებით გაართვა თავი, როცა რექტორმა ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, დაგვავალა შეგვემუშავებინა უნივერსიტეტის შინაგანაწესის და დებულებების წესდება. ეს არ იყო მარტივი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, როცა შენთან მუშაობს იაშა ფუტკარაძე, გია მეფარიშვილი, რომან შენგელია, ვალერი ვაშაკიძე, პაატა დავითაია, რომელ დებულების და წესდების შემუშავებაზეა საუბარი, ჩვენთვის ხომ არაფერი დაბრკოლება არ იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ წესდება წარმატებით შევიმუშავეთ. ბატონ გურამ თავართქილაძეს რომ უმაღლესი განათლების სფერო კარგად ესმოდა, იმაზე მიუთითებს, რომ შემდგომში მან დააარსა მეორე უნივერსიტეტი. მოკლედ, დაიწყო წარმატებული საქმიანობა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტმა. დაიწყო

დისერტაციების დაცვა, არაფერს ვამბობ მაგისტრატურის საფეხურზე. პირველ პერიოდში იყო სახელმწიფო გამოცდები როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურაში, მაგრამ როცა შევიმუშავეთ წესდება, კანონიდან გამომდინარე, ეს აკრძალული იყო და შემდეგ შემოღებულ იქნა საბაკალავრო-სამაგისტრო, თავისთავად სადოქტორო დისერტაციების დაცვა. ხარისხი დაიცვა ჩემთან ძალიან ბევრმა ღირსეულმა ადამიანმა, როგორც უზენაესი სასამართლოს წევრებმა, ასევე პარლამენტის და აუდიტის სამსახურის (მაშინ კონტროლის პალატა ეწოდებოდა) წარმომადგენლებმა.

რადგან დეკანი ვიყავი, ამირჩიეს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარედ, ისე როგორც ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარედ, ანუ მქონდა სამი თანამდებობა. ჩემი ხელმძღვანელობით ხდებოდა ყველა დისერტაციის დაცვა და ყველა დისციპლინური გადაწყვეტილების მიღება, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა, თუმცა ჩვენ ეს არ დაგვჭირვებია.

ჩვენთან სამეცნიერო ხარისხი დაიცვა ძალიან ბევრმა ადამიანმა, მაგრამ რამდენიმეს დავასახელებ: ია ჩხეიძემ, (ხელმძღვანელი გია მეფარიშვილი) რომელიც ამჟამად პროკურატურაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს. მან ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დაამთავრა და დაიცვა დისერტაცია მტკიცებულება დასაშვებობის ურთულეს საკითხზე. საქართველოში ცნობილმა მეცნიერმა, გამოჩენილმა ცივილისტმა ბესარიონ ზოიძემ თქვა: მე მსგავსი დისერტაცია არ მინახავსო. მართლაც, ამ გოგონამ (მაშინ გოგონა იყო) დისერტაცია ისე დაიცვა, რომ აუდიტორია, რომელსაც დარბაზი ძლივს იტევდა, მთელი გულისყურით უსმენდნენ. დასასრულ იყო მქუხარე ტაში. სადისერტაციო საბჭოში სულ 18 წევრი იყო გაერთიანებული. იმ დღეს, ზუსტად მახსოვს, 17 წევრი ესწრებოდა და 17-*ივემ* ცხადია, მხარი დაუჭირა მის დისერტაციას.

ასეთივე წარმატებით, საოცარ მაღალ დონეზე დაიცვა დისერტაცია, ჩემი ხელმძღვანელობით მაია ოშხარელმა, უზენაესი სასამართლოს წევრმა, არ მინდა თავის ქებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მისი დისერტაციის დაცვასაც ასევე მრავალრიცხოვანი მეცნიერები თუ რიგითი მოქალაქეები ესწრებოდნენ და მას ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

არ შეიძლება, დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით არ გამოვყო ბატონი იაკობ ფუტკარაძის მიერ მომზადებული დისერტანტია. ლევან დარბაიძემ ძალიან საინტერესო თემა წარმოადგინა სამართლის ისტორიის საკითხში, რომელშიც ცნობილი ისტორიკოსის სამართლის საკითხები შედიოდა. იმდენად დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მისმა ნაშრომმა, რომ კარგა ხანს ჩვენი საუბრის თემა სწორედ ამ დისერტაციის დაცვა იყო. ამ დისერტაციის დაცვას ესწრებოდა ცნობილი ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია, რომელმაც თქვა, რომ ნაშრომი გამართული ქართულით არის შედგენილი. ძალიან ბევრმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი და ყველა იყო ერთმანეთზე უკეთესი. ვერავინ იტყვის იმას, რომ ჯავახიშვილში რომ დაცვები ტარდებოდა იმაზე ნაკლები რაიმეთი იყო, თუ არ აღემატებოდა მას, ეს რა თქმა უნდა ჩვენი ღირსება იყო. ეს ზრდიდა კონკურენციას და გვიმაღლებდა ავტორიტეტს. რადგან ყველაფერი ობიექტურობისა და სამართლიანობის ფარგლებში ხდებოდა. ვერავინ დაგვწამებდა არაობიექტურ ქმედებას. დისერტაციების აბსოლუტურ უმრავლესობას ესწრებოდა უნივერსიტეტის რექტორი გურამ თავართქილაძე.

როცა ბატონ გურამს გაუვიდა 8 წლიანი უფლებამოსილების ვადა და აღარ შეიძლებოდა ვადის გაგრძელება, ის ავთანდილ ჩუთლაშვილმა ჩაანაცვლა. ბატონი გურამი კვლავაც დიდ ავტორიტეტად და წამყვან ფიგურად რჩებოდა უნივერსიტეტში და ესწრებოდა ყველა დისერტაციას. ყოველთვის მადლობას გვეუბნებოდა ჩვენ, დისერტაციის ხელმძღვანელებს და ავტორებს ნაშრომის სანიმუშოდ მომზადებისთვის.

ერთ დღესაც გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი გაუქმდა და შეუერთდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტს. ნახეს, რომ ჩვენ მივდიოდით წინ და წინ უნივერსიტეტის აღზევება იყო, ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება, კვლავ წავსულიყავით სახლებში. ამ დროს უკვე ჩვენი საყვარელი ადამიანი გურამ *თავართქილაძე* გარდაცვლილი იყო, რომელიც თავისი ურთიერთობებიდან გამომდინარე, არ დაუშვებდა ჩვენი უნივერსიტეტის გაუქმებას, მაგრამ მოქმედმა რექტორმა ვერ შეძლო სასწავლებლის დაცვა, რადგან სახელმწიფო დაბეჯითებით მოითხოვდა ჩვენი უნივერსიტეტის ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან შეერთებას. არ ვიცი, ყოველივე ეს

რისთვის დასჭირდათ. სამარცხვინო მოტივი მოიშველია იმ დროინდელმა მინისტრმა დიმიტრი *შაშკინმა*. აქვე დავძენ, რომ შაშკინის მსგავსი ადამიანები განათლების მინისტრად რომ მუშაობდნენ აი, ამან დააქცია და დაღუპა ქვეყანა, ნაცმოძრაობაზე აღარაფერს ვამბობ. ჩვენ, ლექტორებმა და სტუდენტებმა გაფიცვაც კი მოვაწყვეთ, არ უნდოდათ სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთება, მაგრამ რა უნდა გვექნა?

გურამ თავართქილაძის გენია იმაში მდგომარეობდა, რომ მან, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი წინასწარ გათვალა, წინასწარ იგრძნო, რომ ჩვენ უნივერსიტეტს კარგი დღე არ ელოდა. მას ხშირად ჰქონდა შეხვედრები სხვადასხვა დონეზე და მოდიოდა ხმები, რომ თავართქილაძის უნივერსიტეტი (თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტს თავართქილაძის უნივერსიტეტს ეძახდნენ. მას ყველა იცნობდა, როგორც თავართქილაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) იმდენად მაღალ დონეზე ავიდა, რომ დღეს-ხვალ გაგვაუქმებდნენ. ამიტომ მან დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ როგორმე სხვა კერძო უნივერსიტეტი გაგვეხსნა. ამის ბაზა გვქონდა ლოტკინზე, ბატონმა გურამმა ჯერ იქ გახსნა ტექნიკუმი და შემდეგ ინსტიტუტი. შემდეგ შეიძინა ახალი შენობა და ინსტიტუტი გადაკეთდა უნივერსიტეტად, რადგან ჩვენი საკუთარი შენობა/ბაზა გვქონდა, შეგვეძლო, სასწრაფოდ (სანამ შეგვაერთებდნენ ჯავახიშვილს) მოგვეთხოვა ინსტიტუტი. (ვადა მოგვცეს 1 მარტამდე, ეს ხდებოდა ნოემბერში) დავიწყეთ იმ შენობის რემონტი, სადაც ბაზა გვქონდა, იქ მხოლოდ სამხედრო მეცადინეობებს ვატარებდით. საოცრება ის იყო, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იქაც უარი გვითხრა უნივერსიტეტის გახსნაზე. ეს იყო ტრაგედია, იმიტომ, რომ თანხა ჩაიდო, შემოგვიერთდნენ კარგი პიროვნებები და ფუნქციონირების უფლებას არ გვაძლევენ.

მადლობა პაატა დავითაიას იმისთვის, რომ როცა უარი გვითხრეს, ჩემი თხოვნით შევიდა მიხეილ სააკაშვილთან და სთხოვა, რომ მოეცა მეორე უნივერსიტეტის გახსნის უფლება. მაშინ, სააკაშვილმა, როგორც იქნა გამოიჩინა ჰუმანურობა და გასცა განკარგულება, გაგვეხსნა ახალი უნივერსიტეტი.

ჯერ კიდევ სანამ ჩვენი უნივერსიტეტი გაუქმდებოდა, 2009 წელს, დავაფუძნეთ „თბილისის თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი“. ჩემთან კონსულტაციების შემდეგ დეკანად დაინიშნა არაჩვეულებრივი ბრწყინვალე ადამიანი, მეცნიერი, ვეტერანი სპორტსმენი, პედანტი, პუნქტუალური, გაწონასწორებული ადამიანი შენგელი *ფირცხალაური*. ადამიანი, რომელსაც 10 წელი იმუშავა უნივერსიტეტში ისე, რომ არასდროს ხმამაღალი სიტყვა არ უთქვამს. თუ რაღაცაზე გაბრაზდებოდა, შეგაქცევდა ზურგს, წავიდოდა, განგერიდებოდა. ყველაფერი იცოდა წუთი წუთზე, წამი წამზე. ადამიანი, რომლისგანაც ძალიან ბევრი შეგეძლო გესწავლა. მან დაიწყო შენება ახალი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და კადრების მოზიდვა. როცა შენგელი ფიცხელაური გადაიყვანეს უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილედ, მისი ადგილი, დეკანის პოზიციაზე, მისმა შვილმა დაიკავა, შესანიშნავმა, კულტურულმა, ახალგაზრდამ (ნეტა ყველას ჰყავდეს ასეთი შვილი), მრავალი ენის მცოდნემ, მეცნიერმა, ნიკოლოზ ფიცხელაურმა, რომელიც შემდეგ გადაიყვანეს სხვა სამსახურში, თავის ნებით წავიდა და მის ადგილზე აირჩიეს ბუმბერაზი ადამიანი, გივი ლობჟანიძე.

გივის ადრეც ვიცნობდი, მაგრამ შემდეგ უფრო ახლოს გავიცანი ჩემი ძმად წოდებული, რომელიც შემდგომში უახლოეს მეგობრად იქცა. გენერალი, კონსტიტუციაზე ხელის მომწერი, ორ დარგში ისტორიის მეცნიერებათა სამართლის, ასეულობით წიგნის ავტორი, მათ შორის, რამდენიმე აღემატება 600-700 გვერდიან სამეცნიერო ნაშრომს. მას მეტსახელად „ადამიანი ფუტკარი“ შევარქვი, რომელიც მუდამ მუშაობს და არ ჩერდება. ნებისმიერ სტუდენტს, ლექტორს, ვისაც კი არ უნდა შეეკითხო, ყველა გეტყვით, რომ ეს არის ღირსეული ადამიანი, როგორც ხელმძღვანელი კი არა, როგორც პიროვნება, რომელიც ყველა ადამიანის გვერდში დგას ლხინში თუ ჭირში. მისგან, როგორც შენგელიზე ვთქვი, ვერ გაიგებ ხმამაღალ სიტყვას, ეფერება სტუდენტებს და თანამშრომლებს და ყველა საკითხს აგვარებს ასე მეგობრულად. ჩემს გივის მინდა, მადლობა ვუთხრა მასთან ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის, ისევე, როგორც შენგელის და ვუსურვებ მათ წარმატებებს და დიდი

სიყვარულით განაგრძონ თავიანთი საქმიანობა იმ თანამდებობებზე, სადაც ისინი იქნებიან. ამაში ეჭვი არ მეპარება.

მოხდა ისე, რომ ჩემდა საბედნიეროდ, ერთ ოთახში მოგვიწია მუშაობა მე და ჩემს დიდ მასწავლებელს, ჩემ დიდ ძმას, ყველაზე საყვარელ ადამიანს რომან შენგელიას. 11-12 წელი რომან შენგელიას გვერდში ვიჯექი და ერთმანეთს ვუზიარებდით მოსაზრებებს, თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რამდენი კარგი შევიძინე მისგან, რაოდენ დიდი ბედნიერებაა, გვერდით გყავდეს ადამიანი, რომელმაც ყოველდღე თითქოს რაღაც ახალი უნდა თქვას, თანაც ობიექტურად და სამართლიანად. რომანი სხვა განზომილებაა და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გამიმართლა და მე მის გვერდით აღმოვჩნდი.

თავართქილაძის უნივერსიტეტში, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ვინც წაიკითხავს, ყველა მიხვდება, ვინც არის ის იშვიათი გამონაკლისი, გვარს არ დავასახელებ) თავი მოიყარეს ახალგაზრდობის შესანიშნავმა წარმომადგენლებმა. ნიჭიერებმა, თავდადებულებმა, თავიანთი საქმის პროფესიონალებმა, მოადგილედ დაიწყო მუშაობა ნუგზარ თევდორაძემ, უწესიერესმა კაცმა, რომელიც დღესაც თავდადებით ასრულებს თვის უფლება-მოვალეობას; ედიშერ ფუტკარაძე, მრავალი ენის მცოდნე, ფრიად განსწავლული ახალგაზრდა და პრინციპული; შალვა ქურდაძე, ძნელია მოიძებნოს ახალგაზრდა, რომელიც იმ თვისებებს გამოავლენს, რომელსაც შალვა ქურდაძე ამჟღავნებს, ის არის სამართლის დოქტორი, პროფესორი. ამავე დროს ის ძლიერი ადვოკატი და პროფესორია. ყველა ახალგაზრდას, ყველა სტუდენტს, სურვილი ჰქონდა, რომ მის ჯგუფში მოხვედრილიყო, რადგან ძალიან ეფექტური პედაგოგია და ლექციების შემდეგაც არ ზარდება სტუდენტებს საინტერესო საკითხების განმარტებაში; გიორგი ხუნაშვილი, რომელმაც პროფესორ ვალერიან ლორიას - ამ ბუმბერაზი მეცნიერის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ადმინისტრაციულ სამართალში. გიორგი ხუნაშვილი *ერთ-ერთი* ახალგაზრდაა, იმ მრავალთაგან, რომელიც ვალერიან ლორიამ გაზარდა. საერთოდ ადმინისტრაციული სამართლის სპეციალისტები თითზე ჩამოსათვლელია საქართველოში. ყოველ შემთხვევაში იმდენი არ არიან, როგორც სამოქალაქო სამართალში და სისხლის სამართალში.

ერთ-ერთი გამორჩეული ახალგაზრდა სპეციალისტი კი გიორგი ხუნაშვილია, თავის წესიერებით და ღრმა ცოდნით გამორჩეული.

ჩვენთან იყო აგრეთვე ვეტერანი პროფესორი, საქართველოში ცნობილი იურისტი, სისხლის სამართლის სპეციალისტი თამარ ებრალიძე, უწესიერესი და უნიჭიერესი ადამიანი სისხლის სამართლის ძალიან სიღრმისეულად მცოდნე. მასთან საუბარი, იურიდიულ საკითხებზე იყო ერთი დიდი სიამოვნება. ბოლო ხანს უნივერსიტეტში მოიყვანეს ერთი ახალგაზრდა (გოგონას ვერ დავარქმევ. რადგან ორი შვილის დედაა) ქალბატონი, სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშნეს, მაგრამ საბოლოოდ დარჩა ჩვენთან, სამართლის ფაკულტეტზე. ეს არის ნინო ბოჭორიშვილი. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ იხარე საქართველო, იდიდე, ქვეყანავ, მაშინ, როცა შენ შეგიძლია ასეთი მეცნიერები და ახალგაზრდები გაზარდო, რომელსაც შეუძლია, ჰქონდეს შესანიშნავი ოჯახი, იყოს შესანიშნავი მეცნიერი, იყოს შესანიშნავი ხელმძღვანელი და თავდაუზოგავად იმუშაოს დილიდან საღამომდე საქმისთვის. მას ენდოს ყველა თვალდახუჭული. ბარაქალა, ჩემო ნინო, შენ ქალობას და მადლობა შენ იმისთვის, რომ შენი სახით ასეთი კარგი შევსება მიიღო თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტმა.

უნივერსიტეტის სული და გული იყო ძირითადი დამფუძნებლის გურამ თავართქილაძის მეუღლე, ჩემი და, ლია თავართქილაძე. დაუღალავი, დილიდან საღამომდე უნივერსიტეტში იყო, ყველა წერტილი იცოდა, სად რა ხდებოდა, ყველაფერს მტკივნეულად განიცდიდა, რაც დაკავშირებული იყო ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებასთან თუ წარუმატებლობასთან. ორივე მათგანი, ცოლიც და ქმარიც განათლების სფეროსი საუკეთესო სპეციალისტები იყვნენ. ქალბატონი ლია წარმატებით მართავდა უნივერსიტეტს. როცა დამფუძნებელთა კრება იმართებოდა, თითოეულთან შეთანხმების გარეშე, არც ერთ საკითხს არ წყვეტდა, ერთიც რომ ყოფილიყო წინააღმდეგი, ის გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

ჩვენს ფაკულტეტზე ბაკალავრიატის მიმართულების ხელმძღვანელია ამავე დროს არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი ლიკა საჯაია – უნიჭიერესი ახალგაზრდა ქალბატონი. ლიკა საჯაიამ ხარისხი დაიცვა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში და ყველანი დატოვა აღფრთოვანებული, თითოეული გასაუბრება მასთან ტოვებს

ამაღლებულ განწყობას, იმდენად სიღრმისეულად ფლობს ამა თუ იმ პრობლემას. ის არ ჰგავს იმ არასამთავრობოების წარმომადგენლებს, რომლებიც ყოველგვარი დაფიქრების გარეშე და ემოციებით წყვეტენ საკითხს, ის არის ისეთი არასამთავრობოს წევრი და ისეთი ღირსეული ლექტორი, როგორიც შეეფერება თანამედროვე დროს და მოთხოვნებს. ამიტომაც სარგებლობს სტუდენტებში და არა მარტო სტუდენტებში პატივისცემით და მაღალი ავტორიტეტით.

ჩვენს უნივერსიტეტს ქვევითაც და ზევითაც (ასე ვეძახი) „თბილისის ეკონომიკურ სახელმწიფო უნივერსიტეტს“ და „თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტს“ ჰქონდა სხვა ფაკულტეტებიც, ეს იყო ძირითადად ბიზნესის მართვის, სადაც ჯერ დეკანი იყო მეცნიერების ღრმა მცოდნე, ძალიან წესიერი კაცი ვაჟა ხუჭუა, ხოლო შემდეგ სრულიად ახალგაზრდა (40 წელისაც არ არის და 10 წელია მართავს ამ ფაკულტეტს) გელა ალადაშვილია, ყველა დედ-მამას ვუსურვებ, ჰყავდეს ასეთი შვილი, ის არის განათლებული, თავის საქმის შესანიშნავი მცოდნე, კარგი ორგანიზატორი, და რაც მთავარია, ჩვენ, ქართველები რომ ვეძახით, კაცური კაცი. წარმატებები, ჩემო გელა, შენ ამას იმსახურებ. ქვედა უნივერსიტეტში

მუშაობდა ეკონომისტი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე, მისი ხელმოწერა ამშვენებს ეროვნულ ვალუტას, მის ცოდნაზე ლაპარაკი ზედმეტია. ამავე ფაკულტეტზე სხვა ბევრი ღირსეული ადამიანია.

შეიძლება ნებისმიერი გავიხსენო, რომელიც ამ უნივერსიტეტში მუშაობდა და უნივერსიტეტის სახელს ატარებს. უნივერსიტეტის სახელს მაღლა სწევს. თუ ვინმე გამომრჩა, მაპატიოს. ყველას ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს და სიმართლე გითხრათ, არც კი მახსენდება ზოგიერთი. ვალერი ვაშაკიძე ჩვენთან დიდხანს მუშაობდა. იყო კათედრის გამგე, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით, რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, სწორი არ იყო, რომ ის გაუშვეს უნივერსიტეტიდან. უფრო სწორად, თავად წავიდა, მაგრამ ასეთ ადამიანს რომ გაუშვებ, ეს ძალიან რთულია.

ცხადია, მე არაფერი მითქვამს ჩვენს რექტორზე, ბატონ გია მათიაშვილზე, რომელსაც ხუმრობით სიმართლეს ხშირად პირდაპირ ვეუბნებოდი - საქართველოს უკეთესი რექტორი არ ჰყავს. ადრე ზეპირად ვამბობდი და ახლა აგერ, ჩემს დოკუმენტს ვტოვებ, რომ საქართველოს გია მათიაშვილის მსგავსი რექტორი არ ჰყავს. ამას ვამბობ მთელი პასუხისმგებლობით, მის განათლებაზე არაფერს ვამბობ. ის არის დახვეწილი, ინტელიგენტი, თავმდაბალი, რომელიც ღირსეულად იკავებს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობას და იმედია, ძალიან დიდხანს იქნება (იქ ჩინელები მივლენ, იაპონელები თუ ქუთაისელები, ამას მნიშვნელობა არ აქვს), რადგან ის ღირსეული ადამიანია და ამ თანამდებობას იმსახურებს. როგორც იტყვიან ის სტუდენტების მამაა, კარგია, როცა მას ასეთი დამოკიდებულება აქვს, როგორც პედაგოგებთანა, ისე სტუდენტებთან. აი, ასეთი კარგი კოლექტივი ჰყავს თბილისის ამჟამად „საერთაშორისო უნივერსიტეტს“. მე, როგორც ერთ-ერთი ყოფილი დამფუძნებელი, ყოველთვის ვიქნები დაინტერესებული იმით, რომ გაძლიერდეს ჩვენი უნივერსიტეტი, იყოს სახელოვანი და ისეთი კონკურენტუნარიანი, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა სხვა კერძო უნივერსიტეტებში. მე, რა თქმა უნდა, რაც შემეძლება, ხელს შევუწყობ ჩემ უნივერსიტეტს წინსვლაში და წარმატებების მოპოვებაში.

დღეის მდგომარეობით უნივერსიტეტს აღარ ჰქვია თავართქილაძის სახელობის, მას ჰქვია „საერთაშორისო უნივერსიტეტი“ იმის გამო, რომ ჩვენ, დამფუძნებლებმა ეს სასწავლებელი გავყიდეთ, რომელიც შეისყიდეს ჩინელებმა. ჩინეთის მოქალაქეები არიან ჩვენი სამართალმემკვიდრეები. მათ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენელი უნივერსიტეტში ელი ელისაშვილი, რომელიც ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს. კულტურული და პოზიტიური პიროვნებაა.

კიდევ ერთხელ ვუსურვებ ამ უნივერსიტეტს წარმატებებს. პრინციპში, ჩემი პედაგოგიური საქმიანობა ამით არ მთავრდება. ცხოვრება და მუშაობა გრძელდება და ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

ჩემი ცხოვრების მეგზური

ბაღდათი ულამაზესი კუთხე, სულით მშვენიერი ადამიანების სავანეა. სწორედ ამანაც განაპირობა ის, რომ ჩემი ცხოვრების მეგზურად არჩევანი ბაღდათელ ქალზე შევაჩერე. უახლოესი ერთგული მეგობრის ნოდარ როსტი ფურცელაძის შუამავლობით. როსტი ფურცელაძე, რომელმაც შემდეგ მთელი ბაღდათი გამაცნო, ვიდრე ბაღდათის პროკურორად დავინიშნებოდი. ორი თვით ადრე სასტუმრო საქართველოში გავიცანი, მის სიძესთან, არაჩვეულებრივ ადამიანთან, ერთ-ერთ გამორჩეულ ქართველთან შუქრი ნემსაძესთან ერთად. ბაღდათში ჩამოსვლისთანავე დაიწყო ჩვენი მეგობრობა და მის გარდაცვალებამდე ერთგულ მეგობრებად დავრჩით. მან გამაცნო ჩემი მომავალი მეუღლე, ადამიანი, რომელიც ჩემი ცხოვრების მეგზური გახდა და მთელი ჩემი ცხოვრება და საქმიანობა მას უკავშირდება.

ხშირად ადამიანები, თანამდებობის პირებს თუ რიგით ადამიანებს მეუღლის დახასიათებისას გარკვეული მორცხვობა და თავშეკავება ახასიათებთ, სიმართლის თქმას ერიდებიან. არის გარკვეული ასეთი შეზღუდულობა. მაგრამ მე ამ შემთხვევაში საკმაოდ მოურიდებლად (თუმცა საკმაოდ მორიდებული კაცი ვარ) და გულწრფელად ვაცხადებ, რომ ჩემ კარიერულ წინსვლაში თუ ჩემს ადამიანურ ცხოვრებაში წამყვანი როლი ჩემმა მეუღლემ ითამაშა, რომელიც იყო და არის ადამიანი, კარგი მაგალითი ქართველი ქალობის. ის არასდროს ჩემს პირად საქმეში არ ჩარეულა და არც

რაიმე „დავალება“ მოუცია ჩემთვის. თუ კი რაიმე მოსაზრება გამოუთქვამს, ეს იყო ყოველთვის გონივრული რომელსაც შეძლებისდაგვარად ვიზიარებდი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ნინო (დოდო) კვირიკაძე არის არაჩვეულებრივი, შესანიშნავი მშობლების შვილი, რომლებიც რაიონში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. დედა - ვერა ფურცელაძე-კვირიკაძისა, წლების განმავლობაში მაიაკოვსკის რაიონში, ერთ-ერთი სკოლის დირექტორი იყო, წითელი დროშის ორდენოსანი (ეს იმ წლებში ყველაზე მაღალი ჯილდო იყო), რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი. მამა - დავითი იყო პარტიული ხელმძღვანელი, რომელიც თავის დროზე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ჩემმა მეუღლემ - ნინომ წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიო-ქიმიური ფაკულტეტი, შემდეგ გაიარა კურსები ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, მიიღო ექიმი-ლაბორანტის წოდება და უმალვე დაინიშნა ბაღდათის რაიონში ექიმ-ლაბორანტად. ჩემი მეუღლის გმირობად მიმაჩნია რომ, როცა ბაღდადში პროკურორად მუშაობის 10-წლიანი ვადა გამივიდა და თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად, მან დატოვა სამსახური და შვილების აღზრდას მიუძღვნა თავი. უარი თქვა ყოველგვარი სამსახურის შემოთავაზებაზე. მთელი ძალისხმევა შვილების აღზრდას მოახმარა.

ჩემი შვილები

შვილებში გაგვიმართლა. გვყავს ორი ვაჟი დავითი და გიორგი, რომლებიც მართლაც სანიმუშო ადამიანები არიან. დავითმა და გიორგიმ წარჩინებით დაამთავრეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გიორგიმ მუშაობა გააგრძელა სპეციალობის მიხედვით და დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკია. მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება. ხოლო დავითმა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ჯერ ასპირანტურაში, შემდეგ დოქტორანტურაში, მოამზადა უნიკალური სადისერტაციო ნაშრომი სისხლის სამართლის პროცესში, მაგრამ რატომღაც მოხდა ისე, რომ არ დაიცვა. მან კერძო სექტორი აირჩია და დისერტაციის დაცვაზე თავისი ნებით თქვა უარი. თუმცა სადაც მუშაობს, იქაც წარმატებულია და მე ამის მადლობელი ვარ.

ჩემ შვილებს ჰყავთ მეუღლეები, რომლებსაც ვეთაყვანები. არაჩვეულებრივები არიან. მოხდა ისე, რომ ჩემი ვაჟი მეორედ დაქორწინდა და მისი პირველი მეუღლე, რომელიც არაჩვეულებრივი ქალბატონია, დღესაც ჩემ შვილად რჩება და დარჩება ყოველთვის. ასევეა მისი მეორე მეუღლე.

მეორე შვილი გოჩა (გიორგი) 18 წლის ასაკში დაოჯახდა **რუსუდან ჩიხლაძეზე**. ძალიან პატარები იყვნენ და მე და ჩემმა მეუღლემ ორივე გავზარდეთ. შეეძინათ შვილი, რომელიც შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე ჩემი მოსწავლე იყო. ვასწავლიდი რამდენიმე საგანს. ვიყავი მისი ხელმძღვანელი ბაკალავრიატის თუ მაგისტრატურის დროს. მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. როგორც ბაკალავრიატი, ასევე მაგისტრატურა და მიიღო წითელი დიპლომი. ჩემი ოჯახიდან მე, ჩემი ორი შვილი, ჩემი რძალი – რუსუდან ჩიხრაძე, ასევე პირველი რძალი – **მაია მირიანაშვილი,** მეორე რძალი – **მიმი გაბრიჩიძე** და შვილიშვილი – **ნინი ბენიძე** ვართ იურისტები და შეიძლება ითქვას, შევქმენით იურიდიული კოჰორტა. სადაცაა, ესენი გადამასწრებენ იურიდიული ცოდნის მიღებაში, მიუხედავად იმისა, რომ გავიარე ყველა საფეხური, არა მარტო პროკურატურაში, არამედ უმაღლეს დაწესებულებებში.

ოჯახის გარეშე არ არსებობს არც სამსახურებრივი წარმატება, არც პროფესიული წინსვლა და არც სხვა რამ არაფერი. ოჯახი ქვაკუთხედია ადამიანების წარმატებისა. თუ შენი ოჯახი გალანძღულია, ანდა მეუღლე, შვილები და ოჯახის წევრები არ გიჭერენ მხარს და შენი სახელის გვერდის ავლით მოქმედებენ, მაშინ შენ განწირული ხარ წარუმატებლობისთვის. ასე მწამს და ჩემთვის ბედნიერება იყო, რომ არასდროს დამჭირვებია ლექციების კითხვა

იმაზე, რომ ეს არ შეიძლება, ეს ასე უნდა გააკეთოთ, არ უნდა ჩაერიოთ ჩემ პირად საქმეში... ეს მათ ძალიან კარგად იცოდნენ.

როცა მაიაკოვსკში პირველი პირი ვიყავი და ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებდი, (თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ არ იყო ასეთი ჩარევა რესპუბლიკიდან, როგორც დღეს არის. დღეს დამოუკიდებლად ვერაფერს წყვეტ. მე კი პირიქით, ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვიღებდი) ვერავინ ან არავინ ერეოდა ჩემ საქმიანობაში. მხოლოდ ჩემს სიდედრს უყვარდა, ხანდახან მეტყოდა ხოლმე: „დედა ცოდოა ეგ, რას ფიქრობო მაგაზე?“ , მე ხუმრობაში გადავიტანდი მის ნათქვამს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. საქმეს ისე ვაკეთებდი, როგორც წესი და კანონი მოითხოვდა.

ჩემი შვილის, დავით ბენიძის დაპატიმრების საქმე

ხშირად მეკითხებიან, გქონდა თუ არა გულის წყენა და წინააღმდეგობა ცხოვრებაში? რა თქმა უნდა, ისე, როგორც ყველა მოკვდავ ადამიანს წყენის და გულისტკივილის გარეშე არც მე განმივლია ჩემი ცხოვრება. ახლა ერთ ფაქტს გამოვყოფ, რომელიც იყო არამცთუ გულსატკენი, არამედ ტკივილი, რომელსაც ჩემი ცხოვრების ნახევარი გაჰყვა. საქმე ეხება უფროსი შვილის დავით ბენიძის დაპატიმრებას. რომელიც ჩაიდინეს ავანტიურისტებმა ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა**.** იმის მოსმენა, რომ ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა ვიღაცა უკანონოდ დაიპატიმრეს, აღარავის უკვირს, იმიტომ რომ ეს ადამიანები ამ ქვეყანაზე მოვლენილნი იყვნენ იმისთვის, რომ ერი აეოხრებინათ. ამ ყველაფერს ყოველგვარი სარკაზმის გარეშე ვამბობ. ისინი იყვნენ აბსოლუტურად ერის მოძულე ხალხი. მათ ადამიანური არაფერი ჰქონდათ. მიკვირს, რომ ეს ადამიანები თავისუფლად დადიან თბილისის ქუჩებში, უფრო სწორად მერაბიშვილი დადის, ადეიშვილი კი ვერ დადის და ალბათ ვერც ჩამოვა, იმალება. თუმცა რა ვუთხარი იმისთანა სიარულს, მერაბიშვილი რომ დადის. სადაც ნახავენ, მისი ნაცნობები სცემენ და შავ დღეს აყრიან. ძალიან მძიმეა ეს ამბავია ჩემთვის. არავის ვუსურვებ ასეთ მდგომარეობაში ყოფნას.

ჩემს შვილს ედავებოდნენ პოლიციის მუშაკების მიმართ ძალადობის ჩადენაში. ამ დროს, მას ძალადობა არათუ ჩაუდენია, არც იყო შემთხვევის ადგილზე იმ დროს, როცა სხვა ბიჭების დაპირისპირება მოხდა პოლიციის მუშაკებთან, რომლებსაც ჩემი შვილი კარგად იცნობდა და მხოლოდ ჩხუბის დაწყებამდე იყო მათთან რამდენიმე წუთით. მისი წასვლის შემდეგ დაიწყო ეს დავა, კამათი, მათ შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა და ჩხუბი, არც ისე სერიოზული, თუმცა მაინც *გაზვიადებული.* თითქოს და ყველაფრის მოთავე, ჩემი შვილი იქ იყო და პოლიციის მუშაკებს შეურაცხყოფა მიაყენა. ვანო მერაბიშვილმა, რა თქმა უნდა, პირველი დავალება მისცა თავის პოლიციის მუშაკს, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს უფროსს, გოდერძი ნატრიაშვილს**,** რომ დაეწყოთ საქმე პირადად ბენიძის მიმართ, გაეფრთხილებინა პოლიციის მუშაკები, რომ

ხელი დაედოთ დავით ბენიძის ამ საქმეში მონაწილეობის თაობაზე. საერთოდ, როგორც თავად ამბობენ (მაგრამ მე არ მჯერა), იყო ოპერატიული ჯგუფი, რომელიც რაღაც ოპერატიულ დავალებას ასრულებდა და თითქოს შემთხვევით გადაეყარნენ ამ ბიჭებს (ამ ბიჭების სახელებს და გვარებს არ დავასახელებ, არც არის საინტერესო და თან მათგან ნებართვაც არ მაქვს). ეს ოპერატიული ჯგუფი იყო: ზვიად მჭედლიშვილი, გოდერძი ხურცია, ქორთუა, რობაქიძე. დაკავებულები მიიყვანეს ვაკის შინაგან საქმეთა პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოაწყვეს ამოცნობა. შეიძლება, რაღაც დაგავალონ, გააკეთო სიყალბე, მაგრამ ის, რაც ამათ ჩაიდინეს, სიყალბის სახით წარმოუდგენლად მიმაჩნია. ეს ეხება, როგორც გითხარით, მჭედლიშვილს, ხურციას, ქორთუას, რობაქიძეს. მათ, „ამოიცნეს“ დავით ბენიძე. როგორ ამოიცნეს? საქართველოს ისტორიაში ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყო თავხედი და ზნედაცემული ადამიანი, რომ ამ ნიშნებით ამოიცნო ადამიანი.

მოკლედ, შემთხვევა მოხდა ღამის 10:30 წთ-ზე, ვაკის რაიონში, სადაც იყო ღამის განათება (მოგეხსენებათ, ღამის განათება ახლა როგორ არის და 2010 წელს, აპრილის თვეში, როგორი ღამის განათება იქნებოდა თბილისში), თითქოს დავით ბენიძე ოპერატიულმა მუშაკებმა ამოიცნეს თვალის ფერის მიხედვით, რომ დავით ბენიძე დაამახსოვრდათ იმით, რომ მას ჰქონდა ღია ფერის თაფლისფერი თვალები. ეს ხომ წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ თვალის ფერის მიხედვით ამოიცნო ადამიანი და ისიც ღამით, მბჟუტავ შუქზე და მას ჰქონდა შევსებული სახეო. თუ მათ უნდოდათ ამოცნობა, მაშინ ამოიცნობდნენ მთელი სხეულის მიხედვით, მაგრამ მათ ამის სურათი არ ჰქონდათ. მათ ჰქონდათ სურათი მხოლოდ წელზევით გადაღებული. თუ ნახავდნენ მთლიან სხეულს, მაშინ მისი ამოცნობა ძალიან ადვილი იყო, რადგან მას ჰქონდა ძალიან დიდი ღიპი. ამაზე უკეთესი ნიშანი რა გინდა, როცა დიდი ღიპს აჩვენებ, ეუბნები, რომ ერთი იყო ძალიან დიდ ღიპიანი, მაღალი აღნაგობის პიროვნება. მაშინ შეიძლება დაამატო, რომ შევსებული სახით. მაგრამ როცა ღიპს არ ახსენებ საერთოდ და ახსენებ მხოლოდ შევსებულ სახეს, ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათ წინასწარ აჩვენეს სურათები, უფრო სწორად, სურათებით ამოცნობა იყო ეს და ამოიცნეს სუ-

რათებით იმის მიხედვით, რომ მას ჰქონდა შევსებული სახე. შემდეგ რა თქმა უნდა, ცოცხალი ამოცნობის დროსაც „ამოიცნეს“ ჩემი შვილი, იმიტომ, რომ წინასწარ იყვნენ გაფრთხილებული. ეს ჩვეულებრივი ფესვგადგმული ამბავი იყო იმ პერიოდში, მაშინ ყველას ასე იჭერდნენ. სიმართლე გითხრათ, თავდაპირველად, როცა მითხრა ჩემმა უმცროსმა შვილმა, რომ დავითი დააკავეს პოლიციის მუშაკებზე ძალადობის ბრალდებითო, გაოცება ვერ დავმალე. იმიტომ, რომ წინადღით ჩვენს ოჯახში იყვნენ დავითის მეგობრები და ერთმა მისმა მეგობარმა, რაღაცნაირი *ჰონორით* თქვა, რომ მე პოლიციის მუშაკებს შავი დღე ვაყარეო. ამაზე ჩემმა შვილმა მას აყარა მართლა შავი დღე. პოლიციის მუშაკმა რაზეც არ უნდა შეგედავოს, ხმა არ უნდა ამოიღო, გაჩუმდი, როცა იქნება ამის დრო, შემდეგ გაარკვიეო. ამის შემდეგ მეუბნება პოლიცია, რომ პოლიციის მუშაკებს გაუწია წინააღმდეგობა კი არა, სცემაო. მთავარი არ მითქვამს. პოლიციას რაც და როგორც უნდოდა, ბოლომდე მაინც ისე გააკეთა, მაგრამ მათ ძალიან სერიოზული დაბრკოლება შეხვდათ. ერთ-ერთი შენობიდან, რომელიც ამ კაფეს გვერდით იყო, მოწინააღმდეგე მხარეს იდგა ჯეოსელის, თურქი მესაკუთრის სამეთვალყურეო კამერა, რომელიც იღებდა მთელ ტერიტორიას, ეს ჩხუბიც გადაღებული ჰქონდა თავიდან ბოლომდე. ჩანდნენ ყველანი, ვინც ჩხუბში მონაწილეობდა. რაც მთავარია, ჩანდა როდის დაიწყო კამათი და დავა ამ პოლიციელებსა და ბიჭებს შორის, სადაც, ცხადია, ჩემი შვილი არ ფიგურირებს. რაც მთავარია, ჩანაწერში მითითებული იყო დრო, ამათ ნიჭიერება ხომ აკლდათ და აკლდათ და ეგონათ, რომ რასაც გააგზავნიდნენ სასამართლოში, ყველაფერს მიიღებდა სასამართლო. ერთი დეტალი – დრო წყვეტდა ყველაფერს, ამიტომ დრო დახიეს უკან და 22 საათი და 30 წთ. კი არ გამოიყვანეს ჩხუბის დაწყების თარიღად, არამედ 21:15 წთ. აქ ყველაფერი აირია, აბსოლუტურად აბდაუბდა მივიღეთ საქმეში და პრაქტიკულად, თავად აებნათ თავისივე წამოწყებული ავანტიურა. დაიკითხნენ მოწმეები, რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ იქ ვიყავით და ამის მსგავსი იქ არაფერი ყოფილა, 21: 30 წუთზე ჩვენ იქ არაფერი გვინახავსო. ამ დროს საწინააღმდეგოდ დაკითხული იყვნენ პირები, რომლებიც ამბობდნენ რომ 22:30 წუთზე იქ იყო შეხლა-შემოხლა, რომელიც 5 წუთამდე გაგრძელდა, შემდეგ პატრული

მოვიდა და დაიშალნენო. კიდევ ერთი მტკიცებულება, ჩემი შვილის უდანაშაულობის, რომელიც იმთავითვე იცოდა პოლიციამ, იყო ის, რომ ჩემი შვილის ვიდეო იქნა ამოღებული და დაფიქსირებული იყო, რომ ჩემი შვილი იმ პერიოდისათვის, როცა ეს დავა და კამათი დაიწყო, მოძრაობდა რუსთაველზე, რაც ანძის მეშვეობით დადასტურდა. რა მოწმის ჩვენებაზეა საუბარი, ვისაც ოდნავ ესმის და ერკვევა იურიდიულ საკითხებში, როცა ტექნიკა გიჩვენებს ფაქტს. ოპერატიულმა მუშაკებმა, მჭედლიშვილმა, ხურციამ, ბარბაქაძემ, ქორთუამ და გამომძიებელმა ნეფარიძემ ჩაატარეს ეს ტრიუკები, ამოცნობები. არ ვიცი, ახლა სად ხართ, შვილებო, რას აკეთებთ, მაგრამ ეს უბედურებაა თქვენ ცხოვრებაში და თქვენ შვილებს წინ დახვდებათ, ნუ იზამთ ასეთ რამეს. მთელი ცხოვრება პროკურორი ვიყავი და მსგავსი რამ არ ჩამიდენია. როგორ შეიძლება უდანაშაულო კაცზე ასეთი მტკიცებულებები შექმნა და პოლიცია და მოქალაქეებიც გახვიო შარში. თქვენი პასუხისმგებლობის საკითხი ჩვენ თავის დროზე არ დავაყენეთ, ეს თავად ჩემმა შვილმა არ მოინდომა, ის, თქვენგან განსხვავებით, თავისი ბუნებით კეთილი ადამიანია. მაგრამ ახლა გეუბნებით და ამ ჩანაწერებში სამუდამოდ დარჩება, რომ თქვენ ჩაიდინეთ ავანტიურა, უღირსი საქციელი, რომელიც წინ დაგხვდებათ, მიიღებთ სამუდამო ტკივილს და გაგახსენდებათ, რომ არასდროს, არასდროს მსგავსი უსამართლობა არ უნდა ჩაიდინოთ.

სხვათა შორის, არ ვიცი, ეშმაკობა იყო თუ რაღაც სხვა, ჩემი შვილი დააკავეს პარასკევს. 14 რიცხვი იყო და 17-ში სანქცია გასცეს. ჩემ მეორე შვილს (პოლიციაში მუშაობს) ურეკავს გენერალური ინსპექციიდან ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ეუბნება, ვანო მერაბიშვილის დავალებით გირეკავთ, რომ რაღაც გაურკვევლობა მოხდა ბატონ დავითთან დაკავშირებით და გადაეცით ბატონ *ვენედის* (იქ მე ვიყავი ძირითადი სამიზნე), რომ ხვალ გაუშვებენ და ბოდიში მოუხადეთ ოჯახსო. თუმცა მას შემდეგ დავითი სამ თვე ნახევარი ამყოფეს კამერაში.

ვისთვის უნდა მიმემართა? სხვათა შორის, მაშინ (ამას ცნობისთვის ვამბობ), თუ ვინმეს მივმართავდი დასახმარებლად, დავითის მიმართ განხორციელდებოდა ძალადობა, ამიტომ ერიდებოდნენ მიმართვას პრეზიდენტისთვის, რომელსაც ახლოს ვიცნობდი

და ვიცნობ, სამწუხაროდ. ჩემი მასთან ძალიან ახლო ურთიერთობის მიუხედავად, როგორ ფიქრობთ, მე დამიჯერებდა, თუ მერაბიშვილს და ადეიშვილს? საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ სააკაშვილი დაღუპა მერაბიშვილთან, ადეიშვილთან, ბოკერიასთან, რამიშვილთან ურთიერთობამ და მათ ჭკუაზე სიარულმა, ამიტომ რაიმე მიმართვას მასთან აზრი არ ჰქონდა. გამოინახა ასეთი საშუალება, რომ ჩემთან მუშაობდა ძალიან კარგი კაცი პაატა დავითაია, რომელსაც ვანახე ფირი და ავუხსენი, რომ აი, ედავებიან ჩემ შვილს პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში, მაშინ როცა ხელთ მაქვს ფირი თავიდან ბოლომდე გადაღებული და ჩემი შვილი არ ფიგურირებს-მეთქი. პაატა იურისტია, პროკურორი იყო ასეთი რაღაცები არ ეშლებოდა წაიღო ეს ფირი და აჩვენა პარლამენტის იმდროინდელ თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს. დათო ბაქრაძესთან პირადი შეხედულებები არ მაქვს და არც მის პარტიულ მოღვაწეობას ვაფასებ, მაგრამ მე მის ოჯახს, მამას ძალიან ახლოს ვიცნობდი, როგორც ერთ-ერთ უწესიერეს კაცს, როგორც ბაბუამისს რუბენ ბაქრაძეს, ისინი ცაგერის რაიონიდან, ლეჩხუმიდან არიან და საერთოდ წესიერი ოჯახიდან მოდის დათო ბაქრაძის წარმომავლობა. ამ შემთხვევაში დათო ბაქრაძემ სხვებისგან განსხვავებით, (ნუ, ყველამ იცოდა, რაშიაც იყო საქმე და ზურგს უკან ჩურჩულებდნენ, რომ უდანაშაულო კაცი ჰყავთ ჩამწყვდეული და არაერთმა მისცა ინტერვიუ, მაგრამ მათ ეს არ გაიზიარეს). ადგა და დაურეკა გენერალურ პროკურორს, რომ ადგილი ჰქონდა სიყალბის ჩადენას და ციხეში უდანაშაულო ადამიანის ჩასმას. თავის მხრივ, მან დაურეკა მთავარ პროკურორს (მაშინ მთავარ პროკურატურა შედიოდა იუსტიციის სამინისტროში), უთხრა, ასეთი სიტუაციაა. მთავარმა პროკურორმა, ადეიშვილის დავალებით გასცა დავალება, რომ წარმოგვედგინა ცნობა, თუ რა შემთხვევასთან გვქონდა საქმე.

დათოს ინტერესების დასაცავად, ჩავრთეთ ადვოკატები. ყველაფერ ამის საწინააღმდეგოდ იბრძოდა **მამუკა მდინარაძე,** რომელიც ჩემი შვილის კურსელი და ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარია, საუკეთესო პიროვნება და უნიჭიერესი იურისტი. მან უდიდესი სამუშაო გასწია იმისთვის, რომ შეეგროვებინა ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. დღევანდელი პროცესი ტარდება შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ადვოკატი

ეძებს გამამართლებელ მტკიცებულებებს, პროკურორი გამამტყუ-ნებელს. მამუკა მდინარაძემ უდიდესი სამუშაო გასწია იმისათვის, რომ შეეგროვებინა გამამართლებელი მტკიცებულებები და ეს მტკიცებულებები წარედგინა რესპუბლიკის პროკურატურაში, მუ-რთაზ ზოდელავასთან, მარლენ ჩაჩუას მეშვეობით, რომელიც იმ პერიოდში მუშაობდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორად, ერთ-ერთი ავანტიურის მონაწილე, მას (ჩაჩუას) არაფერი არ ეს-მოდა, როცა ეუბნებოდი, რომ ეს სიყალბეა, არ არის სიმართლე, არაფრის გაგონება არ უნდოდა. მესმის, რომ ეს ყველაფერი დავა-ლებული ჰქონდა და ადეიშვილის გარეშე ვერ მიიღებდა გადაწყვე-ტილებას, მაგრამ როცა ხედავ, რომ აშკარად სიყალბესთან გაქვს საქმე და ღუპავ ამდენ ხალხს, ახალგაზრდებს ხომ უნდა დაფიქრდე (ფაქტობრივად დაღუპვაა ისიც, მე რომ ახლა, ჩემს მოგონებებში ვასახელებ მჭედლიშვილის, ხურციას და სხვათა გვარებს, ესეც დაღუპვაა ადამიანის, პრაქტიკულად მათი ზვავში გადაშვებაა...) ქვეყანაში ასეთი პროკურორი არ უნდა არსებობდეს.

მქონია შემთხვევები და ჩემი კოლეგები დამერწმუნებიან, რომ გამიძლია ზეწოლისთვის, შეტევებისთვის, შეიძლება არანაკლე-ბისაც კი, მაგრამ ჩაჩუასავით არ მოვქცეულვარ, არ ვიცი, მასთან მიმართებით რა სიტყვა ვიხმარო. ჩაჩუა კარგი მამის შვილი იყო, ნათელი მის ხსოვნას, მაგრამ მისი მამის შვილი, რომელიც სამუ-შაოზე ჩემი ხელდასხმით იქნა მიღებული, არ უნდა იყოს ასეთი სუსტი ნებისყოფის, უდანაშაულო ადამიანის მიმართ, რომ ასეთი დაკვეთა შეასრულოს.

მოკლედ, ამ ცნობის წარდგენის და მიმოხილვის შემდეგ, რა თქმა უნდა, „იმპერატორმა ადეიშვილმა“ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩემი შვილი – დავითი გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან. ნახეთ, ეშმაკობის და უსინდისობის რა დონეა? ე. ი. შეუცვალეს აღკვეთის ღონისძიება და არა საქმის წარმოება შეწყვიტეს. პრო-კურატურას უფლება ჰქონდა, სასამართლოზე ეშუამდგომლა ბრა-ლდებულის მიმართ სისხლის სამართლის დევნის შეწყვეტის შე-სახებ და მოსამართლე ვალდებული იყო (ის კი არა, რომ უფლება ჰქონდა, მოსამართლე ვალდებული იყო) შეეწყვიტა სისხლის სა-მართლის დევნა. ამათმა ასე კი არ გააკეთეს, არამედ შეუცვალეს აღკვეთის ღონისძიება, რამეთუ ყველანი ეყოლებოდათ ზეგავლე-

ნის ქვეშ და თუ ამოვიღებდი მე ან თავად ეგრეთ წოდებული ბრალდებული (მათი ჭკუით) დავით ბენიძე ხმას, შემოატრიალებდნენ საქმეს და რა ვიცი, რას მოიმოქმედებდნენ.

კურიოზი მოხდა სასამართლოს განხილვის დროს. ამას ძალიან ხშირად ვყვები სხვადასხვა ინტერვიუებში. პატიმრები როცა ყველა ერთად მოიყვანეს (აღმკვეთის ღონისძიება როცა იცვლება, უნდა მოიყვანო ყველა პატიმარი, რადგან სხდომა ერთი პირის მიმართ არ შეიძლება, დაინიშნოს). სხდომა გაიხსნა თუ არა, პროკურორმა იშუამდგომლა დავით ბენიძისთვის აღკვეთი ღონისძიების შეცვლა. დანარჩენ ადვოკატებს ეგონათ, ესენი ალბათ ყველას უცვლიანო და ყველამ დააყენა შეცვლა. ბოლო ადვოკატმა ბევრი ილაპარაკა და მოსამართლე ჩავარდა ისტერიკაში, იმიტომ რომ 5 საათამდე დავით ბენიძე განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო პატიმრობიდან. 5 საათი სრულდებოდა და ალბათ მოსამართლე თუ არ შეასრულებდა ადეიშვილის დავალებას, რა დღეში ჩავარდებოდა, ყველასთვის მარტივი მისახვედრია, ამიტომ არც მოუსმინა ბოლო, მე-5 ადვოკატს და გამოაცხადა – დავით ბენიძეს შეეცვალოს აღმკვეთის ღონისძიება.

სხვათა შორის, ეს ყველაფერი, გიამბეთ კიდევ ერთხელ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი გავლენის ქვეშ იყო სასამართლო პროკურატურის მიერ, კერძოდ ადეიშვილის მხრიდან. ნუ, ეს ჩემი ბიოგრაფიის ნაწილია და კაცმა რომ თქვას, ადეიშვილს არ უნდა დაეკავებინა ჩემს მოგონებებში ერთი გვერდიც კი, მაგრამ რადგან დაიკავა, დაე, ასე იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ მომავალმა თაობებმა მსგავსი საქციელი არ ჩაიდინონ, თორემ ეს ძალიან ძვირად დაუჯდებათ.

სხვადასხვა – პროკურორიც ადამიანია

მიმაჩნია, რომ დამსახურებული ადამიანი ვარ. გავიარე ცხოვრების ყველა ეტაპი, პროკურატურაში ყველა ის საფეხური გავიარე, რომელიც არავის გაუვლია – დაწყებული რიგით გამომძიებლიდან, გენერალურ პროკურორის პირველ მოადგილეობამდე, ვიყავი კათედრის გამგე, ასოცირებული პროფესორი, შემდეგ პროფესორი, დეკანი, ფაკულტეტის საბჭოს და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, დისერტანტის ხელმძღვანელი; პროკურატურის სისტემაში ჩემი ხელმძღვანელობით გაზრდილია ათეულობით გამომძიებელი და პროკურორი ათობით დისერტაცია ბევრის მიერ წარმატებით და სასახელოდ დაცული. მაბედნიერებს, როცა ქუჩაში გასულს მხვდებოდნენ ადამიანები დიდი პატივისცემით და დაფასებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ჩემს მიმართ, რაც ჩემი წარსულის დამსახურებაა.

ჩემი მოგონებების ამ თავს ასე დავარქმევდი – „სხვადასხვა“, რომელიც არაა დაკავშირებული არც სამეცნიერო, არც სამსახურებრივ საქმიანობასთან. არ ვიცი, ეს რამდენად საინტერესო იქნება მკითხველისთვის თუ მსმენელისთვის, მაგრამ მე არ მაქვს უფლება, ყველაფერი არ გავიხსენო და არ გიამბოთ. ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი იბეჭდება, მერე ისტორია ხდება და როცა წაიკითხავენ მას ჩვენი მომდევნო თაობები, გაერთობიან მაინც, თუ ვთქვათ, არ გაიზიარებენ იმ მოსაზრებებს, რომელიც მე ჩემს ბიოგრაფიულ მონაცემებში შევიტანე.

1973-74 წელს, ცაგერში, ფრენბურთში ტარდებოდა ზონალური პირველობა (ცაგერში ხშირად ტარდებოდა ზონალური პირველობები, ერთმანეთს ძალიან მაღალი დონის გუნდები ეჯიბრებოდნენ). მასში მონაწილეობდნენ ქუთაისის, წყალტუბოს, ცაგერის, ლენტეხის, ამბროლაურის და სხვა გუნდები. ფრენბურთის მსვლელობის დროს ერთ-ერთი გუნდის გულშემატკივარმა ხმამაღლა გამოხატა თავისი გულისწყრომა, რაზეც მოთამაშემ. სვანური წარმოშობის ბიჭმა შეაგინა. გინებაზე რეაქცია იყო საშინელი, რადგან ის, ვისაც შეაგინეს კანონიერი ქურდი იყო და რა თქმა უნდა, დაემუქრა მას. მილიციამ როგორღაც მდგომარეობა განმუხტა. ჩვენც დავრწმუნდით, რომ იქ უკვე საშიში არაფერი მოხდებოდა. სხვათა შორის,

ცაგერში დანაშაული მანამდე არ იყო მომხდარი. იმ დღეს, ეს მოხდა 1 მაისს, კი 6 მძიმე დანაშაული მოხდა. ჩვენ, ვისაც პასუხისმგებელი მუშაკი გვერქვა ყველანი ვესწრებოდით ფრენბურთს (გარდა პირველი მდივნისა, თბილისში იყო და მეორე მდივანი ავად იყო). ცხადია, სტუმრებისთვის უნდა მიგვეხედა და პატივი გვეცა. დამთავრდა შეჯიბრი. გამოვაცილეთ სტუმრები. გავიყავით ჯგუფებად. სტუმრები ამბროლაურიდან ერთმა ჯგუფმა გააცილა, ხოლო წყალტუბო-ქუთაისის მეორე ჯგუფმა. გზაში მსვლელობის დროს (საკმაოდ ნასვამები ვიყავით) ვიღაცამ გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ ცაგერის რესტორანში არ ვსვამდით უსახელოურს (ვსვამდით ციცქა ცოლიკაურს), ახლა *ოყურეშში* რესტორანში შევსულიყავით, სადაც კლავდნენ თიკანს და იქ დაგველია უსახელოურის ღვინო. მე, აღმასკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი და კიდევ სხვა თანამდებობის პირები შევედით რესტორანში, მივირთვით უსახელოური, საკმაოდ კი არა, ყველანი ძალიან ძლიერად დავთვერით და დავბრუნდით უკან ცაგერში. მე მომერია ძილი და დავიძინე, როგორც შემდეგ გამოირკვა მილიციის უფროსი წავიდა სამსახურში და მაგიდაზე ჩამოსძინებია, აღმასკომის თავმჯდომარე სახლში წასულა. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ საორგანიზაციო განყოფილების გამგე, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და სხვები და სხვები. ასე, რომ მთელი, რასაც მაშინ აქტივს ვეძახდით, ვიყავით არა ნასვამები არამედ კარგა გვარიანად მთვრალები.

ჩემი ჩაძინებიდან მალევე, ჩემთან სახლში, საავადმყოფოდან რეკავს მამიდაჩემი შუშანა ყურაშვილი, არაჩვეულებრივი ქალბატონი, რომლის ხელშიც ჩვენ, ყველანი გავიზარდეთ. ჩემი ოჯახის წევრებს ეუბნება, რომ პირველი მდივანი ჩამოვიდა თბილისიდან (მაშინ მშრალი კანონი მოქმედებდა, სუფრაზე დაჯდომა შეიძლებოდა, მაგრამ ასე დათრობა არა) ერთ ამბავშია, ბობოქრობს, რომ ყველა მთვრალიაო. ვენედისაც კითხულობს და რაღაც იქნებ მოახერხოსო. მე ვიყავი მაშინ პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი. რადგან კვირა დღე იყო, პროკურორი ქუთაისში იყო წასული. გამაღვიძეს სასწრაფოდ, მაგრამ მთვრალი ვარ. აბა, ნიშადურის სპირტი, აბა სხვა ზომები, ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჭკუაზე მოვსულიყავი. ახალგაზრდა ვიყავი და რაღაც ფორმას დავუბრუნდი, მაგრამ მაინც მთვრალი ვარ. წავედი რაიკომის

მდივანთან. მკითხა – რა მოხდა ვენედი? ვუთხარი რა და როგორც იყო, ჩხუბისა და ინციდენტის შესახებ. ამ დროს, გაიღო კარი და შემოდის მილიციის უფროსი. ღვინომ რომ დააქანა, კინაღამ კედელს მიანარცხა. რაიკომის მდივანი მიადგა მას, ლანძღავს. შემოდის აღმასკომის თავმჯდომარე, ის უარეს მდგომარეობაშია, ფეხზე ვერ დგას. მოკლედ, ძალიან ცუდი სიტუაცია შეიქმნა. რაიკომის მდივანს ჩემთვის ცუდი არაფერი უთქვამს და ვუთხარი წავალ-მეთქი. მინდა, რომ განვერიდო. მეუბნება: „სად წახვალ? ვიღაც დაჭრეს, ვიღაც მოკლეს ჩხუბის დროს“. მოკლედ, ამ კანონიერ ქურდს, სვანი ბიჭისთვის სასქესო ორგანოში უსვრია, იქ სხვა სროლაც ყოფილა... და სამწუხაროდ, ერთი გარდაცვლილა. გვამი მორგშიაო.

ახალა რატომ ვყვები ამ ამბავს (თორემ ეს რა მოსაყოლია) ჩავედი მორგში, მიცვალებულს გადაფარებული აქვს თეთრი ზეწარი და ვხედავ, რომ მიცვალებული გაინძრა. შევქმენი ერთი ამბავი, მოვიყვანე ექიმები, სასწრაფოდ გადავიყვანეთ პალატაში ეს ბიჭი, ჩაუტარდა სათანადო მკურნალობა და როგორც ვიცი, ის დღესაც ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. პრაქტიკულად, გადავარჩინე ადამიანი. ალბათ ცოტახანში დანა უნდა დაედოთ და გაეკვეთათ. მაშინ ექსპერტად გვყავდა ასაკში შესული კაცი, მის სახელს და გვარს არ დავასახელებ და შესაძლოა, მას გამოჰპაროდა მისი სასიცოცხლო სიმპტომები და სავალალო შედეგი დამდგარიყო. ყველა მთვრალები რომ ვიყავით ეს საკითხი განიხილეს რაიკომის ბიუროზე, დაისაჯა ყველა და საოცარი ის იყო, რომ რაიკომის მდივანმა აღნიშნა – ერთადერთი კაცი, ვინც ფხიზელი იყო და ფეხზე იდგა, ვენედი ბენიძე იყოო. ცხადია, ფხიზელი არ ვყოფილვარ, მაგრამ არ მეტყობოდა და გამოფხიზლებაც მოვასწარი. იმ დღეს, ცაგერში, 6 შემთხვევა მოხდა ყაჩაღობის, მკვლელობის მცდელობის და სხეულის დაზიანების. რადგან მარტო ვიყავი, დავიხმარე პოლიციის ფხიზელი თანამშრომლები და შევუდექით სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას.

ფეხბურთის გულშემატკივარი

ძალიან მიყვარს ფეხბურთი და თითქმის მთელი არსებით დაკავშირებული ვარ ამ სპორტთან. ეს კარგად იცოდა ბაღდათის რაიკომის მდივანმა და მაიძულა, გავმხდარიყავი იმდროინდელი ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე. იმდენი შევძელით, რომ მეორე ჯგუფიდან გუნდი გადავიყვანეთ პირველ ჯგუფში, კარგი ფეხბურთელები მოვიზიდეთ ქუთაისიდან, თბილისიდან, სამტრედიიდან.

ერთ-ერთი გუნდური თამაშის დროს სტადიონზე ვარ, თვალს ვადევნებ ფეხბურთს და ამ დროს, ვხედავ, ვიღაც კაცი მოდის, მას მოჰყვება ადამიანი, რომელიც ტელევიზორში მყავს ნანახი. ეს იყო **გავრილ კაჩალინი.** მას ახლდა ახალგაზრდა კაცი ტატო ლასხიშვილი, რომელიც შემდგომში ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა.

ტატო ლასხიშვილი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, თავისი კულტურით, განათლებით, ადამიანებისადმი სიყვარულით, ჩემთვის ყველაფერია, ჩემი და ტატოს ურთიერთობას და ღვაწლს ალბათ წიგნიც კი შემიძლია მიუძღვნა. ჩვენი მაშინდელი შეხვედრა რესტორნით დაგვირგვინდა.

ამ ამბიდან ძალიან მალე მოხდა ასეთი რამ: ფეხბურთიდან გამომდინარე, ვანის რაიონი და მაიაკოვსკის რაიონი ერთმანეთში იყვნენ გადაკიდებული. რომელ რაიონშიც არ უნდა ყოფიოყო თამაში, არ შეიძლებოდა, ქვების სროლა და ჩხუბი არ მოჰყოლოდა. პირველი შეხვედრა საქართველოს პირველობაზე მოგვიწია „ვანის სულორთან“. ვანის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე იყო, ვანის პოლიციის უფროსი რაულ შველიძე. მე შევხვდი მას და ვუთხარი, ეს ორი რაიონი გადაკიდებულია ერთმანეთზე, იქნებ მოაგვაროთ ისე, რომ წესიერი მსაჯობით, თბილი დამოკიდებულებით, როგორმე შევარიგოთ ეს ხალხი ერთმანეთში-მეთქი. რა თქმა უნდა, გაეხარა, კი ბატონო, რაზეა საუბარიო. ჩამოვედი ვანიდან, ბაღდათში ყველამ იცოდა, რომ მოსალაპარაკებლად ვიყავი წასული, ვუამბე რამდენიმე ადამიანს, რომლებმაც გაავრცელეს ხმა, რომ ვანში იქნებოდა წესიერი და პატიოსანი თამაში და რომ ვანი, თავად ცდილობდა ჩვენთან დამეგობრებას.

ფეხბურთის დღეს, ყველა კუთხე კუნჭულში, რომ იტყვიან, სუფრა იყო გაშლილი, იქ მოგება წაგებაზე არ იყო საუბარი. ვინც მოიგებდა მოიგებდა, წააგებდა წააგებდა, აქ საუბარი იყო მსაჯის ობიექტურ მიდგომაზე და არა უხეშობაზე ფეხბურთელების მხრიდან. მთავარი დაპირება ობიექტური და სამართლიანი მსაჯობა იყო. მოვკალათდით ყველანი „სამთავრობო *ლოჟაში*“, მატჩის კომისარი ტატო ლასხიშვილი იყო, რომელიც იღებდა თამაშის პერიპეტიებს და მანაც გააფრთხილა ყველა, რომ ყოფილიყო ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

ლოჟაში სხედან მთელი რაიონის ხელმძღვანელობა, კოჰორტა. დაწყებული პირველი მდივნით, დამთავრებული ყველა ბიუროს წევრამდე. მატჩი მიმდინარეობდა არაჩვეულებრივ პირობებში, მართლაც ობიექტურად უძღვებოდა თამაშს მსაჯი, გვარად ლორთქიფანიძე, ტყიბულიდან. მრავალრიცხოვანი მომენტების მიუხედავად, ვერცერთმა მხარემ ვერ გამოიყენა შანსები და თამაში დამთავრდა ფრედ – 0-0. მსაჯმა დაამატა რამდენიმე წუთი, ყველანი საათზე ვიყურებით, თან თვალი რესტორნისკენ ირავს, ერთი სული გვაქვს, როდის მორჩება თამაში. მოულოდნელად, *ტკაჩენკომ* ვანელების გუნდიდან რაღაც ტრიუკი ჩაატარა, ვითომ წააქციეს და ჩვენს კარში დაინიშნა პენალტი. ანუ ვანელები დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ ჩვენ მაინც მოგვიგებდნენ, იმიტომ, რომ ნახევარი ფეხბურთელები რუსეთის გუნდებიდან ჰყავდათ მოწვეულები, რომლებსაც *მაღალ ანაზღაურებას* უხდიდნენ. *ჩვენც* გვყავდა კარგი, მოწვეული ფეხბურთელები და არც ჩვენ ვიყავით ჯაბნები. მაგრამ დონე (ობიექტურობა მოითხოვს ითქვას) უფრო მეტი იყო ვანის გუნდში, მითუმეტეს, ვანი წინა წლებში ნათამაშები იყო მაღალ – B ჯგუფში. თამაშს ესწრებოდა ბაღდათიდან ჩამოსული დაახლოებით 500 კაცი, რომლებიც ჩვენი ლოჟის გვერდით ისხდნენ. ტრიბუნები გადაჭედილი იყო. სხვათა შორის, იმ დროისთვის ვანს საკმაოდ კარგი, მოწესრიგებული სტადიონი ჰქონდა. მოკლედ, პენალტი რომ დაინიშნა, 500 კაცი წამოდგა ფეხზე, უნდათ, რომ სტადიონზე გადავიდნენ, *ტკაჩენკომ* დაარტყა კარის მიმართულებით და პირდაპირ ცხრიანში გაიტანა. ცხრიანში გატანა ასე არ უნდაო და ეს 500 კაცი გადაცვივდა სტადიონზე. გამოეკიდნენ მსაჯს, რომელიც ჯერ ვერ გაერკვა, რა ხდებოდა, რომ დაინახა, ამდე-

ნი კაცი მისკენ გარბოდა, მიხვდა ყველაფერს და გაიქცა. მთელი სისწრაფით გარბის და უკან ამდენი ხალხი მისდევს იმისთვის, რომ ფეხი გამოჰკრან, წააქციონ და გადაუარონ. ჩვენ ამ დროს ლოჟაში ვსხედვართ და პირველი მდივანი ანდრიაძე მეუბნება, ვენედი, სასწრაფოდ რაღაც უნდა გვიშველო, აბა შენ იციო. რად მინდოდა მისი თქმა, ჩამოვედი სასწრაფოდ და მოპირდაპირე მხრიდან გავიქეცი, რომ მსაჯს მივშველებოდი, სადღაც ქვედა კართან მივუსწარი, იმ დროს, თითქმის რომ ეწეოდნენ. რას აკეთებთ?! დავუძახე ხალხს. გაჩერდა 500 კაცი (მათ იცოდნენ, რომ მეც არანაკლებ გულშემატკივარი ვიყავი ფეხბურთის), ვტაცე ხელი ლორთქიფანიძეს და ჩვენი ხალხი რომ დამემშვიდებინა, მუჯლუგუნებით წამოვიყვანე გასახდელისკენ. მივდივარ, მომყავს ხელმკლავით და შავ დღეს ვაყრი, ვაკადრებ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, შე მაიმუნო, შე არაკაცო, შე გათახსირებულო, ეს რა ქენი, ხომ ხედავ, ხალხი გადარიე და შეშალე ჭკუიდან-მეთქი. რა თქმა უნდა, ეს სიამოვნებდა ხალხს. იმდენი ავტორიტეტი მქონდა, რომ ვერ გამიბედავდნენ, რომ ჩემ თვალწინ დანაშაული ჩაედინათ. მოკლედ, რის ვაი-ვაგლახით შევაგდე მსაჯი გასახდელში. გამოვედი იქიდან, ავედი ლოჟაში, სადაც ვანის და ჩვენი რაიკომის მდივნები და სხვა ხელმძღვანელობა იყო. მადლობა გადამიხადეს მათ იმისთვის, რომ ფაქტობრივად, ვანი ავაცილეთ ძალიან დიდ უბედურებას და ცხადია, ჩვენც ბაღდათის რაიონიც გადავრჩით. სეზონის გახსნის წინ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება სტადიონებზე წესრიგის დამყარების შესახებ და იმ სტადიონზე, სადაც წესრიგი დაირღვეოდა, გუნდი მოიხსნებოდა თამაშიდან. ყველაფერ ამას აშუქებდა კომისარი ტატო ლასხიშვილი, რომელმაც არ მოახსენა ფეხბურთის ფედერაციას, რომ ვანში მოხდა ასეთი ინციდენტი. ეს რომ მოეხსენებინა ორივე გუნდი გათამაშებიდან მოიხსნებოდა. ტატომ ანგარიში გაგვიწია ჩვენ და ადამიანურად მოიქცა. ეს ინციდენტი ამით დამთავრდა. ჩემი და ტატოს მეგობრობა ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა და როგორც მოგახსენეთ, მას შემდეგ ოჯახებით ვმეგობრობთ. ტატო, ნამდვილი ინტელიგენტი და განათლებული ჟურნალისტია, მას ჰყავს არაჩვეულებრივი ოჯახი, საუკეთესო შვილები, ორივე თამუნაც და ნუცაც იურისტია, წარმატებით დაამთავრეს უნივერსიტეტები. ერთი ჩემი სტუდენტი იყო.

თამუნა არაჩვეულებრივად სწავლობდა და ჩემთან დაამთავრა მაგისტრატურა.

ეს ამბავი იმიტომ გამოვყავი, რომ ეს შემთხვევა ჩემთვის უსაყვარლესი ადამიანის გაცნობას უკავშირდება. გავიცანით და რაიონს დავაკავშირეთ ასევე უდიდესი მწვრთნელი *კაჩალინი.*

ცაგერში, ბაღდათში და ვანში მომხდარი შემთხვევები კი დაკავშირებული იყო ადამიანების სიცოცხლის გადარჩენასთან. სადაც არა როგორც პროკურორმა ვიმოქმედე, არამედ როგორც ადამიანმა. ასე, რომ პროკურორს შეუძლია, პროფესიული საქმიანობის გარდა სხვა სამუშაოც შეასრულოს და სამსახური გაუწიოს თავის ერს და ქვეყანას, თუ რა თქმა უნდა, მას უყვარს თავისი საქმე, რაიონი და საერთოდ სამშობლო.

„თუ წარსულს პატივი არ ეცი, მომავალი დამბაჩას გესვრის“

ჩემი ბიოგრაფია თუ მემუარები, რას დაარქმევთ, ეს თქვენთვის მომინდვია, ძალიან ვრცელი გამოდის. თანდათან თხრობა უნდა დავასრულო. კითხვაზე, რას ურჩევდით იმ რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს, სადაც თქვენ მუშაობდით? მინდა გითხრათ, რომ ყველა ხელისუფალს, ვურჩევ, მათ შორის, ცენტრალურ ხელისუფლებასაც, რომ პატივი სცეს წარსულ ხელისუფალთ. ნათქვამია – „თუ წარსულს პატივი არ ეცი, მომავალი დამბაჩას გესვრის“. ეს სიმართლეა. ისე, როგორც რესპუბლიკის პროკურატურაში იქცევიან, რომ წარსულს ელემენტარულად პატივს არ სცემენ, ასე არ შეიძლება, ეს მიუღებელია.

რას ვურჩევდი იმ რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლებს, სადაც მე ვმუშაობდი. ერთ რამეს გეტყვით, ბაღდათიდან, წყალტუბოდან და რუსთავიდან ძალიან ადრე ვარ წამოსული და ამიტომ კონკრეტული პირის მიმართ რჩევა და რეკომენდაციის გაწევა არ შემიძლია. ხოლო, რაც შეეხება ცაგერის რაიონს, მე მასთან მუდმივი კავშირი მაქვს, ვარ ლეჩხუმის საპატიო მოქალაქე, შემიძლია ვურჩიო მათ ერთი რამ, სახელმწიფოებრივი უშიშროების საკითხების გადაწყვეტის დროს, გვერდში დაიყენონ ღირსეული ადამიანები, რომელიც ლეჩხუმს ძალიან ბევრი ჰყავს. თუნდაც ის ადამიანები,

ვინც დააჯილდოვეს ლეჩხუმის საპატიო მოქალაქის სახელით, გვერდში რომ დაიყენონ, ერთიანი ძალისხმევით ძალიან ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებენ.

დავიწყებ **ვალერი ასათიანით,** რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეა, ის სახელმწიფო საკითხებში გამოადგება არამცთუ ცაგერს, არამედ ნებისმიერ რაიონს.

ჯემალ კუხალაშვილი, გამოცდილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, არაერთი სახელმწიფო ჯილდოს მფლობელი. ჯემალ კუხალაშვილს აქვს ყველა წოდება, რაც კი ადამიანმა შეიძლება მიიღოს ცხოვრებაში, ის უდიდესი სახელმწიფო და სამეურნეო გამოცდილების მუშაკია.

მერაბ ხვადაგიანი, არაერთი ჯილდოს მფლობელი, ცნობილი ექიმი-ქირურგი, რომელიც ყველაზე გადამკვდარია, ხშირად უფასოდ აკეთებს ოპერაციებს და სხვა სამედიცინო დახმარებასაც უწევს ადამიანებს.

გია ხვადაგიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ქართული ქირურგიის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის დაჯილდოებულია გრიგოლ მუხაძის სახელობის ოქროს მედლით.

ჯუმბერ კოპალიანი, რომელიც, ასევე არაერთი ჯილდოს მფლობელია და უდიდესი გამოცდილების მქონე თავის დარგში. მის მიერ, ბოლნისში, *ჩ*ატარებული არქეოლოგიური გათხრები – მთელი ერის ისტორიაა.

ჩემს მოგონებებში არ შეიძლებოდა, არ აღმენიშნა ამ ადამიანების ღვაწლი, მაგრამ თუ შემეკითხებით, ვინ შეიძლება გამოადგეს ლეჩხუმს მომავალში? აი, სწორედ ეს ადამიანები. ამ ხალხის გამოყენება შეიძლება ლეჩხუმის კუთხის სასიკეთოდ.

ჩემი თხოვნაა, არა უკვე ცაგერის დონეზე, არამედ ქვეყნის მასშტაბით, ვთხოვ უფლება-მოსილ ორგანოებს, რომ თბილისში, რომელიმე ქუჩას (ცაგერში არის, მაგრამ ძალიან პატარა ქუჩაა) მიენიჭოს უდიდესი მუსიკოსის, კომპოზიტორის, არაერთი მუსიკალური ნაწარმოების ავტორის *მექი* ყურაშვილის სახელი, თბილისში თუ არა, ცაგერში თუნდაც კულტურის სახლთან ან მუსიკალურ სკო-

ლასთან დაიდგას მისი ქანდაკება, სკულპტურა. მექის, რომელიც არა მარტო ლეჩხუმის, არამედ ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილია, ყველა ჯილდო აქვს მიღებული, რაც მუსიკალურ მოღვაწეობას უკავშირდება. მან ცაგერში, პერიფერიულ ზონაში, პირველი მუსიკალური სკოლა დააარსა, რომელსაც დღეს მისი შვილი - **რუსუდან ყურაშვილი,** არაჩვეულებრივი მუსიკოსი ხელმძღვანელობს. **მექი ყურაშვილი** მის შვილთან **გურამ ყურაშვილთან** ერთად აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლს ხელმძღვანელობდა. ყურაშვილების ოჯახის ღვაწლს ლეჩხუმში (არამარტო ლეჩხუმში) ყველა იცნობს. **მექი ყურაშვილზე** დიდი კაცი ძნელია, მოიძებნოს პედაგოგთა თუ მუსიკალურ საზოგადოებაში. ასეთი დამსახურებული კაცის სახელი მეტად დაფასებული უნდა იყოს.

მეგობრები

დაბოლოს, ჩემი მოგონებებში დიდი ყურადღება მინდა დავუთმო ახლო მეგობრებს, რომლებმაც ჩემს ურთიერთობაში ნათელი კვალი დატოვეს. მინდა, გავიხსენო ის ადამიანები, რომელთა გარეშეც ჩემ ცხოვრება ალბათ არაფერი იქნებოდა.

ბედნიერი ვარ, რომ უამრავი კარგი ადამიანი გავიცანი. დროთა განმავლობაში *ყოველთვის ვიძენდი* მეგობრებს, სამსახურში, სამსახურის გარეთ, მეზობლებში, რომლებიც წლების განმავლობაში ყოველთვის ჩემ გვერდში იდგნენ. ოჯახისგან არ გამირჩევია ისინი, როგორც ძმები, მათი ოჯახი ჩემი ოჯახი იყო. ცალკე მინდა გამოვყო ის ადამიანები, რომლებიც მასულდგმულებდნენ, ერთად გავატარეთ ათეულობით წლები და მათთან ყოფნა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

ცაგერში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მყავდა საუკეთესო ბავშვობის მეგობარი **ბაჩო (კარლო) ყვირილიანი,** რომელიც, სამწუხაროდ, ადრე გარდაიცვალა, ეს იყო უსპეტაკესი ადამიანი, ნამდვილი მეგობარი, რომელსაც მეგობრისთვის თავის გაწირვა შეეძლო.

მინდა გავიხსენო ჩემი უახლოესი კარის მეზობელი, აწ გარდაცვლილი გივი გოდერძიშვილი**,** რომლის გვერდით, მეზობლად ვიცხოვრე 35 წელი. ეზოში გვქონდა მოწყობილი პატარა ფანჩატური

და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ერთმანეთის გარეშე ლუკ-მა-პური აგვეღო და ჭიქა ღვინო დაგველია. მისი კარგად ყოფნა ჩემი კარგად ყოფნა იყო. ასე გავატარეთ ერთად მრავალი ბედნიერი წელი და სრულიად მოულოდნელად, სამწუხაროდ 2023 წელს, გივი ხელიდან გამოგვეცალა. გულიანმა, ადამიანებზე გადამკვდარმა პიროვნებამ, თითოეულ *ჩვენგანს* ღრმა ჭრილობა და სევდა დაუტოვა. მან დატოვა არაჩვეულებრივი ოჯახი, კარგი შვილები, ჩემი ნიკა და ნინიკო. მეუღლე ქალბატონი ლეილა, რომელიც სახელოვნად აგრძელებს გივის დატოვებულ ტრადიციებს.

წყალტუბოში მუშაობის დროს, 1991 წელს, გავიცანი ლენტეხის პროკურორი ზურაბ ბენდელიანი**.** შემდეგ ზურაბმა ჩემ მეზობლად შეიძინა ბინა და იმ დღიდან ზურა ჩვენი საყრდენი მეგობარი „გაჭირვების ტალკვესი“ გახდა. ხშირად გვითქვამს მეგობრებს, რომ ასეთი ალალი, გულმართალი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, როგორიც ზურაბ ბენდელიანია, მაშინ რა უჭირდა ჩვენ ქვეყანას. ღირსეული, გამბედავი, მეგობრობის უდიდესი სიყვარულის მქონე, ყველაფერ იმით შემკული, რაც კი შეიძლება კაცურ კაცს ჰქონდეს. ნამდვილი სვანი ვაჟკაცი, რომლითაც შეიძლება, იამაყოს არა მარტო ქვემო სვანეთმა – ლენტეხის რაიონმა, არამედ ზემო სვანეთმა და სრულიად მთელმა საქართველომ. ზურა, წარმოჩინებული იურისტი, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პროკურატურის კარგ თანამდებობებზე, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მას სამართლიანად მოექცნენ, ის იძულებული გახდა, რომ სამუშაოდ გადასულიყო კერძო სექტორში, თუმცა სადაც არ უნდა მუშაობდეს ის ყველგან ზურა ბენდელიანი იქნება და ყველგან მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში თავის ნათელ კვალს დატოვებს.

შალვა გიგაია. დიდ დიღომში (ბინა შევიძინე 1987 წელს) რამდენიმე წელში ჩემს კორპუსში საცხოვრებლად გადმოვიდა შალვა *გიგაია.* უზომოდ თავდადებული მეზობლებისა და მეგობრებისთვის. მის გარეშე პური არ გაგვიტეხავს და ღვინო არ დაგვილევია. ჭიქა არ აგვიწევია. ხანდახან, როცა, ვთქვათ, კვირა დღეს ვისვენებდით და საშუალება იყო, ჭიქა ღვინო აგვეღო ხელში, ერთმანეთის გარეშე არ ვსხდებოდით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ერთმანეთს ვაფასებდით, პატივს ვცემდით, ამაში გამორჩეული იყო ჩემი შალ-

ვა. ყველა დადებითი თვისება, რაც კი შეიძლება კაცს ახასიათებდეს, შალვას ჰქონდა.

ცოტა მოგვიანებით ჩვენ შემოგვიერთდა ასაკით ჩვენზე უფროსი იური ტაბუცაძე, დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი პიროვნება, ღრმად განსწავლული, რომელსაც არ ეშლებოდა მეგობრებთან ურთიერთობა და ქცევა. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს. ჩვენ იურის სახით შევიძინეთ უზადო მეგობარი, უფროსი ძმა, რომელიც მუდამ ჩვენთანაა, ხშირად ვიკრიბებით, ვიზიარებთ შთაბეჭდილებებს, და აქაც ბატონი იური ამჟღავნებს უდიდეს განსწავლულობას, ღრმად მოაზროვნე კაცი, რომელმაც ნებისმიერ მოვლენას შეუძლია გაუკეთოს სიღრმისეული შეფასება და მოგცეს სწორი დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის შესახებ. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ის ჩვენთან მეგობრობს და ღმერთმა ქნას ვიცოცხლოთ და კვლავაც გაგრძელდეს ჩვენი ასეთი მეგობრობა.

ბესარიონ (ბესო) ზოიძე, ჩემი მეზობელი, მეგობარი და კოლეგა. ბესო თანამედროვე ქართული სამართლის ღირსეული წარმომადგენელი და ღვაწლმოსილი პროფესორია, როგორც მეგობარი, უღალატო. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ჩვენს ე.წ. „ბაღში“, რომელიც ჩემი კორპუსის წინ არის და ამ შეხვედრების დროს ხშირად ვმართავდით დისკუსიას ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხზე, სადაც ყოველთვის იგრძნობა მისი პროფესიონალიზმი.

ჩემი მეგობარი **მიშა გაბუნია,** რომელიც ცხოვრებამ დაჩაგრა. არაჩვეულებრივი სახლ-კარი დაატოვებინეს გაგრაში. ძლივს გადაურჩა სიკვდილს. მიუხედავად იმისა, რომ თავდაუზოგავად იბრძოლა ქვეყნის გამთლიანებისთვის, მაინც ვერ მოახერხა (ისევე, როგორც ჩვენ ვერ მოვახერხეთ) აფხაზეთის შენარჩუნება, ის გამოძევებულ იქნა საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან ოჯახთან, მეუღლესთან და შვილებთან ერთად. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავდადებული, დილიდან-საღამომდე გაუთავებელი, დაუღალავი, მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწია იმას, რომ დასახლდა თბილისში და მისმა შვილებმა კარიერა აიწყვეს. რაც შეეხება მის პიროვნებას, გულწრფელად გეტყვით, რომ იშვიათად მინახავს ადამიანი უფრო უღალატო და პასუხისმგებლობიანი. რაც გინდა, მას დაავალე, ჩათვალე, რომ ის გაკეთებულია. მისგან ღალატი გა-

მორიცხულია. იმაზე უფრო დიდი სიმდიდრე რა არის, როცა ლხინშიც და ჭირშიც გვერდით გყავს საიმედო მეგობარი.

სხვადასხვა დროს ჩვენს გვერდით იყვნენ სხვა მეგობრებიც, თუმცა სამწუხაროდ, ბევრს აქ ვერ მოვიხსენიებ იმის გამო, რომ ბევრმა თვისი „გამოხტომებით“ დაკარგა ადგილი ჩვენ წრეში, თუმცა გული მწყდება, რომ მათ მიმართ ჩვენ ძალიან მეგობრულნი ვიყავით, კეთილმოსურნედ განწყობილნი და მათგან არ ველოდით ისეთ ღალატს, რომელიც ჩვენს მიმართ ჩაიდინეს. ცხადია, მათ არ დავასახელებ და არ ვახსენებ არც კარგად და არც ცუდად.

საოცარი ურთიერთობები მაკავშირებს ჩემს გია მეფარიშვილთან, ძმად რომ მიმაჩნია ტატო ლასხიშვილთან, ოჯახის წევრთან, ჩემს ძმასთან გურამ გიოშვილთან, წესიერების განსახიერებასთან, ნამდვილ ქართველ კაცურ კაცთან, ნამდვილ ვაჟკაცთან როლანდ გილიგაშვილთან. კიდევ ბევრი მათგანის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ ასე ძალიან შორს წავალთ. ამიტომ ვიგონებ და გიყვებით მათზე, ვისთანაც ძალიან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს.

***

დაბოლოს, რომ არა ჩემი უახლოესი მეგობრების გია ხვადაგიანის და რომან ომანაძის, „წაქეზება“ ცხადია, ეს პატარა მოგონებები ვერ დაიწერებოდა. მათი წაქეზებით, მონდომებით, დაუოკებელი სურვილით მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩანაწერები გამეკეთებინა და საზოგადოებისთვის ჩემი ბიოგრაფია გამეცნო. დიდი მადლობა, თქვენ, ბიჭებო, რომ მაიძულეთ, ეს ნაბიჯი გადამედგა. სიმართლე გითხრათ, ჩემი ჯანმრთელობის გამო ცოტა გამიჭირდა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და სააშკარაოზე გამოვიტანე ის, რაც სიმართლეა და რისი გამოტანაც შეიძლებოდა. არ ვიცი, საზოგადოება ამ ყველაფერს როგორ მიიღებს, მოიწონებს თუ არა. ახლობლებისთვის შეიძლება ბევრი რამ არ იყოს ცნობილი. მოგონებები კიდევ ბევრი და ამოუწურავია. ვინც ჩემს მემუარებს წაიკითხავს მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ხანგრძლივი ჯანმრთელობა და ბედნიერება ვუსურვო. მაპატიოს მან, ვინც მოგონებებში ჩემდაუნებურად ვერ ვახსენე და ღირსი იყო ხსენების. მე როგორც მწამდა და სწორად მიმაჩნდა, ისე გავიხსენე ყველანი. შემიძლია ყოვლადწმინდა დავიფიცო, იმას რასაც ჩემ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, საზოგადოებას ვუამბობ, აბსოლუტურად გულწრფელია, მოგონებებში ყველაფერი ჭეშმარიტია და მის სიმართლეში იოტის მარცვლის ოდენა ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. შევეცადე გადაუჭარბებლად მომეყოლა ის, რაც ჩემს გულში დიდიხანია იყო.

დიდი მადლობა, მათ, ვინც გულწრფელად მიიღებს ჩემს ნაამბობს, მადლობა მათაც, ვინც არ გაიზიარებს – ეს მათი ნებაა.

მე მაინც დავრჩები ჩემ სიმართლესთან ერთად

კარგად ბრძანდებოდეთ, მშვიდობით... ღმერთმა დაგლოცოთ!

მეგობრები, ახლობლები და კოლეგები
ვენედი ბენიძის შესახებ

„რთულია, ისაუბრო წარსულში შენი ცხოვრების მთავარ ადამიანზე, პიროვნებაზე, რომელიც თავისი არსებობით ყოველ დღეს დღესასწაულად გიქცევდა. ხშირად მითქვამს, რომ შენ იყავი ადამიანი ადამიანის გულით, გამორჩეული პასუხისმგებლობის გრძნობით, მიზანდასახულობითა და ყურადღებით, გადაუჭარბებლად - დიდი კედელი და სტიმულის მომცემი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახისთვის, შვილებისთვის, მეგობრებისთვის და, რათქმაუნდა, ცხოვრების მეგზურისთვის. ეს 46-წლიანი თანაცხოვრების მშვენიერი წლები, სამართლიანი და პრინციპული ადამიანის გვერდით, განგების საჩუქრად მივიჩნიე. ამქვეყნიური სურვილების ნუსხიდან ერთ-ერთი მთავარის ასრულება კი, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ შევძელი - სიცოცხლეში გაკეთებული აუდიოჩანაწერები, რომელიც შენი ცხოვრების მთავარ ამბებს აერთიანებს ტექსტად ვაქციე და მემუარებად შევკარი. ეს ყველაფერი კი, შთამომავლობას დარჩება იმ ხშირად გადასაფურცლ მოგონებების წიგნად, რომელითაც დარწმუნებული ვარ, არაერთხელ იამაყებენ.

ნინო-დოდო კვირიკაძე-ბენიძე, მეუღლე

„ვენედი ბენიძე გავიცანი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე. უნივერსიტეტის დამთავრებამდე გასაოცარი იყო მისი ლტოლვა იურიდიული მეცნიერებისადმი. იურიდიული საგნები მას აღქმული ჰქონდა, როგორც მშობლიური დედაენა. რიგ სამართლებრივ საკითხებზე ეკამათებოდა ლექტორებს, რისთვისაც მათგან ყურადღებას იმსახურებდა. პროკურატურის ორგანოებში, სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის დროს იყო პრინციპული, უსამართლობისადმი შეურიგებელი, როგორც იურისტი, ის წარმოჩინდა უდიდეს პროფესიონალად.

ვენედი ბენიძე პიროვნულად იყო კეთილი ბუნების, მეგობრების თაყვანისმცემელი, დიდებული ოჯახის მამა, ბაბუა და მოსიყვარულე მეუღლე.

ლორდი ლებანიძე, კურსელი

„რა ჩქარა გარბის დრო. რა უნდა დაიწეროს ისეთ ადამიანზე ასეთი ამაღლებული სულის, კაცური კაცის, გვერდში მდგომი კაცის შესახებ.

მე არ შევუდგები მის პროფესიონალიზმზე საუბარს, რაც საყოველთაოდ აღიარებული და დაფასებულია პროფესიონალების მიერ.

მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ადამიანზე, მეგობარზე, რომელიც გულწრფელად განიცდიდა არამარტო თავისი ახლობლების და მეგობრების ბედ-იღბალს, არამედ სრულად უცნობი ადამიანებისთვის უშურველად გასცემდა სრულად უცნობი ადამიანებისთვის უშურველად გასცემდა სითბოს თუ დარწმუნდებოდა, რომ ის ადამიანი ამას იმსახურებდა. უაღრესად რბილი ბუნება იმალებოდა მისი ერთი შეხედვით მკაცრი გარეგნობის ქვეშ. არავითარ შემთხვევაში ადამიანს არ გაჭორავდა.

ჩვენ არა მარტო მეზობლები ვიყავით, არამედ მეგობრებიც ის გადაყოლილი იყო თავის სამეგობროზე, მეზობლებშიც გამორჩეული. უყვარდა პირში თქმა, თუ ამას ნაკლად ჩავუთვლით, მაგრამ თუ ვინმეზე რამეს იტყოდა, ის აუცილებლად მართლდებოდა. არც ზომიერ ქეიფებზე ამბობდა უარს, მოლხენაც დიდებული იცოდა და სიმღერაც. ძალზე ხშირად ვიკრიბებოდით სუფრასთან.

ძალიან აკლდება შენნაირი ადამიანები ქვეყანას.

ნუგზარ ყურაშვილი

„ჩემი წყალტუბოში მოღვაწეობის პერიოდში ვენედი გარკვეული პერიოდი წყალტუბოს პროკურორი გახლდათ, რომელიც დიდი პროფესიონალიზმით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, სისპეტაკით, ადამიანებისადმი გულისხმიერი და თბილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, მან დიდი წვლილი შეიტანა წყალტუბოს სამართალდამცველი ორგანოების სისტემის სრულყოფის და წესრიგის დამყარების საქმეში. შემდგომ წლებში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე ურთულეს პერიოდში მუშაობის დროს ვენედი ბენიძე ჩვეული შეუპოვრობით, ხშირად სიცოცხლის ფასად იბრძოდა მაშინ ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობის, წესრიგისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის.

მირზა ქორქაშვილი

მინდა რამდენიმე ეპიზოდი შემოგთავაზოთ პროფესორ ვენედი ბენიძის პროფესიული მოღვაწეობიდან.

**სამართლის რეფორმის სათავეებთან-გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, უფრო ადრე თუ არა, საქართველოში დაიწყო სამართლის რეფორმის გრანდიოზული პროცესი, რაც ქართული სინამდვილისათვის შეიძლება ეწოდოს დიდი კოდიფიკაციების ეპოქა. ამ რეფორმის პოლიტიკური მიზანმიმართულება იყო საბჭოთა სამართლისგან მოსუფთავებულ ნიადაგზე დასავლური (ევროპული) ღირებულებებით გაჯერებული ახალი ტიპის სამართლის შექმნა. მაშინდელმა ხელისუფლებამ გვერდით შემოიკრიბა ყველა ნიჭიერი იურისტი, რომელთაც შესწევდათ უნარი, მონაწილეობა მიეღოთ ამ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ გვყავდა ახალი თაობის კადრები, ჩვენმა მასწავლებლებმა საკუთარ თავზე აიღეს ეს ტვირთი და შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ურთულეს საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მასწავლებლებს არ უსწავლიათ დასავლეთის ცნობილ უნივერსიტეტებში, მათ აღმოაჩნდათ ახალი ეპოქის გენიალური შეგრძნება, ასე, მაგალითად, გერმანელი პროფესორი როლფ კნიპერი გვეუბნებოდა, რომ როცა თქვენ გყავთ პროფესორი სერგო ჯორბენაძე, ჩვენი დახმარება არ გჭირდებათო. ცხოვრებისეულმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ხალხის გენეტიკური მართლშეგნება არასდროს არ ყოფილა საბჭოური. ის თავისი ბუნებით ყოველთვის იყო დასავლური, რითაც განპირობებულია ჩვენი მუდმივი სწრაფვა ევროპასთან ჩატეხილი ხიდის აღსადგენად. ევროპასთან ინტეგრაცია ჩვენი ხალხის ისტორიული ბედისწერაა, რაც ხელს ვერ შეუშლის ვერაფერი. ამ რეფორმას შედეგად მოჰყვა კოდიფიცირებული აქტები, სამართლის სხვადასხვა დარგში. ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის შემუშავების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღო ვენედი ბენიძემ. მისი დიდი პრაქტიკული გამოცდილება ერთობ სასარგებლო აღმოჩნდა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული საპროცესო კოდექსის შესაქმნელად. ამით არ დამთავრებულა ბატონი ვენედის აქტივობა ამ პროცესში: ვიდრე იგი შეიძენდა დღევანდელ სახეს, სულ ამ კოდექსის სრულყოფის ინტერესი ამოძრავებდა და წერილობითაც საჯაროდ გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას. აქვე, მინდა შევნიშნო, რომ არცერთ კოდიფიცირებულ აქტს არ აქვს ისეთი მჭიდრო კავშირი ადამიანის უფლებებთან, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსს. შესანიშნავად ჩანს ეს შტეფან ტრექსელის წიგნიდან. ამიტომაც შეიძლება ეწოდოს მას ადამიანის სპეციფიკურ უფლებათა კონსტიტუცია. ბატონი ვენედი ბენიძისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობა იყო ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა.

**სასამართლო რეფორმის აქტიური მონაწილე:განახლებული კანონმდებლობა მოითხოვდა სასამართლო სისტემის ადეკვატურად გადაწყობას. ჯერ ახალი სასამართლოს მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები უნდა შექმნილიყო. ბატონი ვენედი ბენიძე აქაც მისი აქტიური მონაწილე იყო. რეფორმა ითვალისწინებდა კვალიფიციური მოსამართლეების მომზადებას. საამისოდ იუსტიციის სამინისტრომ შექმნა სათანადო ინსტიტუტები, რომლებსაც ეს საქმე უნდა განეხორციელებინათ. განსხვავებით ზოგიერთი ევროპული ქვეყნისგან, სადაც (მაგალითად, გერმანია) მოსამართლე რომ გახდე, საამისოდ სრულიად საკმარისია იურიდიული ფაკულტეტის დამთავრება სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებით, ჩვენი განათლების სისტემა ამის შესაძლებლობას მარტო იურისტის კვალიფიკაციის მიღებით არ იძლევს. დადგინდა, რომ მოსამართლის თანამდებობების მსურველს უნდა ჩაებარებინა გამოცდები. პირადად მე, ორჯერ ვიყავი ამ გამოცდების კომისიის თავმჯდომარე. შემდგომ ეს სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწა. ბატონი ვენედი, დაწყებული ახალი სასამართლოს საკანონმდებლო ბაზის მომზადებიდან, მისი პრაქტიკული განხორციელების ჩათვლით, აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში. თბილისის საოლქო (სააპელაციო) სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ მისი გამწესება მისდამი დიდი ნდობის გამოხატულება იყო. უნდა ითქვას, რომ ქართველმა მოსამართლეებმა კარგად აუღეს ალღო ახალ კანონმდებლობაზე მომართულ მართლმსაჯულებას და საინტერესო პრეცედენტებიც შექმნეს. უცხოელი (ძირითადად გერმანელი) პროფესორები განცვიფრებულნი იყვნენ მათი ნიჭიერებითა და მახვილი გონებით. ეს მათ არაერთხელ დაუდასტურებიათ. სასამართლო თავიდანვე დაადგა სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბების გზას, რაშიც განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო უზენაესი სასამართლოს როლი. ბატონ ლადო ჭანტურიას ძალისხმევით, ეს დაწესებულება წარმოადგენდა არამარტო მართლმსაჯულების უმაღლეს ორგანოს, არამედ, ფაქტობრივად, მართლმსაჯულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც იყო, კერძოდ, საერთაშორისო კონფერენციე-

ბის ცენტრი. ეს პროცესი, კერძოდ, სამოსამართლო სამართლის ჩამოყალიბება ახლაც დიდი ძალისხმევით ხორციელდება. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ სერიოზული გაფრთხილება სჭირდებათ იმ მოსამართლეებს, რომლებიც ავითარებენ ჩვენს სამართალს. სწორი ვიქნები, თუ ვიტყვით, რომ ბატონი ვენედი, თავისი კრიტიკული აზროვნებითა და ძლიერი ინტუიციის უნარით, ადვილად უბამდა მხარს დროის მოთხოვნილებებს.

**სამართლის მთლიანობაში შემმეცნებელი პროფესორი:იყო უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორი, ეს დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. გერმანელები ამბობდნენ, რომ პროფესორზე მაღლა ერთადერთი მხოლოდ ღმერთია. მაინც რატომ? იმიტომ, რომ პროფესორი თავისი ეპოქის ღირებულებათა სარკეა. იგი ზნეობრივი შუბლია თავისი საზოგადოებისა. პროფესორი დროს კუდში კი არ მიჩანჩალებს, არამედ წინ უსწრებს კიდეც მას. ჭეშმარიტი პროფესორი თავის სტუდენტებს კი არ ემიჯნება, არამედ მათთან ერთად ხედავს თავის თავს. იგი სტუდენტების ბელადი კი არა, მათი მეგობარი. იგი თვითონაც სტუდენტია და ამ აზრით თავისი მოწაფეებისგანაც სწავლობს და მუდმივი განვითარების პროცესშია. მან იცის, რომ ახალგაზრდობას ყველაზე მძაფრი ყნოსვა აქვს ეპოქის მაჯისცემის და ცდილობს ამ აზრითაც აკმაყოფილებდეს პროფესორის მოთხოვნებს. ნამდვილი პროფესორისათვის აკადემიური დაწესებულების ადმინისტრაცია მხოლოდ იარაღი და საშუალებაა თავისი ამოცანების შესასრულებლად. ღირსეული პროფესორი პოლიტიკურ პარტიებზე მაღლა დგას და მათ კი არ ემსახურება, არამედ ქვეყანასა და ხალხს. იგი ცდილობს, გაემიჯნოს პარტიულ პოლიტიკას, თავისი საქმე სუფთად და ღირსეულად რომ შეასრულოს. ძალიან ძნელია, იყო ასეთი პროფესორი, მაგრამ არ არის ძნელი, ცდილობდე, გახდე ასეთი პროფესორი. პირადად მე ვინატრებდი, ვყოფილიყავი ასეთი პროფესორი.

ბატონი ვენედი ბენიძე სტუდენტებისთვის საყვარელი პროფესორი იყო და ამას განაპირობებდა მისი მაღალი პროფესიონალიზმი. მასში შერწყმული და ერთ მთლიანობად გაერთიანებული იყო ჩვენი სამართლის ფორმალური და პრაქტიკული სახისმეტყველება. დიდი ხნის წარსულში მკაცრად იმიჯნებოდა ერთმანეთისგან თეორიული და პრაქტიკული იურისპრუდენცია. ძნელი სანახავია იყო პროფესორი მოსამართლე, პროფესორი პროკურორი. ეს ეპო-

ქა ისტორიას ჩაბარდა და იურისპრუდენცია გამთლიანდა. სამართლის შემეცნების მთავარი კომპონენტი გახდა სასამართლოს პრეცედენტები. მრავალი წლის განმავლობაში პროკურორად და მოსამართლედ მუშაობის გამოცდილებამ ბატონ ვენედი ბენიძეს საშუალება მისცა, დაწერილი სამართალი დაენახა პრაქტიკულ მდგომარეობაში. ამას სამართლის სრულყოფილი აღქმა ჰქვია. ამიტომაც ვამბობთ, რომ ეს არის სამართლის სრულყოფილი სახე, რაც ზრდიდა სტუდენტების ინტერესს ვენედი ბენიძის ლექციების მიმართ. მოკლედ, ჭეშმარიტად ღირსეული პროფესორი გახლდათ ბატონი ვენედი ბენიძე.

**სამართლიანობისთვის მებრძოლი იურისტი:ყველაზე მეტად ადამიანები უსამართლობას ვერ ეგუებიან. სამართლიანობა სახელმწიფოს საყრდენია და სადაც იგი მორყეულია, იქ სახელმწიფოს ჩამოქცევის საფრთხე ემუქრება. სამართლიანობა ის ღირებულებაა, რომელიც პირზე აკერია ყველა ადამიანს, სულერთია, როგორია მისი ცხოვრების წესი. არავის ჰქონდეს იმის იმედი, რომ უსამართლოდ მოიქცევა და სამართლიანობის ფორმებით შეინიღბება. ხალხის თვალში ის აუცილებლად მხილებული იქნება, როგორც იტყვიან, სამოსელი (ქცევები) ამხილებს მას. ერთი აღმოსავლური სიბრძნე იუწყება: მეფე ბევრს ნერვიულობდა იმის გამო, რომ წმინდა ქალაქ მექაში ვერ ახერხებდა სალოცავად წასვლას. მრჩევლებმა ის დაამშვიდეს და უთხრეს * არ ინერვიულოთო, მეფის ერთი სამართლიანი გადაწყვეტილება 60 წლის ლოცვანის ტოლფასიაო. ბოლოსდაბოლოს იმიტომ ვლოცულობ, რომ ვიყოთ სამართლიანები. განსაკუთრებით ეს ეხება იმათ, ვინც მართლმსაჯულებას ახორციელებს. ბატონ ვენედის ჰქონდა სამართლიანობის მაღალი შეგრძნება არა მარტო თავისი პროფესიული საქმიანობის სივრცეში, არამედ ყველა დონეზე, ეს იქნებოდა კოლეგებთან, მეგობრებთან, ხელისუფლებასთან დამოკიდებულება თუ სხვა. ის ყოველთვის ცდილობდა, მისი სუბიექტური დამოკიდებულება ყველა მოვლენისადმი ყოფილიყო ისეთი, რომ მას ჰქონოდა ობიექტურობის პრეტენზია. მე არ მსმენია, რომ მას ვინმე დაეჩაგროს, პირიქით, იგი უსამართლოდ დევნილთა დამცველი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი აზრით, სამართლიანობა ქართული სახელმწიფოს მთავარი სამოქმედო მაქსიმა უნდა იყოს

ბესარიონ ზოიძე, პროფესორი

ცნობილი ხელმძღვანელი მუშაკის ბატონი გიორგი ბენიძის სამ შვილთან მეგობრულმა ურთიერთობებმა დამაკავშირა.

უფროსი ძმა ცხონებული ზაური ბენიძე (მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათ შორის უნივერსიტეტის ცაგერის ფილიალის ხელმძღვანელად) ჩემი მასწავლებელი და კოლეგა იყო; უმცროსი გიორგი (გოგი) ბენიძესთან ერთად მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ფრენბურთელთა ერთ გუნდში ვთამაშობდი.

შუათანა ძმას ვენედი ბენიძეს როდიდან ვიცნობ? მეზობლობიდან, ლეგენდარული ცაგერის საშუალო სკოლიდან, უნივერსიტეტიდან, აკადემიური მოღვაწეობიდან (იყო დოქტორი, პროფესორი), უმაღლეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობით, ჩვენი საერთო კოლეგების უმაღლესი შეფასებებიდან, პირადი კეთილი ურთიერთობიდან.

ვენედი ბენიძის უმაღლესი პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, კეთილსინდისიერება ქვეყანაში აღიარებულია.

ვენედი ბენიძე თავისი ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია პროფესიულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. მას ახასიათებდა მყარი, წინასწარ არააფიშირებული თანადგომა, განსაკუთრებით გადამწყვეტ მომენტში. ამასთან შექმნა საუკეთესო ოჯახი.

ბოლო დღეებამდე ვკონტაქტობდით,... ცხადია, იცოდა..... არ იმჩნევდა, გეგმებზე საუბრობდა, მართლაც კიდევ რამდენი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო...

ვენედი ბენიძე ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია რეგიონში დაბადებულ და აღზრდილ მიზანდასახულ, ნიჭიერ ახალგაზრდას გახდეს, უმაღლესი დონის სპეციალისტი და დაიპყროს ქვეყანაში უმაღლესი პროფესიული მწვერვალები.

ავთანდილ სილაგაძე, აკადემიკოსი

ყოველთვის პატივისცემისა და სიყვარულის უდიდესი განცდა მქონდა ბატონი ვენედის მიმართ ჯერ კიდევ ბაღდადში მუშაობის დროს, და შემდეგ, როდესაც ის რესპუბლიკის პროკურატურაში და მე თბილისის მთავარ პოლიციის სამმართველოში, შემდეგ რუსთვის პროკურორობის, თანამდებობაზე, ჩვენი გზები ხშირად იკვეთებოდა სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მე მსგავსი ერუდირებული იურისტი არ მინახავს, ჩემთვის პროფესიონალიზმის და ადამიანური ურთიერთობების ეტალონად იყო ქცეული შინაგანად საოცრად თბილი და ბავშვური სიყვარულის მატარებელი გულით, როგორ უშეცდომოდ და სიმძლავრით ეწეოდა ამ რთული პროფესიული ვალდებულებების ჭაპანს, დღემდე ამოუხსნელია ჩემთვის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სადღაც მისი სახელი ვახსენე და ვიამაყე ამ ურთიერთობით, ყველგან მოწიწების და პატივისცემის განცდა მივიღე საჩუქრად, კეთილი გული ჰქონდა ძალიან, ბავშვური სიყვარულით და ერთგულებით ურთიერთობა შეეძლო მასთან ვინც კი მას გაუგებდა, თვითონ ჩაუჭრელი მორალისტი იყო ურთიერთობებში და მასაც ასეთი ურთიერთობა ახარებდა. ყველას უყვარდა და ეს მხოლოდ რჩეულების ხვედრია.

პაატა ჟვანია, ადვოკატი

ნათელი კაცი

მეჩვენება, თუ ასეა, რომ უკანასკნელ ათასწლეულში თითქოს გახშირდა ადამიანთა გარდაცვალება. სამწუხაროდ, ჩვენგან წავიდნენ საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ღირსეული პიროვნებები. მათი რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ბოლომდე გაცნობიერებასაც ვერ ასწრებ და ზოგჯერ ისევ ცოცხალი გგონია.

რამდენიმე დღის წინ რაღაც პრობლემას შევეჯახე სამართლის სფეროდან, საპროცესო კანონმდებლობას რომ ეკუთვნოდა. ჩემდა უნებურად ტელეფონი ავიღე და ვენედი ბენიძესთან დარეკვა გადავწყვიტე. მასზე უკეთ ამ საკითხში ვერავინ დამეხმარებოდა. მალევე მივხვდი, ჩემს შეცდომას. ჩვენგან ერთი წლის წინ წასულმა ღირსეულმა კაცმა ასე უცნაურად შემახსენა თავი. ვენედი ბენიძე ჩემს თაობაში საკმაოდ ცნობილი ადამიანი იყო. ჩვენი ნაცნობობა

რამდენიმე ათეულ წელს ითვლიდა. ორივენი დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმიდან ვიყავით, ასაკითაც დიდად არ განვსხვავდებოდით, ორივემ ახალგაზრდობიდან დავიწყეთ მუშაობა სამართალდამცავ სტრუქტურებში. მე მილიციაში, ვენედი კი პროკურატურაში მუშაობდა. ბევრი რამ გვქონდა საერთო, მათ შორის მეგობრებიც, ხშირად ერთდროულად გვიწევდა გარკვეულ პრობლემებთან ბრძოლა, არც ერთი არ ვყოფილვართ სხვის ზურგს ამოფარებული და დამოუკიდებლად ვქმნიდით საკუთარ ბიოგრაფიას. ამანაც გარკვეულწილად შეუწყო ხელი ჩვენს დაახლოებასა და ურთიერთპატივისცემას.

სამართალდამცავი ორგანოებიდან თითქმის ერთდროულად წავედით. ბატონმა ვენედიმაც სამეცნიერო სფეროში გადმოინაცვლა და ახლა კიდევ უფრო ხშირად გვიხდებოდა შეხვედრა. ბოლოს ისე მოხდა, რომ ორივემ გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში მოვიყარეთ თავი. ჩვენ ერთ კაბინეტში ვისხედით ბატონ რომან შენგელიასთან ერთად და ათი წელი სტუდენტთა სწავლა აღზრდის საქმეს ვემსახურებოდით.

ბატონი ვენედი კარგი პიროვნება გახლდათ. თავისი საქმის პროფესიონალი, განათლებული, ამასთან თავმდაბალი და მოკრძალებული. იმასაც ვფიქრობდი, პროკურატურაში მაღალ თანამდებობაზე ამდენი წლის მუშაობის შემდეგ ასეთი თვისებები როგორ შეინარჩუნა-მეთქი. მაგრამ ამასთან ერთად არ აკლდა პირდაპირობა, იყო საკუთარი პრინციპების ბოლომდე დამცველი თუ საქმე დარღვევებსა და გადაცდომებს ეხებოდა, სწორ, სამართლიან შეფასებებს აკეთებდა. მისთვის ამ დროს მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყო ადრესატი. ასეთი შეუვალი პოზიცია მისთვის ყოველთვის როდი იყო სასარგებლო, მაგრამ რას იზამ, ადამიანის ბუნების შეცვლა ყოველთვის არ ხდება.

მაღალი კვალიფიკაციის იურისტი პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. სამართლის პროფესორი, საინტერესო წიგნების ავტორი, პროკურატორის გენერალი, სტუდენტებისთვის ერთ-ერთი საყვარელი და ავტორიტეტული მასწავლებელი. აი, მოკლე ჩამონათვალი მისი პიროვნების დასახასიათებლად.

ბატონი ვენედის მეგობრებისა და კოლეგებისადმი გულისხმიერება არ აკლდა. ამის მოწმე ხშირად ვხდებოდით. გასულ ზაფხულს რაჭის ტრაგედიის ამბებმა იმდენად შეაწუხა,რომ მიუხედავად გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობისა, იქ დამირეკა, ჩემი ხმა რომ გაიგონა, ღრმად ამოისუნთქა, მადლობა უფალსო და ტელეფონი გათიშა. ამ საუბრის შემდეგ ბევრი არ უცოცხლია.ესეც მისი დიდსულოვნების კიდევ ერთი მაგალითია....

გივი ლობჟანიძე, პროფესორი

ვენედი ბენიძე გამორჩეული პიროვნება იყო როგორც თავისი პროფესიონალიზმით, ასევე ადამიანური თვისებებით.იგი უნივერსალური იურისტი გახლდათ თავისი პრაქტიკული, კანონშემოქმედებითი, აკადემიური თუ სამეცნიერო საქმიანობით. იმოღვაწევა განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის პროკურორად, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობდა კანონშემოქმედებით საქმიანობაში, მას დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობის შექმნაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. სამართალდამცავ სტრუქტურებში პრაქტიკულ საქმიანობას ჩამოცილებულმა არანაკლები წარმატებით იღვაწა უმაღლესი განათლების სფეროში თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 20 წელი. იყო პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, აღზარდა და დამოძღვრა ბევრი წარმატებული იურისტი.

პროფესიული უკომპრომისობა,სიმტკიცე, სიმკაცრე,სამართლიანობა და ჰუმანური, კაცთმოყვარე ბუნება ჰარმონიულად იყო შერწყმული მის ხასიათში. ამის თვალსაჩინო მაგალითად მინდა გავიხსენო ერთი კონკრეტული ფაქტი მისი ცხოვრებიდან. ერთ-ერთ რაიონულ პროკურატურაში ბატონი ვენედის მუშაობის დროს, ქურდობისთვის არასრულწლოვანი ახალგაზრდა დააკავეს. დამნაშავის მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ მან სანატორიუმის ნომერი გაქურდა, რომელშიც ისვენებდა საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, მკაცრი სასჯელი თითქოს გარდაუვალი იყო. მაგრამ ბატონ-

მა ვენედიმ, რომელიც შეურიგებელი იყო კანონის დამრღვევთა მიმართ, ამ შემთხვევაში განსხვავებული პოზიცია დაიკავა, რადგან შეატყო, რომ ბიჭი თავისი ბუნებით დადებითი პიროვნება იყო. ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, ყველა ღონეს მიმართა რათა ეს ახალგაზრდა დაეცვა, მისთვის თავიდან აეცილებინა საპატიმრო, რომელიც უარყოფითად იმოქმედებდა მცირეწლოვან მოზარდზე, ცხოვრებას დაუნგრევდა ახალგაზრდას. ბატონი ვენედი თავდებში დაუდგა მცირეწლოვან ახალგაზრდას და გადაარჩინა სასჯელს.

როგორც ვიცი, ეს ბიჭი ახლა დაღვინებული კაცია, პატიოსნად წარმართა თავისი ცხოვრება, რომელიც მეცნიერებას, ახალგაზრდების სწავლა-განათლებას დაუკავშირა. რომ არა ვენედის ალღო, გულისხმიერება, ჰუმანურობა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ამ ადამიანის ბედი.

ადამიანში კეთილი საწყისის არსებობის რწმენით, ღირსეულად განვლო ცხოვრების გზა, კეთილშობილმა კაცმა ვენედი ბენიძემ.

გიორგი მათიაშვილი, პროფესორი

„ ვენედი ბენიძემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სამართლისა და სამართლიანობისთვის სამსახურს. თუმცა სინამდვილეში, მისი მოღვაწეობა იყო არა უბრალოდ სამსახური, არამედ ყოველდრიური დაურალავი შრომა და უკომპრომისო ბრძოლა მის მიერ დასახული იდეალის ხორცშესხმისთვის. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის გარემოება, რომ ვენედი ბენიძემ თავისი მკაფიო და განუმეორებელი კვალი დატოვა ყველა იმ ასპარეზზე, სადაც კი მას ყოფნა მოუხდა თავისი არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. იგი თავისი პროფესიული საქმიანობის ადრეული პერიოდიდანვე ყალიბდება სამართლებრივი სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის *სისხლის სამართლისა და პროცესის მაღალი დონის სპეციალისტად.

აღნიშნულზე მეტყველებს ვენედი ბენიძის სწრაფი პროფესიული აღმასვლა, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილისიურიდიული ფაკულტეტის დამთავრებიდან ოთხიოდე წლის შემდეგ, ჯერ კიდევ 25 წლის ასაკში, საქართველოს პროკურატურის ცენტრალურ აპარატში

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანამდებობაზე ინიშნება. ამ პირველ კარიერულ წარმატებას ახალ-ახალი პასუხსაგები თანამდებობები საქართველოს პროკურატურის სისტემაში, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის პროკურატურაში, სადაც იგი გვევლინება ამ რაიონებისა და ქალაქების პროკურორების რანგში. ეს იყო ხანგრძლივი, ამასთანავე ფრიად ნაყოფიერი საქმიანობის პერიოდი მისი ცხოვრებისა, რომელიც მოიცავს 1976-1999 წლებს.

უთუოდ უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ ასპარეზზე მოღვაწეობისას, მას ძალიან ხშირად უწევდა პრაქტიკის მიერ მის წინაშე წამოჭრილი ძალიან რთული სამართლებრივი საკითხისა თუ პრობლემის გადაწყვეტა, რასაც ის ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს თავისი მაღალი პროფესიონალიზმისა და მრავალწლიანი გამოცდილების წყალობით. ამიტომ იყო, რომ იგი ყველგან, მის გარემომცველ პროფესიულ წრეში, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, ხოლო მისი რჩევები და დასკვნები ახალბედა, თუ უკვე საკმაო სტაჟის მქონე კოლეგებში დიდად ფასობდა.

1999 წლის 17 მაისიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა, რეფორმირებულმა სასამართლო სისტემამ, რომლის სტრუქტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა თბილისის საოლქო სასამართლო. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოვლენამ ვენედი ბენიძეს წინ გადაუშალა ახალი სამოღვაწეო ასპარეზი, სადაც ის გახდა განახლებული ქართული მართლმსაჯულების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, კერძოდ, იგი დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე, იმავდროულად იყო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე. აქ მან გამოავლინა არა მარტო მაღალი სამოსამართლო თვისებები, არამედ დიდი ორგანიზატორული უნარიც, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სრულიად ახალი ტიპის სასამართლოს ჩამოყალიბებაში.

ახალ სასამართლო სისტემაში ვენედი ბენიძემ თავი გამოიჩინა როგორც ღირსეულმა და სამართლიანმა მართლმსაჯულმა, ამ მხრივ ის სამაგალითო იყო კოლეგა მოსამართლეებს შორის, მას მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში, რომელთაც ფართო რეზონანსი

ჰქონდათ საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი სამოსამართლო და ორგანიზატორული საქმიანობა თბილისის საოლქო სასამართლოში ხანგრძლივი არ ყოფილა, მან წარუშლელი კვალი დატოვა ამ სასამართლოს ისტორიაში.

სისხლია სამართლის სფეროში სწორი და ეფექტური სამართალწარმოების დამკვიდრების ინტერესებმა მოითხოვა ვენედი ბენიძის დაბრუნება საქართველოს პროკურატურის სისტემაში, სადაც მისი საქმიანობა არსებით მნიშვნელობას იძენდა მისი ხანგრძლივი საპროკურორო გამოცდილებიდან გამომდინარე, რასაც ემატებოდა მართლმსაჯულების სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობით შეძენილი გამოცდილება. 2001 წლის თებერვლიდან იგი საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა, სადაც მან კვლავინდებურად გამოავლინა მაღალი პროფესიული თვისებები და ორგანიზატორული საქმიანობის შესანიშნავი უნარ-ჩვევები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მთლიანად პროკურატურის სისტემის წარმატებით ფუნქციონირებას.

ვენედი ბენიძის მოღვაწეობა აღნიშნულ თანამდებობაზე 2004 წლის დამდეგამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც მან დატოვა პროკურატურის ორგანოები, რაც შედეგი იყო ქვეყანაში განვითარებული რთული პოლიტიკური პროცესებისა. მაგრამ, სამწუხარო ის იყო, რომ საქართველოს პროკურატურის იმჟამინდელი მესვეურების მხრიდან ადგილი ჰქონდა, რბილად რომ იტქვას, ყოვლად გაუმართლებელ უმადურობას, გაუგონარ უსამართლობას და უღირს დამოკიდებულებას მისი პიროვნების მიმართ, რომელთაც არაფრად მიაჩნდათ დამსახურებული ადამიანის მიერ გაწეული უდიდესი ღვაწლი. თუმცა ამ მხრივ, ვენედი ბენიძე არ ყოფილა გამონაკლისი, რამეთუ ამგვარი უდიერი დამოკიდებულება ღვაწლმოსილი ადამიანებისადმი იმ ავბედითი დროის შემოქმედთა კარგად ცნობილ ხელწერას წარმოადგენდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ვენედი ბენიძე, ინარჩუნებს რა მაღალ პროფესიულ და ადამიანურ ღირსებას, მალე პოულობს თავის ახალ მოწოდებას * სისხლის სამართლისა და პროცესის თეორიული საფუძვლების ფართო ცოდნითა და უმდიდრესი პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი, ის იწყებს პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას, თავდაპირველად ივ, ჯავახიშვილის სახელო-

ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულ-ტეტზე ლექტორად, შემდგომში თავის საქმიანობას აგრძელებს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერ-სიტეტში საჯარო სამართლის კათედრის გამგის აკადემიურ თა-ნამდებობაზე, პროფესორის რანგში. მოკლე ხანში ის ხდება იმავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანი და სადისერტა-ციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2011 წლის მარტიდან გარდა-ცვალებამდე იყო გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. აღნიშნულ უნივერსიტე-ტებში ვენედი ბენიძე, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, დიდი რუდუნებით, ერთგულებითა და თავდადებით ემსახურებო-და ახალი თაობის იურისტების აღზრდის საქმეს, უშურველად გა-დასცემდა თავის საყვარელ სტუდენტებს უმდიდრეს ცოდნასა და გამოცდილებას, რის გამოც კანონზომიერად სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. მან თავისი ძალისხმევა გასწია იურიდიული მეცნიერების სფეროშიც * იყო ორი მონოგრაფიისა და 15 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ვენედი ბენიძე იყო შესანიშნავი, ქართული ტრადიციული ოჯა-ხის ბურჯი და მეთაური, შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები გაუზარდა იმ ქვეყანას, რომლის ულევი სიყვარული თან გაჰყვა მას ამ წუთისოფლიდან. ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა განსახორციე-ლებლად, მაგრამ ვერაგმა, უკურნებელმა სენმა ძალზედ ნაადრე-ვად * 73 წლის ასაკში შეწყვიტა მისი გულისძგერა. ჩვენგან წავიდა არა მარტო დიდი პროფესიონალი, არამედ ასევე უმშვენიერესი პი-როვნება, გამორჩეული მრავალი ღირსებითა და ადამიანებისადმი გულისხმიერებით. ამიტომაც ჰყავდა მას მრავალი მეგობარი არა მხოლოდ იურისტთა შორის, არამედ სხვა სფეროებში მოღვაწეთა შორის * ხელოვანები, მეცნიერები, ჟურნალისტები თუ სხვა, რო-მელთა მეხსიერებაში უკვდავი იქნება მისი ხსოვნა.

მეგობრები და კოლეგები:
შოთა ასათიანი, ბადრი ბიწაძე, გურამ გიოშვილი, ტატო ლასხიშვილი, გია მეფარიშვილი, თემურ მონიავა, ნელი ნადირაშვილი, დავით სულაქველიძე, თემურ ღოღობერიძე, რომან შენგელია.

„ამ მემუარებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი იმ ადამიანის განვლილ ცხოვრებას, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჩემს ცხოვრებასთან, ნებისმიერ წარმატებასთან და მომავლის იმედთან, რომელიც მისთვის. მიცემულ გარდაუვალ პირობად იქცა. მადლობა ამ შესაძლებლობისთვის და იმ ბევრჯერ განცდილი უზომო სიამაყისა და სიამოვნების გრძნობისთვის, რომელიც ბიძაჩემის - ვენედი ბენიძის ჩანაწერებზე მუშაობისას კიდევ ერთხელ შევიგრძენი. იმედია, ჩვენი მცდელობა: სრულფასოვნად გადმოგვეცა მისი სიცოცხლის ბოლო წლებში დატოვებული აუდიოჩანაწერები, ზედმიწევნითი სიზუსტით გამოგვივიდა. თუმცა, ცხადია, ვფიქრობ, რომ დასცლოდა, რას იზამდა ავტორი, რას შეცვლიდა, რას დაამატებდა ან გამოაკლებდა მის თვის ჩვეული პუნქტუალობით. ალბათ ბევრი დარჩა სათქმელი, ბევრიც - უთქმელი. მემუარებიც ხომ ესაა: სტრიქონებს შორის უთქმელის ამოკითხვაც.

მარინა ბენიძე

სარჩევი

ბიოგრაფია 4

ჩემი პირველი მასწავლებელი 7

პროფესიის არჩევანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 10

სტუდენტობის წლები 11

სტუდენტური ცხოვრება და მეგობრები 14

ცაგერის პროკურატურა 17

კარიერული წინსვლა 19

საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი 22

ბაღდათის პროკურორი 24

წარმატებული პროფესიული საქმიანობა ბაღდათში 26

საქმე N... მკვლელობა ბაღდათში 30

ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი 40

ქუთაისის საქმე 42

წყალტუბოს პროკურორი 50

წყალტუბოში მომხდარი საქმეების გამოძიება 52

შეხვედრა თამაზ ყურაშვილთან, მეტსახელად „ბუღასთან“ 55

აფხაზეთის გენოციდის საქმე 57

საქმე N... ზვიადისტების მიერ ხელისუფლების დამხობის ფაქტზე 60

7 შვილიანი ქალის პატიმრობა ზვიადისტობის გამო 62

სამართალდამცავი ორგანოების დამოკიდებულება მოქალაქეების მიმართ 63

ასლან აბაშიძე და ძმები ასანიძეების საქმე 66

სამოქალაქო განყოფილება – ყველაზე უარყოფითი სამუშაო პრაქტიკა 74

მივლინებას ლამის შეწირული კარიერა 76

შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან	80
„კარტოფილების საქმე“	83
რუსთავის პროკურორი	84
მხედრიონის თავდასხმა ქვემო ქართლის გუბერნატორზე	88
ვინ იყო ქართლოს ღარიბაშვილი?	92
აცილებული საქმე	96
მაჭახელას საქმე	99
საქმე N... რძლის მიერ მოკლული მამამთილი	102
მკვლელობა რუსთავში	103
ჩემი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეტაპი	104
გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე	112
რუსთავი 2-ის საქმე	115
ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობა	121
ნუგზარ საჯაია – მკვლელობა თუ თვითმკვლელობა	124
ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის სტუმრობა	127
პედაგოგიური მოღვაწეობა	129
თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი	131
ჩემი ცხოვრების მეგზური	144
ჩემი შვილები	146
ჩემი შვილის, დავით ბენიძის დაპატიმრების საქმე	150
სხვადასხვა – პროკურორიც ადამიანია	157
ფეხბურთის გულშემატკივარი	160
მეგობრები	160
მეგობრები, ახლობლები და კოლეგები ვენედი ბენიძის შესახებ	171

„ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგად, ჩემი ყრმობის მეგობრების, უერთგულესი ადამიანების, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნებების: მედიცინის დოქტორის გია ხვადაგიანის და მათემატიკის პროფესორის როლანდ ომანაძის დაჟინებული თხოვნით, გადავწყვიტე, მემუარები დამეწერა, რადგან მივიჩნიე, რომ ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება ხელს შეუწყობს მომავალი თაობის პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებასა და თეორიული ცოდნის ამაღლებას. რამდენად საინტერესო იქნება ჩემი მონათხრობი, მკითხველმა თავად განსაჯოს.“

ვ. ...